



სოციალურ მეცნიერებათა სერია

---

# გარდამავალი ხანის ეკონომიკა

სალექციო კურსი  
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

ლელა ბახტაძე

თბილისი  
2006

## სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: მარინე ჩიტაშვილი

ენობრივი რედაქტორი: ლია კაჭარავა

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: გიორგი ზაგრატიონი

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. №10

ელ. ფოსტა: [contact@ucss.ge](mailto:contact@ucss.ge)

ინტერნეტ გვერდი: [www.ucss.ge](http://www.ucss.ge)



წიგნი მომზადებულია და გამოცემულია “სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის” (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით



The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

ISBN: 99940 - 871 - 3 - 4

## შინაარსი

თემა 1. გარდამავალი ხანის ეკონომიკის კონცეფცია: თეორია და პრაქტიკა.....	4
თემა 2. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა როგორც გარდამავალი ხანის ეკონომიკის ფენომენი .....	15
თემა 3. სახელმწიფოს ადგილი და როლი გარდამავალი ხანის ეკონომიკაში.....	23
თემა 4. განსახელმწიფოებრიობა – გარდამავალი ხანის ეკონომიკური გარდაქმნების მნიშვნელოვანი მიმართულება.....	32
თემა 5. სოციალური რისკი და სოციალური დაცვის სისტემა გარდამავალი ხანის ეკონომიკაში.....	47
თემა 6. საფინანსო სისტემისა და პოლიტიკის პრობლემები გარდამავალი ხანის ეკონომიკაში.....	58
თემა 7. გარდამავალი ხანის ეკონომიკა და საგარეო ეკონომიკური სექტორი.....	70
თემა 8. ადამიანის როლი გარდამავალი ხანის ეკონომიკაში.....	76
ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ .....	88
TRANSITION ECONOMY.....	90

**თ ე მ ა I.**  
**გარდამავალი ხანის ეკონომიკის კონცეფცია:**  
**თეორია და პრაქტიკა**

**გარდამავალი ეკონომიკა ახალი ისტორიული ფენომენი**

ისტორიაში პრეცედენტი არა აქვს აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებში განხორციელებულ ცენტრალიზებულ გეგმიანი მეურნეობრიობის გარდაქმნას საბაზრო ეკონომიკად, რომელიც უმთავრესად კერძო საკუთრებას ემყარება.

ცნება „გარდამავალი ხანის ეკონომიკა“, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად და ფორმირებად მაკროსისტემებში, განსაზღვრავს განსახორციელებელი გარდაქმნების მიმართულებასა და ხარისხს. გარდამავალი ხანის ეკონომიკის ცნების გამოყენება გაპირობებულია იმის აუცილებლობით, რომ ერთი კონკრეტული ტერმინით აღინიშნოს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ერთობლიობა, რომელიც მიმდინარეობს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოახდინოს სახელმწიფო საკუთრებაზე მონოპოლიის და მართვის უზომო ცენტრალიზაციის ლიკვიდაცია და კერძო საკუთრების განვითარებულ ინსტიტუტზე დაფუძნებული საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ცდილობენ დააჩქარონ თავიანთი ეკონომიკური განვითარება წამავალი ეპოქის ტექნიკის, ტექნოლოგიების, წარმოების მართვის ორგანიზაციის, მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა სისტემების მიზამდით.

ვერავინ ვერ გაითვალისწინებდა და იწინასწარმეტყველებდა იმ განსაცვიფრებელ ცვლილებებს, რომლებმაც გამოიწვია მრავალი მეტად რთული და ახალი სახელმწიფოებრივი, ინსტიტუციონალური და ეკონომიკური რეფორმები. ეკონომიკური რეფორმების ექსპერიმენტები დაიწყო იუგოსლავიაში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში. გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (აღმოსავლეთ გერმანია) განხორციელდა ფასების რეფორმა საწარმოებისათვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებით. გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო რეფორმების გატარება ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში. მაგრამ, პირველი, ნამდვილად წარმატებული ეკონომიკური რეფორმა კომუნისტური სივრცეში დაიწყო 1978 წლიდან, კერძოდ, ჩინეთში. სამი მთავარი ბელადის – მაო ძედუნის, ჯოუ ენლოს და ჯუ დეს „კულტურული რევოლუციის“ კატაკლიზმების და ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემის შემდეგ. დენ სიაპინმა დაიწყო რეფორმები, რომლებსაც საზოგადოება მომზადებული შეხვდა. რეფორმები დაჩქარდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, რის შედეგადაც ჩინეთმა მიადწია ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ტემპებს ბოლო ათწლეულში.

გასული საუკუნის 80-იან წლებში მთელ მსოფლიოში წარმოებისა და პროდუქციის განაწილების სფეროში შეინიშნებოდა ფასებისა და საბაზრო მექანიზმის გამოყენება მზარდი მასშტაბით. ამ ათწლეულში განხორციელდა ძვრები მესამე სამყაროს რიგ ქვეყნებში ავტოკრატიული და მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკისაკენ, რომლის დაჩქარებაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ამ ქვეყნების ეკონომიკური მოდუნებით, ხოლო ნაწილობრივ სესხების პირობებით (სტრუქტურული ადაპტაციის სესხებით), რომელსაც გასცემდნენ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ). მოძრაობა საბაზრო ეკონომიკისაკენ და საბაზრო მექანიზმების გამოყენებისაკენ დაჩქარდა გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც 1985 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო გარდაქმნები და საჯაროობის პროცესი. 80-იანი წლების ბოლოსათვის მან სწრაფი განვითარება პოვა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების წყალობით. 1989-1990 წლებში, როცა აღმოსავლეთ ევროპის შვიდმა ქვეყანამ განაცხადა საბჭოთა კავშირისაგან მათი გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ, „ცივი ომი“ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დასრულდა.

ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია. მასზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური განვითარების ზოგადი კანონზომიერებები და საკუთრივ ქვეყნის სპეციფიკური პირობები. ამასთან მან უნდა ასახოს კრიზისიდან გამოსვლის, ეკონომიკური სტაბილიზაციის ეტაპები და მისი მომავალი განვითარების მიზანმიმართულებები.

იმისათვის, რომ გაიუმჯობესონ პოტენციალური ზრდის შანსი მომავალში, გეგმიანი ეკონომიკის ქვეყნები თამამად წავიდნენ საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით, რაც მოითხოვს მათი ეკონომიკის ფუნდამენტურ გარდაქმნას და წარმოებით ურთიერთობათა ახალი ტიპის განვითარებას. მათ აუცილებლად უნდა გამოათავისუფლონ ეკონომიკური საქმიანობის ადრინდელ სახეობებში დაკავებული არასიცოცხლისუნარიანი რესურსები; გარდამავალ ეტაპზე ეკონომიკის აღორძინების პროცესში შესამჩნევი ხდება წარმოების დაცემა, მაგრამ აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ გადასვლის პროცესი არ აღმოჩნდეს არც მეტად მტკივნეული და არც მეტად ხანგრძლივი; წინააღმდეგ შემთხვევაში დაიკარგება რეფორმის მხარდაჭერის ერთსულოვნება. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის პროცესის წარმატებით ხელმძღვანელობას.

**გარდამავალი ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობები:  
არსი და გადაჭრის ფორმები**

გასული საუკუნის 80-იან წლებში გარდამავალი ხანის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიზეზად იქცა არაეფექტიანი ეკონომიკის არსებობა, უხარისხო პროდუქციის წარმოება და დაბალი შრომისნაყოფიერება. ცენტრალური ხელისუფლებისთვის რთული იყო გადაწყვეტილების მიღება რესურსების და საქონლის, განსაკუთრებით კი სამომხმარებლო საქონლის ეფექტიან განაწილებაზე. ერთი მხრივ, იზრდებოდა დეფიციტი იმ პროდუქციაზე, რომელზედაც არსებობდა მოთხოვნა, ხოლო მეორე მხრივ – იმატა ჩაწოლილი საქონლის მარაგებმა, რაც საბოლოო ანგარიშით დანაკარგი იყო საზოგადოებისათვის. ზემოთ აღნიშნული ქვეყნების უმრავლესობაში დაიწყო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ტემპები დამაკმაყოფილებელი იყო, ეს მიიღწეოდა არა ამ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდით, არამედ რესურსების მეტი ოდენობის გამოყენებით. გასული საუკუნის 80-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა წარმოების ზრდის რეალური ტემპების მკვეთრი დაცემა (იხ. ცხრილი 1.1.).

ცხრილი 1.1.

**რეალური ზრდის ტემპების შედარება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში  
გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში**

ქვეყანა	წარმოების რეალური მოცულობის საშუალო წლიური ზრდის ტემპები, %	
	70-იანი წლები	80-იანი წლები
ბულგარეთი	7,1	3,7
უნგრეთი	5,4	1,6
გდრ	4,9	4,0
პოლონეთი	6,6	-0,1
რუმინეთი	9,7	4,5
ჩეხოსლოვაკია	5,0	2,1
ოუგოსლავია	6,1	0,7

*წყარო: the institute of international Finance, ine. Table 2.2. P. 13.*

ეკონომიკური ზრდა ზოგადად ორი ფაქტორით განისაზღვრება: 1. რესურსების ნამატით (მიწა, სამუშაო ძალა, კაპიტალი) და, 2. ამ რესურსების მწარმოებლობის გადიდებით. სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის 90% მიღწეული იყო რესურსების გადიდების ხარჯზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ქვეყნებმა შეძლეს სამუშაო ძალისა და კაპიტალის ძალზე ეფექტიანი მობილიზება. მაგალითად, ჩინეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი განსაკუთრებით სოფელში უმუშევარი იყო, რომელიც შემდგომ დასაქმებული იქნა წარმოების სფეროში. მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული ადამიანური დანაკარგების გათვალისწინებით აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში დაუსაქმებელი იყო მოსახლეობის შედარებით უფრო ნაკლები ოდენობა. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სოფლიდან ქალაქში გადაადგილდა და, უწინარეს ყოვლისა, დასაქმდა მძიმე მრეწველობაში. ეკონომიკის არასასოფლო სამეურნეო სექტორში ძალები კონცენტრირებული იყო საწარმოო დანიშნულების საქონლის წარმოებაზე, ანუ მანქანა-მოწყობილობის წარმოებაზე. გასული საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში სოციალისტურ

ქვეყნებში წარმოების აღნიშნული სფეროს განვითარება ძირითადად სამომხმარებლო საქონლის წარმოების ხარჯზე ხორციელდებოდა.

დასავლეთის ქვეყნების უმეტესობა, ამასთან ტაივანი, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, სინგაპური შრომისა და კაპიტალის რესურსების ეფექტიან მობილიზაციასთან ერთად, სიახლეთა დანერგვის ხარჯზე და მუშაკთა შრომის სტიმულების შექმნით აძლიერებდნენ წარმოებას. ამ ქვეყნებში ისეთი ატმოსფერო ჩამოყალიბდა, როცა ადამიანები დაინტერესებული იყვნენ პროდუქციის წარმოების ახალი, უფრო ეფექტიანი ხერხების შექმნით. სამხრეთ კორეაში ეკონომიკური ზრდის 60% უზრუნველყოფილი იყო რესურსების მწარმოებლურობის გადიდებით. აშშ-ში მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკური ზრდის 43% წარმოების ფაქტორების ნაყოფიერების მატების შედეგი იყო. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, როცა სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპები შენედა, მათ შეიგნეს, რომ აუცილებელი იყო საკუთარი რესურსების გამოყენების გაუმჯობესება, რათა შეჩერებულიყო დასავლეთის ქვეყნების მიმართ ჩამორჩენის ტენდენცია.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ახალშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ნათელი გახდა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა იქნებოდა მეტად ძნელი. ის პრობლემები, რომლებსაც ისინი აწყდებიან უფრო რთულია, ლათინური ამერიკის ქვეყნების პრობლემებთან შედარებით, სადაც უკვე არსებობდა და ფუნქციონირებდა საბაზრო ინსტიტუტები, სადაც საპრივატიზაციოდ განკუთვნილი სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი ასობით და არა ათასობით ერთეულს შეადგენდა.

ბუნებრივია, რეფორმის არსისა და სიძნელეების შემცენების შემდეგ პირველადწყებითი აღფრთოვანება და ეიფორია იცვლება პესიმიზმით, იმედის გაცრუებით, აღშფოთებით, დაბნეულობით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას ხდება „ჩაჯარდნები“ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. საწყის ეტაპზე ნათლად არსებობს რწმენა იმისა, რომ გარდამავალი ეკონომიკა გადაიქცევა შეუფერხებლად ფუნქციონირებად საბაზრო სისტემად, რომელიც ცხოვრების უფრო მაღალ დონეს უზრუნველყოფს პერსპექტივაში.

### **ეკონომიკური რეფორმის მიზნები და ძირითადი მიმართულებები**

ჩვეულებრივ, ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმის მიზანია ამაღლოს ეკონომიკის მწარმოებლურობა და ეფექტიანობა. კერძოდ კი,

- სტიმული მისცეს ეკონომიკის უფრო სწრაფ ზრდასა და განვითარებას;
- აამაღლოს შრომის მწარმოებლურობა;
- გააუმჯობესოს რესურსების გამოყენების ეფექტიანობა;
- აწარმოოს პროდუქციის საკმარისი ოდენობა;
- შეამციროს იმ საქონლის მარაგები, რომელზედაც არ არის მოთხოვნა;
- გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობა ადრინდელ გამოცდილებაზე დაყრდნობით თვლის, რომ აუცილებელია იმ ეკონომიკური სისტემიდან, სადაც მთავრობა გადაწყვეტს საკითხს რესურსების განაწილების შესახებ, გადასვლა ისეთ ეკონომიკურ სისტემაზე, სადაც საქონლისა და მომსახურების განაწილება ხორციელდება მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო მექანიზმის საფუძველზე. რისთვისაც აუცილებელია ისეთი სტრუქტურების ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას. ზემოთ აღნიშნული სტრუქტურები უნდა მოიცავდეს საფინანსო ინსტიტუტებს, კანონებს, რომლებიც წაახალისებენ საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გაცვლას; სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომლებიც ასტიმულირებენ კონკურენციას და იცავენ კერძო მესაკუთრეთა უფლებებს. დასახელებული სტრუქტურები აუცილებელია იმისათვის, რომ სისტემა იყოს მდგრადი და არ მოითხოვდეს მთავრობისგან მუდმივ ჩარევას.

ამ მხრივ, გამონაკლისია ჩინეთი. ჩინეთის ხელმძღვანელებს, მხედველობაში ჰქონდათ რა რეფორმის ზემოთ აღნიშნული ძირითადი კონკრეტული მიზნების მიღწევა, არ შეუსუსტებიათ ავტოკრატიული პოლიტიკური კონტროლი მრეწველობის მძლავრ სახელმწიფო სექტორზე და ცენტრალიზებული კონტროლი ძირითად სტრატეგიულ რესურსებზე. ქვეყნის ხელისუფლება, ერთი მხრივ, იყენებს ეკონომიკაზე ცენტრალიზებული კონტროლის მექანიზმს, რის შედეგადაც სწრაფად იზრდება საბაზრო სექტორი, ძირითადად სოფლის მეურნეობაში, ადგილობრივ მრეწველობასა და თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში, მეორე მხრივ კი, მთავრობა ინარჩუნებს კომუნისტურ იდეოლოგიას, ზღუდავს კერძო საკუთრების უფლებებს, აწესებს პრესაზე კონტროლს, ახდენს თავისუფალი გადაადგილებისა და ადამიანური თავისუფლების შეზღუდვას. ბევრს არ სჯერა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელი იქნება ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების გაფართოება. 1989 წელს

**ტიანანმენის** მოედანზე განვითარებული მოვლენები პოლიტიკური კონფლიქტების მაგალითია, რომლებიც ეკონომიკური თავისუფლების განვითარების კვალობაზე აღმოცენდნენ.

არ არსებობს რეფორმების ერთიანი პაკეტი, რომელიც ვარგისი იყოს გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყნისათვის, რამდენადაც მათი პირობები ერთმანეთისაგან ბევრად განსხვავდება. უფრო მეტიც, არსებობს უთანხმოება იმაში თუ რა ტიპის საბაზრო ეკონომიკის შექმნა არის შესაძლებელი ამა თუ იმ ქვეყანაში. მით უფრო, ყალიბდება საერთო აზრი, რომ გარდაქმნის პროცესში აუცილებელია რეფორმის მთავარი ელემენტების გათვალისწინება. თუმცა ცვლილებები გარდამავალ ეკონომიკაში ბევრ შემთხვევაში უნიკალურია და მათთვის შეიძლება გაკვეთილად გამოდგეს უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნების რეფორმების მაგალითი, სადაც არსებობდა პოლიტიკური მონოპოლია, დამახინჯებული ფასები და სუსტად განვითარებული კერძო სექტორი.

ეკონომიკური რეფორმა მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

**მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და კონტროლი.** მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია ითვალისწინებს ეკონომიკური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას ინფლაციის უმნიშვნელო დონითა და არსებული რესურსების გამოყენების მაღალი ხარისხით. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა გულისხმობს:

- ისეთი გადაუდებელი და მიმდინარე პრობლემების შეფასებასა და გადაწყვეტას, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, ჭარბი ფულადი მასა (ჭარბი ლიკვიდობა) და ინფლაცია, საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, საგარეო ვალი და უცხოური ვალუტის შეზღუდული რეზერვები;

- სოციალური დაცვის სისტემის შექმნას და სოციალური დაცვის უფლების უზრუნველყოფას;

- გრძელვადიან პერიოდში ქმედითი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს მიმდინარე არაპირდაპირი მაკროეკონომიკური კონტროლი. ამისათვის საჭირო სპეციალური ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების შექმნას, აგრეთვე ეკონომიკაში მკაცრი ფინანსური რეჟიმის შემოღებას.

ფასებისა და საბაზრო რეფორმის განხორციელება გულისხმობს:

- შიდა ფასების ლიბერალიზაციას პროდუქტებსა და მომსახურებაზე;

- საპროცენტო განაკვეთისა და ხელფასების ლიბერალიზაციას, შემოსავლების განაწილების სისტემის გარდაქმნას;

- საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას; სავალუტო კურსის მდგრადობას და ეროვნული ვალუტის ნორმალურ მიმოქცევას, საგარეო ვაჭრობის სფეროში კვოტების გაუქმებას და საბაჟო ტარიფების დაწევას.

რეფორმის მნიშვნელოვანი მიმართულებაა საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნა. მცირე და მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია კი თავის მხრივ მოიცავს:

- მართვის სისტემის რეორგანიზაციას;

- საკუთრების უფლების გადანაწილებას;

- კომერციალიზაციას;

- დემონოპოლიზაციას;

- ძირითადი კაპიტალის შეფასებას, აქციების გამოშვებას;

- საცხოვრებელი ფონდის შეფასებას.

რეფორმების წარმატებით განხორციელება გულისხმობს ფინანსური ბაზრისა და ინსტიტუტების განვითარებას, რისთვისაც აუცილებელია:

- სამართლებრივი და მარეგულირებელი ინსტიტუტების ფორმირება.

- წარმოების მართვა, ფინანსური სექტორის ჩათვლით.

- სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმის განსაზღვრა და სახელმწიფო

ადმინისტრირების გამკაცრება.

- საინფორმაციო სისტემების (აღრიცხვა, აუდიტი, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა) შექმნა.

### **პოლიტიკური სტაბილურობა და რეფორმებისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერა**

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების სისწრაფე, დონე და წარმატებები განიცდის ამ ქვეყნებში პოლიტიკური არასტაბილურობის ზეგავლენას. ამ მიზეზით რეფორმირების პროცესი სხვადასხვა ქვეყნებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც მიმართულია საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის დამოკიდებულია პოლიტიკურ ცვლილებებზე. შესაძლებელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა

უფრო ძნელი აღმოჩნდეს, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში ტოტალიტარული რეჟიმის დამხობა, განსაკუთრებით, თუ არ არსებობს საერთო შეთანხმება საბაზრო ეკონომიკისაკენ მოძრაობის საკითხებში, აგრეთვე მისი ფუნქციონირების მექანიზმის გაგებაში. ცენტრალიზებული დაგეგმვის მრავალათეულწლიანი ბატონობის შემდეგ საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა იქნება ხანგრძლივი და სარისკო საქმე. როგორც კი გაქრება ახალმიღწეული თავისუფლების ეიფორია და ხალხი წაწყდება უმუშევრობის, საქონლის უკმარისობის, კორუფციის სიძნელებებს და საერთო ეკონომიკურ განუითხაობას (ამას განიცდის ყველა ქვეყანა გარდამავალი ეტაპის პირველ წლებში), საბაზრო ეკონომიკის მიზიდველობა შეიძლება გაქრეს, ამასთან „გადასვლა“ შეიძლება გადაიქცეს უცვლელ მდგომარეობად. ზოგიერთმა ქვეყანამ შეიძლება უპირატეოსა მინიჭოს შერეულ ეკონომიკას, სადაც ეროვნული ეკონომიკის მრავალ სფეროს აკონტროლებს სახელმწიფო.

**არასტაბილურობის ფაქტორები.** პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც გარკვეული ზომით არსებობს ყველა გარდამავალ ეკონომიკაში, წარმოადგენს მრავალი ფაქტორის ურთიერთზემოქმედების შედეგს, რომლებიც ავსებენ ეკონომიკურ პრობლემებს. კერძოდ, იგი შეიძლება გამოწვეული იყოს:

**ჯგუფური ინტერესებით.** ყოფილ ადმინისტრაციულ-მზრდანებლური ეკონომიკის ქვეყნებში ბევრი ეწინააღმდეგება რეფორმებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი არყვეს მათ ძალაუფლებას და მდგომარეობას. ყოფილი ბიუროკრატები და პარტიული ფუნქციონერები, რომლებიც ვერ შეურიგდნენ ძალაუფლების დაკარგვას წევრიანდებიან ზოგიერთ ახლადშექმნილპარტიებში. ამასთან, საწარმოო სფეროს მუშების და საზოგადოების გაჭირვებული ფენების მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა და ემინია იმის, რომ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შედეგად ისინი დაკრავავენ სამუშაო ადგილს.

**საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არცოდნით.** გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მოსახლეობა როცა ხედავს, რომ საბაზრო სისტემებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მატერიალური დოვლათის შექმნის, საქონლისა და მომსახურების წარმოების საქმეში, ბევრს ცუდად ესმის როგორ ფუნქციონირებს ეს სისტემა. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ძნელია იმის გაგება, თუ როგორ ახერხებს ბაზარი რესურსების ეფექტიან განაწილებას, რაც ბადებს უიმედობის განწყობას. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას წარმოიშობა დიდი უთანაბრობა შემოსავლებში, ამასთან ეკონომიკური დაცემის პერიოდში იმ დარგებში, რომლებიც განიცდიან ტექნოლოგიური გარდაქმნების სიძნელებებს ხდება მუშების მასობრივი განთავისუფლება.

ამ ქვეყნებში დამკვიდრებულია აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში სახელ-მწიფოს ჩარევის პოლიტიკისადმი მიდრეკილება. მაგალითად, რაიმე პრობლემის წარმოქმნისას მიღებულია, რომ იგი უნდა გადაჭრას სახელმწიფომ. საქმეში წარუმატებლობისათვის პირადი პასუხისმგებლობის იდეა ან არ არის გაგებული, ან არ არის შეფასებული. მსგავსი დამოკიდებულება ნათლად ჩანს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში. კერძოდ, 1991 წლის მაისში, გაზეთ „თაიმს მირორის“ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომელმაც რუსეთში, უკრაინასა და ლიტვაში 2210 ადამიანი მოიცვა, უჩვენა, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (76%) დადებითად აფასებდა სახელმწიფო კონტროლს მრეწველობის მნიშვნელოვან ნაწილზე.

**საერთო-ეროვნული და რეგიონული არასტაბილურობით.** კომუნისტური რეჟიმის და-ცემისა და პოლიტიკური ლიბერალიზაციის დამკვიდრების შედეგად თავი იჩინა ათწლეულების და ასწლეულების მანძილზე არსებულმა ეროვნებათაშორისმა პრობლემებმა. ომბი იუგო-სლავიაში სერბებსა და ხორვატებს შორის მიგვიყვანა ათასობით ადამიანის დაღუპვამდე. საბჭოთა კავშირის ყოფილ 15 რესპუბლიკაში იყო 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური მხარე და 10 ავტონომიური ოლქი, რომლებიც დასახელებული იყო 200 ეროვნების 250 მლნ ადამიანით. ეროვნებათაშორისი ურთიერთობის დაძაბულობას აქვს დიდი ფეთქებადი პოტენციალი, რაც გამოიხატა ეროვნებათაშორისი ომით აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში, შეიარაღებული შეტაკებებით მოლდავეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში, არსებობდა ეროვნებათაშორისი კონფლიქტების წარმოქმნის საშიშროება სხვა რეგიონებშიც. ჩეხოსლოვაკიაში დაძაბულობამ ჩეხეთსა და სლოვაკეთს შორის გამოიწვია ერთიანი სახელმწიფოს დაცემა. ეროვნებათაშორის პრობლემებთან ერთად ზოგიერთ რეგიონში აღინიშნება პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც უკავშირდება ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის ურთიერთობებს.

სწრაფი ეკონომიკური გარდაქმნების („შოკური თერაპია“) მომხრეები და მოწინააღმდეგეები გვთავაზობენ განსხვავებულ არგუმენტებს.



მათი აზრით, რეფორმების სწრაფად განხორციელება დამოკიდებულია არა მარტო პოლიტიკურ სტაბილურობასა და პოლიტიკურ განვითარებაზე, არამედ ამ უკანასკნელზე გავლენას ახდენენ რეფორმის განხორციელების ტემპები. „შოკური თერაპიის“ პოზიციიდან მიდგომა ითვალისწინებს რეფორმების რეალიზაციას მანამ, სანამ ჩამოყალიბდება ძლიერი ოპოზიცია. **ეკოლუციური ან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე განხორციელებული რეფორმები** კი მოითხოვენ ფართო პოლიტიკურ მხარდაჭერას, რომელიც ხშირად მწივრად მოსაპოვებელია. როგორი წამატებულიც არ უნდა იყოს სწრაფი ეკონომიკური რეფორმები მათ თან ახლავთ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური დანაკარგები, უწინარეს ყოვლისა, უმუშევრობის მაღალი დონე, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ჯგუფების არასაკმარისი უზრუნველყოფა პროდუქტებითა და პირველადი მოხმარების საგნებით, ცხოვრების დონის დაცემა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დიდი არასტაბილურობა განსაკუთრებით მაშინ, თუ უახლოეს დროში არ არის მოსალოდნელი ვითარების გაუმჯობესება. „შოკური თერაპიის“ პოზიციიდან მიდგომას უპირატესობა აქვს იქ, სადაც ეკონომიკა ნაკლებადაა დეფორმირებული, ადამიანები კი მზად არიან რადიკალური ცვლილებების მისაღებად.

### **რეფორმის შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები**

ჩვეულებრივ სტაბილიზაციური პოლიტიკა გადაწყვეტს იმ მოკლევადიან პრობლემებს, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ ზემოქმედებას, კერძოდ, როგორცაა ინფლაცია, უმუშევრობა, სახელმწიფო ბიუჯეტის დაუბალანსებლობა, რისთვისაც გამოიყენება ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა. სტრუქტურული ადაპტაციისას საქმე შეეხება იმ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლიან გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, კერძოდ, შეინიშნება წარმოების სტიმულირების სისტემაში უწყისობა, ფასებზე, საპროცენტო განაკვეთებსა და ვალუტის კურსზე კონტროლის დაწესება, ზედმეტად დამამძიმებელი საბაჟო ტარიფებისა და ქვოტების, გადასახადებისა და სუბსიდიების შემოღება. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გარდამავალ ეკონომიკაში ზემოთ დასახელებული ქმედებები განხორციელდეს ერთდროულად. რადგან სტრუქტურული ადაპტაცია გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე. მაგალითად, საბაჟო ტარიფების მნიშვნელოვანმა შემცირებამ შეიძლება მიგვიყვანოს იმ სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვან შემცირებამდე, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებისათვის, ხოლო დიდი დეფალაცია გამოიწვევს ფულის რეალური მიწოდების შეკუმშვას უფრო მეტად, ვიდრე ეს დაგეგმილია ფულის მიწოდების მარეგულირებელი ორგანოების მიერ. ბუნებრივია დაისვას კითხვა: შეიძლება თუ არა წარმატებული იყოს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მცდელობა ეკონომიკაში, სადაც სუსტადაა განვითარებული ფინანსური ინსტიტუტები და კერძო საკუთრება? მიგვაჩნია, რომ მკაცრი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება ეფექტიანი იყოს როგორც საბაზრო, ისე გარდამავალ ეკონომიკაში. პოლონეთმა და იუგოსლავიამ 1990 წელს შეძლეს მკვეთრად შეემცირებინათ ინფლაცია ბიუჯეტის დადებითი სალდოს და ძალიან მკაცრი საკრედიტო შეზღუდვების შენარჩუნებით. მით უფრო, გარდამავალი ეკონომიკის პირველ ეტაპზე აუცილებელია განხორციელდეს ადმინისტრაციული კონტროლი იქ, სადაც არ არსებობს საბაზრო მექანიზმი. ასეთ პირობებში სტაბილიზაციური პოლიტიკა არ შეიძლება დაეყრდნოს იმ რეაქციას, რაც შეინიშნება განვითარებულ საბაზრო სისტემაში. ზრდადმა საპროცენტო განაკვეთმა შეიძლება კაპიტალდაბანდებათა შემცირება არ გამოიწვიოს, რამდენადაც სახელმწიფო საწარმოებს განსაკუთრებით არ აწუხებთ ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალ-დაბანდებათთან და ფინანსური მდგომარეობის გაუარესებასთან, რამდენადაც არ არსებობს გაკოტრების რეალური შიში. ამიტომ აუცილებელია დაწესდეს პირდაპირი კონტროლი, მაგალითად, კრედიტის ლიმიტები, სუბსიდიების შემცირება, კონტროლი ხელფასზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც სახელმწიფო საწარმოთა ხელ-მძღვანელებს ნაკლებად აქვთ სტიმულები ხელფასის შეზღუდვისათვის, ხოლო სტაბილიზაციის მცდელობა არ იქნება საკმარისად ეფექტიანი, თუ არ მოხდება რეალური ხელფასის შემცირება.

**რაციონალური ფასების როლი.** იმისათვის, რომ ეკონომიკა ეფექტიანად რეაგირებდეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკაზე, აუცილებელია რაციონალური ფასების დაწესება. არ შეიძლება დაწესდეს მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვები საწარმოთა მიმართ, თუ ფასების გაკონტროლება ხდება სახელმწიფოს მიერ და მათი დონე მნიშვნელოვნად დაბალია მდგრად დონეზე. მესაკუთრეებს და მმართველებს არ ექნებათ სტიმულები რისკის გაწვევისა და წარმოების გაფართოებისათვის, თუ ისინი ვერ შესძლებენ საბაზრო ფასების დაწესებას. რაც ცხადყოფს, რომ სტაბილიზაციის ზომებთან ერთად აუცილებელია განხორციელდეს სტრუქტურული რეფორმაც.

**საკუთრების უფლების მნიშვნელობა.** ბევრს ეჭვი ეპარება იმაში, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირველდაწყებითი მცდელობა საკუთრების უფლების სფეროში რეფორმის გარეშე წარმატებით დამთავრდეს. საბაზრო სისტემებს შეუძლიათ ფუნქციონირება საკუთრების სხვადასხვა ფორმების პირობებში, კერძოდ, სახელმწიფო, კოლექტიური და კოოპერატიული საკუთრების ჩათვლით. ბაზარზე მრავალი სახელმწიფო საწარმო კონკურენციას უწევს კერძოს, თუმცა კერძო სექტორი მათ ადანაშაულებს არასამართლიან კონკურენციაში, რამდენადაც სახელმწიფო საწარმოები მთავრობისაგან ლეზლობენ სუბსიდიებს და სხვადასხვა სპეციალურ შეღავათებს. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი დიდ როლს თამაშობს დასავლეთის ზოგიერთ მადალგანვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში. ჩინეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში სახელმწიფო და კოლექტიური საწარმოები საშინაო ბაზარზე აქტიურ კონკურენციას უწევენ კერძო სექტორს. მაგრამ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავისუფალი არჩევანის უფლებას, რომელიც წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, უკეთესად უზრუნველყოფს კერძო საკუთრება.

**სტაბილიზაციის დანახარჯები.** გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მკაცრმა ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა, შესაძლოა გამოიწვიოს წარმოებისა და დასაქმების უფრო მეტად შემცირება საბაზრო ეკონომიკასთან შედარებით, რამდენადაც გარდამავალ ეკონომიკურ სისტემაში არ ფუნქციონირებს წარმოების ფაქტორთა ეფექტიანი ბაზრები. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული გამოცდილება ადასტურებს იმას, რომ პოლონეთში, იუგოსლავიასა და უნგრეთში წარმოება 1991 წელს წინა წელთან შედარებით შესაბამისად 14%, 3% და 6,5%-ით, ხოლო აღმოსავლეთ გერმანიაში 50%-ით შემცირდა<sup>1</sup>, 1990-1991 წლების ოფიციალური მონაცემები არ ითვალისწინებენ ახალ საქმიან აქტივობას ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ფასების რეფორმის შედეგად რიგების და შავი ბაზრის შემცირება უმუშევრობის მაღალი დანახარჯების კომპენსაციას ახდენენ.

საინტერესოა რეალური ხელფასის დაცემა ახდენს თუ არა ეკონომიკაზე მასტიმულირებელ ზემოქმედებას? საბაზრო ეკონომიკაში რეალური ხელფასის დაცემა იწვევს სამომხმარებლო ფასების შემცირებას, რასაც მიყვავართ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდასთან, კომპანიების შემოსავლების გადიდებასთან და საბოლოო ანგარიშით, წარმოების, დასაქმების და ინვესტიციების გადიდებასთან. ზოგიერთ ეკონომისტს ეჭვი ეპარება იმაში, რომ ეს გარდამავალი ეკონომიკის დროსაც შეიძლება მოხდეს და იქნება თუ არა რეალური ხელფასის დაცემა შიდა ეკონომიკური გამოცოცხლების ნიშანი? შიგაეკონომიკური გაჯანსაღება არ მოხდება სათანადო სტიმულების შექმნის გარეშე. კერძოდ, ძნელია დაიწყო საქმიანობა საკმარისი ოდენობის კრედიტების უქონლობისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში. სწორედ ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია გრძელვადიანი სტრუქტურული რეფორმების განხორციელება.

**გრძელვადიანი სტრუქტურული რეფორმები.** მოკლევადიანი სტაბილიზაციური პოლიტიკის გატარებასთან ერთად აუცილებელია სტრუქტურული რეფორმების დაწყება საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და საგარეო-ეკონომიკურ სფეროებში, აგრეთვე სისტემური რეფორმები საკუთრებითი ურთიერთობის, საწარმოთა, ფასებისა და შრომის ბაზრის მართვის სფეროში. გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილიზაცია შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შექმნილია არაპირდაპირი მაკროეკონომიკური კონტროლის მექანიზმები. მაგალითად, რეფორმის დაწყების პროცესში საპროცენტო განაკვეთის გადიდება შეიძლება არ იქონიოს გავლენა ინვესტიციების შესახებ საწარმოს გადაწყვეტილებაზე, რამდენადაც კაპიტალდაბანდებებზე მზარდი დანახარჯები შემდგომ კომპენსირებული იქნება სახელმწიფო სუბსიდიებით. მოკლევადიან პერიოდში საწარმოსათვის უნდა დადგინდეს ლიმიტები საბანკო კრედიტებზე და სუბსიდიებზე მანამ, სანამ ძალაში არ შევა საბიუჯეტო შეზღუდვის მკაცრი მექანიზმი და მმართველები ვერ გააცნობიერებენ, რომ საწარმოები თუ არ იმუშავებენ ეფექტიანად, გაკოტრდებიან.

### **ფულად-საკრედიტო პოლიტიკა**

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში არ არსებობდა ღია ინფლაცია, მაგრამ იგი არსებობდა დათრგუნული ინფლაციის სახით, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი საქონლის

<sup>1</sup>The Transformation of Economies in Central and Eastern Europe: Issues, Progress, and Prospects. By the Socialist Economies Unit of the Country Economies Department of the World Bank. 1991, April. 3. P. 22. 25.

დეფიციტი და იძულებითი დანაზოგების მნიშვნელოვანი ზრდა. უმეტესწილად ეს ხდებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში და ნაკლებად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. მაღალი ინფლაცია, რომელიც გამოწვეულია სამომხმარებლო საქონელზე მაღალი მოთხოვნით, წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის პრობლემას. როცა მოთხოვნა შეზღუდული არ არის და არსებობს ჭარბი ლიკვიდობა, ჩვეულებრივ წარმოშობა ინფლაცია, რომელიც დაბლა წევს სტრუქტურული რეფორმების ეფექტიანობას. რეფორმის განხორციელების საწყის ეტაპზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ჭარბი ფულადი მასისაგან გათავისუფლება. ჭარბი ფულადი მასის შემცირების პრობლემის გადაწყვეტის მიზნით მსოფლიო ბანკი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე სთავაზობდა რამდენიმე მიდგომას<sup>2</sup>:

1. მოსახლეობისა და საწარმოების ხელთ არსებული ფინანსური აქტივების ნაწილის გაყინვას ან კონფისკაციას.
2. ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შემცირებას ფასების გადიდების გზით.
3. სახელმწიფო საწარმოთა ძირითადი კაპიტალის გაყიდვას ფასიანი ქაღალდების აქციებისა და ობლიგაციების სახით.

პირველი და მე-2 ვარიანტების მიხედვით ჭარბი ფულადი მასის პრობლემა შეიძლება იოლად გადაწყდეს (მაგალითად, ფასების ერთდროული აწევა ამცირებს ან შთანთქავს ჭარბ ფულად მასას), მაგრამ ამასთან შესაძლებელია შემცირდეს რეფორმისადმი საზოგადოების მხარდაჭერა. ფინანსური აქტივების კონფისკაცია გამოყენებული იყო ევროპის ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იგი პოლიტიკურად გამართლებული იყო, როგორც წინა მთავრობების შეცდომებით გამოწვეული აუცილებლობა. ინფლაციური მიდგომის მეორე ვარიანტი 1989-წლის ბოლოს გამოყენებული იყო პოლონეთსა და იუგოსლავიაში, ხოლო 1991-1992 წლებში რუსეთში. ზემოთ განხილული მიდგომები პრობლემატურია, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკისაკენ წარმატებული მოძრაობა მოითხოვს იმის რწმენას, რომ კერძო აქტივები ხელშეუხებელი იქნება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ამგვარ გადაწყვეტილებათა ზნეობრივი ასპექტები.

მე-3 ვარიანტის მიხედვით, სახელმწიფო საწარმოთა დეპოზიტები შეიძლება გადაიქცეს აქციებად და გადანაწილებულ იქნეს საწარმოთა მუშაკებს შორის. ამ ნაბიჯმა შეიძლება შთანთქას საწარმოთა ჭარბი ლიკვიდობა, მაგრამ მზარდი საბიუჯეტო ეფექტის გამო იგი გამოიწვევს სამომხმარებლო მოთხოვნის მატებას. შესაძლებელია ლიკვიდობის შემცირების უკეთესი ხერხი იყოს პრივატიზაცია ანუ სახელმწიფო საწარმოთა აქტივების გაყიდვა მოსახლეობაზე. რეფორმების საწყის ეტაპზე სავსებით რეალურია წვრილი საწარმოებისა და საცხოვრებელი ბინების გაყიდვა. რაც შეეხება მსხვილ სახელმწიფო საწარმოებს, ზოგიერთ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ჭარბი ფულადი მასის შთანთქმისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს მათი გაყიდვა. თუ პრივატიზაციის პროცესი ჭიანურდება, მაშინ თავიდანვე განხორციელებული ფასების ლიბერალიზაცია შეამცირებს დანაზოგების ფინანსურ ფასეულობას. სასურველია, ფინანსური აქტივების მიხედვით მიღებულ იქნეს დადებითი უკუგება. საბანკო სისტემის და სხვადასხვა საფინანსო აქტივების ბაზრების შესაქმნელად საჭიროა გარკვეული დრო, ამიტომ მნიშვნელოვანია ამაღლდეს საპროცენტო განაკვეთები მოსალოდნელი ინფლაციის ნორმის ზევით.

### **ფისკალური პოლიტიკა**

გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. ამ ამოცანის შესრულება დაკავშირებულია ბევრ სიძნელესთან, კერძოდ, იმასთან, რომ საზოგადოების სოციალური მოთხოვნები იზრდება. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ მთავარი ყურადღება დაუთმოს სახელმწიფო ხარჯების შემცირებას და საგადასახადო სისტემის გადასინჯვას. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ ქვეყნებს უმოკლეს ვადაში ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-ის 2,5-3%-მდე შემცირებასთან დაკავშირებით, რამდენადაც დეფიციტის ეს დონე ითვლება არაინფლაციურად, მსოფლიო ბანკი და სსფ სთავაზობს საგულისხმო რეკომენდაციებს.

**სახელმწიფო ხარჯები.** პირველდაწყებითმა რეფორმებმა ძალისხმევის კონცენტრაცია უნდა მოახდინონ სუბსიდიებისა და შესაძლებელი საინვესტიციო დანახარჯების შემცირებაზე.

დიდი მოცულობის სუბსიდიებზე უარის თქმა, რომელიც ყველა ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში გამოიყენებოდა არაეფექტიან საწარმოთა მხარდასაჭერად და დაბალი ფასების შესანარჩუნებლად ტრანსპორტზე, ენერჯიაზე, კვების პროდუქტებზე, წარმოადგენს მთავარ ფაქტორს სახელმწიფო ხარჯების

<sup>2</sup> The Economy of the YSSR. By the World Bank, IMF, OECO and EBRD. Decetber 1990, p.22.

შესამცირებლად. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სუბსიდიების მოცულობა უნგრეთსა და პოლონეთში მერყეობდა მშპ-ის 11%-მდე, ჩეხოსლოვაკიაში 16%-მდე, საბჭოთა კავშირში კი დაახლოებით 15%-მდე<sup>3</sup>. რამდენადაც სუბსიდიების დიდი ნაწილი გამოზნული იყო პირველადი საჭიროების ისეთი პროდუქტებისათვის, როგორცაა ხორცი, რძე, პური, სუბსიდიების შემცირება ან გაუქმება გარკვეული ზომით უნდა იყოს ნეიტრალიზებული სახელმწიფო ხარჯების ზრდით უმუშევრებისა და დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების სოციალური დაცვის სისტემის ფორმირებაზე. მაგალითად, სუბსიდიების გაუქმების დადებითი შედეგი ელექტროენერგიაზე იქნება რესურსების არაეფექტიანი ხარჯვის და მფლანგველობითი მოხმარების შემცირება. გარდა ამისა, ზოგიერთი სუბსიდიის ეფექტი, მაგალითად, ტრანსპორტზე, განსაკუთრებით სარკინიგზო ტრანსპორტზე, ხმარდებოდა მაღალი შემოსავლის მქონე სოციალურ ჯგუფებს და ასეთ შემთხვევაში მათი გაუქმება არ უნდა იყოს კომპენსირებული ხარჯებით სხვა სფეროში.

**ინვესტიციები.** გარდამავალ პერიოდში შეიძლება წარმოიშვას კაპიტალდაბანდებების ხარჯების შემცირების ტენდენცია. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან 90-იანი წლების დაწყებამდე სოციალისტურ ქვეყნებში ინვესტიციებმა ძირითად კაპიტალში მიაღწია მშპ 40%-ს. ამ სისტემის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო კაპიტალის მობილიზაციის მაღალი უნარი. ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო მსხვილმასშტაბიანი პროექტების განსახორციელებლად მძიმე მრეწველობაში, რაც დაბალეფექტიანი იყო. გარდამავალ ეკონომიკაში შეიძლება გამოვლინდეს მეორე ტენდენცია – მისწრაფება ინვესტიციების ზომაზე მეტად შემცირებისაკენ. მაგრამ ისინი აუცილებელია არსებული ინფრასტრუქტურის კერძოდ, გზების, კომუნიკაციების მშენებლობისათვის, ტრანსპორტის განვითარებისათვის, რომელიც ცუდ მდგომარეობაშია. დროთა განმავლობაში, როცა განხორციელდება პრივატიზაცია და ჩამოყალიბდება ფინანსური ინსტიტუტები, სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები თავმოყრილ უნდა იქნეს ინფრასტრუქტურის სფეროში.

**სახელმწიფო შემოსავლები.** რამდენადაც მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლების მეტი წილი სახელმწიფო საწარმოებიდან შემოდის, საწარმოთა სტრუქტურული რეფორმა, რომელიც მიმართულია მათი ფინანსური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და არამომგებიანი წარმოების აღმოფხვრისაკენ, სერიოზულ გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე. შემოსავლები პრივატიზაციიდან შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ, სამწუხაროდ არა რეფორმის პირველ წლებში — საცხოვრებელი ბინების პრივატიზაციის გარდა. რამდენადაც ბინის გადასახადი ხშირად არ აღემატება მისი შენახვის ხარჯებს, მისი გაყიდვა დაბალ ფასებში ან უფასოდ გადაცემაც კი სასიკეთო გავლენას იქონიებს ბიუჯეტზე. საგარეო ვაჭრობაში რაოდენობრივ შეზღუდვათა შეცვლა საბაჟო ტარიფებით მიგვიყვანს სახელმწიფო შემოსავლების გადიდებამდე და ერთდროულად იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი რაციონალური მსოფლიო ფასების დასადგენად.

მრავალ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში საგადასახადო ბაზა იყო ვიწრო და ძირითადად დამოკიდებული ბრუნვიდან გადასახადზე, ხელფასიდან გადასახადზე, სახელმწიფო საწარმოთა გადასახადზე (ჩვეულებრივ მას უწოდებდნენ მოგებაზე გადასახადს) და საბაჟო მოსაკრებლებზე (ექსპორტისა და იმპორტის ტარიფები). ბრუნვიდან გადასახადით იბეგრებოდა ძირითადად საბოლოო მოხმარების საქონელი. ხელფასზე გადასახადი ჩვეულებრივ შეადგენდა სახელმწიფო შემოსავლების უმნიშვნელო ნაწილს. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დამატებული ღირებულების გადასახადი იქცა ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროდ, საშემოსავლო გადასახადი კი ბიუჯეტის შემოსავლების მეორე მნიშვნელოვანი წყაროა, მას შემდეგ, რაც ხელფასი არ განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ. საერთოდ, გარდამავალ ეკონომიკას სჭირდება ყოვლისმომცველი საგადასახადო რეფორმა.

### სოციალური დაცვის სისტემა

იმის მიხედვით, თუ როგორ შედის მოქმედებაში სტაბილიზაციური პოლიტიკა აუცილებელია სწრაფად შეიქმნას სოციალური დაცვის სისტემა საზოგადოების იმ ნაწილის ცხოვრების დონის მხარდასაჭერად, ვინც დაზარალდა რეფორმისგან. ამ სისტემამ უნდა დაიცვას დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის ფენები ფასების ზრდის ზემოქმედებისაგან. ისინი, ვინც კარგავენ სამუშაოს უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ დაზღვევით უმუშევრობისათვის, გაჭირვებულებს უნდა მიეცეთ სოციალური დახმარება. მნიშვნელოვანია, რომ დახმარება მიუახლოვდეს მინიმალურ ხელფასს. სხვანაირად სტიმული არ შეიქმნება სამუშაოზე დაბრუნებისათვის, როცა შეიქმნება ახალი შესაძლებლობები ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით.

<sup>3</sup> The Transformation of Economies in Central and Eastern Europe: Issues, Progress and Prospects. Aonex 5. p.3.

პოლონეთში შემოდებული იქნა უმუშევრობაზე ხანმოკლე დახმარებების სისტემა, მნიშვნელოვანი სოციალური დახმარებები სიღარიბის ზღვარზე მყოფთათვის, რომლის მიღება შეიძლებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ეს სისტემა ეფექტიანად მოქმედებდა და არ ქმნიდა უარყოფით სტიმულებს სამუშაოს საპოვნელად. სოციალური დაცვის სისტემა უნდა მოიცავდეს, ასევე პენსიებს მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, დაზღვევას ავადმყოფობისა და ინვალიდობისათვის, სტრუქტურულ უმუშევართა შემადგენლობაში მოხვედრილთა გადამზადების სამსახურის შექმნას. მთავრობამ თავისი საქმიანობა უნდა წარმართოს სოციალური დაცვის სტაბილური სისტემის შესაქმნელად. გარდაქმნის საწყის ეტაპზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მთავრობებმა მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ სამუშაო ძალის ბაზარის ფორმირებას. ამასთან გაითვალისწინონ, რომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში უმუშევართა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, სამუშაო ადგილების მოძიების სისტემა არ იყო განვითარებული.

პოლონეთში თავდაპირველად სოციალური დაცვის სისტემა იყო ძალიან უხვი. კერძოდ, ვინც კარგავდა სამუშაოს, მაშინვე ღებულობდა ხელფასის 70%-ს, და ექვსი თვის მანძილზე ხელფასის 50%-ს, ექვსი თვის დამთავრების შემდეგ კი 40%-ს. მათ, ვისაც არასდროს უმუშავიათ ღებულობდნენ მინიმალურ ხელფასს. სკოლადამთავრებული უმუშევრები კი ღებულობდნენ ორმაგ მინიმალურ ხელფასს. აღმოჩნდა, რომ 1,2 მლნ ადამიანიდან, რომლებიც ღებულობდნენ დახმარებას უმუშევრობისათვის მხოლოდ 14%-მა დაკარგა სამუშაო საწარმოთა დახურვის გამო, მათგან 40%-ზე მეტი იყვნენ ყოფილი სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები, რომელთა უმეტესობა არაოფიციალურად მუშაობდა არაფორმალურ სექტორში, ძირითადად კერძო მაღაზიებსა და ჯიხურებში<sup>4</sup>. ასევე უხვი იყო სოციალური პროგრამები უნგრეთში და ჩეხოსლოვაკიაში, სადაც უმუშევრობისათვის დახმარება უფრო მაღალი იყო ვიდრე მინიმალური ხელფასი. სამუშაოს ძიებისთვის სტიმულების უქონლობისას მეტად ძნელია დაარწმუნო ადამიანები დაუბრუნდნენ სამუშაოს.

### **ხელფასის რეგულირება და შემოსავლების პოლიტიკა**

შემოსავლების პოლიტიკა – ეს სამთავრობო პოლიტიკაა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ხელფასზე და საქონლის ფასებზე. ჩვეულებრივ იგი მოიცავს ხელფასზე და ფასებზე კონტროლის ზომებს, ამასთან ძირითადად ორიენტირებულია მათ რეგულირებაზე. რეგულირების ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს დამოკიდებულების დადგენა ხელფასის მატებასა და შრომის- ნაყოფიერების ზრდას შორის. გარდამავალ ეკონომიკაში ხელფასის რეგულირების მოქმედ პრინციპს წარმოადგენს ხელფასის ზრდის დამოკიდებულება ფასების ზრდისადმი. ვთქვათ, ფასების ლიბერალიზაციის უარყოფითი ეფექტის შემცირების მიზნით ფასების მატებისას ხელფასის მატების შეზღუდვა 75%-მდე. ხელფასისა და ფასების რეგულირების პოლიტიკა მიზნად ისახავს ინფლაციის კონტროლსაც.

საბაზრო სისტემაზე გადასვლისას ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა ხელფასის დადგენა. მსხვილ სახელმწიფო საწარმოებში ხელფასი არ წესდება ბაზრის მიერ, რამდენადაც იგი ჯერ კიდევ არ არის ორგანიზებული და ასეთ ბაზარზე ფასების სიგნალებმა შეიძლება გამოიწვიოს ცდომილება და დეზორიენტაცია. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ხელფასმა რეაგირება უნდა მოახდინოს ინფლაციაზე. რამდენიმე წლის განმავლობაში საჭირო ხდება ხელფასის რეგულირების ამ პრინციპის დაცვა სახელმწიფო სექტორში და იმის მიხედვით თუ როგორ განხორციელდება სახელმწიფო საწარმოების სტრუქტურული გარდაქმნა და პრივატიზაცია, უნდა შემსუბუქდეს რეგულირება და ხელფასის განსაზღვრის ფუნქცია გადაეცეს ბაზარს. რეფორმის ადრეულ ეტაპზე ხელფასის პოლიტიკა ითვალისწინებს ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებს. მან უნდა უზრუნველყოს ხელფასის დიფერენციაციის ზრდა, ინტენსიური შრომის სტიმულირება, განსაზღვროს მხოლოდ მინიმალური ხელფასი, რომელიც უნდა იყოს დაწესებული სიღარიბის დონეზე მაღლა, ამასთან, უნდა შეზღუდოს რეალური ხელფასის მატება შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დამოკიდებულებით, რათა არ დაუშვას უმუშევრობის ზრდა.

შემოსავლების პოლიტიკა ნაწილობრივ შეიძლება დაფინანსდეს იმ საწარმოთა მაღალი გადასახადების დაწესების ხარჯზე, რომლებსაც აქვთ ხელფასის მატება დადგენილი ზღვარის ზემოთ, მოქმედებენ ლიბერალური საბიუჯეტო შეზღუდვების პირობებში ან არიან მონოპოლისტები. მაგრამ, შეიძლება მოხდეს ისე, რომ ეს გადასახადი ვერ შეძლებს შეაჩეროს ხელფასისა და სპირალის. შეიძლება საჭირო გახდეს არა მარტო ხელფასის ნამატზე გადასახადის დაწესება, არამედ ამ მატების ზღვარის დადგენაც.

**ინსტიტუციონალურ გარდაქმნათა მნიშვნელობა.** საკუთრების რეფორმა აუცილებელია ფასების რეფორმის წარმატებისათვის, რამდენადაც კერძო საკუთრება ამცირებს პოლიტიკურ ჩარევას საწარმოს

<sup>4</sup> Eastern Europe: Better Sozj Than Safe (Economist, Mai 1992, 4-th issue, P. 51-52).

მართვაში და ქმნის ალტერნატიულ შესაძლებლობას პიროვნებისათვის. უნდა შეიქმნას ნორმალური სამართლებრივი გარემო, რომელიც დაიცავს მესაკუთრეთა უფლებებს და დაარეგულირებს კომერციულ ურთიერთობებს, რაც აუცილებელია ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. საჭიროა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ეფექტიანი სისტემის შექმნა ინფორმაციის ადეკვატური ანალიზისათვის. გარდა ამისა საჭიროა განხორციელდეს ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, რომ შესაძლებელი იყოს სამართ-ლებრივი და მმართველობითი რეფორმების რეალიზება. დასავლეთის ქვეყნებში ამგვარი საბაზრო ინსტიტუტები, სისტემები, გამოცდილება და შესაძლებლობები ჩამოყალიბდა დაგროვდა და განვითარდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამიტომ მათი გონივრული გამოყენება რეფორმების განხორციელებისას სასარგებლოა.

### **გარდამავალი ეკონომიკის მახასიათებლები და მათი გამოვლინება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში**

გარდამავალი ხანა ასახავს ეკონომიკური სისტემის მდგომარეობას. გარდამავალ ეპოქაში მოქმედ ტენდენციებს შორის აღსანიშნავია:

- **ეკონომიკური პროცესების შეგნებული რეგულირების ტენდენცია, რომელიც უნდა**

**განახორციელოს სახელმწიფომ ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით;**

- ეკონომიკის განვითარების ახალი ტექნიკურ-ტექნოლოგიური საფუძვლების შექმნა, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდის ახალი წყაროები და ეკონომიკის თანამედროვე სტრუქტურის ფორმირება;

- საბაზრო ურთიერთობების როგორც რესურსების ეფექტიანი განაწილების სისტემის დამკვიდრება-განვითარების აუცილებლობის დასაბუთება;

- მისწრაფება ღია ეკონომიკისაკენ, რომელიც ეროვნული მაკროსისტემის ეფექტიანობის ზრდის ამოცანებიდან გამომდინარე განსაზღვრავს ეკონომიკის გახსნილობის საზღვრებსა და ფორმებს;

- ტენდენცია სოციალურად მდგრადი საზოგადოების ფორმირებისაკენ.

ეკონომიკური რეფორმის პროგრამის შემუშავებისას მთავრობამ პირველ რიგში ყურადღება უნდა დაუთმოს ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებას, საზოგადოების თავმოყვარეობა შელახულ ფენებს მისცეს დაცვის გარანტიები ფასების ზრდის, მკაცრი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარების პროცესში, უმუშევრობის ზრდის საკომპენსაციოდ.

როგორი უნდა იყოს სოციალური დაცვის სისტემა? შემოსავლის რა ნაწილი უნდა მიეცეთ ღარიბებს და უმუშევრებს თუ მაგალითად, ფასები ორჯერ და სამჯერ გაიზარდა? გამოკვლევები ადასტურებს, რომ თუ სოციალური გადახდების ოდენობა ძალიან დიდია, სამუშაოზე დაბრუნების სტიმულები კლებულობს. არსებობს ძლიერი ურთიერთდამოკიდებულება უმუშევრობისათვის დახმარების ოდენობასა და უმუშევრობის ხანგრძლივობას შორის. მთლიანობაში საზოგადოება მოიგებს, თუ მეტი ადამიანი იქნება ჩართული სიმდიდრის შექმნის პროცესში. ამიტომ კეთილგონიერი პოლიტიკა უმუშევრობისათვის არც თუ დიდ დახმარებას, რომელიც ფარავს ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარჯებს, შეახამებს გადამზადებაზე ხარჯებთან, იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს ახალი პროფესიის ათვისება, რომლითაც შეეძლება სამუშაოს პოვნა. დასაქმების შედურ პროგრამას, რომელიც ატარებს ზემოთ აღნიშნულ თვისებას შესაშურად სამართლიანი და ეფექტიანი რეპუტაცია აქვს.

ერთ-ერთი მეტად მგრძობიარე ზნეობრივი პრობლემა დაკავშირებულია ფასებთან, საჭიროა აღმოიფხვრას ან საგრძობლად შემცირდეს ჭარბი ფულადი მასა, რამდენადაც იგი ფლობს ინფლაციურ პოტენციალს. ჭარბი ლიკვიდობის აღმოფხვრისათვის მსოფლიო ბანკი სთავაზობს ფინანსური აქტივების კონფისკაციას, მათი რეალური ღირებულების შემცირებას ფასების გაზრდის გზით. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობამ აირჩია მეორე გზა. გარკვეული ზომით ეს გაკეთდა იმიტომ, რომ ფასების რეფორმა აუცილებელია სხვა რეფორმების რეალიზაციისათვის, მით უფრო, რომ ფასების ნახტომით მიყენებული ზიანი დიდია.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მრავალმა ადამიანმა ფაქტობრივად დაკარგა წლების მანძილზე დაგროვილი დანაზოგები, ამიტომ ადვილია იმის გაგება-მოქალაქეები რატომ არიან წინააღმდეგი ახალი ეკონომიკური სისტემისა, რომელიც ასე უსამართლოდ გამოიყურება. მთავრობამ აუცილებელია შეიმუშაოს ამ დანაკარგების კომპენსაციის სისტემა.

## **თემა 2. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა როგორც გარდამავალი ხანის ეკონომიკის ფენომენი**

### **მაკროეკონომიკური არასტაბილურობა – გარდამავალი ხანის ეკონომიკის კანონზომიერი მოვლენა**

გარდამავალ პერიოდში ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის მთავარი თავისებურება – მისი გლობალური დაუბალანსებლობაა. სწორედ ეს განსაზღვრავს მაკროეკონომიკურ პრობლემას, რომელიც უნდა გადაწყდეს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიურ საფუძველზე და სტრუქტურულ-ინვესტიციურ გარდაქმნათა განხორციელებით. მისი გადაუდებელი გადაწყვეტით არის განსაზღვრული იმ ამოცანების სპეციფიკა, რომლებიც დგანან მაკრო დონეზე ფორმირებადი საბაზრო ეკონომიკის ყველა სუბიექტის და, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების წინაშე.

მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რომელსაც გამოვლენის მრავალი ფორმა აქვს, არის წარსულში და რეფორმების პერიოდში მოქმედი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ფაქტორების უცნაური გადახლართვის შედეგი.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სასტარტო პირობები ქვეყნის შიგნით შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. განსხვავება შეიძლება იყოს მაკროეკონომიკური დაუბალანსებლობის ხარისხში. ეს დაუბალანსებლობა შეიძლება გამოიხატოს საბიუჯეტო და საგარეო ვაჭრობის დეფიციტის, ფულის ჭარბი მასის, საგარეო ვალის ტვირთის, შეზღუდული სავალუტო რეზერვების, საბანკო სისტემაში მნიშვნელოვანი დანაკარგების და სახელმწიფო საწარმოებში ზარალის არსებობაში.

### **მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მიზეზები გარდამავალი ხანის ეკონომიკაში**

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმების თანმიმდევრული შემუშავების მიმართ მრავალი მიდგომა არსებობს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის არსებით წინაპირობას და ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს რეფორმის პროცესში წარმოადგენს ფასების რეფორმა. თითოეულ ქვეყანას აქვს დიდი არჩევანი რეფორმების გატარების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი ფაქტობრივი განვითარება დამოკიდებულია უფრო მეტად ქვეყნის შიგნით სასტარტო პირობებზე, საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის ხარისხზე, პოლიტიკურ სტაბილურობასა და პოლიტიკურ მხარდაჭერაზე.

გარდამავალი ხანის საწყის სტადიაზე აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს მკაცრი საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რათა შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი, შთაინთქას ჭარბი ლიკვიდობა და შეიზღუდოს საკრედიტო ექსპანსია.

ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც არსებობს მნიშვნელოვანი საფასო გადახრები და ფასებზე სუბსიდიები მშპ-ის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, მაკროეკონომიკური წონასწორობის მისაღწევად აუცილებელია ადრეულ ეტაპზე შემოღებულ იქნეს უფრო რეალური ფასები. მრავალი სპეციალისტი იზიარებს იმ აზრს, რომ ერთდროულად უნდა იქნეს გატარებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა და ფასების რეფორმა.

ამასთან აუცილებელია გატარდეს შემოსავლების პოლიტიკა, რათა შეიზღუდოს ხელფასების ზრდა ფასების ზრდის საპასუხოდ. იმის მიხედვით თუ რამდენად იქნება ეფექტიანი სტაბილიზაციური პოლიტიკა ქვეყანაში წარმოიქმნება აუცილებლობა შეიქმნას სოციალური დაცვის სისტემა, რათა დავიცვათ იმ ადამიანების ცხოვრების დონე, ვისზედაც არასასურველ გავლენას მოახდენს ეკონომიკური რეფორმა. რეფორმის ყველაზე მტკივნეულ შედეგად აღიქმება უმუშევრობა. სოციალური დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს დაბალ-შემოსავლიანი მოსახლეობის დაცვა ფასების ზრდის გავლენისაგან.

მოკლევადიანი სტაბილიზაციური პოლიტიკის გატარების შემდეგ ქვეყანამ უნდა დაიწყოს სტრუქტურული რეფორმები საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და საგარეო ვაჭრობის, აგრეთვე ინსტიტუციური რეფორმები საკუთრებითი ურთიერთობების, საწარმოთა მართვის, შრომის ბაზრის სფეროებში. დიდი მნიშვნელობა აქვს სწრაფად შეიქმნას ავტონომიური საბანკო სისტემა. შემდეგ საჭიროა შეიქმნას სხვა ფინანსური დაწესებულებები და ინსტიტუტები, მაგალითად, საფონდო ბირჟა. სტაბილიზაცია საბოლოო ანგარიშში შეიძლება იყოს გარანტირებული მხოლოდ მაშინ, როცა ამოქმედდება არაპირდაპირი მაკროეკონომიკური რეგულირების ქმედითი მექანიზმი. უახლოეს დროში უნდა დადგინდეს სუბსიდიებისა და კრედიტების ზღვრული სიდიდეები. ეს აუცილებელია მანამ, სანამ ეფექტიანი არ გახდება მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვები და საწარმოს ხელმძღვანელები არ შეიგნებენ,

რომ თუ ისინი გააგრძელებენ უუნაროდ მოქმედებას მათ მოუხდებათ სამეწარმეო საქმიანობის შეწყვეტა. ავტონომიური საბანკო სისტემა შეამსუბუქებს არაპირდაპირ მაკროეკონომიკურ რეგულირებას.

ავტონომიური საბანკო სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინსტიტუციური რეფორმები, კერძოდ, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის და აქტივების ზუსტი შეფასების მეთოდების სრულყოფა, საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნა და ფასების რეფორმა. საგარეო ბაზარზე ფირმების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. აუცილებელია საგარეო სფეროში კვოტების გაუქმება და შემდგომ ტარიფების თანდათანობითი შემცირება.

ეკონომიკური რეფორმების საწყისი სტადია ჩვეულებრივ ხასიათდება მკაცრი ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკით და ფასების ლიბერალიზაციით. ფასების ამალღების გამო, ბუნებრივია, იზრდება მოთხოვნა ხელფასების ზრდაზე. თუ ხელფასი გაიზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ფასები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, რეფორმები ვერ განხორციელდება და აღმავლობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი. შემოსავლების პოლიტიკის ამოცანაა რეფორმის პირველ წლებში გარკვეული ნორმების დადგენა, რომელსაც დაიცავენ საწარმოები და დაწესებულებები, რათა ხელფასი იყოს ინდექსირებული ფასების ზრდის შესაბამისად.

### **ფასების ლიბერალიზაცია და ინფლაცია**

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების ძირითადი პირობაა ფასებისა და ვაჭრობის კომპლექსური ლიბერალიზაცია, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებს შორის ურთიერთმომგებიანი ვაჭრობის თავისუფლება. ეს სასიკეთო ზემოქმედებას მოახდენს ეკონომიკაზე, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პირველი შედეგები შეიძლება იყოს დამანგრეველი. ეს დაკავშირებულია ძირითადად იმასთან, რომ ცენტრალიზებული დაგეგმვის შეცვლა იწვევს სტიმულირების სისტემის ნგრევას. მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის შექმნისათვის, რომელიც იმუშავებს ბაზრის პირობებში, საჭირო იქნება დრო ეკონომიკურ სუბიექტთა მიერ ქცევის ახალი ფორმების ათვისებისათვის და ახალი ინსტიტუციონალური სტრუქტურების შესაქმნელად. შუალედურ პერიოდში გასატარებელი რეფორმების სიახლეთა დაპირისპირებამ ძველი სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებულ სტრუქტურებთან შეიძლება გამოიწვიოს სავალალო შედეგები.

საბაზრო ეკონომიკაში ფასები წყვეტენ ძირითად ეკონომიკურ ამოცანებს. ისინი განსაზღვრავენ თუ რა ვაჭარმოთ, რა სახის რესურსები და ტექნოლოგიები გამოვიყენოთ. საბაზრო ფასები ერთმანეთს უფარდებენ რესურსების იშვიათობას, ღირებულებას, მომხმარებლებისა და წარმოების ფაქტორთა მესაკუთრეების გადაწყვეტილებებს. კონკურენცია მომხმარებლებს, რესურსების მესაკუთრეებს და მწარმოებლებს შორის უზრუნველყოფს კოორდინაციის და რესურსების განთავსების მექანიზმის ეფექტიანობას. ეკონომიკური ორგანიზაციის ასეთი სისტემა კონკურენციის პირობებში ქვეყნების უმეტესობაში ხასიათდება წარმოების საშუალებებზე და განაწილებაზე კერძო საკუთრებით მეტი მოგების მიღების მიზნით.

ფასწარმოქმნის პრობლემა მთავარია ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის. თავდაპირველად საბაზრო ფასების მოქმედება სასურველია შავი ბაზრისა და საქონლის ჩაწოლის აღმოფხვრისათვის, საქონლის თავისუფლად მოძრაობაზე შეზღუდვების მოხსნისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში ფასების კონტროლზე უარის თქმა უნდა მოხდეს რეფორმის დასაწყისში. მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილების საპასუხოდ ფასები თავისუფლად უნდა იცვლებოდეს. საბაზრო ფასები მნიშვნელოვანი ელემენტია სასაქონლო დეფიციტის აღმოფხვრის, საქონლის, მომსახურების და წარმოების ფაქტორების ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის. საბაზრო ფასების დასადგენად (დასაწესებლად) აუცილებელია შეზღუდული სახელმწიფო რეგულირება და კონკურენციული გარემოს ფორმირება.

ამასთან პრივატიზაციის წარმატებებიც დამოკიდებულია საბაზრო ფასებზე. თუ სახელმწიფო აკონტროლებს ფასებს, განსაკუთრებით, თუ ის აწესებს დაბალ ფასებს მმართველი (მესაკუთრე) არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი საწარმოს მომგებიანობაზე. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია განისაზღვროს წარმოების ნამდვილი ეფექტიანობა, აგრეთვე არსებობს თუ არა დარგში მოგების მიღების შესაძლებლობები. თუ მეპატრონემ უნდა მიიღოს თავისი საწარმოსაგან მაქსიმალური სარგებლობა მზადაა ბევრი იმუშაოს, დანერგოს სიახლე, წავიდეს რისკზე. ამისთვის მას უნდა ჰქონდეს სტიმულები, და ფასებზე ზეგავლენის შესაძლებლობა.



დეფიციტი, რიგები და შავი ბაზარი არის იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა ფასებს აწესებს საბაზრო ფასებთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე. ამ შემთხვევაში მოთხოვნა პროდუქციაზე იზრდება მიწოდებასთან შედარებით და მწარმოებელი ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნას. სხვა სიტყვებით, წარმოიქმნება დეფიციტი. მსგავსი მდგომარეობა იყო ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში, განსაკუთრებით პირველადი მოთხოვნილების პროდუქტების, კერძოდ, კვების პროდუქტების ფასებთან მიმართებაში.

საქონლის დეფიციტი ვლინდება დაბალი სახელმწიფო ფასების პირობებში, რის შედეგადაც წარმოიშობა საბაზრო უწონასწორობა. იმისათვის, რომ ეფექტიანად განაწილდეს საქონლის შეზღუდული მიწოდება და შემცირდეს მოთხოვნა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნორმირების გარკვეული ფორმები. ნორმირების მეთოდებს მიეკუთვნება რიგები ანუ „პირველი მოვიდა, პირველს ემსახურებიან“. დეფიციტის პირობებში ნორმირების ეს მეთოდი უფრო გავრცელებული იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და რუსეთში. ნორმირების სხვა ხერხებია – საბარათო სისტემა, ნაცნობობა, ადამიანის მოწონება არ მოწონება და ა.შ.

ხშირად, როცა ნორმირება არ ამცირებს მოთხოვნას, ვითარდება შავი ბაზარი (ესაა ბაზარი, სადაც საქონლის შესყიდვა და გაყიდვა ხდება უკანონოდ, გასაყიდი ფასები მაღალია კანონით დაწესებულზე). როგორც წესი, დანახარჯებისა და გარიგების მონაწილეთათვის მაღალი რისკის გამო, შავ ბაზარზე ფასი გაწონასწორებულ საბაზრო ფასზე მაღალია.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მაღაზიებში სამომხმარებლო საქონელზე დიდი დეფიციტი იყო. პროდუქტების ნორმირება ხორციელდებოდა გრძელი რიგების, ნაცნობობისა და ქრთამის მეშვეობით. პროვინციებში ბევრი საქონელი საერთოდ არ იყო. აქტიურად მოქმედებდა შავი ბაზარი, რომლის ჩახშობა მთარგობამ ვერ შეძლო.

მსხვილი სუბსიდიები და მფლანგველური მოხმარება ტიპურია გარდამავალი ეკონომიკისათვის. ცენტრალური მთავრობა აწესებს ფასებს, რომელიც ბევრად დაბალია საბაზრო წონასწორულ ფასებთან შედარებით. ამასთან გამოყოფს სუბსიდიებს იმ საქონლის წარმოებისათვის, რომელზედაც არსებობს მოთხოვნა. მთავრობა ჩვეულებრივ გამოყოფდა სუბსიდიებს ენერგოწარმოების, ტრანსპორტის, საცხოვრებელი ბინების, კვების ძირითადი პროდუქტების და აუცილებელი მოთხოვნილების სხვა საგნებისათვის. ბევრი სამომხმარებლო საქონლის საცალო ფასები წარმოების დანახარჯებზე ბევრად მაღალი იყო. ეს ფასები ახდენდნენ სახელმწიფო ხარჯების კომპენსაციას სუბსიდიებზე, რომლებიც მიდიოდა ძირითადი სამომხმარებლო საქონლის წარმოებაზე. მეტ დანახარჯებთან და ბიუჯეტის დიდ დეფიციტთან ერთად დაბალ ფასებს მივყავართ რესურსების გაფლანგვამდე და მფლანგველურ მოხმარებამდე. ძალიან ხშირად სახელმწიფო საწარმოებისადმი გაწონასწორებული საბაზრო ფასების დონესთან შედარებით უფრო დაბალი ფასების დადგენის შედეგს წარმოადგენს მსხვილი სუბსიდიები და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის სტიმულების არარსებობა. აღინიშნება მინიმალური დანახარჯების გაწევა, რომელშიც არ შედის ადეკვატური დანახარჯები მოწყობილობის ექსპლუატაციასა და შეცვლაზე, ინოვაციებზე. არ არის სტიმულები წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ხდება მფლანგველობა, რაც ხდება იმიტომ, რომ მომხმარებელი ხშირად იხდის საქონლის რეალურ ღირებულებაზე ბევრად ნაკლებს.

ამ პრობლემის საილუსტრაციოდ გამოდგება რუსეთის ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის მაგალითი, სადაც გასული საუკუნის 80-იან წლებში მკვეთრად შემცირდა შრომისნაყოფიერება. ეს მოხდა მოწყობილობის ექსპლუატაციასა და რემონტზე არასაკმარისი დანახარჯების შედეგად, მოწყობილობის თანამედროვე დონეზე განახლებისათვის სტიმულების უქონლობის გამო. საცხოვრებელი ბინები გარდამავალ ეკონომიკაში მეორე მაგალითია იმისა, თუ დაბალ ფასებს როგორ მიყვავართ მსხვილი სუბსიდიების წარმოქმნამდე და საცხოვრებელი ფონდის ცუდ შენახვამდე. აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში ბინის გადასახადი უფრო დაბალი იყო, ვიდრე მისი ექსპლუატაციის ხარჯები.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ფასების რეფორმამ შეიძლება მოკლე დროში მიგვიყვანოს მაღაზიის თაროებზე საქონლის გაზრდასთან. ფასების გათავისუფლებიდან რამდენიმე თვეში გაქრა რიგები მაღაზიებში, გამოჩნდა საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობა, გაფართოვდა მათი ასორტიმენტი. ფასების მნიშვნელოვანი ნაწილის გათავისუფლების შედეგად პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ასევე გაქრა რიგები.

ფასების რეფორმების შედეგები უმნიშვნელო იქნება თუ ბაზრები არ იქნებიან კონკურენტულნი. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მწარმოებლების ან მიმწოდებლების შეზღუდული რიცხვის გამო მრავალი ბაზარი არ იყო კონკურენტული. ამიტომ აუცილებელია ეროვნული მეურნეობის დარგების დემონოპოლიზაცია. ამ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ დაწვრილურთეულების მეთოდს. კონკურენცია შეიძლება გაძლიერდეს საგარეოვაჭრობის მეშვეობით საერთაშორისო კონკურენციისათვის

ბაზრის გახსნით. რაციონალური ფასების დაწესება საქონელსა და მომსახურებაზე მიიღწევა მსოფლიო ფასებთან მიახლოებით, რომელთა ამოქმედება ეკონომიკაში თანდათან შესაძლებელია საგარეო ვაჭრობის განვითარების გზით. რეფორმის პირველ ეტაპზე, ეროვნულ ეკონომიკაზე ნეგატიური ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით, ზოგიერთი ქვეყანა მნიშვნელოვნად ამცირებს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს და აუქმებს საბაჟო ბარიერებს.

### **სახელმწიფო ფინანსების არამდგრადობა და დეფიციტურობა**

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის სტადიაზე იმისათვის, რომ შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი, შთანთქმულ იქნეს ჭარბი ლიკვიდობა და შეიზღუდოს საკრედიტო ექსპანსია, აუცილებელია მოქნილი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. ბიუჯეტის დეფიციტი შეიძლება შემცირდეს იმ დონემდე, რომ შენარჩუნებულ იქნეს ფულის მიწოდება ინფლაციური ემისიის გარეშე (ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის მიმართ 2-3% ოდენობით პრაქტიკულად არ მოითხოვს დაფინანსებას ფულის ემისიის ხარჯზე და ფულის მიწოდება შესაძლებელია იყოს არაინფლაციური). ზოგიერთ ქვეყანაში, იქ, სადაც ადგილი აქვს ფასების არსებით დამახინჯებებს და სადაც ფასების სახელმწიფო სუბსიდირება შედაგენს მეპ-ის მნიშვნელოვან ნაწილს, მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევისათვის აუცილებელია რეფორმის ადრეულ ეტაპზე შემოღებულ იქნეს უფრო რეალური ფასები. საბაზრო ფასების პირობებში მცირდება სახელმწიფო სუბსიდიები და ხორციელდება რესურსების ეფექტიანი განთავსება. ფასების მატება მათი დერეგულირების შედეგად, აგრეთვე მოსახლეობისათვის საწარმოთა აქტივების მიყიდვა ხელს უწყობს ჭარბი ფულადი მასის შემცირებას და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის პირობების ჩამოყალიბებას. საწყის ეტაპზე, მკაცრი კონტროლი ფულად-საკრედიტო ექსპანსიაზე ზღუდავს ინფლაციას, პერსპექტივაში კი, იწვევს ფასების ზრდის შემცირებას მისაღებ დონემდე.

თავდაპირველად ასევე აუცილებელია შემოსავლების პოლიტიკის გატარება საწარმოების მიმართ იმ მიზნით, რომ შეიზღუდოს ხელფასის რეჟიცია ფასების ზრდაზე. ეს აუცილებელია, რადგან არ არსებობს საწარმოთა საქმიანობისა და კონკურენციის, მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვა<sup>5</sup>, რომელიც შეძლებდა ხელფასის ზრდის შეზღუდვას. რაც შეეხება საგარეო ეკონომიკურ სექტორს, სიცოცხლისუნარიანი საგადასახდელო ბალანსის მიღწევამ რეფორმის დასაწყისში, შესაძლებელია მოითხოვოს დევალვაცია და ეროვნული ვალუტის რეალური გასაცვლელი კურსის დადგენა, აგრეთვე საგარეო ვალის მოხერხებული მართვა. სამთავრობო ხარჯების შემცირება ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით და ფულის მიწოდების შეზღუდვა იწვევს უმუშევრობას, ამიტომ აუცილებელია შეიქმნას სოციალური დაცვის სისტემა მათი ცხოვრების დონის მხარდასაჭერად, ვინც მეტად დაზარალდა ტრანსფორმაციის შედეგად. მეტად რთულია ყველა ამ ამოცანის ეფექტიანი გადაწყვეტა, განსაკუთრებით, თუ მას გადაწყვეტენ ის ადამიანები, რომლებიც შეჩვეულნი იყვნენ მოქმედებას ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის პირობებში.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი ადასტურებს იმას, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების წინაშე მდგარი ამოცანები და პრობლემები ჭეშმარიტად უნიკალურია.

### **ეროვნული ვალუტის კონვენტირებადობისა და გაცვლითი კურსის რეჟიმის შერჩევის პრობლემები**

შიდა მოთხოვნის შეზღუდვისათვის მიზანშეწონილია განხორციელდეს ეროვნული ვალუტის კურსის შეცვლა. უფრო რეალური დევალვირებული კურსის შემოღებას მივყავართ იმპორტულ საქონელზე მოთხოვნის შემცირებამდე და საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის

<sup>5</sup> „მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვა“ ნიშნავს იმას, რომ საწარმოს მესაკუთრეები და მმართველები პასუხს აგებენ ფირმის ფინანსურ მდგომარეობაზე: ეს ითვალისწინებს, რომ მმართველი დაკარგავს სამუშაოს ან ფირმა გაკოტრდება თუ მას არ ექნება მოგება. ფინანსურ პასუხისმგებლობას ბუნებრივია, თან ახლავს ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობა, რომელიც საშუალებას აძლევს მმართველს დაადგინოს ფასები წარმოებულ პროდუქციაზე, ხელფასი, დასაქმების დონე და სხვ., საბაზრო სოციალურ დაყრდნობით. „ლიბერალური საბიუჯეტო შეზღუდვა“ ხდება მაშინ, როცა ფირმის დანაკარგების კომპენსაცია ხდება გადახდებით რომელიმე სხვა, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის, სხვა საწარმოთა სახსრების, საფინანსო დაწესებულებების წყაროდან.

ამაღლებამდე. ეროვნული ვალუტის კურსის დაცემის შემთხვევაში უცხოელებს შეეძლებათ თავისი ფულით შეისყიდონ მოცემული ქვეყნის უფრო მეტი ოდენობის ვალუტა და შესაბამისად საქონელი.

ვალუტის დეველვაცია, მიზანშეწონილია გატარდეს რეფორმის საწყის სტადიაზე. აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა ქვეყანამ სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირების მიზნით განახორციელა თავისი ვალუტის სწრაფი დეველვაცია. 1990 წელს უნგრეთში, პოლონეთსა და იუგოსლავიაში დეველვაცია 15%-დან 46%-მდე გაიზარდა, რის გამოც სამივე ქვეყანაში ექსპორტმა მნიშვნელოვნად იმატა. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინფლაციამ, რომელიც ხშირად წარმოიქმნება რეფორმის ადრეულ სტადიაზე საშინაო ფასების არაკონტროლირებადობის გამო შეიძლება გააქარწყლოს დეველვაციის შედეგად მიღწეული კონკურენტუნარიანობის უპირატესობანი.

დეველვაცია ასევე ართულებს კრედიტების მიღებას და იწვევს ფულის მიწოდების შემცირებას, რითაც ხელს უწყობს მკაცრი ფულად-საკრედიტო გატარებას.

ვალუტის კონვერტირებადობა გულისხმობს მოცემული ვალუტის თავისუფალ გაცვლას სხვა ვალუტაზე. ეს ისევე როგორც რეალური კურსის დადგენა აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის, მასზე მსოფლიო ფასების ზემოქმედების და საერთაშორისო კონკურენციის უპირატესობათა გამოყენებისათვის. ვალუტის შექცევადობა ასევე ხელს უწყობს ტრანსნაციონალური კორპორაციების მხრიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთ ქვეყანას შეუძლია დააჩქაროს საკუთარი ვალუტის კონვერტირებადობა, გარკვეულ ჯგუფს კი რეფორმის საწყის ეტაპზე უზრუნველყოს ნაწილობრივი კონვერტირებადობა ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიზნით. 1989 წლის შემოდგომამდე, როცა პოლონეთმა სხვა რეფორმებთან ერთად გამოაცხადა თავისი ვალუტის კონვერტირებადობის შესახებ, ითვლებოდა, რომ ვალუტების კონვერტირებადობის პროცესი აღმოსავლეთ ევროპაში გაგრძელდებოდა რამდენიმე წელს და რეალობად იქცეოდა მხოლოდ მომდევნო საუკუნეში. მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ზემოთ აღნიშნული პროცესი დაჩქარდა. პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში შემოდებული იქნა სრული კონვერტირებადობა (პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში იგი გამოიყენებოდა მხოლოდ საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მიმართ), სხვა ქვეყნებში შემოდებული მოდელები კი ახლოს იყვნენ სრულ კონვერტირებადობასთან. ამრიგად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რეფორმების ადრეულ ეტაპზევე გახდნენ ღია მსოფლიო ფასების გავლენისათვის.

ვალუტის კონვერტირებადობის შემოდებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა:

1. ვალუტის გაცვლის კურსი იყოს მართვადი, რისთვისაც აუცილებელია საკმარისი რეზერვის არსებობა, განსაკუთრებით ფიქსირებული გაცვლითი კურსის გამოყენებისას;

2. უნდა მოქმედებდეს მკაცრი საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ჭარბი ფულადი მასის შემცირების ღონისძიებების გატარებას. არაკონ-ტროლირებადი ინფლაციის დროს იმპორტზე მოთხოვნა შეიძლება იყოს იმდენად მაღალი, რომ ძნელი გახდეს ვალუტის კონვერტირებადობის შენარჩუნება.

გარდამავალ პერიოდში ვალუტის რეალური სავალუტო კურსის შენარჩუნებისას მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით კურსი ფიქსირებული იქნება თუ მოქნილი (ცვალებადი).

ვალუტის ფიქსირებული კურსის სასარგებლოდ შემდეგი არგუმენტები მოყავთ:

1. ვალუტის მოქნილი (ცვალებადი) კურსის საწინააღმდეგო მთავარი არგუმენტი არის ის, რომ მას მივყავართ საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემცირებამდე. მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ ქვეყნების უმრავლესობაში, რომელთაც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში გამოიყენა ცვალებადი კურსი, საერთაშორისო ვაჭრობის და ინვესტიციების მოცულობა უფრო გაიზარდა, ვიდრე შემცირდა;

2. ვალუტის მოქნილი კურსის შემოღება უფრო ეფექტიანია კარგად განვითარებული კაპიტალის ბაზრის პირობებში, რადგან სხვადასხვა რყევების ზემოქმედება შეიძლება კომპენსირებულ იქნეს აქტივების გადანაწილების გზით. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს დიდი დრო დასჭირდებათ კაპიტალის ეფექტიანი ბაზრის შესაქმნელად;

3. ვალუტის მოქნილი კურსის მექანიზმს კაპიტალის კარგად განვითარებული ბაზრის პირობებშიც კი (ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში) არასწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში მივყავართ სერიოზულ დარღვევებამდე საგარეო ვაჭრობის ბალანსისა და მთლიანად ეკონომიკის სფეროში.

მოქნილი სავალუტო კურსის სასარგებლოდ შემდეგი არგუმენტები მოყავთ:

1. მთავრობას, რომელიც არ ფლობს საკმარის სავალუტო რეზერვებს, არ ძალუძს დაიცვას ეროვნული ვალუტის ფიქსირებული კურსი. ეს არ წარმოადგენს დიდ პრობლემას, თუ დეფიციტი დროებით

ხასიათს ატარებს, მაგრამ თუ განსხვავება ოფიციალურ და საბაზრო კურსს შორის ხანგრძლივია, მაშინ მთავრობას არ ეყოფა რეზერვები ამ სხვაობის დასაფარავად. მოცემულ შემთხვევაში არ არის სხვა გამოსავალი გარდა მოქნილი კურსის შემოღებისა;

2. მთავრობებს არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება და ცოდნა იმისათვის, რომ ვალუტის ფიქსირებული კურსის მოქმედებისას დაადგინონ სწორი გაცვლითი კურსი;

3. ვალუტის ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემოღება (მხარდაჭერა) ხელს უშლის შიდა ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნებას, რამდენადაც ფულის მასის მიწოდება განსაზღვრული იქნება საგადასახდელი ბალანსის მდგომარეობით, რაც ართულებს შიდა სტაბილიზაციას.

ვალუტის ფიქსირებული ან მოქნილი კურსის დადგენასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია შემუშავდეს რაღაც შუალედური მოდელი. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია მაშინ, როცა მთავრობას აქვს არჩევანის შესაძლებლობა და იძულებული არ არის ერთმნიშვნელოვნად აირჩიოს მოქნილი კურსი. (მაგალითად, ბულგარეთმა ვაჭრობის ლიბერალიზაციის პერიოდში 1991 წელს რეზერვების უკმარისობის გამო შემოიღო ვალუტის მოქნილი კურსი. გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან ქვეყანას გააჩნდა მხოლოდ ორკვირიანი სავალუტო რეზერვი).

### **ეკონომიკური კრიზისის საქართველოში: მიზეზები, მასშტაბები, დაძლევის გზები**

გარდამავალი ეკონომიკის ცალკეული მხარის თავისებურების განხილვა არ იძლევა იმის საშუალებას პირდაპირ ვუპასუხოთ კითხვას: როდის დასრულდება გარდამავალი ხანა, როდის გამოვა ეკონომიკა კრიზისული მდგომარეობიდან და უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების არსებით გაუმჯობესებას. ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება მოგვცეს მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მდგომარეობისა და ტენდენციების კომპლექსურმა ანალიზმა.

მეცნიერთა უმრავლესობის აზრი ტრანსფორმაციული ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის გზების შეფასების შესახებ განსხვავებულია, მაგრამ ერთ ფაქტს, რომ ცენტრალიზებულ – გეგმიანი მეურნეობრიობა წარსულს ჩაბარდა და მისი ადგილი თანამედროვე საბაზრო სისტემამ დაიკავა ყველა ალიარებს. რა თქმა უნდა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობაში დამკვიდრებული საბაზრო სისტემა – შორსაა სრულყოფილებისაგან, მაგრამ ის, რომ ბაზარი არსებობს, არავის ეჭვს არ იწვევს. ცხოვრებამ ეს საკმაოდ მკაცრად და ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა: 1998 წელს ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა ფინანსურმა კრიზისმა ეკონომიკური პროცესების მხრიდან წმინდა საბაზრო რეაქცია გამოიწვია: შემცირდა იმპორტი, გამოცოცხლდა სამრეწველო საწარმოების მუშაობა, ამალდა საქონლის კონკურენტუნარიანობა და სხვ. საწარმოებმა, რომლებმაც ისწავლეს მუშაობა ბაზრის პირობებში, გაუძლეს კრიზისის გამოცდას, არ შეწყვიტეს თავიანთი საქმიანობა და უფრო მეტიც, შეძლეს გამოეყენებინათ ის უპირატესობა, რომელიც მათ ეროვნული ვალუტის დეველვაციის გატარებამ მისცა.

შედეგად, 1999 წლის დასაწყისიდან უკვე შესამჩნევი გახდა პოზიტიური ტენდენცია ეკონომიკის განვითარებაში. 1998 წელთან შედარებით გაიზარდა მშპ-ის მოცულობა, დაეცა ინფლაციის ტემპი, გაფართოვდა კერძო ინვესტიციების მოცულობა, გაუმჯობესდა სახელ-მწიფო ბიუჯეტის მდგომარეობა, შემცირდა დავალიანებები ხელფასებზე და ტრანსფერტულ გაცემებზე. მაგრამ უკვე 2000 წლის მეორე ნახევრიდან კვლავ ტემპების შემცირება და დავალიანების ზრდა რაც გამოწვეულია ობიექტურად არსებული ფაქტორებით: წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონით, რამდენადაც იგი მოძველებულია არა მარტო მორალურად, არამედ ფიზიკურადაც; თუ უახლოეს წლებში არ მოხდება წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისათვის ინვესტიციების მკვეთრი გადიდება, წარმოიქმნება წინააღმდეგობა დაგროვილი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის დაკარგვის საშიშროება.

ფორმალურად საქართველო გახდა ღია ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკური კავშირები აქვს მთელ მსოფლიოსთან. მაგრამ ჩვენი ქვეყნის მცდელობამ, იპოვოს განვითარების თავისი, სრულიად ინდივიდუალური გზა, მოწოდებებმა თვითიზოლაციისაკენ შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ საქართველო ვერ დაიკავებს ღირსეულ ადგილს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნის მთელი ეკონომიკა იჯარით მივცეთ უცხოურ კაპიტალს. მაგრამ წარმატებული განვითარებისათვის საჭირო საქმიანი კონტაქტების მხარდაჭერა, უცხოური კაპიტალის მოზიდვა წარმოების პერსპექტიულ დარგებში – აუცილებელია.

შრომისნაყოფიერების არსებული დონე ნამდვილად არასაკმარისია, მაგრამ მისი ამალღების რეზერვები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული, თუმცა მათი გამოყენება ფერხდება წარმოების დაბალი ტექნოლოგიური ბაზის, სამუშაო ძალის სუსტი მობილურობის, ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის არასაკმარისი დაბანდების გამო.

ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას ხელს უშლის, აგრეთვე ქვეყანაში შექმნილი არამყარი მაკროეკონომიკური სიტუაცია. სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში ჩამოყალიბებული შეფარდებითი ეკონომიკური სტაბილურობა გამოწვეულია არა რადიკალური ცვლილებებით ეკონომიკაში, არამედ მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებული სასურველი კონიუქტურით. ეკონომიკის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია უდევრიტო ბიუჯეტი, მაშინ შემოსავლების ხარჯზე შესაძლებელი იქნება არა მარტო მთავრობის ყველა ღონისძიების დაფინანსება, არამედ სახელმწიფო ვალის ნაწილის გადახდა და ეკონომიკის საბიუჯეტო სექტორის განვითარება.

ნორმალურ ეკონომიკურ ზრდას ხელს უშლის ეკონომიკის არაეფექტიანი სტრუქტურა, ზარალიანი საწარმოების მნიშვნელოვანი რაოდენობა და დანარჩენების დაბალი შემოსავლიანობა. ეს ზღუდავს წარმოებაში ინვესტირების შესაძლებლობას: საწარმოებს ამისათვის საკმარისი სახსრები არა აქვთ, ხოლო მოსახლეობა დაბალი საპროცენტო განაკვეთის დაწესების პირობებში ანაბრებზე საბანკო სისტემის დანაზოგებს თვითონ ინახავს, რითაც იზღუდება საკრედიტო რესურსების მატების შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფო აქტიურად არ უჭერს და მხარს საბაზრო გარდაქმნებს, ვერ უზრუნველყოფდა საკუთრების უფლების დაცვას და მოქალაქეთა უსაფრთხოებას, კანონების შესრულებას, რაც იწვევს მასების უნდობლობას იმ ღონისძიებებისადმი, რომელსაც ატარებს მთავრობა, რაც აფერხებს სამეწარმეო აქტივობას.

დასახელებული ნაკლოვანებების თანდათანობით აღმოფხვრა საშუალებას მისცემს განმტკიცდეს პოზიტიური ცვლილებები, უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს ეკონომიკური ზრდის სტაბილური ტემპების მიღწევა და ქვეყანაში კეთილდღეობის ღონის ამაღლება.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, რომლის მიზანი იქნება მიაღწიოს ყოველწლიურად ეკონომიკური ზრდის ისეთ ტემპს, რომლის საფუძველზე შესძლებს მოსახლეობის ცხოვრების ღონის ამაღლებას საშუალოდ განვითარებული ქვეყნების დონემდე, შეამციროს ქონებრივი დიფერენციაცია, გაზარდოს საშუალო ფენა და გადააქციოს იგი საზოგადოებაში უმეტეს ნაწილად, ჩამოაყალიბოს სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც იქნება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისა და თავისუფლების გარანტი.

განვითარების არსებული პირობები და ტენდენციები მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოს აქვს შანსი განახორციელოს მტკიცე ზრდა 5%-ის დონეზე ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციის პირობებში. მაშინ, დაახლოებით 10 წელიწადში შესაძლებელი იქნება დასახული აქტუალური ამოცანების გადაწყვეტა და გადამწყვეტი როლი ამაში უნდა შეასრულოს სახელმწიფომ.

თანამედროვე ეტაპზე – ქვეყნის განვითარების ძირითადი ამოცანებია – მთავრობისადმი უნდობლობის კრიზისის გადალახვა და ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესება. მეპ-ის მატების ტემპის დაჩქარება შესაძლებელია უმუშევრობის ზრდაც, რაც დაკავშირებულია მკაცრ საბიუჯეტო პოლიტიკასთან, კონკურენციის პირობების გამოთანაბრების ღონისძიებებთან, ზარალიანი საწარმოების ლიკვიდაციასთან. ამ პერიოდში უნდა მოხდეს, აგრეთვე საბანკო სისტემის კიდევ მეტად გაჯანსაღება და ფინანსური ბაზრის ამოქმედება.

მომდევნო ეტაპზე უნდა დაიწყოს საბაზრო სექტორის დაჩქარებული განვითარება და ინვესტიციების გადიდება 4-5%-მდე, აღარ იარსებებს ზარალიანი საწარმოები, გაქრება არგადახდები და ბარტერი. ინვესტიციები უფრო მაღალი ტემპებით გაიზრდება, ექსპორტში გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წილი, იმპორტში კი – საწარმოო მოწყობილობის წილი იმატებს, არსებითად შემცირდება კაპიტალის გატანა.

უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში. მოსახლეობის რეალური შემოსავლები წელიწადში 2-3%-ით გაიზრდება, ინფლაცია იქნება არაუმეტეს 5%-სა, ნომინალური ფულადი შემოსავლები დაფარავენ მოსახლეობის ხარჯების გადიდებას. ამავე პერიოდში უნდა დასრულდეს რეფორმების გატარება საპენსიო, განათლების, ჯანდაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროებში.

ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის დამთავრება და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა შესაძლებელია გარკვეული პერიოდის შემდეგ დაახლოებით 2008 წლიდან და დამთავრდება 2010 წელს. ინვესტიციების მაღალი ტემპების წყალობით შეიქმნება პირობები შრომისნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდისათვის.

საბაზრო სისტემაზე გარდამავალი ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სასტატო პირობებით და მომავალი განვითარების პერსპექტივებით. მეპ-ის მატების არსებული და მოსალოდნელი ტემპების მიხედვით ისინი შეიძლება დაჯგუფდნენ ოთხ ჯგუფად: ამკარა ლიდერები – 6-9%-მდე, მოწინავეები – 4-5%-მდე, საშუალოები 2-4%-მდე და ჩამორჩენილები – არა უმეტეს 2%-ის მატების ტემპით (იხ. ცხრილი 2.1).

## გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კლასიფიკაცია

ქვეყანა	მეკ მატეზა
<i>აშკარა ლიდერები</i>	
იუგოსლავია	10,7
ალბანეთი	7,1
აზერბაიჯანი	7,0
საქართველო	6,2
<i>მოწინავეები</i>	
სლოვაკეთი	5,5
სომხეთი	5,5
უნგრეთი	5,3
პოლონეთი	5,2
რუმინეთი	5,1
მაკედონია	4,7
ბულგარეთი	4,7
ლიტვა	4,3
თურქმენეთი	4,3
ბოსნია-ჰერცეგოვინა	4,3
სლოვენია	4,2
ტაჯიკეთი	4,2
ეტსონეთი	4,1
ლატვია	4,1
<i>საშუალო დონის</i>	
ჩეხეთი	4,0
მოლდავეთი	4,0
ხორვატია	4,0
ყაზახეთი	4,0
ყირგიზეთი	3,4
უკრაინა	2,4
რუსეთი	2,1
<i>ჩამორჩენილები</i>	
უზბეკეთი	1,8
ბელორუსია	0,5

წყარო: *Вопросы экономики*, №10, 2000 გ. გვ.15.

ცხრილის მონაცემების ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეკ-ის მატეზის მაღალი ტემპი არ ნიშნავს ამ ქვეყნების ცხოვრების მაღალ დონეს. სიტუაციის ცვლილებების შესაბამისად ქვეყნებს შეუძლიათ გადასვლა ერთი ჯგუფიდან მეორეში, მაგრამ ყველა შემთხვევაში განვითარების ტემპები დამოკიდებული იქნება ორ ფაქტორზე: 1. განვითარების არსებულ პოტენციურ ბაზაზე – ბუნებრივი რესურსების, ადამიანური კაპიტალის ხარისხის (თვისობრიობის), ბაზრის მასშტაბის, მოსახლეობის რიცხოვნობის და სხვ. სახით; 2. ამ ქვეყნების მთავრობების მიერ შერჩეულ განვითარების სტრატეგიაზე. ეს უკანასკნელი ფაქტორი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ყველა მთავრობას სტრატეგიული ამოცანების და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრისას.

### თემა 3. სახელმწიფოს ადგილი და როლი გარდამავალ ეკონომიკაში

#### სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმაცია

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და მისი ეკონომიკაზე ზეგავლენის ხერხები იცვლება საზოგადოების სრულყოფის და ეკონომიკის განვითარების შესაბამისად. ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი და ფორმები ბევრადაა დამოკიდებული განსაზღვრულ პერიოდში მოცემული ქვეყნის მიერ შერჩეულ ეკონომიკური პოლიტიკის კურსზე და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელზე. საბაზრო მოდელის პირობებში ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი არსებითად მცირდება. აქ ძირითადად მისი როლი დაიყვანება იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში ზემოქმედება მოახდინოს საბაზრო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ხოლო მეორე მხრივ – უშუალო მონაწილეობა მიიღოს იმ პროცესების ორგანიზაციას და რეალიზაციაში, რომლებშიაც საბაზრო ურთიერთობები ან არარაციონალური, ან არსებითად შეზღუდული.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის სპეციფიკა ისაა, რომ მასში ერთდროულად მოქმედებს ის ეკონომიკური ელემენტები, ფორმები და ურთიერთობები, რომლებიც დამახასიათებელია განვითარების როგორც ადრე არსებული ისე ახალი, ფორმირებადი მოდელისათვის. ამიტომ მისთვის დამახასიათებელია შეუსაბამობა და წინააღმდეგობა ძველი და ახალი სისტემების ატრიბუტებსა და ურთიერთობებს შორის. ამ ურთიერთწინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაში წარმატება ავტომატურად ვერასოდეს ვერ მიიღწევა. იგი მოითხოვს მთელი საზოგადოების ძალისხმევას, ძალების კონცენტრაციას, განსაზღვრულ პირობებისა და საშუალებების შექმნას. გარდა ამისა, ტრანსფორმაციული პროცესის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორგანიზაციულ ფაქტორს.

თანამედროვე მსოფლიოში ჯერჯერობით მხოლოდ სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების ერთადერთ სუბიექტს, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ტრანსფორმაციის პროცესის ორგანიზატორის ფუნქცია ძველი ეკონომიკური სისტემის ახლით შეცვლის საქმეში. აქედან ნათელია, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა ამ პროცესში ობიექტურად. აუცილებელია, უფრო მეტიც, მას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის.

გარდამავალ პერიოდში ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ფორმები და მეთოდები უშუალოდაა დამოკიდებული იმ მიზეზებისა და შედეგების ნაკრებზე, რომლებმაც ობიექტურად განაპირობეს ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობა. უმნიშვნელოვანეს ზოგადი ხასიათის მიზეზებს მიეკუთვნება:

1. მაკროეკონომიკური პროპორციების დაუბალანსებლობის პროცესის გაძლიერება, რომელიც უკავშირდება, ერთი მხრივ, ტრანსფორმაციის პროცესისათვის დამახასიათებელი საკუთრების გარდაქმნასა და ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლის შედეგად ადრე არსებული ურთიერთობებისა და კავშირების რღვევას, მეორე მხრივ კი – ფორმირებად საბაზრო მექანიზმს ჯერ კიდევ არ შეუძლია შექმნას მართვის ნიშანდობლივი ურთიერთობებისა და პროპორციების სპეციფიკური სისტემა. უფრო მეტიც, მომავალში საბაზრო მექანიზმის შექმნისას და ფუნქციონირებისას შეიძლება მოხდეს მაკროეკონომიკური პროპორციების დარღვევა და მაკროეკონომიკური წონასწორობის დამყარების ხელისშემშლელი ფაქტორების ამოქმედება. კერძოდ, პერიოდულ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც დაკავშირებულია დარგობრივი სტრუქტურის კარდინალურ ცვლილებებთან, საწარმოო ძალთა არარაციონალურ განლაგებას და ტერიტორიული პროპორციების დეფორმაციასთან განპირობებულია საბაზრო მექანიზმის ავტომატური მოქმედებით, ეკონომიკის მონოპოლიზაციით;

2. მოსახლეობის შემოსავლების არსებითი დიფერენციაცია, რომელიც გარდამავალი პერიოდის საწყის ფაზაში დაკავშირებულია პრივატიზაციის შედეგად შექმნილი ეკონომიკური რესურსების ფლობაში საზოგადოების წევრებს შორის დიდი განსხვავებისა და ქონებრივი უთანასწორობის წარმოქმნასთან, ხოლო შემდგომ კონკურენციულ ბრძოლასთან, რომელიც საბაზრო მექანიზმის მოქმედების შედეგია. ბაზრის უსუსურობას, გავლენა იქონიოს ამ პროცესებზე და შეაჩეროს შემოსავლების დიფერენციაცია, ავტომატურად მივეყვართ მოსახლეობის – ღარიბი და მდიდარი ფენებად – დაყოფის გაძლიერებამდე და ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე ხელსაყრელ კლიმატს ქმნის სოციალური დაძაბულობის, შემდგომ კი შესაძლებელი სოციალური აფეთქებისათვის;

3. თანამედროვე საზოგადოებაში მსხვილმასშტაბიანი სოციალური სექტორის არსებობა და

განვითარება, რომლის მატერიალური უზრუნველყოფა სრულიად ან შეუძლებელია საბაზრო მექანიზმის მეშვეობით, ან უნდა განხორციელდეს მისი შეზღუდული მონაწილეობით. მოცემული სექტორი მოიცავს ეროვნულ უსაფრთხოებას და სახელმწიფოს მართვას, განათლებას, ჯანდაცვას, გარემოს დაცვას, აგრეთვე საზოგადოების შრომისუნარო და ნაკლებადუზრუნველყოფილი ფენების შენახვას და უმუშევართა მატერიალურ მხარდაჭერას.

პროდუქციის შექმნა და მომსახურების გაწევა სოციალური სექტორის ყველა ელემენტის ამოქმედების უზრუნველსაყოფად მოითხოვს განსაზღვრულ დანახარჯებს. თანამედროვე მსოფლიოში ამ სექტორის ელემენტების დიდი ნაწილი იმყოფება მუდმივ განვითარებაში და მათი ფუნქციების რეალიზაციის ხარჯები განუწყვეტლივ იზრდება. ამასთან, მოხმარებული სიკეთე და მომსახურება გაჭირვებულებს ეძლევათ მეტწილად უსასყიდლოდ. ასეთ შემთხვევაში საბაზრო ურთიერთობების ფორმირება ან შეუძლებელია (ობლების, ინვალიდების, პენსიონერების შენახვა, ან არსებითად შეზღუდული (ნაწილობრივ ფასიანი განათლება ან სამედიცინო დახმარება მოსახლეობის ნაწილისათვის);

4. საზოგადოების ობიექტური მოთხოვნა საგარეო ეფექტების შედეგების გამოთანაბრებაში. კერძო მესაკუთრეთა დიდი რაოდენობის წარმოშობა გულისხმობს ეროვნულ ბაზარზე ნებისმიერი ცალკეული მესაკუთრის ინტერესების პრიორიტეტულ უპირატესობას სხვებთან შედარებით. ამასთან, ცნობილია, რომ კერძო ინტერესები ყველა შემთხვევაში არ ემთხვევა საზოგადოების ინტერესებს. განსაზღვრულ გარემოებაში კერძო ინტერესის რეალიზება საზოგადოებისათვის შეიძლება საზიანოც კი აღმოჩნდეს. ამის ნათელი მაგალითია საგარეო (გარე) ეფექტების უარყოფითი შედეგები, რომლებიც წარმოიქმნება კერძო ინტერესის დაკმაყოფილების დროს მეწარმის მიერ დადებითი შედეგის (ეფექტის) მიღწევის შედეგად. კერძოდ, დანახარჯების შემცირების მცდელობისას უფრო კონკურენტუნარიან მეწარმედ გადაქცევის მიზნით. მაგალითად, მეწარმე ქიმიურ წარმოებაში არ არის დაინტერესებული დანახარჯებით გამწმენდი ნაგებობების მშენებლობაზე. მათი უქონლობა, როგორც წესი, იწვევს საჰაერო და წყლის სივრცეების გაბინძურებას, რითაც ზიანს აყენებს საზოგადოებას მთლიანად. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება მეწარმის კერძო ინტერესების რეალიზაციის შეზღუდვის და მისი საზოგადოებრივ ინტერესებთან დაბალანსების ობიექტური აუცილებლობა.

სხვა შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს საწინააღმდეგო სურათი. მაგალითად იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს საზოგადოების მოთხოვნა გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებაზე აუცილებელია განსაზღვრული პრეფერენციები მიეცეს იმ მეწარმეებს, რომლებიც თავიანთი ინტერესების მისაღწევად გაიღებენ ინვესტიციებს საზოგადოებრივად ეფექტიანი ობიექტებისათვის (მაგალითად, ხეხილის ბაღის გაშენება ცარიელ ადგილას, თანამედროვე გამწმენდი საშუალებების დაყენება და სხვ.).

გარე ეფექტების მოქმედების ყველა შედეგის გათვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ცალკეული კონკრეტული შემთხვევისათვის აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების გონივრული კორექტირება და დაბალანსება გარკვეული ღონისძიებების და ინსტრუმენტების მეშვეობით, რისთვისაც ობიექტურად აუცილებელია სპეციალური ორგანო. მას უნდა მიეცეს სახელისუფლებო რწმუნება და იგი უნდა გამოხატავდეს საზოგადოების ინტერესებს;

5. ეროვნულ ეკონომიკურ სტრუქტურაში სახელმწიფო სექტორის არსებობა. იგი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ნაწილს, რომელიც იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში;

6. ეკონომიკურ ურთიერთობათა პრაქტიკული რეალიზაცია მეურნეობრიობის საბაზრო მოდელის პირობებში საერთოდ, და განსაკუთრებით, ტრანსფორმაციული პერიოდში მოითხოვს გარკვეულ რეგლამენტაციას. გარდა ამისა, გარკვეულ დონემდე რეგულირებას მოითხოვს თვით საბაზრო მექანიზმი, რამდენადაც მის შეუზღუდავ გამოყენებას აუცილებლად მიყავს ეკონომიკა მონოპოლიზაციამდე და სხვა ნეგატიურ შედეგებამდე. აუცილებელია, აგრეთვე სოციალური სექტორის საქმიანობის რეგლამენტაცია. ყველა ეს გარემოება ბაზარზე გადასვლისას მოითხოვს საბაზრო მოდელის ადეკვატური „თამაშის წესების“ ან განსაკუთრებული საკანონმდებლო ბაზის შექმნას. უფრო მეტიც, საჭიროა მუდმივი კონტროლის დაწესება მიღებული კანონების, წესებისა და სტანდარტების შესრულებაზე, აგრეთვე ამ ნორმების გარკვეული კორექტირება და სრულყოფა. საზოგადოების შემდგომი არსებობისა და განვითარებისათვის წარმოიქმნება ეკონომიკის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების მოთხოვნა. ეს შეიძლება იყოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელის შერჩევა (და მისი მოდიფიკაცია), ახალ მოდელზე გასვლის მიმართულების, ამოცანების და ფორმების განსაზღვრა, დასახული მიზნების რეალიზაციისათვის პროგნოზების და პროგრამების შემუშავება.

თითოეული ზემოჩამოთვლილი მიზეზის არსებობა ქმნის ობიექტურ მოთხოვნას



ტრანსფორმირებად ეკონომიკაში სპეციალური ინსტიტუტის არსებობაზე, რომელიც უნდა გამოხატავდეს როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე მისი ცალკეული წევრის ინტერესებს, აგრეთვე ისეთი ორგანოს არსებობაზე, რომელიც აღჭურვილი იქნება მოცემული პირობებისათვის სახელისუფლებო რწმუნებით. ასეთი სახის ერთადერთ ინსტიტუტს და ორგანოს, რომელიც უპასუხებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს, წარმოადგენს სახელმწიფოს.

## **სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგია პოსტინდუსტრიალიზაციისაკენ მიმავალ გზაზე**

სახელმწიფოს მონაწილეობა ტრანსფორმირებად ეკონომიკაში ობიექტურად აუცილებელია. ამ პერიოდში მან აქტიური ზეგავლენა უნდა მოახდინოს ეკონომიკაზე და აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მასში საზოგადოების მიერ მის მიმართ დელეგირებული რწმუნებების საფუძველზე თავისი უნიკალური შესაძლებლობების წყალობით.

სახელმწიფოს მონაწილეობას ტრანსფორმირებად ეკონომიკაში აქვს გლობალური და კონკრეტული მიზნები.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკაში მონაწილეობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ძველი ეკონომიკური სისტემის რეფორმირების პროცესის პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია და ხელსაყრელი პირობებისა და ინსტიტუტების შექმნა ახალი სისტემის განვითარებისათვის.

ძირითადი მიზნის მიღწევა, თავის მხრივ, სახელმწიფოსაგან განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს. ამ ამოცანებს მიეკუთვნება:

1. **ხელსაყრელი პირობების შექმნა საბაზრო მექანიზმის და კონკურენტული გარემოს წარმოქმნისა და განვითარებისათვის.** ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი საფუძვლების შემუშავებასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ განსახელმწიფოებრივების და პრივატიზაციის პროცესის განხორციელებას. საკანონმდებლო ბაზის („თამაშის წესები“) შექმნასთან, რომელიც განახორციელებს ბაზარზე სუბიექტების ურთიერთობის რეგლამენტირებას; შემუშავებული კანონების რეალიზაციის და მათ შესრულებაზე კონტროლის თვალსაზრისით ქმედითი ღონისძიებების მიღებასთან. გარდა ამისა, ამ ამოცანის შესრულება ითვალისწინებს სახელმწიფოს აქტიურ როლს არსებული ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში და მის საბაზროდ გადაქცევაში;

2. გარდამავალი პერიოდისათვის მეტკვიდრობით გადაცემული კრიზისის შედეგების აღმოფხვრა და მაკროეკონომიკური წონასწორობისა და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წანამძღვრების შექმნა. ამ ამოცანის გადაწყვეტა სახელმწიფოსაგან ეკონომიკის სტრუქტურული რეორგანიზაციის და რეგიონების სპეციალიზაციის, ინფლაციასთან და უმუშევრობასთან ბრძოლის, საგადასახადო და საფინანსო სისტემის რეფორმირების მიმართულებით მოითხოვს რთული ღონისძიებების კომპლექსის განხორციელებას;

3. მოსახლეობის სოციალური დაცვის პრინციპულად ახალი მოდელის შექმნა. ამ ამოცანის დასმა დაკავშირებულია იმასთან, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ძირფესვიანად ცვლის მოსახლეობის სოციალური დაცვის წყაროებსა და პრინციპებს. ტრანსფორმაციული პროცესებით გაპირობებული გარდაქმნები მხოლოდ სახელმწიფომ. შეიძლება განახორციელოს. ამისათვის აუცილებელია რადიკალური რეფორმების გატარება საპენსიო უზრუნველყოფის, ჯანდაცვის, განათლების სფეროში. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს მოსახლეობის სოციალური დაცვის სპეციალური პროგრამები.

ტრანსფორმაციულ პერიოდში განსახორციელებელი ძირითადი ამოცანების ჩამონათვალი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო მოწოდებულია გადაწყვეტი როლი ითამაშოს ამ დროს მიმდინარე პროცესებში. ამასთან ტრანსფორმირებად ეკონომიკაში სამეურნეო პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობას აქვს გარკვეული საზღვრები. ბაზრის ჩამოყალიბების ადრეულ სტადიაზე სახელმწიფოს არ შეუძლია ტოტალური გავლენა იქონიოს საბაზრო ფასწარმოქმნაზე ან მეწარმის სამეურნეო საქმიანობის მიმართულების შერჩევაზე. გამონაკლისი აქ შეიძლება იყოს ფასების დონის მხოლოდ დროებითი შეზღუდვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურების არც თუ დიდ წრეზე, ან რომელიმე სახის საქმიანობის დროებითი შეზღუდვა. გარკვეული შეზღუდვები სახელმწიფოს შეუძლია დაწესოს მოსახლეობის შემოსავლების მიმართაც, მაგალითად, შეზღუდოს ხელფასის ქვედა ზღვარი.

ტრანსფორმაციული პროცესის განვითარების კვალობაზე ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის მასშტაბებს შემცირების ტენდენცია აქვს. განვითარებული ბაზრის პირობებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საბაზრო მექანიზმის მოქმედებას. ამასთან, სახელმწიფო, მის განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებებით ვალდებულია ხელი შეუწყოს მის ნორმალურ ფუნქციონირებას და მხოლოდ ერთ

სექტორში (სოციალური), სადაც საბაზრო მექანიზმის მოქმედება შეზღუდულია, სახელმწიფოს მონაწილეობის მასშტაბი უცვლელი დარჩება.

### სახელმწიფოს ფუნქციების ოპტიმიზაცია

ტრანსფორმირებად ეკონომიკაში სახელმწიფოს მოქმედებები, რომლებიც მიმართულია კონკრეტული მიზნების მისაღწევად, რეალიზდება კონკრეტული ფუნქციების მეშვეობით.

გარდამავალი ხანის პირველ ეტაპზე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მოვალეობა და მიზანია სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებას და საბაზრო მექანიზმის მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია ხდება კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება. იგი მოიცავს ან ადრე მოქმედი ძირითადი კანონის (ქვეყნის კონსტიტუცია) არსებით კორექტირებას, ან ახალი მეურნეობრიობის საბაზრო მოდელის მოთხოვნების შესაბამისი ძირითადი კანონის მომზადებას და მიღებას.

გარდა ამისა, კანონშემოქმედებითი ფუნქციის რეალიზაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მოითხოვს საკანონმდებლო აქტების დიდი პაკეტის შემუშავებას და დამტკიცებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთრების ყველა ფორმის თანასწორუფლებიანობას, განსაზღვრავენ სუბიექტების უფლება-მოვალეობებს საბაზრო ურთიერთობის პირობებში, ზღუდავენ სამეურნეო საქმიანობის სფეროს და სახეებს, ადგენენ განსაზღვრულ ნორმატივებსა და სტანდარტებს და სხვ. ზემოთ აღნიშნულის განხორციელება დიდ ძალისხმევას და დროს მოითხოვს. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მაგალითი ცხადყოფს, რომ განვითარებული ბაზრის პირობებში ნორმალური სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელია 5-დან 7 ათასამდე საკანონმდებლო აქტის მიღება.

ტრანსფორმაციულ პერიოდში, კანონშემოქმედების პროცესი უფრო რთული და წინააღმდეგობრივია, რამდენადაც ეკონომიკაში როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საერთოდ, არსებობს ბევრი განუსაზღვრელობა. ცალკეულ სფეროებში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეიძლება გაგრძელდეს ადრე დადგენილი სამართლებრივი ნორმების მოქმედება, კანონებში, წესებსა და ნორმებში მიღებულ, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მიერ. დასაშვებია გარკვეული შეუსაბამობა და წინააღმდეგობა რომლებიც, კერძოდ, საქართველოში არსებით განსხვავება იყო (და ახლაც აქვს) ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მიღებულ კანონებს შორის. ამიტომ საჭიროა დიდი ძალისხმევა და დრო არა მარტო თვით კანონპროექტების შემუშავებისა და მიღებისათვის, არამედ მათი კორექტირებისა და სხვა კანონებთან და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში მეორე მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მისი საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების ფორმირებისათვის – პირობების შესაქმნელად და საბაზრო ურთიერთობების სპეციფიკური სუბიექტების – კერძო მესაკუთრეთა გამოსავლენად. ამ მიზნით, სახელმწიფო თავის თავზე იღებს განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაციის პროცესების ორგანიზაციას.

ხელისუფლების მეორე შტო – აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანოები იყენებენ ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოების მიერ, რა საკანონმდებლო ბაზას, რომელიც განსაზღვრავს განსახელმწიფოებრივების და პრივატიზაციის პარამეტრებს და მეთოდებს, რომელიც შექმნილია უშუალოდ ახორციელებენ განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაციის სამუშაოებს.

ტრანსფორმაციული პერიოდის პირველ ფაზაში წარმოიქმნება მოთხოვნა სახელმწიფოს დაეკისროს სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის კონტროლის ფუნქცია. ამ სახის საქმიანობა დაკავშირებულია ფირმის ფუნქციონირების ლეგიტიმურობის შემოწმებასთან, მის მიერ საგადასახადო და შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების კონტროლთან, აგრეთვე მონოპოლიების საქმიანობის რეგლამენტაციასთან.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში **სახელმწიფოს კიდევ ერთი- სპეციფიკური ფუნქციის აუცილებლობა დაკავშირებულია წარსულის ერთ-ერთი ნეგატიური შედეგის – ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მოთხოვნასთან და სტაბილიზაციის და ეკონომიკური ზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასთან.** ამ ფუნქციის შესრულების რეალიზაცია ხდება ღონისძიებებითა სისტემით, რომლებიც მიმართულია ინფლაციისა და უმუშევრობის წინააღმდეგ, აგრეთვე ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შესაქმნელად. ამ ღონისძიებების შერჩევა და თითოეული მათგანის პრიორიტეტულობა დამოკიდებულია არა მარტო ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობაზე მოცემულ მომენტში და ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ კლიმატზე, არამედ სახელმწიფოს მიერ შერჩეულ

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელზე და გასატარებელ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

ძირითად დონისძიებებს, რომლებსაც სახელმწიფო იყენებს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მიეკუთვნება ფულის მიმოქცევის რეგულირება; ფასებისა და ხელფასის შეზღუდული რეგულირება; ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის შემადგენელი ნაწილების კოორდინაცია.

უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს სხვადასხვა ხერხებით. ეს არის სახელმწიფოს მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციის და ეკონომიკურ სტრუქტურაში სახელმწიფო სექტორის გაფართოების ხარჯზე, ხელსაყრელი პირობების ფორმირება ეროვნული და უცხოური ბიზნესის განვითარებისათვის; ახალი პროფესიების ათვისების მიზნით სახელმწიფო გადამზადების ცენტრის შექმნა; მატერიალური დახმარება დროებით უმუშევართათვის და ა.შ. უმუშევრობასთან ბრძოლისას სახელმწიფო ასრულებს არა მარტო თავის სპეციფიკურ ეკონომიკურ ფუნქციას, არამედ ერთდროულად სოციალურ ფუნქციასაც. ბაზარზე გადასვლას გარდაუვლად თან ახლავს ძირეული გარდაქმნები საკუთრებით ურთიერთობებში, და, როგორც შედეგი, შემოსავლების განაწილების პრინციპებში. „ყველას შრომის მიხედვით“ განაწილების პრინციპიდან „თითოეულს წარმოების ფაქტორებში მისი კუთვნილი წილის მიხედვით პრინციპზე გადასვლა“ წარმოადგენს რთულ და მტკივნეულ პროცესს. მისი უმართავობის შემთხვევაში გარდაუვალი ხდება მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მკვეთრი დიფერენციაცია, ადამიანების გადატაკება. ამიტომ ტრანსფორმაციულ პერიოდში ეროვნული შემოსავლის განაწილების რეგულირებისათვის აუცილებელია გარკვეული ზომით სახელმწიფოს მონაწილეობა.

გარდა ამისა, სოციალური ფუნქციის დახმარებით გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო აკუმულაციას ახდენს და ანაწილებს აუცილებელ სახსრებს შრომისუუნაროთა და ინვალიდების სოციალური დაცვისათვის, სოციალური სექტორის იმ ნაწილის შესანახად, რომელიც იმყოფება საბაზრო ურთიერთობების მოქმედების ფარგლებს გარეთ (გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, სავალდებულო განათლება).

სახელმწიფოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციის შესრულება მიმართულია საბაზრო მექანიზმების ნორმალური ფუნქციონირებისაკენ.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური საქმიანობაში უშუალო მონაწილის ფუნქციის თავის თავზე აღების აუცილებლობა გაპირობებულია არა მარტო განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაციის თანმიმდევრულობით. არსებობს სხვა გარემოებებიც, რომლებიც გაპირობებულია ეროვნული ეკონომიკისა და მისი სტრუქტურის მდგომარეობით. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო, როგორც წესი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგების საწარმოებს თავის საკუთრებაში ტოვებს.

გარდამავალ ეპოქაში სახელმწიფო სექტორის შემადგენლობაში იმყოფებიან საზოგადო-ებრივად მნიშვნელოვანი საწარმოები, რომლებიც დაკავებულნი არიან, მაგალითად, საფოსტო მომსახურებით, ელექტროენერჯის წარმოებითა და მიწოდებით, სარკინიგზო გადატვირთვებით და სხვ.

სახელმწიფო საკუთრებაში შედიან საწარმოები როგორც 100%-იანი სახელმწიფო საკუთრებით (უნიტარული სახელმწიფო საწარმოები), ისე საწარმოები შერეული საკუთრებით, სადაც სახელმწიფოს ეკუთვნის აქციონერული კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი. ხშირად ასეთი საწარმოების რიცხვს მიეკუთვნება ისინი, რომელთა პროდუქციას აქვს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა (გაზი, ელექტროენერჯია და სხვ.) მაგალითად, რუსეთის სახელმწიფო ფლობს „გაზმრეწვის“ სააქციო გაერთიანების აქციების საკონტროლო პაკეტს და, როგორც შედეგი, გაზზე ფასის დაწესების უფლებას. ამ უფლების გამოყენებით მთავრობა ახდენს უცხოეთში გასაყიდ გაზზე ფასების დიფერენციაციას. ეს საშუალებას აძლევს რუსეთს პოლიტიკური და სტრატეგიული პარტნიორებისათვის, მაგალითად, ბელორუსიისა და უკრაინისათვის დააწესოს უფრო დაბალი ფასები, გარკვეული სხვა დანარჩენ მომხმარებლებთან შედარებით.

სახელმწიფო სექტორის არსებობას ტრანსფორმირებად ეკონომიკაში არა აქვს მხოლოდ დადებითი მხარე. სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობა ეკონომიკაში მოიცავს უარყოფით მომენტსაც. გარკვეული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბაზრო სისტემის პირობებში, სახელმწიფო საწარმოების საქმიანობა პრინციპში არარაციონალურია. ამიტომ საბაზრო ურთიერთობათა განვითარების და სრულყოფის პირობებში სახელმწიფო საწარმოთა წილი ეროვნული ეკონომიკის საერთო სტრუქტურაში მცირდება.

მაგრამ ასეთი ტენდენცია სრულიადაც არ ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში თავისი ყველა პოზიციის დათმობას. ეკონომიკაში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის შეზღუდვასთან ერთად

მთელი საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ მისი როგორც ეკონომიკური პროცესების მარეგულირებელი ძირითადი ორგანოს როლი ობიექტურად იზრდება.

### **სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზანი, მექანიზმები და მასშტაბები გარდამავალი ხანის ეკონომიკაში**

სამეურნეო საქმიანობის რეგულირება საბაზრო სისტემის პირობებში ზოგადად და მისი რადიკალური რეფორმირების ფაზაში, კერძოდ, სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ ფუნქციის შესრულებას აქვს მკაცრად შეზღუდული საზღვრები. უპირველეს ყოვლისა, რეგულირებას არ შეიძლება ჰქონდეს ტოტალური ხასიათი. სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია გაპირობებულია იმით, რომ თანამედროვე მსხვილმასშტაბიანი, ეროვნული ჩარჩოებიდან გასული ეკონომიკის და სწრაფადგანვითარებადი სოციალური სექტორის არსებობის პირობებში საბაზრო მექანიზმის მოქმედება იდეალური და ყოვლისმომცველი არ არის. ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნება მისი გარკვეული შევსების მოთხოვნა. იგი განსაკუთრებით ნათელია ბაზრის ჩამოყალიბების პერიოდში, როცა ხდება საბაზრო მექანიზმის ელემენტების ფორმირება და მათი ურთიერთქმედება ჯერ კიდევ არ ხდება ავტომატურად. გარდა ამისა, რეფორმირების პერიოდში წარმოიქმნება (შემდგომში იგი კიდევ უფრო იზრდება), სოციალურ სფეროში ურთიერთობის რეგულირების მოთხოვნა, სადაც საბაზრო მექანიზმის მოქმედების როლი პრაქტიკულად მინიმალურია.

ეკონომიკის რეგულირებისათვის სახელმწიფო ფლობს მეთოდებისა და ინსტრუმენტების გარკვეულ არსენალს. მათი შემაღგენლობა და ერთის უპირატესობა სხვებთან შედარებით დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობაზე, მისი რეფორმირების ფაზებზე და მიზნებზე, რომლებიც განსაზღვრულია განვითარების მოცემულ პერიოდში.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდები იყოფა ორ სხვადასხვა სახეობად: ეკონომიკურ პროცესებზე პირდაპირ და (ირიბი) ზემოქმედების მეთოდად.

პირდაპირი მეთოდის რეალიზაცია ხდება ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩარევით.

ამ მეთოდის რეალიზაციის ფორმებს მიეკუთვნება:

– სახელმწიფო საჭიროებისათვის გარკვეული საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისათვის ფირმებთან დაკვეთები;

– ეკონომიკის ცალკეული სფეროს მხარდაჭერისა და რეფორმირებისათვის, მაგალითად, სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად საბინაო-კომუნალური სამსახურებს რეფორმირებისათვის ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა.

– რომლებიც აწარმოებენ საზოგადოებრივად აუცილებელ, ფირმებისათვის მწარმოებელი, ან უცხოელი და სამამულო ინვესტორებისათვის მნიშვნელოვან პროდუქციას საგადასახადო შეღავათების მიცემა;

– მონოპოლიების საქმიანობის შეზღუდვა;

– განსაზღვრული სახის საქმიანობის ლიცენზირება, კვოტირება და ექსპორტ-იმპორტზე საბაჟო გადასახადების დადგენა;

– სამეურნეო საქმიანობის განსაზღვრული სახეობის აკრძალვა;

– საქონლისა და მომსახურების გარკვეულ წრეზე ფასების ზღვრული დონის დაწესება;

– ხელფასის მინიმალური დონის დადგენა, მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებისათვის სოციალური შეღავათების მინიჭება და ა.შ.

პირდაპირი სახელმწიფო რეგულირების ფორმების გამოყენება ყოველთვის უნდა იყოს დოზირებული, რამდენადაც პირდაპირი სახელმწიფო ჩარევა ეკონომიკაში ყოველთვის აუცილებლად ზღუდავს საბაზრო მექანიზმის მოქმედებას.

არაპირდაპირი რეგულირების მეთოდი გულისხმობს სახელმწიფო ზემოქმედებას ეკონომიკაზე მის მიერ შემუშავებული „თამაშის წესებით“, იმ კანონების, დებულებების და წესების ნაკრებით, რომელიც არეგულირებს საკუთრების უფლებას, უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს მეწარმეობის განვითარებისა და კონკურენტული გარემოს ფორმირებისათვის.

ირიბი მეთოდის ფორმებს წარმოადგენენ:

– სახელმწიფო კანონების მოქმედი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრების გარანტიებს; კანონები „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ და კანონები, რომლებიც იცავენ კონკურენტციას;

– საგადასახადო სისტემა;

- საბიუჯეტო ურთიერთობათა სისტემა;
- ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სისტემა;
- საბაჟო წესების სისტემა;
- პროგნოზირება და ინდიკატორი დაგეგმვა.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში მიმდინარეობს ეკონომიკის არაპირდაპირი რეგულირების ქმედითი მექანიზმების შერჩევასა და აპრობაციის პროცესი. ტრანსფორმაციის საწყის ფაზაში მათი როლი ჯერ კიდევ არ არის მნიშვნელოვანი, მათი მნიშვნელობა იზრდება საბაზრო ურთიერთობების განვითარების და სრულყოფის კვალობაზე. დროთა განმავლობაში, როცა ირიბი მეთოდების რეალიზაციის ფორმები მიაღწევენ სასურველ შედეგს და სტაბილურობას, ისინი ობიექტურად უპირატესნი ხდებიან რეგულირების პირდაპირ ფორმასთან შედარებით, რამდენადაც ისინი პირდაპირ არ ეწინააღმდეგებიან ძირითადი რეგულატორის – საბაზრო მექანიზმის მოქმედებას, არამედ მხოლოდ ავსებენ მას, უფრო ნაყოფიერს ხდიან მის მუშაობას.

მისგან განსხვავებით, პირდაპირი ფორმების როლი საბაზრო ურთიერთობათა განვითარების შესაბამისად არაერთმნიშვნელოვანია. თუ ეკონომიკურ სფეროში რომელიმე ამ ფორმის გამოყენება შემცირდება (მაგალითად, ეკონომიკის ზოგიერთი სფეროს საბიუჯეტო დაფინანსება), მაშინ პირდაპირი ფორმების სოციალური როლი თანდათან გაიზრდება (მაგალითად, სოციალური გარანტიების ნაკრების გაფართოვება, რომელსაც სახელმწიფო აძლევს მოსახლეობას).

### **გარდამავალი ხანის ეკონომიკის სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტის თავისებურებანი საქართველოში**

საქართველოში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო სისტემად გარდაქმნის პროცესი სპეციფიკურად წარიმართა რიგი მიზეზების გამო.

ჯეროთი, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დაწყება დაემთხვა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს, რომელსაც დროდადრო თან ახლდა მწვავე პოლიტიკური ბრძოლა. რეფორმირების პროცესი დაიწყო ერთი სახელმწიფოს სსრკ-ის სივრცეში და გაგრძელდა უკვე დამოუკიდებელ საქართველოში.

მეორე, ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე საზოგადოების ბიუროკრატიზაციის გაძლიერების პარალელურად სახელმწიფოს როლი და ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დაეცა, არადა სწორედ სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების პროცესების მართვა.

მესამე, გარდამავალი ეპოქის საწყის ეტაპზე საქართველოში ეკონომიკის რეფორმირების პროცესი განხორციელდა ძირითადად რადიკალური მეთოდების საშუალებით, როგორცაა „შოკები“, „კონვერსია“, რაც ხელს უწყობდა ეკონომიკური დაცემის გაძლიერებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომ დაქვეითებას და სოციალურ კოლიზიებს.

ამ და რიგი სხვა გარემოებების გამო ტრანსფორმაციის პროცესი საქართველოში მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. რეფორმების დასაწყისისათვის პრაქტიკულად შეწყვიტა მოქმედება ეკონომიკის მართვის ძველმა სისტემამ, ქვეყანა კი აღმოჩნდა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე. ბუნებრივია, სახელმწიფოს შენარჩუნების და მისი ეკონომიკის რეფორმირებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად საჭირო იყო სახელმწიფოს როლის განმტკიცება.

გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ძირითად მიზნად იქცა:

- სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტების უმეტესობის ინტერესების გამომხატველ ხელისუფლების ორგანოს გაძლიერება;
- მაკროეკონომიკური პროცესების მართვადობის აღდგენა.
- ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და წანამძღვრების შექმნა ეკონომიკური ზრდის დაწყებისათვის.

ამ მიზნების მიღწევა დაკავშირებული იყო სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევის პირდაპირი ფორმების გამოყენებასთან. ირიბი ფორმები ამ დროს ჩამოყალიბებისა და აპრობირების სტადიაზე იმყოფებოდა. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან ხელისუფლება ცდილობდა შეემუშავებინა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალო ვადიანი პროგნოზები და პროგრამები.

ტრანსფორმაციული პერიოდის პირველი ფაზის დამამთავრებელ ეტაპზე სახელმწიფოს როლი უდავოდ გაიზარდა, ამაღლდა ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების ძალა. მაგრამ რიგი მიზეზების გამო, მიღებული კანონებისა და გადაწყვეტილებების ხარისხი, როგორც წესი, დაბალი იყო. შეცდომები

და უზუსტობები ხელისუფლების მაღალი ემელონების საქმიანობაში ხელს უწყობდა არაეფექტიანი ან სახელმწიფო ორგანოების მიერ უკვე მიღებული კანონების საწინააღმდეგო საკანონმდებლო აქტების მიღებას. ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ეს და სხვა გარემოებები ხელს უშლიდა რეფორმირების ნორმალურ მსვლელობას; საქართველოში ტრანსფორმაციის პერიოდი საკმაოდ დიდხანს გაჭიანურდა. რეფორმები ზოგიერთ სფეროში არ არის დასრულებული, ხოლო ზოგან, პრაქტიკულად არც დაწყებულია. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული რეფორმები საფინანსო და სადაზღვევო სექტორებში; საწყის ფაზაშია მიწისა და საპენსიო რეფორმები, ხოლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის რეფორმირება ჯერაც არ დაწყებულია.

გარდა ამისა, საზოგადოება უკვე განხორციელებული რეფორმების ხარისხის, ფორმების და რეალიზაციის მეთოდების მიმართ. საგულისხმო და სამართლიან პრეტენზიებს გამოთქვამს უარყოფით შეფასებას აძლევს განსახელმწიფოებრივებისა და პრიატიზაციის ფორმებს და შედეგებს. არსებითი უზუსტობები იყო საგადასახადო სისტემის რეფორმირებისას. სახელმწიფოსათვის დიდი მატერიალური დანაკარგების ფასად მოხდა საგარეო ვაჭრობის სისტემის რეფორმირებაც და ა.შ.

დღემდე დიდ სიძნელეებს განიცდის კანონშემოქმედებითი პროცესი. ბუნებრივია, საბაზრო ურთიერთობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა დიდ ენერჯის, დანახარჯებს და დროს მოითხოვს. უფრო მეტიც, ეკონომიკასა და პოლიტიკაში ვითარების გარდაუვალ ცვლილებებთან დაკავშირებით საჭირო გახდა მიღებული კანონების დიდ ნაწილში ცვლილებების და დამატებების შეტანა; რიგი კანონებისა მათი მიღებიდან რამდენიმე წლის შემდეგაც კი არ არის მთლიანად რეალიზებული.

საქართველოში ეკონომიკის რეფორმირების ნაკლოვანებებმა ბევრად შეუწყო ხელი 1998 წლის ფინანსური კრიზისის აღმოცენებას, რომელიც ნეგატიურად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე. ამასთან, მან არაპირდაპირ შეუწყო ხელი მოსალოდნელ ეკონომიკურ გამოცოცხლებას. ლარის კურსის დაცემის წყალობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა კრიზისის დროს, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმპორტის მოცულობის შეზღუდვისა და ექსპორტის გადიდებისათვის. ბიზნესის წარმომადგენლების მიერ ეკონომიკაში წარმოქმნილი სიტუაციის რაციონალურად გამოყენების შედეგად გაიზარდა წარმოების მოცულობა ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში. ამან შესაძლებელი გახადა ქვეყნის საგარეო სავაჭრო და საგადასახდლო ბალანსის გაუმჯობესება.

1995 წლიდან ქვეყნის ეკონომიკაში დაიწყო სტაბილიზაციის პროცესი, და ეკონომიკური ზრდა. ამ დროდანი ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარეობს არსებითი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები. შეუქცევადი გახდა სახელმწიფო საკუთრების სხვადასხვა სახის კერძო საკუთრებად გარდაქმნის პროცესი, განმტკიცდა საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი ბაზა, უფრო საგრძნობი გახდა საბაზრო მექანიზმის მოქმედება. ეკონომიკაში მიღწეული შედეგები, აგრეთვე ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილება ხელს უწყობს სახელმწიფოს, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, მარეგულირებელი ორგანოს როლის განმტკიცებასა და ამაღლებას.

ეკონომიკის ტრანსფორმირების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს მოქმედება უფრო მაღალ და უფრო ხარისხიან სამეშრულებლო დონეზე ავიდა. უკანასკნელ წლებში საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებულ იქნა რიგი კანონებისა და შეტანილ იქნა შესწორებები უკვე მოქმედი კანონებში, რომელთა მოქმედება არსებითად ამუხრუჭებდა ეკონომიკური რეფორმირების მსვლელობას. მათ შორის მნიშვნელოვანია კანონი „მიწის“ შესახებ, სადაც არა მარტო დეკლარირებულია მიწაზე კერძო საკუთრების უფლება, არამედ მიმაგრებულია უფლება მის ყიდვა-გაყიდვაზე. საბაზრო ეკონომიკის ახალი ფაზის მოთხოვნების შესატყვისად შესწორებები იქნა შეტანილი საბაჟო კოდექსში „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“, „ინვესტიციების შესახებ“ კანონებში. აგრეთვე შეიქმნა ახალი საგადასახადო კოდექსი. მიღებულ და ამოქმედებულ იქნა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც არეგულირებს ეკონომიკურ ურთიერთობებს სამეურნეო სუბიექტებს შორის. სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პროგრამების შემუშავებას და რეალიზაციას 2001-2005 წლებისათვის, დაგეგმილია განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შექმნა 2010 წლამდე პერიოდისათვის.

დადებითი შედეგები, რომლებიც მიღწეულია ეკონომიკურ განვითარებისა და რეფორმირების სფეროში, ამასთან სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა საშუალებას იძლევა ამაღლდეს საქართველოს არა მარტო საშინაო, არამედ საერთაშორისო ავტორიტეტი.

საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების შექმნის პროცესის დასრულებამ და მისი სტაბილიზაციის დაწყებამ სახელმწიფოსაგან მოითხოვა ახალი მიზნების წინა პლანზე წამოწევა. მათ შორის მნიშვნელოვანია:

- ეკონომიკის რეფორმირების პროცესში მიღწეული შედეგების განმტკიცება;
- სრულფასოვანი საბაზრო რეფორმების განხორციელება იმ სფეროებსა და დარგებში, სადაც რეფორმირების პროცესები უნდა გაგრძელდეს და იქაც, სადაც ჯერ არ დაწყებულა;
- საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფა და მათთვის მეტი სოციალური მიმართულების მიცემა;
- ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, 2010 წლისათვის მშპ მოცულობის გაორმაგება.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებმა და ეკონომიკური პოლიტიკის ახალმა მიზნებმა გამოხატულება პოვა სახელმწიფოს ფუნქციებში. თანდათან დაკარგა აზრი იმ ფუნქციებმა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ბაზარზე გადასვლის ორგანიზაციულ სამუშაოებთან; ეკონომიკაში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის ზომა. ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირებისათვის საქართველოს მთავრობამ 2005 წელს საქართველოს პარლამენტში დასაამტკიცებლად წარმოადგინა კანონის პროექტები, რომლებიც ავალდებულებენ ხელისუფლების ყველა ორგანოს დაასაბუთონ მათზე მიმდგრებული თითოეული ფუნქციის აუცილებლობა, მათ შორის ეკონომიკურის. ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებში დაიწყო მუშაობა მათ მიერ შესასრულებელი ფუნქციების დასაბუთებაზე. მისი ერთ-ერთი შედეგია ის, რომ საქართველოს მთავრობა მიმდინარე წელს ითვალისწინებს ქვეყნის სამინისტროების მიერ რიგი ფუნქციების მნიშვნელოვან შემცირებას.

ბაზარზე გადასვლის ახალი ფაზა ხასიათდება სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის ხვედრი წილის თანდათან შემცირებით. ეს პროცესი ვლინდება სახელმწიფო კომპანიების საკუთრების აუქციონზე გაყიდვის ფორმით.

ამასთან, განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება არ ნიშნავს სახელმწიფოს გადასვლას დაქვემდებარებულ როლში. თავისი, როგორც მესაკუთრის და ეკონომიკური პროცესების უშუალო მონაწილის პოზიციის დათმობით სახელმწიფო ერთდროულად უნდა გააძლიეროს თავისი მარეგულირებელი ფუნქცია. ეკონომიკური პროცესების რეგულირების ირიბი ფორმების ინსტრუმენტების გამოყენებით მან სულ უფრო მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოახდინოს ინფლაციის ტემპების შენელებაზე და უმუშევრობის შეზღუდვაზე, ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესებაზე და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაზე, სიდარბესთან ბრძოლაზე და მოსახლეობის შემოსავლების გადიდებაზე, მსოფლიოს ეკონომიკურ თანამეგობრობაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციაზე.

## თემა 4. განსახელმწიფოებრიობა-გარდამავალი ხანის ეკონომიკური გარდაქმნების მნიშვნელოვანი მიმართულება

### განსახელმწიფოებრიობის პროცესის არსი

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია, განსახელმწიფოებრიობა, რომლის მიზანს წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნათა შესაბამისად საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნების დამკვიდრება, მრავალწილობიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება, მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში რეალური მეურნეობის ფორმირება, მწარმოებლური შრომის მოტივაციის შექმნა და ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება.

გარდამავალ ქვეყნებში საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების საკვანძო პრინციპებად მიჩნეულ უნდა იქნეს კომპლექსურობა, ეტაპობრიობა, მრავალ-ფეროვნება, დარგებისა და სუბიექტების სპეციფიკის გათვალისწინება, ამ პროცესის გონივრული სახელმწიფოებრივი რეგულირება.

მცირე პრივატიზაცია მოიცავს ადგილობრივი მრეწველობის მცირე საწარმოების, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს პრივატიზაციას. აუცილებელია მისი წახალისება რეფორმის საწყის ეტაპზე. პრაქტიკამ ცხადყო, რომ მათთვის მხარდაჭერის პირობებში ეს საწარმოები შეიძლება სწრაფად განვითარდნენ. აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში კერძო სექტორის საქმიანობაზე მოხსნილია შეზღუდვები, ამოქმედებულია კანონები, რომლებიც კერძო კომპანიებს სახელმწიფო საწარმოების მსგავსად თანაბარ პირობებში აყენებს, ყველა საშუალებას იყენებენ წვრილი საწარმოების სწრაფი პრივატიზაციისათვის და შედეგებიც საგრძნობია.

აღმოსავლეთ გერმანიაში 20000 წვრილი საწარმოდან თითქმის ყველა-რესტორნების, სასტუმროების (მსხვილის გარდა), კინოთეატრების და საცალო ვაჭრობის ობიექტების ჩათვლით, გაიყიდა 1991 წლის პირველ ნახევარში, მათი უმეტესობა შესყიდულ იქნა აღმოსავლეთ გერმანიის მცხოვრებლების მიერ.

რეფორმის საწყის ეტაპზე პოლონეთში პრივატიზირებულ იქნა საცალო ვაჭრობის ობიექტების თითქმის 70%, დაახლოებით 60 ათასი სახელმწიფო მაღაზია. ზოგიერთი შეფასების მიხედვით, 1992 წლის დასაწყისისათვის პოლონეთში დაფუძნებული იყო 1,5 მლნ ინდივიდუალური საწარმო და 40000 კორპორირებული ფირმა, უნგრეთში კი 300000 ინდივიდუალური საწარმო და 30 ათასი კორპორირებული ფირმა. ქვეყანაში სწრაფი სვლით მიდიოდა რესტორნების, მომსახურების სფეროს და წვრილი საწარმოების პრივატიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ბევრი კერძო სექტორში რეგისტრირებული საწარმო პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს, ხოლო კერძო სექტორში დასაქმებულთა მნიშვნელოვანი წილი ძირითად სამუშაოსთან ერთად დამატებით მუშაობს, წვრილი კერძო საწარმოების განვითარება გავლენას ახდენს დასაქმებაზე. დროთა განმავლობაში შესაბამისი პირობების შექმნისას წვრილი საწარმოები გადაიქცევიან საშუალო ზომის ფირმებად და შეძლებენ შეიტანონ თავიანთი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ისეთ პირობებში, როცა მოსახლეობას არა აქვს კაპიტალი და არსებობს შეზღუდვა ამ საწარმოების უცხოელებზე მიყიდვაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა საწარმოთა ღირებულება შემცირებულია მსხვილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია წარმოადგენს მთავარ პრობლემას. იმისათვის, რომ პრივატიზაცია იყოს წარმატებული, აუცილებელია სხვა რეფორმების გატარება, კერძოდ, როგორცაა ფასების რეფორმა, მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების და კონკურენტული გარემოს ფორმირება, ისეთი კანონების მიღება, რომლებიც წახალისებენ ეფექტიანად მოქმედ საწარმოებს და კაპიტალის დაგროვებას.

1. **საბაზრო ფასები აუცილებელია საწარმოთა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.** მანამ, სანამ ფასები არ გახდება საბაზრო, ფირმის მოგება ან ზარალი არ შეიძლება იყოს ეფექტიანობის საზომი. კერძოდ, სულ არ არის აუცილებელი საწარმოს დახურვა ზარალის გამო, თუ ფასები წესდება სახელმწიფოს მიერ გაწონასწორებული დონის ქვემოთ. შესაძლებელია საწარმო რენტაბელური ყოფილიყო თავისი პროდუქციის საბაზრო ფასებით გაყიდვის შემთხვევაში. ამდენად, საწარმოს ხელმძღვანელებს არ შეუძლიათ პასუხი აგონ მის რენტაბელობაზე, თუ ფასებს მთავრობა ადგენს.

2. **რაციონალური სავალუტო კურსი, ეროვნული ვალუტის შექცევადობა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია** აუცილებელია იმისათვის, რომ ახლად შექმნილმა კერძო კომპანიებმა მსოფლიოს ბაზარზე შეძლონ კონკურენტის გაწევა. წარმოების და გაყიდვის შეზღუდვა მხოლოდ საშინაო ბაზრის ჩარჩოებში ამცირებს მსხვილმასშტაბიანი წარმოების უპირატესობას და ქმნის სიძნელეებს ფირმების



განვითარებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში.

**3. საწარმოებისათვის ფინანსური პირობების გამაყვანება აიძულებს** ხელმძღვანელებს გადაწყვიტონ რთული პრობლემები, რაც აუცილებელია მათი გადარჩენისა და წარმატების მიღწევისათვის. კერძოდ, მკაცრი ფინანსური პირობები ფირმებისაგან მოითხოვს ხელფასის შეზღუდვას. ასეთ პირობებში საწარმოები აცნობიერებენ, რომ მათი შესაძლებლობები ფასების გადიდების მიმართულებით განისაზღვრება ბაზრის მიერ, განსაკუთრებით კონკურენტული ბაზრის პირობებში.

4. გარდამავალი ეკონომიკის ბევრ დარგში **კონკურენტული გარემოს (მყიდველის ბაზარი) ფორმირება** საჭიროა, რადგან შეიზღუდოს საწარმოთა მონოპოლია. ამასთან, აუცილებელია შესაბამისი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ჭარბი ფულადი მასის და ჭარბი მოთხოვნის შემცირებისაკენ, რასაც ექნება მნიშვნელოვანი შედეგები მაკროეკონომიკურ დონეზე.

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული საწარმოთა საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებისათვის და მომხმარებლის შესაბამისი ქცევის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია გამყიდველის ბაზრის შეცვლა მყიდველის ბაზრით. თავდაპირველად მყიდველები (მომხმარებლები) ყიდულობენ ყველაფერს, რაც იწარმოება (გამყიდველის ბაზარი), მწარმოებლებს აღარ აქვთ სტიმულები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ან ემეზონ უფრო სრულყოფილი ტექნოლოგია. ეფექტიანი კონკურენციის პირობებში კი კომპანიების ხელმძღვანელები ზუსტ რეაგირებას მოახდენენ მომხმარებელთა სურვილებზე, დასაქმდებიან ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიების ძიებით, რომლებიც უზრუნველყოფს წარმოების დაბალ დანახარჯებს.

5. **შესაბამისი კანონმდებლობისა და სამართლებრივი ნორმების შექმნა** აუცილებელია, რათა პრივატიზებულმა საწარმოებმა კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს. ეკონომიკაში, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება გაბატონებული სახელმწიფო სექტორი. მანამ, სანამ არ იქნება პრივატიზებული სახელმწიფო სექტორის საწარმოები, კერძო ფირმები ეცდებიან იპოვონ თავიანთი ნიში, სადაც არ სჭარბობს სახელმწიფო საწარმოები. გარდამავალ ხანაში აუცილებელია შეიქმნას და ამოქმედდეს ახალი ინსტიტუტები, სისტემები და კანონები, კერძოდ:

- კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ კერძო საკუთრების უფლებებს, არეგულირებენ ხელშეკრულებებს, კორპორაციული საკუთრების ორგანიზაციულ ფორმებს და გაკოტრების პროცედურას;
- საგადასახადო სისტემა, რომელიც ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ წესებს და დებულებებს;
- სხვა სისტემები, კერძოდ, ისინი, რომლებიც საბუღალტრო ანგარიშგების მიმართულებით მკაფიოდ განსაზღვრავენ უფლებებსა და მოვალეობებს.

6. **საწარმოთა ხელმძღვანელების (მმართველების) ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობა** ამ პროცესში მეტად მნიშვნელოვანია. თუ მმართველები ფინანსურ პასუხისმგებლობას კისრულობენ ფირმის საქმიანობაზე, საბაზრო სიგნალებზე დაყრდნობით მათ უნდა ჰქონდეთ ფასების, აგრეთვე ხელფასის დაწესების, დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრის უფლება და სხვ. წარმატებული პრივატიზაცია მოითხოვს, ასევე კაპიტალის შერწყმას, პროფესიონალურ ცოდნას მმართველობის სფეროში, ტექნიკურ გამოცდილებას, ფართო ინფორმაციის ფლობას ბაზრებსა და პროდუქციაზე. ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მსხვილი ფირმებისათვის, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან საგარეო ბაზრებზე. გარდამავალი ხანის საწყის ეტაპზე ნაკლებად იქნება საფუძველი იმისა, რომ ახალი, გამოუცდელი მფლობელები (მმართველები) კაპიტალის შეზღუდული ოდენობით სწრაფად შეძლებენ საწარმოს აღორძინებას. ამასთან იმ შემთხვევებში, როცა არ დაიშვება უცხოური კაპიტალის მონაწილეობა საწარმოში, საწარმოთა ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია განხილული იქნეს კონსულტანტის დაქირავების შესაძლებლობა.

მართვისა და ტექნიკური ექსპერტიზის სფეროში აუცილებელი დახმარების გაწევა ასევე შეუძლიათ რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკსა და ევროპის ბანკს.

### **პრივატიზაცია როგორც განსახელმწიფოებრიობის ფორმა**

პრივატიზაციას ბევრი განიხილავს როგორც განსახელმწიფოებრიობის ძირითად ფორმას და ეკონომიკური რეფორმის ცენტრალურ რგოლს.

იმ პირობებში როცა ხორციელდება სხვა სახის გარდაქმნები – ფასებისა და საგარეო ვაჭრობის

ლიბერალიზაცია, გადაიჭრება ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის საკითხი, მოქმედებაში შედის შესაბამისი კანონმდებლობა, საწარმოებისათვის წესდება მკაცრი ფინანსური შეზღუდვების პირობები და ხელმძღვანელობას ეძლევა ფასების, ხელფასის განსაზღვრისა და რესურსების განთავსების უფლება პრივატიზაციას ეკისრება:

– **აამაღლოს შრომისნაყოფიერება**, რამდენადაც საწარმოთა მფლობელებსა და მმართველებს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაკოტრების ალბათობის შემცირების მიზნით უჩნდებათ ეფექტიანად მოქმედების სურვილი და მისწრაფება;

– **შეამციროს საქონლის დეფიციტი და სიჭარბე**. საწარმოებმა ეფექტიანი მოქმედების უზრუნველსაყოფად ყურად უნდა იღონ მომხმარებელთა სურვილები. ეს მოითხოვს იმის ანალიზსა და შესწავლას, რა სახის და როგორი ხარისხის პროდუქცია სჭირდება მყიდველებს, მომხმარებელთა რაოდენობის განსაზღვრას, რომელსაც შეუძლია აღნიშნული საქონლის შექმნა;

– **გააძლიეროს კონკურენცია**. პრივატიზაცია ხელს უწყობს სახელმწიფო საწარმოთა მონოპოლიური უფლებების შემცირებასა და კონკურენციის განვითარებას.

გარდამავალი ხანის ქვეყნებში პრივატიზაციის განხორციელებას ართულებს შემდეგი პრობლემები:

**კაპიტალის უკმარისობა ქვეყნის შიგნით**. პოსტსოციალისტური ქვეყნების ახლადწარმოქმნილ საბაზრო ეკონომიკაში ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელთაც აქვთ საკმარისი სახსრები საწარმოთა ძირითადი კაპიტალის ნაწილის გამოსასყიდათ. ამასთან ზემოთ აღნიშნული ქვეყნების უმეტესობაში პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო ფონდების გაყიდვა უცხოელებზე შეზღუდულია. არსებობს საფრთხე, რომ ისინი, ვისაც აქვთ კაპიტალი, უკანონოდ შეიძენენ ფონდებს და იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ ფასდება საწარმოს ძირითადი ფონდები მათ ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ დიდძალი დაუმსახურებელი მოგება.

**საწარმოს ღირებულების ზუსტად შეფასებასთან დაკავშირებული სიძნელებები**. სახელმწიფოს მუდმივი ჩარევის შედეგად წლების განმავლობაში ფასებს დამახინჯების, ბუღალტრული აღრიცხვის ნორმების არაადეკვატურობის, სახელმწიფო საწარმოების ფონდების შეფასების გამოცდილების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების არყოლის გამო აღმოჩნდა, რომ ძალზე ძნელია საწარმოს ღირებულების შეფასება. სირთულე კიდევ ისაა, რომ ბევრ ქვეყანაში ძნელია იმის შეფასება თუ რა შედის საწარმოს აქტივებში. ზემოთ დასახელებული პრობლემების გამო მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიაში, გამოიყენებოდა ე.წ. „არასრული კონტრაქტები“, რომელთა მიხედვითაც გასაყიდი ფასი განისაზღვრებოდა გვიან.

**შესაბამისი კანონმდებლობის განუვითარებლობა**. ზოგიერთ ქვეყანაში საკუთრების უფლება არ არის განსაზღვრული, ხოლო ხელშეკრულებაზე, საკუთრებაზე, გაკოტრებაზე და ა.შ. შესაბამისი კანონმდებლობა შემუშავების პროცესშია.

**კრედიტზე შეზღუდვების დაწესება**. სტაბილიზაციის საწყის პერიოდში მთავრობის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამო წესდება გარკვეული შეზღუდვები კრედიტზე.

**პოლიტიკური განუსაზღვრელობა** ახასიათებს რეფორმის პირველ ეტაპს, მანამ, სანამ არ იქნება ნათელი, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოგვცა სასიკეთო შედეგები. ბევრს ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით მათ ვინც თავის დროზე იყო სახელმწიფო-პარტიული ბიუროკრატის ნაწილი, აქვს სურვილი ადმინისტრაციულ-მზრძანებლური ეკონომიკისაკენ შემობრუნებისა.

**ყოფილი მფლობელების პრეტენზიებს** შეაქვთ გაურკვეველობა პრივატიზაციის პროცესში. ადამიანები, რომლებიც ფლობდნენ საწარმოებს მათ ნაციონალიზაციამდე გასული საუკუნის 40-50-იან წლებში, აცხადებენ თავის უფლებას ამ აქტივებზე.

**ბიუროკრატის პოზიცია**. ბევრი წუხს, რომ ადგილობრივი პოლიტიკური მოღვაწეები და სახელმწიფო ორგანოებში მოკალათებული ბიუროკრატები შეძლებენ გავლენა მოახდინონ პრივატიზაციის ორგანოებზე, ამ მიზნით ხელშეუხებელი დატოვონ საწარმოები, რომლებიც არ არიან კონკურენტუნარიანი და რომლებსაც არ აქვთ გადარჩენის შესაძლებლობა. პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა პრივატიზაციის პროცესში არის ძირითადი და განმსაზღვრელი.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეროვნული მეურნეობის უმეტეს ან ყველა დარგში პრივატიზაციის ძლიერი მხარდაჭერა შედეგია სახელმწიფო საწარმოთა არაადამაკაყოფილებელი მუშაობის, არაეფექტიანობის, სურვილის – ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება და შემცირდეს დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, რომლის ყიდვა ადამიანებს არა სურთ. მაგრამ ეს ამოცანა ძალიან ფართოა თავისი მასშტაბით. ცხრილი 4.1-დან ჩანს, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო საწარმოები აწარმოებდნენ დამატებული ღირებულების 80%-ს (იგი მიღებულია ქვეყანაში წარმოებული სიმდიდრის საზომად).

## სახელმწიფო სექტორის მასშტაბები ზოგიერთ ქვეყნებში

ქვეყანა	დღე წილი წარმოებაში %	საწარმოო სფეროში საწარმოთა რაოდენობა
ჩეხოსლოვაკია	97	4800
გდრ	97	8000
სსრკ	96	48000
უნგრეთი	86	2300
პოლონეთი	82	7500
დასავლეთ გერმანია	11	-
დიდი ბრიტანეთი	1	-
აშშ	11	-

წყარო: Suzvej „Business in Fastern Europe”, *Econimist*, 1991, September, 21, Table 4.

ისტორიულად არსად, არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა მცდელობა ასეთი კოლოსალური მასშტაბის პრივატიზაციის განსახორციელებისა. ადრე 1979-1989 წლებში, შედარებით დიდი მასშტაბის პრივატიზაცია განხორციელდა ჩილეში, როცა პრივატიზებულ იქნა 470 კომპანია, რომლებზედაც მოდიოდა წარმოებული დამატებული ღირებულების 24%. ბევრი მიიჩნევს, რომ მასობრივი პრივატიზაცია საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ასპექტია და ის უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება სწრაფად. ამის ერთ-ერთი მოტივი არის რწმენა იმისა, რომ კერძო კომპანიები აუცილებელია საბაზრო ეკონომიკისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მრავალი პრობლემა წამოიჭრება განსაკუთრებით მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესში. ექვგარეშა, რომ იგი ყველაზე უფრო რთულია ეკონომიკური რეფორმის ამოცანებს შორის. პრივატიზაციის პროცესის დასამთავრებლად საჭიროა დიდი დრო და ძალისხმევა, რადგან ამ გზაზე წარმოიშობა მნიშვნელოვანი პრობლემები.

### პრივატიზების გზები და მეთოდები

ცხადია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის მთავრობები პრივატიზაციის განხორციელებისას გამოიყენებენ სხვადასხვა მიდგომებსა და მეთოდებს. განვიხილოთ ეს მეთოდები.

#### რეპრივატიზაცია

რეპრივატიზაცია არის საწარმოების დაბრუნება მათი ყოფილი მფლობელებისათვის. ზოგიერთ ქვეყნებში მიღებული იყო კანონები გასული საუკუნის 40-იან წლებში კონფისკებული აქტივების მათი ყოფილი მესაკუთრეებისათვის დაბრუნების შესახებ. აქ პრობლემა წარმოიქმნება იმასთან დაკავშირებით, რომ 50 წლის წინანდელ პრეტენზიებზე დაფუძნებული საკუთრების უფლებები ძალზე ადრეულია. მრავალი ათასი სასამართლო საქმის განხილვისათვის საჭიროა წლები, რომ ყველა პრობლემა გარჩეულ იქნეს დეტალურად. უმრავლესობა თვლის, რომ პრივატიზაციის პროცესი ვერ დაელოდება იმ ფუფუნებას, როცა გადაწყვეტილი იქნება რეპრივატიზაციის საკითხი.

#### სტიქიური პრივატიზაცია

სტიქიური პრივატიზაცია არის საწარმოებისა და მათი აქტივების გაყიდვა ხშირად ნომინალური ფასებით თვით საწარმოს მუშებზე და მმართველებზე. მომგებიანი საწარმოები გაიყიდება მათზე, ვინც დაკავშირებულია ამ საწარმოსთან, ვისაც აქვს ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ და აუცილებელი კავშირები მასთან. გასული საუკუნის 90-იან წლებში სტიქიური პრივატიზაცია გავრცელებული იყო უნგრეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში.

პრივატიზაციის ეს ხერხი, როცა საწარმოს მუშაკები მთავრობის განზრახვისაგან დამოუკიდებლად ეუფლებიან საწარმოებს, სხვადასხვა ზომით გავრცელებულია გარდამავალ ქვეყნებში. რაც უფრო ხანგრძლივად მუშავდება და ხორციელდება პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა მით უფრო მეტია სტიქიური პრივატიზაციის ალბათობა. ამასთან ადრინდელ რეჟიმში მოღვაწე პირები ამ საქმის ბოროტად გამოყენების შედეგად გაყიდვებისაგან ღებულობენ დიდ გამორჩენას. წარმოიშობა დიდი უკმაყოფილება. უნგრეთში სტიქიური პრივატიზაცია წარმოადგენდა სახელმწიფო საწარმოთა გაყიდვის მნიშვნელოვან

მეთოდს.

### **საჯარო ვაჭრობა (აქტიური პრივატიზაცია)**

საჯარო ვაჭრობა სტიქიური პრივატიზაციის ერთადერთი ალტერნატივაა, რომლის დროსაც მთავრობა ყიდის ფირმას იმაზე, ვინც მეტ ფასს იხდის. იუგოსლავიასა და აღმოსავლეთ გერმანიაში ეს მეთოდი გამოყენებული იყო როგორც პრივატიზაციის მთავარი მეთოდი, ხოლო პოლონეთსა და უნგრეთში მსხვილი საწარმოების მიმართ იგი გამოყენებულ იქნა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში. აუქციონები, სადაც ხდება საწარმოთა გაყიდვა, ფართოდ არის რეკლამირებული. როგორც წესი, წვრილი საწარმოების გაყიდვისას მყიდველებს უფლება ეძლევათ შეიტანონ გადასახდელი ნაწილ-ნაწილ, ხოლო მსხვილ საწარმოთა შემთხვევაში საჭიროა პირველდაწყებითი გადასახდელი ღირებულების 10-15%-ის ოდენობით. დანარჩენის დაფარვა კი წარმოებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

პრობლემები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ვაჭრობას არის საიმედო ინფორმაციის უქონლობა და მოქალაქეთა მცირე რიცხვი, რომლებსაც აქვთ აუცილებელი კაპიტალი. არსებობს, აგრეთვე სამართლიანობის პრობლემა, რამდენადაც ბევრი მიიჩნევს რომ საჯარო ვაჭრობისას ფასები ძალიან დაბალია და მყიდველები მიიღებენ ზედმეტად მაღალ მოგებას. არსებობს მოსაზრება, რომ საზოგადოების ის ნაწილი, ვინც ფლობს ფულად სახსრებს ყოფილი ბიუროკრატები, შავი ბაზრის საქმოსნები, დამნაშავეები და უცხოელები არიან. ზემოთდასახელებული პრობლემის გადასაწყვეტად, ჩეხოსლოვაკიაში, აუქციონზე უშვებდნენ მხოლოდ ამ ქვეყანაში მცხოვრებ მოქალაქეებს. ამ შემთხვევაშიც არსებობს შემფოთების საფუძველი, რადგან უცხოელებს მათი შემცველი პირის სახით შეუძლიათ იპოვონ ადგილობრივი მცხოვრებლები. ზოგიერთი პოლიტიკოსი ზემოთაღნიშნული პრობლემის დასაძლევად გეთავაზობს შემოწმდეს იმ სახსრების წყაროები, რომლებიც გამოიყენება მსხვილი საწარმოების შესასყიდად, თუმცა ძალიან ძნელია განვასხვავოთ „შავი“ ფული „თეთრი“ ფულისაგან.

**შერეული ვარიანტები.** რუსეთში განხორციელებული პრივატიზაციის პროგრამა ითვალისწინებდა საწარმოთა აქციების 25%-ის გადაცემას მისი მუშაკებისათვის (მასიური გადაცემა) და დანარჩენი ნაწილის აუქციონზე გაყიდვას, სადაც მუშაკებს ეძლეოდათ დამატებითი შესაძლებლობა ეყიდათ აქციების კიდევ 10% მათი ნომინალური ღირებულებიდან 30%-იანი ფასდაკლებით (სტიქიური პრივატიზაცია).

პრივატიზაციის პროგრამის რეალიზაციის პროცესის დაჩქარების მიზნით აუქციონზე საწყის ფასად გამოაქვთ საწარმო ნომინალური ფასით (საბუღალტრო ანგარიშგების მიხედვით). ამით ცდილობენ თავიდან აიცილონ საწარმოს ნამდვილი (მოქმედი) ღირებულების შეფასება, რომლის განსაზღვრა დიდ დროს მოითხოვს.

**იჯარა.** სახელმწიფო საწარმოს გაყიდვასთან დაკავშირებული სიძნელეებისა და მათი ღირებულების შეფასების პრობლემების გამო, ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა საშუალებოდ ეტაპად განიხილავს იჯარას. 1990 და 1991 წლებში აღმოსავლეთ გერმანიაში 7000 საწარმო გადაცემულ იქნა იჯარით კერძო პირებისათვის. ყოველთვის საიჯარო გადასახადიც შეიძლება განისაზღვროს საჯარო ვაჭრობაზე.

**საწარმოს დახურვა.** მრავალი საწარმო შეიძლება დაიხუროს მართვის არაკომპეტენტურობისა და არაეფექტიანობის გამო, ან მათი პროდუქციის ბაზრის არარსებობის მიზეზით, რაც შეუძლებელს ხდის მათ მომგებიან ფუნქციონირებას. გარდამავალი ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში ზარალიანი სახელმწიფო კომპანიების ნაწილი უკვე ლიკვიდირებულია.

**არაეფექტიან საწარმოთა უფასო გადაცემა.** პრივატიზაციის ბევრი სახელმწიფო ორგანო უფასოდ გადასცემს იმ საწარმოებს, რომლებიც იმყოფებიან ცუდ ეკონომიკურ მდგომარეობაში და რომელთა ეფექტიანი საქმიანობისათვის საჭიროა მსხვილი კაპიტალდაბანდებები. ხშირად ხელშეკრულებაში ჩართულია პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სანქციებს თუ მყიდველმა არ შეასრულა ვალდებულება გარკვეულ პერიოდში ინვესტიციების განსაზღვრული თანხის გამოყოფის შესახებ. ზემოთ აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება განხილულ იქნეს აღმოსავლეთ გერმანიის ქიმიური ქარხნისა და „BACF“-ის მაგალითი. დასავლეთ გერმანიის უმსხვილესმა კონცერნმა „BACF“-მა არაფერი არ გადაიხადა აღმოსავლეთ გერმანიის საწარმო „CHC“-ისათვის, მაგრამ ფილტრაციის სისტემის გადაიარაღებისათვის არანაკლებ 280 მლნ დოლარის ინვესტირებაზე აიღო ვალდებულება. გარკვეული დროის შემდეგ გაირკვა, რომ ეს არ იქნებოდა საკმარისი გადაიარაღებისათვის და საჭირო იყო დამატებით კიდევ 280 მლნ დოლარი. პირველ წელს გაყიდვები შემცირდა საბჭოთა კავშირში ბაზრის დაკარგვის გამო. მაგრამ გაუთვალისწინებელი ხარჯების მიუხედავად, „CHC“-ის რენტაბელობის შესახებ პროგნოზი

ოპტიმისტური აღმოჩნდა. აღმოსავლეთ გერმანია, ალბათ, ვერ შეძლებდა თვითონ განხორციელებინა ამ საწარმოს რეკონსტრუქცია.

### **უფასო მასობრივი პრივატიზაცია**

კომპანიების უფასო გადაცემა კერძო მესაკუთრეთა ხელში თავდაპირველად განიხილებოდა მხოლოდ იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც იმყოფებოდნენ ცუდ მდგომარეობაში. მთავრობის ბევრი ჩინოვნიკი უფასო გადაცემასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა გაყიდვას, რამდენადაც გაყიდვას მოაქვს შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში. მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ბევრი მიიჩნევს, რომ უფასო გადაცემა შეიძლება იყოს უფრო ეფექტიანი, სამართლიანი და სწრაფი ხერხი საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზებისათვის. ამ შემთხვევაში პრივატიზაცია შეიძლება განხორციელდეს საწარმოს ღირებულების საექსპერტო შეფასების გარეშე. გარდა ამისა, რამდენადაც სახელმწიფო საწარმოთა გაყიდვამ სახელმწიფოს ნაკლები შემოსავალი მოუტანა, ვიდრე მოსალოდნელი იყო, პრივატიზაციის ამ ასპექტს ამჟამად ნაკლები ყურადღება ექცევა.

### **საპრივატიზაციო ჩეკების (კუპონების, ვაუჩერების) სისტემა.**

უმეტესწილად აქტივების უფასო გადაცემა ითვალისწინებს მოქალაქეებს შორის საპრივატიზაციო ჩეკების განაწილებას, რომელთა გამოყენება შეიძლება საპრივატიზაციო საწარმოს ინვესტირებისათვის. არსებობს კუპონების გამოყენების მრავალი სქემა, მათი უმრავლესობა მოიცავს შუამავალთა ინსტიტუტებს (ისეთებს, როგორცაა ჰოლდინგური კომპანიები, საინვესტიციო კომპანიები, ურთიერთსაპაიო ფონდები და სხვ.), რომლებიც პირდაპირ განათავსებენ სახსრებს საპრივატიზაციო სახელმწიფო საწარმოებში. ასეთი მექანიზმი ამცირებს იმის საშიშროებას, რომ საკუთრება იქნება იმდენად „გათიშული“, რომ გაქრება კონტროლი მესაკუთრეთა მხრიდან მმართველებისადმი საზოგადოებას არ ექნება საკმარისი ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად და თავისი საპრივატიზაციო ჩეკების გამოყენებისათვის. მოსახლეობა სახელმწიფო საწარმოთა ღირებულების თავისი წილის ვაჭრობით თავს მოახვევს საბაზრო დისციპლინას საინვესტიციო ფონდებს.

პოლონეთში მოქმედებდა პრივატიზაციის ერთ-ერთი მეტად საინტერესო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა დასავლეთის ქვეყნების გამოცდილი სპეციალისტების გამოყენებას ფონდების მართვაში. ეს იყო საინვესტიციო ფონდების სისტემა, რომელიც ცნობილია, პოლონეთის მმართველობითი ფონდების სახელწოდებით. მაგრამ პრივატიზაციის ასეთი მექანიზმი ძალიან რთული და ხანგრძლივი შეიძლება აღმოჩნდეს. საპრივატიზაციო ჩეკების სისტემა კი უნდა იყოს მარტივი და გასაგები ადამიანთა უმრავლესობისათვის. ჩეხოსლოვაკიაში კუპონური პრივატიზაციის სისტემა არ ითვალისწინებდა შუამავლების ჩართვას პრივატიზაციის პროცესში. პრივატიზაციის სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელი აღნიშნავდა, რომ შუამავლების არ არსებობა არ ქმნის რაიმე პრობლემას, რამედანდაც კუპონების გაყიდვა, საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ზოგიერთების ხელში მათ კონცენტრაციამდე.

**პრივატიზაციის საპენსიო ფონდების კაპიტალიზაციის** მეთოდი შემოთავაზებულია ჯეფრი საქსის<sup>6</sup> მიერ. მთავრობას გადაჰყავს სახელმწიფო საწარმოთა საკუთრების ნაწილი კერძო საპენსიო ფონდების საკუთრებაში, რითაც საპენსიო უზრუნველყოფა ნაწილობრივ გადადის სახელმწიფო სისტემიდან კერძო სექტორში, ხოლო საწარმოთა საკუთრება მეტწილად კონცენტრირებული ხდება.

**„შიგა“ და „გარე“ პრივატიზაცია.** „შიგა“ პრივატიზაცია ითვალისწინებს საკუთრების გაყიდვას ან გადაცემას საწარმოს მუშებისა და მმართველებისათვის. „გარე“ პრივატიზაცია – ესაა კომპანიების აქტივების გაყიდვა ან გადაცემა იმათთვის, ვინც ამ საწარმოში არ მუშაობს.

### **პრივატიზების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი**

პრაქტიკამ ცხადყო, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პრივატიზაციის დანახარჯები აღმოჩნდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე გათვალისწინებული იყო. მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიის პრივატიზაციის სააგენტო „ტროიხანდანშტალტ“-მა გაყიდა 3000 ფირმა, გაათავისუფლა 1400 მმართველი, დახურა 600 ქარხანა ნახევარ მილიონზე მეტი სამუშაო ადგილით სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ პრივატიზაციის პროცესი იყო მეტად ძვირადღირებული.

<sup>6</sup> ჯეფრი საქს – ჰარვარდის ცნობილი ეკონომისტი, სპეციალისტი ეკონომიკური რეფორმების სფეროში, ამასთან იყო ცენტრალიზირებული – კონტროლირებადი ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელის საქმეში, იყო ეკონომიკური მრჩეველი ჩინეთში, პოლონეთსა და რუსეთში.

„ტროიხანდანშტალტ“-მა მიიღო თანხა 100 მლრდ დოლარის ოდენობით, მაგრამ ამავე დროს დახარჯა 22 მლრდ დოლარი, მათ შორის 7,7 მლრდ დოლარი ფირმების სტრუქტურულ გარდაქმნაზე, 3,5 მლრდ დოლარი იმ მუშაკების დასახმარებლად, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო და 4 მლრდ დოლარზე მეტი სახელმწიფო საწარმოთა ვალებზე პროცენტების გადასახდელად. ზემოთ აღნიშნული განხორციელდა გარედან მოწვეული მართვის წამყვანი სპეციალისტების დახმარებით.

პრივატიზების პროცესში მეორე პოტენციურ პრობლემად შეიძლება იქცეს თვით პრივატიზაციის სახელმწიფო ორგანოების შენახვა, რომლებიც თავიანთი ამოცანების შესრულების შემდეგაც რჩებიან, რის გამოც მათ შენახვაზე ხარჯები შენარჩუნებულ იქნება. პოლონეთის გამოცდილებაც ადასტურებს იმას, რომ პრივატიზაცია მოითხოვს დიდ ხარჯებს. კერძოდ, 1990 წელს პრივატიზაციის ხარჯებმა ამ ქვეყანაში საწარმოთა გაყიდვიდან შემოსულობების 10-15% შეადგინა<sup>7</sup>.

შევაფასოთ პრივატიზაციის სხვადასხვა ტიპი კერძოდ, საჯარო ვაჭრობები, სტიქიური პრივატიზაცია და ფონდების უფასო მასიური გადაცემა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის თვალსაზრისით.

საჯარო ვაჭრობებზე ანუ აუქციონებზე ხორციელდება სახელმწიფო საწარმოთა გაყიდვა. იგი ითვლება არასამართლიან მეთოდად. გარველებულია მოსაზრება, რომ აუქციონში მონაწილეობისათვის ფული აქვთ მხოლოდ დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებს, ყოფილ სახელმწიფო და პარტიულ ჩინოვნიკებს ან უცხოელებს, რომლებსაც იყენებენ ადგილობრივ პირთა მისაჩქმალად. საშუალო შემდგომის მოქალაქეს არა აქვს შესაძლებლობა და აუცილებელი სახსრები იმისათვის, რომ შეიძინოს გასაყიდად წარმოდგენილ საწარმოთა ფონდები თუნდაც დაბალ ფასებში. სტიქიური პრივატიზაცია უსამართლოა, რამდენადაც მუშაკთა ერთი ჯგუფი იქცევა მსხვილ საწარმოთა თანამფლობელად, მეორე-მცირე საწარმოთა თანამესაკუთრედ, რომელიც დიდ ფასეულობას არ წარმოადგენს, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს კი არ აქვს შესაძლებლობა გახდეს საზოგადოებრივი სიმდიდრის თანამფლობელი. უფასო მასობრივი პრივატიზაცია შეიძლება წარმოადგენდეს პრივატიზაციის ყველაზე უფრო სამართლიან ხერხს, რამდენადაც საზოგადოების თითოეული წევრი ღებულობს თავის წილს სახელმწიფო საწარმოთა კაპიტალში, რომელიც მას შეუძლია განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ.

აღსანიშნავია, ის რომ სტიქიურ პრივატიზაციას აქვს რიგი ნაკლოვანებები, კერძოდ:

1. **უსამართლობა.** სტიქიური პრივატიზაციის პირობებში საზოგადოების ძირითადი ფონდები მოქალაქეთა შორის ნაწილდება თავისუფალი სახით. ზოგიერთი მუშაკი მდიდრდება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აღმოჩნდნენ სწორედ პრივატიზაციას დაქვემდებარებულ საწარმოში, სხვები კი არაფერს არ ღებულობენ. პენსიონერები, სამხედრო მოსამსახურეები, სტუდენტები, ისინი, ვინც დასაქმებულია სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში და მოსახლეობის სხვა ჯგუფები, ასეთი პრივატიზაციის შედეგად აღმოჩნდებიან მოვლენებს მიღმა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას უკმაყოფილება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის;

2. **სტიქიურად პრივატიზებული საწარმოების მუშაობის დაბალეფექტიანობა.** მათი საქმიანობა შეიძლება იყოს არაეფექტიანი, განსაკუთრებით თუ რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და სახელმწიფო აგრძელებს საწარმოთა ზარალის სუბსიდირებას (ანუ მოქმედებს ლიბერალური საბიუჯეტო შეზღუდვის რეჟიმი). მმართველებს არ ექნებათ საკმარისი სტიმულები ფირმის კაპიტალის გასაფართოებლად, ხშირად გადაიხრებიან ხელფასის მომატებისაკენ და არა ინვესტიციების გადიდებისაკენ. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა რეფორმები დასრულებულია და არსებობს მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვა, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ამ გზით პრივატიზებულ საწარმოთა ეფექტიანობა. ბევრი მიიჩნევს, რომ მუშაკები, რომლებიც ცუდად მომუშავე საწარმოს მფლობელები არიან გამოვლენ დათხოვნების წინააღმდეგ, ხოლო მუშაკები, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ საწარმოების მესაკუთრეები არიან გადაიხრებიან ხელფასის გადიდების და არა საწარმოს გაფართოებისაკენ. არსებობს საფრთხე იმისა, რომ ხელფასის განუწყვეტელი ზრდის ტენდენცია არ გაქრება მანამ, სანამ პროფკავშირებთან მოლაპარაკებაში მონაწილეობას არ მიიღებენ მესაკუთრეები, რომლებიც არ არიან მოცემული საწარმოს მუშაკები. ამასთან, არსებობს საფუძველი იმისა რომ იმ ტიპის საწარმოებში, რომლებიც დასავლეთში იქმნება ESOP<sup>8</sup>-ის მექანიზმის მეშვეობით და სადაც მუშაკები არიან საწარმოს

<sup>7</sup> იხ. Cezmanj: Jts long march state cintrol, Economiist, 1991 September,14.

<sup>8</sup> ESOP (Employee Stok Ownership Program) – აშშ-ში მოქმედი პროგრამა საწარმოს მუშაკების კოლექტიური საკუთრების განვითარების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს მუშაკების მიერ მისი აქციების შესყიდვას შეღავათიან პირობებში.

მფლობელები, წარმოიქმნება მძლავრი სტიმულები სრულყოფისა და სიახლეებისათვის;

3. **სტიმულების უქონლობა უცხოელი ინვესტორებისათვის.** საზღვარაგრეთელი ინვესტორები, ნაკლებად იქნებიან დაინტერესებული იმით-გახდნენ მფლობელები საწარმოს მუშაკებთან ერთად, ამიტომ ნაკლებ სარწმუნოა, რომ ასეთი საწარმოები შეძლებენ მოიზიდონ უცხოური კაპიტალი და ნოუ-ჰაუ პერსპექტივაში.

### **სახელმწიფო საკუთრების მართვის სტრატეგია და საწარმოთა რესტრუქტურისა**

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია საგანგებოდ რთული საქმეა. 1992 წლიდან აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებში მასობრივი პრივატიზაცია მხოლოდ დაიწყო. თუ წვრილ საწარმოთა რაღაც რაოდენობა გაყიდულ ან გადაცემულ იქნა კერძო მესაკუთრეთათვის, მსხვილ საწარმოთა უმრავლესობა კვლავ რჩება სახელმწიფოს ხელში.

პრივატიზაციის პროცესში იზრდება ზეწოლა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან, რომლებიც მოითხოვენ თავიანთ წილს სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციისას.

საწარმოს სტრუქტურული გარდაქმნა (რესტრუქტურისა) – ეს არის იმ საწარმოთა განახლებისა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების პროცესი, რომლებიც დროებით დარჩნენ სახელმწიფო საკუთრებაში, იმის გამო, რომ შეძლეს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრებზე. ჩვეულებრივ მისი საბოლოო მიზანია – პრივატიზაცია, გარდაქმნა კი – ეს არის შუალედური ეტაპი, იმის აღიარება, რომ სახელმწიფო საწარმო უნდა გახდეს უფრო ეფექტიანი, რომ მოიზიდოს ინვესტორები. პოლონეთსა და იუგოსლავიაში შექმნილი იყო სახელმწიფო სააგენტოები, რომლებიც გარდაქმნის დროს საწარმოებს უზრუნველყოფდნენ კონსულტაციებით და ტექნიკური დახმარებით. აღმოსავლეთ გერმანიაში, სადაც დასავლეთგერმანელი სპეციალისტები უწევდნენ დახმარებას საწარმოებს, ეს პროცედურა იყო საკმაოდ რთული. სტრუქტურული გარდაქმნების მთავარი მიზანია სახელმწიფო საწარმოთა მომზადება ეფექტიანი მუშაობისათვის კონკურენციის პირობებში, ამიტომ ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტა უკეთესია პრივატიზაციამდე. კერძოდ, უკეთესი იქნება არა ახალმა კომპანიებმა, არამედ მთავრობამ გადაწყვიტოს ისეთი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია თვითონ მასობრივ დათხოვნებთან, რომელიც აუცილებელია საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნების პროცესში. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სოციალური დაცვის შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება ახალ პირობებზე გადასვლის პროცესის შესამსუბუქებლად.

იმ სახელმწიფო საწარმოებს, რომლებიც გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდნენ მსოფლიო ბანკი სთავაზობს სტრუქტურული გარდაქმნის შემდეგ ღონისძიებებს:

1. **განისაზღვროს პრობლემა.** აუცილებელია იმ კონკრეტული მიზეზების განსაზღვრა, რომლებმაც საწარმო მიიყვანეს კრიზისულ მდგომარეობამდე. იქნებ არ არსებობს ბაზარი მისი პროდუქციისათვის ან არ მოქმედებს პროდუქციის ხარისხის კონტროლის შესაბამისი სისტემა, ან პრობლემებია შექმნილი სამუშაო ძალასთან დაკავშირებით, მოძველებულია მოწყობილობა, არაკომპეტენტურია ხელმძღვანელობა და სხვ. უნდა გამოვლინდეს სწორედ სპეციფიკური პრობლემები და არა მხოლოდ სიმწიფეები, რომლებიც დაკავშირებულია მთავრობის არასასურველ გადაწყვეტილებებთან. როგორც წესი, ასეთი პრობლემა მრავალია;

2. **ღონისძიებების შემუშავება დამატებითი ზარალის შესაზღვრად.** ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნეს სხვადასხვა ზომები, მაგალითად, განისაზღვროს რა სახის საქმიანობაზე თქვას უარი საწარმომ და რომელი განაახლოს. შესაძლოა საჭირო იქნეს მართვის აპარატის გაძლიერება, ახალი სპეციალისტების მოწვევა, იმ საქმიანობის შეწყვეტა, რომელსაც საწარმო მიყავს ზარალის მიღებამდე. აუცილებელია მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც კორექტირებას შეიტანს კომპანიის ადრინდელ პოლიტიკაში და მიმართული იქნება პრობლემების დაძლევისაკენ, აგრეთვე კორექტირება გაუკეთეს კომპანიის პოლიტიკას ფასების ცვლილების, გადასახადებისა და ახალი კანონმდებლობის ჩარჩოებში;

3. **ზარალის განაწილება.** საწყის ეტაპზე რამდენადაც ზარალისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო, ზარალი უნდა იყოს განაწილებული პრივატიზაციამდე. სახელმწიფომ თავიდანვე უნდა განსაზღვროს მისი დაფინანსების ხერხები, რომ ძალიან არ გაურთულდეს ახალ მმართველ პერსონალს ამოცანები.

4. **აღდგეს საწარმოს მომგებიანობა.** აუცილებელია საწარმოს ახალმა ხელმძღვანელობამ რაც შეიძლება სწრაფად აღადგინოს მისი კონკურენტუნარიანობა და მომგებიანობა. ზემოთ აღნიშნულის

უზრუნველსაყოფად საჭიროა დამატებითი კაპიტალდაბანდებები და ახალი ტექნოლოგია. ამასთან სასარგებლოა დასავლეთის საკანონსულტაციო ფირმებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობა.

განვიხილოთ სტრუქტურული გარდაქმნის პროცედურა, რომელიც განსაზღვრა სააგენტო „ტროიხანდანშტალტ“-მა. აღმოსავლეთ გერმანიაში სტრუქტურული გარდაქმნების დასაწყისში, ყველა საწარმოში, სადაც 500-ზე მეტი კაცი მუშაობდა, ფორმირებულ იქნა დამკვირვებელთა საბჭოები, რომელშიც შედიოდნენ ადგილობრივი მთავრობების, ბანკების, სხვა კომპანიების, მ.შ. დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები. ეს ორგანოები პასუხისმგებელი იყვნენ საწარმოს გარდაქმნის გეგმის შედგენაზე, ნიშნავდნენ და ათავისუფლებდნენ მათ მმართველებს. დასავლეთ გერმანიაში შემუშავებული სქემის მიხედვით დამკვირვებელთა საბჭოს წევრების დაახლოებით 20% იყვნენ ბანკების წარმომადგენლები. საბჭოს ამოცანა იყო სახელმწიფო საწარმოს მოშზადება გასაყიდად.

### **კომერციალიზაცია**

შუალედური ღონისძიების სახით სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანიების შექმნა. ამ პროცესს ხშირად უწოდებენ „კომერციალიზაციას“ ან „კორპორატიზაციას“, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების აქციონერულ კომპანიებად გარდაქმნას, რომლის აქციებს ფლობენ სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანიები. ამ უკანასკნელთა შემოსავლები უნდა იყოს გამოყენებული ახალი კაპიტალდაბანდებების დაფინანსებისათვის. ინვესტიციების შემოსავლიანობის განსაზღვრის კრიტერიუმის გამოყენებით. მმართველები პასუხისმგებელი იქნებიან აქტივების ღირებულების მაქსიმიზაციისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში. ამასთან სახელმწიფო საწარმოები როგორც კომერციული კომპანიები, რომლებსაც არა აქვთ შეღავათები არასახელმწიფო საწარმოებთან შედარებით მოქმედებენ რა კონკურენტულ გარემოში. ორიენტირებულნი უნდა იყვნენ ბაზარზე. ისინი თეორიულად თავისუფალი იქნებიან საწარმოო პრობლემების გადაწყვეტასას და რესურსების გამოყენებაში მოქმედებენ ბაზრის სიგნალებზე დაყრდნობით. „კომერციალიზაცია“ „სტრუქტურული გარდაქმნასთან“ შედარებით უფრო მეტ დროს მოითხოვს. ზოგიერთი პოლიტიკოსი, რომელსაც ეჭვი შეაქვს პრივატიზაციის აუცილებლობაში, კომერციალიზაციას განიხილავს, როგორც პრობლემის გადაწყვეტის გრძელვადიან საშუალებას როგორც ეფექტიან კომპრომისს სახელმწიფო საწარმოების და კერძო სექტორის განვითარებას შორის.

**კომერციალიზაცია და ეფექტიანობა.** იმ შემთხვევაში როცა სახელმწიფო საწარმოთა მმართველები მიისწრაფიან იმოქმედონ ეფექტიანად, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, შეძლებენ თუ არა ისინი მიაღწიონ თავიანთ მიზანს. ეს დამოკიდებულია იმაზე ექნებათ თუ არა მათ რეალური ძალაუფლება და დამოუკიდებლობა. პრობლემა ისაა, რომ ძნელია დაიცვა სახელმწიფო საწარმოები, მაშინაც კი თუ ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო აქციონერულ კომპანიებს მთავრობის მხრიდან პოლიტიკური ზეწოლისაგან, რომელიც შეიძლება თავისი პოლიტიკით არ ისახავდეს ეკონომიკურ მიზანს. ამავე დროს თუ კომპანიის ზარალი უნდა დაიფაროს სახელმწიფო სუბსიდიების ხარჯზე სისტემის ფუნქციონირება შეიძლება არ იყოს წარმატებული. ამასთან ძალიან ძნელია არაეფექტიანი და უპერსპექტივო სახელმწიფო საწარმოთა დახურვა, სადაც 15 ათასი ადამიანია დასაქმებული.

**დემონოპოლიზაცია** არის სახელმწიფო მონოპოლიის ნგრევისა და კონკურენტული გარემოს ფორმირების პროცესი. გარდამავალი ეკონომიკის რიგ ქვეყნებში, უზომო მონოპოლიზაცია ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ პრობლემას, რომელიც აძნელებს კონკურენტული და ეფექტიანი საბაზრო სისტემის ფორმირებას. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია რუსეთში, სადაც 109 გიგანტური საწარმო და გაერთიანება აწარმოებდა სამრეწველო პროდუქციის 90%-ს, ხოლო 2000 დასახელების სამრეწველო საქონელი იწარმოებოდა მხოლოდ ერთ საწარმოში.

დემონოპოლიზაცია შეიძლება გატარდეს სტრუქტურული გარდაქმნების ან საწარმოთა კომერციალიზაციის პერიოდში. კერძოდ, როცა შეიძლება გამოიყოს საწარმოს ის ქვედანაყოფები, რომელთა პრივატიზება შესაძლებელია ცალკე. მაგალითად, ჩეხეთის უმსხვილესი მანქანათმშენებელი კომპანიის მმართველებმა განსაზღვრეს 18 ქვედანაყოფი, რომლებიც დაექვემდებარა ცალკე პრივატიზებას.

ათასობით სახელმწიფო საწარმოს პრივატიზაცია რთულდება იმითაც, რომ სახელმწიფო აპარატი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მრავალრიცხოვანი რეორგანიზაციის მიუხედავად საკმაოდ გაბერილია. სხვადასხვა სახის პოლიტიკური ცვლილებები, ადრე მიღებული გადაწყვეტილებების ხშირი გადასინჯვა აძნელებს პრივატიზაციის პროცესს. მით უფრო, ყველაფერი ეს რთულდება იმის გამოც, რომ საზოგადოების მცირე ნაწილს თუ აქვს



გაცნობიერებული დასმული ამოცანების სირთულე და მასშტაბები. მთავრობები კაცობრიობის ისტორიის მანძილზე რამდენადაც პირველად ცდილობენ ერთდროულად განახორციელონ ასეთი ფართო მასშტაბით საწარმოთა პრივატიზაცია იმ შემთხვევაში, როცა გათვა-ლისწინებულია საწარმოთა გაყიდვა და არა მათი უფასოდ გადაცემა, საქმე რთულდება საწარმოს რეალური ღირებულების შეფასების მეთოდის უქონლობის გამო. საწარმოს მდგომარეობა წარსულში ბევრს არაფერს ნიშნავს, რამდენადაც ის დამახინჯებული იყო დარგების მონოპოლიური სტრუქტურით და სახელმწიფო ფასებით.

ბუნებრივია დაისვას კითხვა რა ზომითაა შესაძლებელი სახელმწიფოს ჩარევა პრივატიზაციის პროცესში? უნდა გამოიტანოს თუ არა მთავრობამ სახელმწიფო საწარმოები აუქციონზე და სხვა დანარჩენს გააკეთებს ბაზარი, თუ საჭიროა შეიქმნას სახელმწიფო ორგანო, რომელიც დაგვიხმარება სახელმწიფო კომპანიების პრივატიზაციაში, განახორციელებს მსხვილ საწარმოთა გარდაქმნას, დახურავს არაეფექტიან ფირმებს, გადაამზადებს გამოთავი-სუფლებულ მუშაკებს? სახელმწიფოს ჩარევა გარკვეული ზომით ყოველთვის მოხდება, მაგრამ საკითხავია რა ზომით. ეს დამოკიდებული იქნება იმ ტრადიციებზე, რომელიც დაფუძნდა ქვეყანაში სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში, აგრეთვე იმაზე, თუ რა შეხედულებები ჭარბობს სახელმწიფოს როლის შესახებ გარდამავალ ეკონომიკაში. ძლიერი სახელმწიფო ჩარევის მაგალითად გამოდგება „ტროიხანდანშტალტ“-ი აღმოსავლეთ გერმანიაში. ეს სახელმწიფო დაწესებულება ყიდდა ძლიერ, წესრიგში მყოფ საწარმოებს, ახორციელებდა სუსტი საწარმოების სტრუქტურულ გარდაქმნებს, რომლებსაც ჰქონდათ შანსი გამხდარიყვნენ კონკურენტუნარიანი, ხურავდა უიმედობას.

საბოლოოდ, რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენოს მთავრობამ საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნისა და პრივატიზებისათვის? ბუნებრივია პრივატიზაციის სხვადასხვა მიდგომებსა და მეთოდებს შორის შეიძლება შერჩეულ იქნეს რამოდენიმე ვარიანტი. მაგრამ ცალკეული მიდგომა ხასიათდება სხვადასხვა პრობლემითა და შერჩეული გზის ეფექტიანობის შესახებ სხვადასხვა შეხედულებებით. კერძოდ, აუცილებელია თუ არა მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა სრული პრივატიზაცია თუ შესაძლებელია შევზღუდოთ მათი საქმიანობის კომერციალიზაციის ეტაპით? რამდენად სწრაფად უნდა განხორციელდეს პრივატიზაცია?

თეორიულად, რაც უფრო სწრაფად დამთავრდება რეფორმები, მით უფრო ეფექტიანი იქნება ეკონომიკის ფუნქციონირება. მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ პრივატიზაცია დასრულდეს მოკლე პერიოდში. ბევრი მიიჩნევს, რომ რეფორმის წარმატებით დასრულებისათვის საჭიროა საკმაოდ დიდი დრო. როგორც ირკვევა მათი ამოცანა, ვინც იღებს გადაწყვეტილებას რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებით მეტად რთულია. აუცილებელია ამ რთული საკითხების გადაწყვეტისას გარკვეული კრიტერიუმების გამოყენება. უმეტესობის აზრით, ასეთი კრიტერიუმები შეიძლება იყოს.

**სამართლიანობა.** როცა მიიღება გადაწყვეტილება ქვეყნის ძირითადი ფონდების გადანაწილების შესახებ, აუცილებელია ყველა მოქალაქის აზრის მხედველობაში მიღება. მათ უნდა ჰქონდეთ თავიანთი წილი კაპიტალში. თუ მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ პრივატიზაციის პროგრამა უსამართლოა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ იგი იყოს წარმატებული. მაგრამ სამართლიანობის საკითხი ძნელად ექვემდებარება გადაწყვეტას. სადისკუსიო საკითხია უნდა ჰქონდეს თუ არა ერთნაირი წილი საზოგადოების ყველა წევრს, თუ უპირატესობა უნდა მიენიჭოს საპრივატიზაციო საწარმოს მუშაკებს, უნდა გამოირიცხოს თუ არა საწარმოს აქტივების განაწილების პროცესიდან საზოგადოების ზოგიერთი წევრი, მაგალითად, ისინი, ვინც ექსპლუატაციას უწევდა ხალხს წინა ეკონომიკურ სისტემაში. საერთოდ, სამართლიანობის კრიტერიუმის გამოყენებას მივყავართ საწარმოთა აქტივებთან უცხოელების დაშვების შეზღუდვამდე.

**ეფექტიანობა.** საწარმოთა ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სხვა რეფორმების გატარებაც, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. კერძოდ, საჭიროა ფასების და ვალუტის კურსის ლიბერალიზაცია, მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების დაწესება, შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა, კონკურენტული გარემოს ფორმირება და მმართველების ავტონომია. ზოგჯერ ეფექტიანობის კრიტერიუმი შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს სამართლიანობის კრიტერიუმთან. აუცილებელია საწარმოს მუშაკები მონაწილეობდნენ ახალი კომპანიების სააქციო საკუთრების მართვაში, მაგრამ თუ ამ უკანასკნელს აკონტროლებენ საწარმოს მუშაკები, მისი ეფექტიანობა შეიძლება დაეცეს. ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც განიხილებოდა რუსეთში, ითვალისწინებდა მუშებისათვის პრივილეგიებული აქციების მიცემას, რომელიც ხმის უფლებას არ იძლევა. მეორე წინააღმდეგობა წარმოიქმნება უცხოელების მონაწილეობის შემთხვევაში, რომელიც ზრდის საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის ალბათობას. ამ შემთხვევაში, თუ უცხოელები არ დაიშვებიან საწარმოს საკუთრებასთან, ახლად პრივატიზებულმა კომპანიებმა მართვის საკითხებში უნდა გამოიყენონ დასავლეთის კონსულტანტები. საწარმოთა

ეფექტიანობა შეიძლება გაუმჯობესდეს მისი აქციების ნაწილის ბანკებზე მიყიდვის ან გადაეცემის გზით. ზემოთ აღნიშნულმა შეიძლება გამოიღოს კარგი შედეგი თუ საბანკო სისტემა საიმედოა, რაც ნაკლებად სარწმუნოა რეფორმის პირველ წლებში. ბანკების მონაწილეობა კომპანიების საკუთრებაში ხელს უწყობს ამ უკანასკნელთა განვითარებისათვის ჯანსაღი გრძელვადიანი პერსპექტივის შექმნას, რაც დემონსტრირებული იყო იაპონიისა და გერმანიის ბანკებსა და კორპორაციებს შორის მჭიდრო ურთიერთობით. სახელმწიფო საკუთრების უფასო, მასობრივი პრივატიზების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სპეციალური მექანიზმები, სხვანაირად საკუთრების დანაწილების გამო იგი არ იქნება ეფექტიანი და ვერ შექმნის საკმარის სტიმულებს საწარმოთა საქმიანობის სრულყოფისათვის.

**პოტენციალი და პერსპექტივა.** მთავრობა უნდა განიხილავდეს საწარმოთა შესაძლებლობებს გრძელვადიანი პერსპექტივის პოზიციებიდან. მაგალითად, თუ კომპანიას აქვს პოტენციალი აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქტი, მაგრამ იგი იმყოფება კრიზისულ მდგომარეობაში კაპიტალის „შთანთქმის“, მუშაკებისა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ბოროტმოქმედებათა გამო უაზრობა იქნებოდა პრივატიზების დაჩქარება და მისთვის ბიძგის მიცემა გაკოტრებისაკენ. ასეთ კომპანიას უეჭველად სჭირდება სტრუქტურული გარდაქმნა და რაღაც პერიოდში შესაძლებელია მისი კომერციალიზაცია.

**პრივატიზაციის ტემპი.** რაც უფრო მეტი დროა საჭირო პრივატიზაციის პროგრამის განხორციელებისათვის, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ცალკეულმა დაინტერესებულმა ჯგუფებმა გავლენა იქონიონ პროგრამის შინაარსზე.

**სიმარტივე.** მარტივი პროგრამა უკეთესია. პრივატიზაციის ბევრი პროგრამა ზედმეტად რთულია, მათი გაგება ძნელია. პროგრამის სიმარტივე ავსებს სამართლიანობის და სისწრაფის კრიტერიუმებს.

## საკუთრებით ურთიერთობათა ტრანსფორმაცია „პოსტსოციალისტურ“ ქვეყნებში

როგორც აღვნიშნეთ, პრივატიზაციის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა, მათ მიერ გამოყენებული მიდგომები, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ქვეყნების მიხედვით. არც ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანას არ შეუსრულებია მსგავსი სამუშაოები ასეთი ფართო მასშტაბით, ამიტომ აქ მრავლად წარმოიქმნება ბუნდოვანი და განუსაზღვრელი საკითხები.

**ჩეხოსლოვაკიის (გაყოფამდე) პრივატიზაციის სამინისტროში** 1991 წელს დასაქმებული იყო 60 ადამიანი. თავის სტრატეგიაში გარკვეული თავშეკავების მიუხედავად, იგი ცდილობდა უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. უცხოელებიდან ყველაზე მეტად აქტიურობდნენ გერმანელები. მაგალითად, კომპანია „ფოლცვაგენმა“ შეიძინა „შკოდას“ აქციების 31%; ფირმა „სიმენსმა“ ელექტროსადგური და ლოკომოტივების ქარხანა. ამასთან სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო საწარმოთა აქტივების მასობრივ უფასო გადაცემას. გაითვალისწინა რა, რომ მრავალი საწარმოს მუშები და მმართველები ვერ შეძლებენ მათ გამოსყიდვას, ხოლო უცხოელი მყიდველები ამ საწარმოებით არ იყვნენ დაინტერესებულნი მთავრობამ გამოიყენა უფასო გადაცემის სქემა კუპონების მეშვეობით. გათვალისწინებული იყო, რომ ქვეყნის მოსახლეობის ყველა ზრდასრული ასაკის პიროვნებას შეეძლო ეყიდა ინვესტიციური კუპონები ნომინალურ ფასად, რომელიც დაახლოებით ერთი კვირის ხელფასს უდრიდა. აუქციონებზე ამ კუპონებზე გაიყიდა 1000-1500 სახელმწიფო კომპანიის აქცია. ამ მექანიზმის მთავარი ნაკლი ისაა, რომ წარმოიქმნება მრავალრიცხოვან მესაკუთრეებს შორის საწარმოს ფონდების „განცალკევების“ საშიშროება და კომპანიების მმართველები მფლობელების მხრიდან ფაქტობრივად კონტროლის გარეშე რჩებიან. ამ სქემის უპირატესობა მისი განხორციელების სისწრაფეში ვლინდება.

1991 წელს აღმოსავლეთ გერმანიის სააგენტო „ტროიხანდანშტალტ“-ში დააქმებული იყო 3000 ადამიანი. აღმოსავლეთ გერმანიაში სხვა ქვეყნებთან შედარებით. პრივატიზაციის უფრო ფართო პროგრამა მოქმედებდა, სააგენტოს ჰქონდა 15 რეგიონული ფილიალი, ცენტრი ბერლინში, იმართებოდა გამოცდილი სპეციალისტების მიერ დასავლეთ გერმანიიდან (1/3 მოსამსახურეებისა მოწვეული იყო დასავლეთ გერმანიიდან). ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ არა მარტო საწარმოთა პრივატიზაციაზე, არამედ იმ ფირმების სტრუქტურულ გარდაქმნაზეც, რომლებსაც ჰქონდათ მომავალი. ხელმძღვანელობიდან ათავისუფლებდნენ არაკომპეტენტურ მმართველებს, ხურავდნენ უიმედო საწარმოებს, ახორციელებდნენ მუშების გადამზადებას. ამ უწყების საერთო ხარჯები ბევრად აღემატებოდა მის შემოსავლებს.

1991 წლის შუა პერიოდისათვის აღმოსავლეთ გერმანიაში გაყიდული იყო 3000-მდე სამრეწველო საწარმო 7 მლრდ დოლარის ღირებულებით.

პრივატიზაციის პროგრამის შესაბამისად საწარმოები იყიდებოდა როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ისე უცხოელებზე. თითოეული შემთხვევა განიხილებოდა ცალკე და კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით მიიღებოდა ცალკეული გადაწყვეტილება. მათ შორის ეს შეიძლება ყოფილიყო საწარმოს უფასო გადაცემა, თუკი ეს იქნებოდა უკეთესი ვარიანტი.

უცხოელებზე გაყიდვა წახალისებულიც კი იყო. „ტროიხანდანშტალტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა უცხოელი მყიდველების მოძიებას. სააგენტო ატარებდა შემდეგ პოლიტიკას. იგი აფორმებდა საწარმოთა აქტივებს ინვესტორებისათვის მიმზიდველ „პაკეტებში“ და სთავაზობდა მას მსოფლიო ბაზარზე. მაგალითად, 1992 წლის ივნისში „ტროიხანდანშტალტმა“ ცნობილი საერთაშორისო ჟურნალის ოთხ გვერდზე მოათავსა მსხვილი სასტუმროების ქსელის, 4,2 მლნ მ<sup>2</sup> სამრეწველო ფართისა და რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გაყიდვის შესახებ რეკლამა.

**უნგრეთის სახელმწიფო ქონების სააგენტოში** 1991 წელს დასაქმებული იყო 120 ადამიანი. სააგენტო ცდილობდა გაეყიდა რაც შეიძლება მეტი საწარმო და მიეღო მაქსიმალური შემოსავალი (აქტიური პრივატიზაცია). ამოცანა რთულდებოდა იმით, რომ თითოეული გაყიდვა შეთანხმებული უნდა ყოფილიყო კომისიასთან, რომელშიც შედიოდნენ პარლამენტის ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, პრივატიზაცია ისე ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რომ 1991 წლის შუა პერიოდისათვის პოლიტიკური დისკუსიის საგნად იქცა ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურების საკითხი.

**პოლონეთის საკუთრების გარდაქმნის სამინისტროში** 1991 წელს დასაქმებული იყო 200 ადამიანი. 1990 წელს პრივატიზაცია განხორციელდა „ერთი დარტყმით“ და „შოკური თერაპიის“ პოზიციებიდან. იგეგმებოდა მსხვილი სახელმწიფო საწარმოების სწრაფი პრივატიზაცია, მაგრამ 1992 წელს მთავრობის პოლიტიკაში ნათლად გამოიკვეთა პრივატიზაციისადმი თანდათანობითი მიდგომის აუცილებლობა, რომელიც გამოწვეული იყო ეკონომიკური დაცემით და უმუშევრობის მაღალი დონით. შემდგომ პერიოდში სამინისტრო ითვალისწინებდა მსხვილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას უფასო მასიური გადაცემის მექანიზმის მეშვეობით, საინვესტიციო ფონდების აქციების განაწილებით ქვეყნის სრულსაკოვან მოსახლეობაზე. საინვესტიციო ფონდები, რომლებსაც მართავდნენ დასავლეთის სპეციალისტები, შესაძლებლობის ფარგლებში იძენდნენ სახელმწიფო საწარმოთა საკუთრებას. 1993 წლიდან ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ გაეყიდათ თავიანთი და შეემინათ საინვესტიციო ფონდების აქციები.

**რუსეთის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი** ეს ერთადერთი ორგანიზაცია იყო, რომელმაც რეფორმის განსახორციელებლად მოიხიდა არსებული ბიუროკრატიული აპარატი. წარმომადგენლები ადგილზე (სულ 60 ათასი კაცი) პასუხისმგებელნი იყვნენ წარმოების გარკვეულ დარგებში საწარმოთა განსაზღვრული რაოდენობის გაყიდვისათვის. ადგილობრივ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად მათ გადაეცემოდათ ინვესტიციებიდან შემოსავლების 5%. პროგრამა ითვალისწინებდა, აგრეთვე საჯარო ვაჭრობას, საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილის მუშაკებისათვის გადაცემას. ისინი ღებულობდნენ საწარმოს აქციების 25%-ს და შესაძლებლობას დამატებით შეეძინათ აქციები 10%-იანი და 30%-იანი ფასდაკლებით. მმართველებს შეეძლოთ შეეძინათ აქციების 5%. აუქციონზე გამოტანილ საწარმოთა საწყისი ფასი ემყარებოდა საწარმოს საბუღალტრო ანგარიშგების მონაცემებს, ამით გადაიჭრებოდა დროის პრობლემა, რომელიც საჭირო იყო საწარმოს ღირებულების ზუსტი შეფასებისათვის.

## **პრივატიზების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები**

როგორც კი ქვეყანაში მიიღება გადაწყვეტილება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ, როგორც წესი, წარმოიშობა საწარმოთა პრივატიზაციის მოთხოვნა, განსაკუთრებით თვითმართვადი საწარმოების მუშაკების მხრიდან, რომლებიც უფლებას აცხადებენ თავიანთი საწარმოს საკუთრებაზე. მაგრამ ბევრი პოლიტიკური მოღვაწე თვლის, რომ უგუნურებაა საწარმოს გაყიდვა, თუ დადგენილი არ არის მისი რეალური ფასი და არ არის საიმედო ფინანსური ინფორმაცია, რომელიც ნებას დართავდა პოტენციურ მყიდველებს კაპიტალ-დაბანდებებზე გადაწყვეტილების მისაღებად. სხვებს მიაჩნიათ, რომ სწრაფი პრივატიზაცია აუცილებელია მაშინაც კი, როცა არ არის ზუსტი ინფორმაცია. სწრაფი პრივატიზაციის „მომხრეები“ და „მოწინააღმდეგეები“ აყენებენ სხვადასხვა არგუმენტებს. განვიხილოთ მოსაზრებები სწრაფი პრივატიზაციის სასარგებლოდ.

1. **პოლიტიკური შეხედულებები.** რეალური ფასების მოქმედებისას არსებობს დასაბუთებული

მოსაზრება სწრაფი პრივატიზაციის სასარგებლოდ. კერძოდ, გარკვეულ დაინტერესებულ ჯგუფებს, მაგალითად, ყოფილ ბიუროკრატებს ან სამუშაოდაკარგულ მუშებს იგი არ აძლევს ორგანიზებისა და რეფორმიდან გადახვევის საშუალებას. საწყის პერიოდში წარმოიქმნება უკმაყოფილება მაღალი უმუშევრობით და უმნიშვნელო ეკონომიკური ზრდით. გარდა ამისა, ძნელია შეცვალო სახელმწიფო საკუთრება, განსაკუთრებით თუ სხვა რეფორმები ხორციელდება მტკიცებულად, ხოლო საწარმო მუშაობს შედარებით ეფექტიანად.

გარდამავალ ეკონომიკაში საკმაოდ ძლიერია პოლიტიკური არგუმენტები სწრაფი პრივატიზაციის სასარგებლოდ. არის საშიშროება იმისა, რომ თუ პრივატიზაცია რამდენიმე წლის განმავლობაში არ წაიწევს წინ, იგი არასოდეს არ გატარდება. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ პრივატიზაცია ასოცირებული იქნება უმუშევრობასთან, უკანონო მაქინაციებთან, შავი ბაზრის საქმოსნებისა და კაპიტალის მფლობელების უზარმაზარ მოგებებთან. ასეთი სიფრთხილის წახალისება შედის სახელმწიფო საწარმოთა მუშებისა და მმართველების ინტერესებში, რამდენადაც მათ შეიძლება დაკარგონ საკუთრება პრივატიზაციის მსვლელობაში თუ თითონ არ იქნებიან საწარმოთა მფლობელები. რაც უფრო ხანგრძლივია პრივატიზაციის პროცესი, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ საწარმოები დარჩებიან სახელმწიფო საკუთრებად თუ რეორგანიზებულ იქნებიან აქციონერულ კომპანიებად, რომლებსაც სახელმწიფო აკონტროლებს. პრივატიზაციის წინააღმდეგ პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურება მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, მათ შორის რუსეთში. ეჭვი იმისა, რომ პრივატიზაცია საერთოდ არ გატარდება თუ ის ხანგრძლივი დროით გადაიდება, ძლიერი არგუმენტია პრობლემის „ერთი დარტყმით“ ანუ რეფორმის ერთდროულად და სწრაფად განხორციელების მომხრეთა სასარგებლოდ.

**დეკაპიტალიზაციის სტიმულები (ძირითადი კაპიტალის „შთანთქმა“).** ეს სტიმულები გააჩნიათ სახელმწიფო საწარმოთა მუშაკებს და მმართველებს. სხვა სიტყვებით, ეს არის სტიმულები საწარმოთა ხარჯზე რაც შეიძლება მეტად გამდიდრებისა – მაღალი ხელფასების განაკვეთების, პრემიების დაწესების და უზრალოდ დატაცების წყალობით. თუ დაიშვება კრედიტებისა და სუბსიდიების გამოყენება ზარალის დასაფარავად, გამდიდრების შესაძლებლობა იზრდება. მანამ სანამ საწარმო იმყოფება სახელმწიფოს ხელში არ იქმნება შრომის ნაყოფიერების ზრდის სტიმულები, რამდენადაც მუშების დიდი ნაწილი არ არის დარწმუნებული რომ ისინი შეიძლება გახდნენ აყვავების მონაწილეები. სწრაფი პრივატიზაცია – უკეთესი ხერხია ასეთი ზარალის შემცირებისათვის.

**მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესება.** პრივატიზაცია უფრო სწრაფად აამაღლებს საწარმოს ეფექტიანობას. სახელმწიფო საწარმოები არაეფექტიანი მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების, რისკისა და სიახლეთა სტიმულების უქონლობის გამო შესაძლებელია დარჩნენ. აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა კომპანიამ დაკარგა საექსპორტო ბაზარი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ჩარჩოებში ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების გაუქმების გამო, ამავე დროს მათ დაკარგეს თავიანთი სამინაო ბაზარიც, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის და ამ ბაზარზე მათი მონოპოლიური მდგომარეობის შერყევის შედეგად. ასეთ საწარმოებს რეპუტაცია შელახული აქვთ, ამიტომ სწრაფად სურთ აიმაღლონ ეფექტიანობა, გახდნენ კონკურენტუნარიანი. ჩვენი აზრით, ამგვარ საწარმოთა პრივატიზება, პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა.

რეფორმამდე პოლონური კომპანია „პოლმპი“ მეთაურობდა კარტელს, სადაც თავმოყრილი იყო ელექტრონათურების წარმოება. ეკონომიკური უთრეირთდახმარების საბჭოს დაშლით 1990 წელს პოლონეთმა დაკარგა საექსპორტო ბაზარი საბჭოთა კავშირში, ასევე შეწყდა იაფი ელექტრონათურების იმპორტი რუსეთიდან. პროდუქციის მეტი წილი, რომელიც იწარმოებოდა კომპანიის 1700 მუშის მიერ გროვდებოდა საწყობში. როცა კომპანიის დირექტორი დაბრუნდა ხუთკვირიანი კურსებიდან (უორტონში აშშ-ის პენსილვანიის უნივერსიტეტთან არსებული უმაღლესი კლასის ბიზნესის სკოლა), მან წარმოადგინა კომპანიის გადარჩენის დაწვრილებითი პროგრამა. მაგრამ რამდენადაც მისი გეგმა ითვალისწინებდა 700 მუშაკის განთავისუფლებას, მუშათა საბჭომ „პოლამპი“ იგი გაათავისუფლა<sup>9</sup>.

აღმოსავლეთ ევროპის ბევრი საწარმო „ნთქავს ღირებულებას“ იმ გაგებით, რომ ისინი აწარმოებენ მათ მიერ მოხმარებული რესურსების ღირებულებაზე ნაკლებს. რესურსების ნამდვილი ღირებულება ბევრად მეტია იმაზე, რასაც ისინი იხდიდნენ ამ რესურსებზე წარსულში, ნაწილობრივ რუსეთიდან იაფფასიანი ნავთობის იმპორტის წყალობით.

ექსპერტთა შეფასებებით პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის კომპანიების 20-25% „ღირებულების შთანთქმელი“ იყო<sup>10</sup>. ამ კატეგორიაში შედიოდნენ ქიმიური და ცემენტის მრეწველობა,

<sup>9</sup> „Suzvej of business in Fastern Europe“ Economist, 1991, Septembep 21.

<sup>10</sup> ob. Hare P. and Hugues G. Centre for Economic Policj Research, Duscussion Paper, 543, london.

ფერადი მეტალურგია-პოლონეთში, კვების მრეწველობა-ჩეხოსლოვაკიაში, მეტალურგიული მრეწველობა – უნგრეთში. მათთვის აუცილებელი იყო ეფექტიანობის სწრაფი ამაღლება ან დახურვა, ხოლო გათავისუფლებული მუშაკების გადამზადება ეკონომიკის სხვა დარგებში გამოსაყენებლად.

ახლა კი განვიხილოთ მოსაზრებები წელი პრივატიზაციის სასარგებლოდ:

**4. პრივატიზაციის წარმატებით განხორციელების მიზნით აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმების გატარება.** უნდა განისაზღვროს კერძო საკუთრების უფლება, შეიქმნას ამ უკანასკნელის გარანტიები, რომ ნამდვილად იყოს სტიმულირებული კერძო ინიციატივა. ადამიანმა, რომელიც იძენს რომელიმე კომპანიის აქტივებს უნდა იცოდეს, რას ფლობს ის და როგორია მისი უფლებები;

**5. მსხვილმასშტაბიანი პრივატიზებისათვის აუცილებელია სხვა სახის რეფორმების გატარება.** ეს რეფორმები ითვალისწინებენ საბაზრო ფასების ფორმირებას, რეალური სავალუტო კურსისა და დადებითი საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბებას, მკაცრ საბიუჯეტო შეზღუდვებს, კონკურენციას, მმართველთა დამოუკიდებლობას. ზემოთ დასახელებული რეფორმების გარეშე პრივატიზაციის შედეგად შექმნილი ახალი ფირმები ვერ შეძლებენ კონკურენცია გაუწიონ მაღალგანვითარებული ქვეყნების კომპანიებს;

**6. საწარმოთა ღირებულების ზუსტი განსაზღვრა მოითხოვს დროს.** თუ საწარმო გაიყიდება აუქციონზე, ასეთი შეფასება მისაღები იქნება როგორც მთავრობის, ისე ინვესტორისათვის. საწარმოს გაყიდვა მისი ღირებულების ქვევით საზოგადოების წევრთა უმრავლესობის მიერ განიხილება როგორც უსამართლობა;

**7. სწრაფი პრივატიზაციის მაღალი დანახარჯები.** მსხვილი სახელმწიფო საწარმოების სწრაფი პრივატიზაცია დაკავშირებულია დიდძალ დანახარჯებთან, რომელთა შორის ყველაზე დიდია დანახარჯები უმუშევრობასთან დაკავშირებით. პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის პირობებში ქვეყანამ ექსპერიმენტების გამოყენებით შეიძლება მისცეს საკუთარ თავს წელი ტემპით ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ფუფუნების უფლება. ამასთან, შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ფასების სწრაფი ზრდით გამოწვეული მაღალი უმუშევრობა;

**8. პოლიტიკური მოსაზრებები.** არსებობს არგუმენტები როგორც დაჩქარებული, ისე წელი პრივატიზაციის სასარგებლოდ. გარდამავალი ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში საზოგადოება ვერ შეძლებს აიტანოს ხანგრძლივი ეკონომიკური დაცემა და მასობრივი უმუშევრობა, რომლებიც წარმოიშობა „ერთი დარტყმის“ სტრატეგიის შედეგად. ვრცელდება მოსაზრება, რომ აუცილებელია სახელმწიფო საწარმოების მხარდაჭერა და დახმარება (სუბსიდიებით) გარკვეულ პერიოდში მაინც. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მომავალში ამ საწარმოებს ჰქონდეთ წარმატების მეტი შანსი. მოსაზრებები სწრაფი პრივატიზაციის წინააღმდეგ მომდინარეობს არა მარტო ადრინდელი სისტემის მომხრეებიდან, რომელთა სურვილი იყო სახელმწიფო საწარმოთა ხელშეუხებელი შენარჩუნება, არამედ კერძო სექტორის განვითარების მომხრეებიდანაც, რომლებიც თვლიან, რომ პრივატიზაციის პროცესის გახანგრძლივება უკეთესია ქვეყნისათვის.

ზნეობრივ პრობლემებს შორის უმთავრესია პრივატიზაციის ეფექტიანობის და სამართლიანობის შესახებ საკითხი. მრავალი ზნეობრივი პრობლემა აღმოცენდება როგორც პრივატიზაციის პროცესში, ისე სახელმწიფო საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნების დროს. ზოგიერთი მათგანი ზემოთ განვიხილეთ. საინტერესოა რა უფლებები აქვთ მოქალაქეებს სახელმწიფო აქტივების გადასაწილებასთან დაკავშირებით? ბუნებრივია, მათ მიაჩნიათ, რომ უნდა მიიღონ გადასაწილებელი აქტივების ნაწილი. საზოგადოებას სამართლიანობასთან ერთად უნდა ავლევდეს პრივატიზაციის ეფექტიანობის პრობლემაც. ეკონომიკის მდგომარეობა მომავალში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხორციელდება მსხვილი სახელმწიფო კომპანიების მართვა, ამიტომ მთავრობა უნდა იყოს პასუხისმგებელი იმაზეც, რომ რეფორმების პროგრამამ შექმნას უფრო მეტი შესაძლებლობები სასურველი ეკონომიკური შედეგების მიღწევისათვის. როგორც წესი, ძნელია ასეთი გადაწყვეტილებების მიღება მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებსა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს შორის კონფლიქტის გამო. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი მაგალითები:

შესაძლებელია თუ არა საწარმოს კონტროლი გადაცეს მის მუშაკებს, თუ დასაბუთებულია რომ ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება მისი მართვის ეფექტიანობის პრობლემა. კერძოდ, დანახარჯების შემცირების სიძნელეები ეკონომიკის დაცემის პერიოდში? ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიძლება განხორციელდეს სტიქიური პრივატიზაცია ან ფონდების უფასო, მასობრივი გადაცემა მუშებისადმი, მაგრამ ამასთან ერთად უნდა გაუქმდეს სუბსიდიები პრივატიზებული საწარმოებისადმი, რომ არაეფექტიანი კომპანიები არ ფუნქციონირებდნენ

უსასრულოდ. მთავრობამ კი უნდა უზრუნველყოს გაკოტრებულ საწარმოთა მუშების გადამზადების პროგრამა. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი შეიძლება აღმოჩნდეს ძვირადღირებული ღონისძიება.

უნდა იქნეს თუ არა რეალიზებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც, საპრივატიზაციო ჩეკები ნაწილდება ყველა მოქალაქეზე თანაბრად, მაგრამ, ამასთან, საკუთრების ფართო გავრცელებას მივყავართ საწარმოთა საქმიანობაზე კონტროლის ეფექტიანობის შემცირებამდე? აქტივების მასობრივი, უფასო გადაცემის კონცეფციის განხილვისას მითითებული იყო, რომ კუპონების სისტემა ითვალისწინებს შუამავლების ინსტიტუტის, საინვესტიციო ტიპის კომპანიების და აქციების ფლობის ურთიერთსაპირისპირო ფონდების არსებობას, რომლებიც ახორციელებენ საწარმოთა მართვის აპარატზე კონტროლის ფუნქციას. სწორი იქნება თუ არა მოქალაქეებს მიეცეს კომპანიების აქციები, მაგრამ მესაკუთრის ისეთი უფლების გარეშე, როგორცაა ხმის მიცემის უფლება?

როგორ უნდა გაანაწილოს სახელმწიფომ ფონდები? გაანაწილოს თანაბრად საზოგადოების ყველა წევრზე თუ მხოლოდ ქვეყნის ზრდასრულ მოსახლეობაზე? უნდა ჰქონდეთ თუ არა უპირატესობა საწარმოს მუშაკებს მისი აქტივების განაწილების დროს? საჭიროა თუ არა პრივატიზაციის პროცესში მოქალაქეთა იმ დანაკარგების კომპენსაცია, რომელიც მოხდა ფასების ლიბერალიზაციის შედეგად? საჭიროა თუ არა ყოფილი ლიდერების გამორიცხვა ახალ კომპანიებში წილის განაწილების პროცესიდან? სამართლიანობის განსაზღვრა სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვანაირია. შესაძლებელია მთავრობებმა გამოიყენონ რეფერენდუმი ამ პრობლემაზე საზოგადოებრივი აზრის შეფასებისათვის.

## თემა 5. სოციალური რისკი და სოციალური დაცვის სისტემა

### გარდამავალი ხანის ეკონომიკაში

#### სოციალური რისკის არსი და ფორმები

სოციალური რისკი – გასაღებია გარდამავალი ეკონომიკისაკენ. გარდამავალი ხანის ეკონომიკისათვის ნიშანდობლივია:

**I. სიღარიბის, უთანასწორობის უმუშევრობის ზრდა და რეალური შემოსავლების დაცემა;**

**II. ჯანმრთელობის გაუარესება,** რაც გამოიხატება სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებაში, მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლების დაცემაში, სამედიცინო დახმარებასთან დაშვების პირობებისა და დაავადებათა ხასიათის შეცვლაში;

**III. განათლების დონის დაცემა,** რაც ვლინდება განათლების მომცველობის შემცირებაში, განათლების ხარისხის გაუარესებაში, განათლებიდან უკუგების გადიდებასა და მზარდი უთანასწორობის წარმოქმნაში;

**IV. სოციალური გარემოს ნგრევა (დაშლა);**

**V. კონფლიქტები და ომები** (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (ცაე), ასევე ცენტრალური აზიის (ცა) 4,5 მლნ ადამიანზე მეტი შეადგენენ მსოფლიოს მოსახლეობის 7%-ს და მსოფლიოში ყველა გადაადგილებულ პირთა 30%-ს).

ბუნებრივია დაისვას კითხვა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არის თუ არა სოციალური კატასტროფა?

გარდამავალ ეკონომიკაში წარმოიქმნება პრობლემები, მაგრამ იგი არ უნდა აღვიქვათ კატასტროფად. გარდამავალი ხანის **პარადოქსია სიტუაციის უარესად აღქმა, ვიდრე თვით სიტუაციაა.**

გარდამავალ ეპოქაში სოციალური დანახარჯების განაწილების ორი ტიპია ცნობილი: კონცენტრაცია და ქრონიკული სიღარიბე; უნივერსალიზაცია და დროებითი სიღარიბე. ამ ორი პროცესის შეთანაწყობა (ერთობლიობა) არის მთავარი პრობლემა. დროებითი სიღარიბეც კი ძირს უთხრის (აზიანებს) სოციალურ დინამიკას. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უკიდურესად ძნელდება რესურსების განაწილება. სოციალურ დამაბულობას მივყავართ პოლიტიკურ არასტაბილურობამდე, რაც, თავის მხრივ, ამალღებს რისკს. რისკი და სოციალური დამაბულობა აფერხებს რესტრუქტურისაგან.

სოციალური რისკის სახეა შემოსავლების დაკარგვის და არამატერიალურ სიკეთესთან (კეთილდღეობასთან) დაშვების რისკი. რისკის წყაროა: ინფორმაციისა და ბაზრის არასრულყოფილება.

სოციალური რისკის ტიპები (მიკრო, მაკრო და მეზო რისკები) სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება გამოვსახოთ:

სქემა 5.1.

	მიკრო	მეზო	მაკრო
ბუნებრივი ჯანმრთელობა/ ასაკი	ბავშვის დაბადება ავადმყოფობა შრომისუნარიანობის დაკარგვა უბედური შემთხვევები	ადგილობრივი მნიშვნელობის ეპიდემიები	ბუნებრივი კატასტროფები
სოციალური	ყოფითი დანაშაულობები	ორგანიზებული დანაშაულობები	სამოქალაქო კონფლიქტები
ეკონომიკური	სამუშაოს დაკარგვა სამუშაოს პოვნის შეუძლებლობა გაკოტრება		წარმოების დაცემა, კრიზისი ფინანსური კრიზისი მსოფლიო ფასების ცვალებადობა
პოლიტიკური გარემო პირობები	დისკრიმინაცია	უწყსრიგობა გაჭუჭყიანება კატასტროფები	ომები გადასახლება შინაგანი დევოლტი

სოციალური რისკი გამოისახება შემდეგი მაჩვენებლებით: **დანაზოგებისა და კაპიტალის ოდენობა** – დანაზოგები, ქონების ღირებულება, მიწაზე საკუთრება და უძრავი ქონება.

**შრომის ბაზრის მდგომარეობა და კრედიტის პირობები** – ხელფასის წილი შემოსავლებში, უმუშევრობის დონე და ხანგრძლივობა, საპროცენტო განაკვეთის ოდენობა და საოჯახო მეურნეობებისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობა. **ურთიერთდახმარება და შემწეობა** – პენსიონერების წილი, პენსია, ხელფასი, შემწეობის მიმღებთა წილი, შემწეობის წილი შემოსავალში, შიგასაოჯახო და საოჯახთაშორისო გადანაწილების მასშტაბები, შემწეობაზე დაშვება კატასტროფების (სხვადასხვა დონის) შემთხვევაში.

რამდენადაც ხანდაზმული ადამიანების ხვედრითი წილი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საკმაოდ მაღალია (რიგ ქვეყნებში პენსიონერები შეადგენენ მომუშავეთა თითქმის 50%-ს), ხარჯები ხანგრძლივი საპენსიო უზრუნველყოფისათვის შეიძლება იქცეს ძირითად ტვირთად საზოგადოებისათვის და ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებისას. საპენსიო რეფორმა შეიძლება მოიცავდეს პენსიის მიღების უფლებაზე მოთხოვნის გამკაცრებას.

### რისკის თავისებურებანი გარდამავალ ეკონომიკაში

სიღარიბის რისკის ანალიზი მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში ადასტურებს იმას, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ღარიბების რიცხვში მოხვედრის მეტი ალბათობით გამოირჩევიან ბავშვები, განსაკუთრებით ბავშვები 7-დან 15 წლამდე ასაკში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჯგუფი ინარჩუნებს ლიდერობას სიღარიბის რისკის მიხედვით რეფორმების მთელი პერიოდის მანძილზე.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სტატისტიკური ორგანოების მიერ გამოყენებული ასაკობრივი ჯგუფების აგრეგირების სისტემა მალავს ზოგიერთ ჯგუფებს სიღარიბის მაღალი რისკით. ასე, მაგალითად, 7 წლამდე ასაკის ბავშვების დაახლოებით 30% და 1,5 წლამდე ბავშვებით ოჯახების 50% პრაქტიკულად ხვდება ღარიბების რიცხვში.

ანალოგიური სიტუაცია დამახასიათებელია სხვადასხვა ასაკის პენსიონერებისათვის. რეფორმის დასაწყისში სიღარიბის მაღალი რისკის ერთ-ერთ ჯგუფს შეადგენდნენ პენსიონერი ქალები, მაგრამ შემდგომ წლებში მათ შეძლეს გამოსვლა ამ ჯგუფიდან. ამასთან მაღალი რისკის ზონა გადაადგილდა წინასაპენსიო ასაკის ქალების ჯგუფში. ასეთი ძვრები ძირითადად განპირობებულია შრომის ბაზარზე და საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაში მიმდინარე ცვლილებებით.

მას შემდეგ, რაც გარდამავალი ეკონომიკის რიგ ქვეყნებში საპენსიო კანონმდებლობამ ნება დართო მომუშავე პენსიონერებს ერთდროულად მიიღონ პენსიაც და ხელფასიც, მომუშავე პენსიონერები გამოვიდნენ ღარიბი მოსახლეობის რიცხვიდან და სწორედ ამიტომ საპენსიო ასაკობრივი ჯგუფები არ გამოირჩევა ღარიბების რიცხვში მოხვედრის მაღალი რისკით. წინასაპენსიო ასაკის ქალები აღმოჩნდნენ შრომის ბაზრის გარეთ, ამიტომ ან დასაქმებულნი არიან დაბალანაზღაურებად სამუშაოზე ან საერთოდ არ მუშაობენ, ამის გამო ისინი უფრო ფართოდ არიან წარმოდგენილი ღარიბებს შორის.

გარდა ამისა, ოფიციალური სტატისტიკით მომუშავე და არამომუშავე პენსიონერების ერთ ჯგუფში გაერთიანება მალავს უფრო ხანდაზმული პენსიონერების სიღარიბის ფაქტს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ მუშაობა. მაგრამ გამოკვლევის შედეგები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მოსახლეობის მოცემული ჯგუფი, აფიქსირებენ უფროსი ასაკის (65 წელი და ზევით) პენსიონერების სიღარიბის მაღალ რისკს, რომლებიც ცალკე ცხოვრობენ და მთლიანად თვითუზრუნველყოფაზე იმყოფებიან იმათთან შედარებით, ვინც ცხოვრობს მომუშავე ნათესავების ოჯახებში.

ახალ ეკონომიკურ პირობებში რთულ მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ არასრული და მრავალშვილიანი ოჯახები. მათ შორის ღარიბების წილი 60-90%-ს აღწევს. პრობლემას ისიც ამწვავებს, რომ ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით ნათლად წარმოჩინდა არასრული ოჯახების წილის გადიდების ტენდენცია განქორწინების რიცხვის, ქორწინების გარეშე შობადობის, აგრეთვე შრომისუნარიანი მამაკაცების სიკვდილიანობის ზრდასთან დაკავშირებით. მრავალშვილიანი ოჯახები ალბათობის მაღალი ხარისხით ხვდებიან ღარიბების ჯგუფში არა მარტო ბავშვების რჩენის ტვირთის მიზეზით, არამედ ოჯახის შრომისუნარიანი წევრების ხელფასის დაბალი დონის გამო. აქ შეინიშნება სიღარიბის სხვადასხვა ფაქტორების ერთდროული ამოქმედება. ოჯახში ბავშვების მრავალრიცხოვნება – ეს ხშირად დედების დასაქმების შესაძლებლობის შეზღუდვის ფაქტორია, რაც თავის მხრივ აღრმავებს



მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას. სპეციალური გამოკვლევების მონაცემები მოწმობს, რომ ასეთი ოჯახების 40%-ში დედები არ მუშაობენ ან დაკავებულნი არიან სამუშაო ადგილებზე, რომლებიც არ მოითხოვენ კვალიფიკაციას და შესაბამისად დაბალანაზღაურებადია.

### რისკების მართვის მექანიზმი მიკრო და მაკროდონეზე

სოციალური რისკის მართვის მექანიზმი ეყრდნობა პრევენციული სტრატეგიებს, პოტენციური ზარალის მინიმიზაციის სტრატეგიას: დივერსიფიკაცია, დაზღვევა (ფორმალური და არაფორმალური), რისკების გადანაწილება და გაცვლა, შედეგების შემსუბუქების სტრატეგიას იგი სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება გამოისახოს:

სქემა 5.2.


რისკების მართვის მექანიზმი

	არაფორმალური ანუ საოჯახო	საბაზრო	სახელმწიფო
რისკის შემცირება	მიგრაცია		მაკრო პოლიტიკის შედეგების ანალიზი და მოდიფიკაცია შრომის ბაზრის პოლიტიკა
ზარალის მინიმიზაცია			
დივერსიფიკაცია	სამუშაოთა შეთავსება ინვესტიციები	ფინანსური ინვესტიციები	დანაზოგები საპენსიო სისტემა
დაზღვევა	შიდასაოჯახო ურთიერთობები მეზობლობა	პირადი დაზღვევა	სოციალური დაზღვევა
გაცვლა	საოჯახთაშორისი ურთიერთობები		
შედეგების შემსუბუქება	ქონების გაყიდვა პირადი დანაზოგები სესხება, დახმარება და ქველმოქმედება	კრედიტი და ფინანსური აქტივების გაყიდვა	სოციალური დახმარებები სუბსიდიები საზოგადოებრივი სამუშაოები

გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებებია მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და სტრუქტურული ცვლილებები, რისკების მართვის რიგი საკვანძო არაფორმალური მექანიზმების დანაწილება (ერთმანეთისაგან მოწყვეტა), ფორმალური რეფორმა, რაც თავისთავად რისკის წყაროა.

## ს ქ ე მ ა

### რისკები მართვა



### რისკების კონცეფცია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია

რისკების მართვის საკვანძო პრობლემა-პროცესის დინამიკასა და განუსაზღვრელობის ზრდაშია. როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის, ისე ცალკეული საოჯახო მეურნეობისათვის რისკი განსაზღვრავს სიღარიბის ქცევას და მიზეზებს.

რისკების მართვის კონცეფცია საშუალებას იძლევა: მივაღწიოთ სიღარიბის შემცირებას რესურსების პირდაპირი გადანაწილების გარეშე, დავენერგოთ სოციალური ასპექტები ეკონომიკური პოლიტიკის ნებისმიერ სფეროში, რაც მოითხოვს: სოციალური პოლიტიკის მონიტორინგს, მოსალოდნელი სოციალური შედეგების ანალიზს, სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლას.

გარდამავალ ეკონომიკაში სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიზნობრივი ფუნქციის შერჩევის შესაბამისად აიგება მისი რეალიზაციის მექანიზმი, რომელიც შედეგება სტრატეგიისა და ტაქტიკისაგან, სოციალური ტექნოლოგიებისა და სოციალურ პროცესებზე სახელმწიფოს ზემოქმედების მეთოდებისაგან.

სიღარიბის შემცირებაზე ზემოქმედების სტრატეგია ეფექტიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმართება სამი ძირითადი მიმართულებით:

1. პირობების შექმნა დასაქმებულთათვის, რათა მისი გამოუმუშავება საკმარისი იყოს, რათა რომ ოჯახმა თავი დააღწიოს სიღარიბეს;

2. სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის ჯგუფების (ხანდაზმულები, ინვალიდები, ოჯახები კმაყოფაზე მყოფთა მაღალი ტვირთით, ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფი ოჯახები – დევნილები და სხვ.) მხარდაჭერის ეფექტიანი სისტემის შექმნა;

3. ღარიბების დისკრიმინაციის დაუშვებლობა უფასო ან დოტირებულ სოციალურ მომსახურებასთან დაშვებისას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ღარიბი მოსახლეობის რიცხოვნობის შემდგომი ზრდის თავიდან ასაცილებლად ასევე აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსაზღვრული პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა. უპირველეს ყოვლისა, ყველა მასშტაბური რეფორმების გატარება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სოციალური შედეგების ექსპერტიზის პროცედურის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ რეფორმებს მივყავართ საზოგადოების ღარიბი ფენის მდგომარეობის გაუარესებამდე, ისინი არ უნდა იყოს მოწონებული კომპენსაციური სოციალური კომპონენტის არსებობის გარეშე. მედიცინის, განათლების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროში რეფორმების გატარებისას ეს პრინციპი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

სიღარიბის შემცირებაზე ზემოქმედების პოლიტიკის ასეთი პრინციპები არ შეიძლება იყოს რეალიზებული ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის შემცირებისაკენ მიმართული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სრულყოფის გარეშე. ამ პროცესში მთავარი როლი მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის ინსტიტუტებს ეკუთვნის, ამ სისტემის ყველა კომპონენტი გადასაწყვეტ ამოცანებთან შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი.

სიღარიბის განსაზღვრის და გაზომვის ინსტრუმენტები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სოციალური დაცვის ინსტიტუტების ფინანსურ და ორგანიზაციულ შესაძლებლობებს, რომ არ შეიქმნას პრეცედენტი ღარიბებისათვის განკუთვნილი პროგრამის გავრცელებისა მოსახლეობის საშუალოდ უზრუნველყოფილ ფენებზე. ეს ნიშნავს, რომ უკიდურესად ღარიბები, უნდა წარმოადგენდნენ პრიორიტეტულ ჯგუფს სოციალური დაცვის სისტემის მხარდასაჭერად. სახელმწიფო პოლიტიკის აღიარებული პრიორიტეტების თანახმად, სწორედ ამ ჯგუფს უნდა გააჩნდეს სოციალური დაცვის რესურსებთან პრიორიტეტული დაშვების უზრუნველყოფა.

ამასთან, სიღარიბის დონის შემცირების ამოცანა არ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილად შრომისუნარიანი მოსახლეობის შემოსავლებთან დაშვების გაფართოვების გარეშე. ამიტომ სიღარიბის შემცირების სფეროში პირველი რიგის ამოცანა სრულიად ნათელია: უკიდურესი ღარიბების პრიორიტეტული დაშვება სოციალური დაცვის რესურსებთან და იმ მოქალაქეების შემოსავლებთან დაშვების გაფართოვება, რომლებიც ფლობენ გარკვეულ პროფესიულ კვალიფიკაციას, სოციალურ და ადაპტაციურ პოტენციალს.

### **ეკონომიკური პოლიტიკის სოციალური ორიენტაცია**

სახელმწიფო საქმიანობის სოციალური მიმართულება, როგორც სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს არსებითი მახასიათებელი, თავის პრაქტიკულ გამოვლენას პოვებს მის მიერ გატარებულ სოციალურ პოლიტიკაში. სოციალური სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სისტემასწარმოქმნელი კომპონენტია, რომელიც მისი ყველა სხვა ელემენტების ფუნქციონირებას წარმართავს სოციალური სამართლიანობის, სოციალური დაცვის და ცხოვრების მაღალი დონის რეალიზაციის მიმართულებით.

ბაზარზე გადასვლისას სოციალურ პოლიტიკაში პრიორიტეტული ხდება სოციალური დაცვისა და შემოსავლების გადანაწილების ფუნქცია, რომლებიც თანდათან ცვლის რეფორმამდელი სოციალური პოლიტიკის ეკონომიკურ და იდეოლოგიურ მიმართულებას, რაც გარდამავალი პერიოდის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რომელიც შემდეგი გარემოებებით აიხსნება: თუ სოციალისტურ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჰქონდა შესაძლებლობა ეკონომიკური პოლიტიკის სოციალური შემადგენელი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი ცენტრალიზებული წესით დაექვემდებარებინა და ამით მიეღწია სახელმწიფოში ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ბალანსისათვის გარდამავალ ეკონომიკაში ეს ბალანსი, განისაზღვრება ბაზრის მიერ, სახელმწიფოს მხრიდან გადანაწილებით პროცესებში მინიმალური ჩარევის შედეგად. ამიტომ, ახალ სისტემაზე გადასვლისას განსაზღვრული ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად სოციალური პოლიტიკის გამოყენება არ არის აუცილებელი. ზემოთ აღნიშნულის დასასაბუთებლად ლიბერალების მოყავთ არგუმენტები საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების გამოთანაბრების ღონისძიებებს, წარმოების მოცულობის მაჩვენებლებსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას შორის ერთმნიშვნელოვანი ურთიერთდამოკიდებულების არარსებობის შესახებ.

გარდამავალი ეპოქის სოციალური პოლიტიკა – რთული სტრუქტურაა, რომელიც ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპს პატერნალიზმსა და ინდივიდუალიზმს ეფუძნება.

ნათელია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური დაცვის სისტემა მდგრადი და ეფექტიანი იქნება, თუ თანამედროვე სოციალური დაცვის სისტემის პატერნალიზმის ხარისხის შემცირება (სოციალური გარანტიების შემცირება, სოციალური სფეროს მომსახურების მარკეტიზაცია, სოციალური დახმარების ადრესულ სისტემაზე გადასვლა, შეღავათებისა და კომპენსაციების შეკვეცა) მისი ინდივიდუალიზმის (თვითუზრუნველყოფის, თვითდასაქმების, თვითდაცვის პირობების შექმნით) ხარისხის გაფართოებასთან ერთად განხორციელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ღონისძიებას, რომელიც მიმართული იქნება სოციალური დაცვის სისტემის ლიბერალიზაციისაკენ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის და კოლექტიური დაცვის შესაბამისი კომპენსაციური მექანიზმის შექმნის გარეშე თან ახლავს მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა და სიღარიბის ზრდა.

სახელმწიფო საქმიანობაში სოციალური მიზნების აღიარება ძირითად პრიორიტეტებად ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ გარდამავალ ეკონომიკაში უკვე შექმნილია და მოქმედებს ისეთი გადანაწილებითი სისტემა, რომელიც შეესაბამება სოციალური სახელმწიფოს პრინციპებს. რამდენადაც ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში სოციალური პოლიტიკის არსი მის ფუნქციებში (ეკონომიკური, განმანაწილებლობითი, დაცვის, იდეოლოგიური და სხვ.) ვლინდება იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თუ რამდენად მიახლოებული ან დაშორებული არიან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები დასახულ მიზნებს აუცილებელია განვიხილოთ გარდამავალ ეკონომიკაში სოციალური პოლიტიკის ძირითადი ფუნქციების ცვლილებების ვექტორი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას შეიცვალა რეფორმამდელი სოციალური პოლიტიკის მიზნობრივი ფუნქცია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად ხელსაყრელი სოციალური პირობების შექმნა. ზემოთაღნიშნული შეესაბამებოდა ცენტრალიზებულად რეგულირებად სოციალურ ნორმატივებს, გარანტიებს, შეღავათებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მინიმალურ სოციალურ სტანდარტებს, რაც სოციალისტურ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა მოხმარებაში ეკონომიის შედეგად რესურსები მიემართა ეკონომიკის ინვესტიციურ სექტორში.

ამ მიზანს ექვემდებარებოდა სოციალური პოლიტიკის არა მარტო განმანაწილებლობითი ფუნქცია, რომელიც მიმართული იყო შემოსავლების შეზღუდვისა და მათი გამოთანაბრებისაკენ მკაცრი დარგობრივი სატარიფო ქსელისა და შრომის ნორმირების მეშვეობით, არამედ სოციალური დაცვის ფუნქციაც, რომელიც მოწოდებული იყო პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე მნიშვნელოვანი დოტაციების მეშვეობით მოეხდინა შრომის დაბალი ანაზღაურების კომპენსაცია მოსახლეობის ცხოვრების დონის სამუშაო ძალის კვლავწარმოების დონესთან მიახლოებით (გათანაბრებით), რაც არ ქმნის წინააღმდეგობას ეკონომიკური ზრდისათვის.

სოციალური პოლიტიკის იდეოლოგიური ფუნქცია, რომელიც სოციალური გარანტიების სახით შრომაზე, უფასო საცხოვრებელ ბინაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, კულტურაზე სოციალისტური სისტემის უპირატესობათა დემონსტრირებას ახდენდა ხსნიდა პოტენციურად მაღალ სოციალურ დამაბულობას, რომელიც შექმნილი იყო გათანაბრებითი განაწილებისა და შრომის დაბალი ანაზღაურების შედეგად და თავიდან იცილებდა პოლიტიკურ წინააღმდეგობას ეკონომიკური ზრდის გზაზე.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში არსებობს ორი ძირითადი მიდგომა გარდამავალ ეკონომიკაში სოციალური პოლიტიკის არსისა და როლის გაგებისადმი: ლიბერალური და ეტატისტური (სახელმწიფოებრივი). ლიბერალები ასაბუთებენ შემზღუდავი, პასიური, კომპენსაციური სოციალური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, აქცენტი გადააქვთ რა საბაზრო რეფორმების სოციალურ სარგებლიანობაზე; „სახელმწიფოებრივი“ მიდგომა კი, პირიქით, სახელმწიფოსაგან მოითხოვს გაფართოებულ, აქტიური, შემტევი სოციალური პოლიტიკის განხორციელებას. ისინი თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად განიხილავენ ბაზარზე გადასვლის სოციალურ დანახარჯებს.

გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფოს სოციალური როლის გაძლიერების მომხრეები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც სოციალური პოლიტიკის ქვესისტემა და ყველა ეკონომიკური ღონისძიება უნდა იყოს გამსჭვალული და გათვლილი სოციალური მიზნების პრიორიტეტებზე დაყრდნობით. ამ შეხედულების თეორიული დასაბუთების საფუძველი გახდა რადიკალური რეფორმების სოციალური კონცეფცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესის ნეგატიურ მოვლენებზე.

საბაზრო რეფორმების გატარებისას ნეოკლასიკური თეორიის (რომელიც ითვლება თანამედროვე დასავლური ეკონომიკური აზრის ძირითად მიმდინარეობად) ძირითადი პოსტულატებისადმი ფარულ თუ აშკარა მხარდაჭერას მივყევართ იქამდე, რომ საბაზრო ეკონომიკური გარდაქმნების საერთო მახასიათებელს წარმოადგენს რეფორმების სოციალური

შემადგენლის მეორადობა, რომელიც უფრო მეტად იმ ქვეყნებში გამოვლინდა, რომლებიც „სწრაფი“ („მოკური“ თერაპია) რეფორმირების გზას დაადგინეს და უფრო ნაკლებად იმ ქვეყნებში, რომლებიც ბაზარზე თანდათანობით („გრადუალიზმი“) გადადიან.

როგორც წესი, გარდამავალი ხანის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას არ გაითვალისწინებოდა ეკონომიკურ გარდაქმნათა სოციალური დანახარჯები და არ იყო მიღებული შესაბამისი ზომები მათი შემცირებისათვის; არ მოქმედებდა სოციალური სფეროს გარდაქმნის პროგრამები; რეფორმირების პირველ ეტაპზე არ იყო შემუშავებული სოციალური განვითარების კონცეფცია (გამონაკლისია ყოფილი ჩეხოსლოვაკია, რომელმაც რეფორმირების საწყის ეტაპზევე შეიმუშავა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ორი პროგრამა; უფრო გვიან ჩეხეთსა და სლოვაკეს შეუერთდნენ პოლონეთი და უნგრეთი, რომლებმაც 90-იანი წლებისათვის შეიმუშავეს სოციალური რეფორმების კონცეფცია).

რეფორმის მეორე ეტაპზეც ეკონომიკური ზრდის დაწყების პირობებშიც (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა განახლდა 1993-1994 წლებში) სოციალური სფერო და გადანაწილებითი სისტემა ძველებურად რჩება ეკონომიკური ურთიერთობების ნაკლებად რეფორმირებად ნაწილად, რომელიც ჯერჯერობით ვერ გადაიქცა ეკონომიკური ზრდის დამოუკიდებელ ფაქტორად, რომელიც ზემოქმედებს მასზე ერთობლივი მოთხოვნის, დაგროვების და ინვესტიციების მეშვეობით. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკოსებში დამკვიდრებულ ლიბერალურ შეხედულებას სოციალურ პოლიტიკაზე, როგორც უაღრესად ეთიკური, მორალური ხასიათის ინსტრუმენტზე, რომელიც ავსებს ეკონომიკურ რეგულატორებს (საგადასახადო, საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო) მაგრამ არ არის მათი მნიშვნელობის.

გარდამავალ პერიოდში სოციალური პოლიტიკის განსაკუთრებულობა ისაა, რომ იგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე: პოლიტიკურ არჩევანსა და იდეოლოგიურ უპირატესობაზე. ეს დამოკიდებულება უფრო ნათლად წარმოჩნდება არამდგრად, ავტომატური რეგულირებისათვის მოუხერხებელ გარდამავალ ეკონომიკაში, ვიდრე სტაბილურ, ობიექტურ კანონზომიერებას დაქვემდებარებულ განვითარებულ საბაზრო სისტემაში, სადაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ნეოლიბერალურმა ცვლილებებმაც კი ვერ შეძლეს ეკონომიკაში სახელმწიფოს სოციალური პოზიციების პრინციპული ტრანსფორმაცია.

### **სოციალური დაცვის სისტემის თავისებურებანი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში**

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ XXI საუკუნის დასაწყისისათვის ეკონომიკურ სისტემათა უმრავლესობაში ვიწროლიბერალური მიდგომა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისადმი ფართოდ გავრცელდა. შედეგად ჩამოყალიბდა სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფის განსაკუთრებული ეროვნული მოდელები. ეს არის ჩრდილო-ევროპული მოდელი, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა შვედურ სისტემაში, გერ-ის სოციალური საბაზრო მეურნეობის მოდელი, ეკონომიკური განვითარების და სოციალური მდგრადობის იაპონური მოდელი. ამერიკის ეკონომიკურ სისტემაშიც კი, რომელიც ლიბერალური ვარიანტის ნიმუშად გვევლინება, თანდათან მკვიდრდება სოციალური გარანტიების ელემენტები.

სოციალურად მდგრადი საზოგადოების ფორმირების პრობლემის გადაწყვეტის ეროვნული თავისებურება ჯერ ერთი, ვლინდება რაოდენობრივ პარამეტრებში. კერძოდ, სახელმწიფო ხარჯები სოციალური სფეროს დაფინანსებაზე შვედიაში მშპ-ის 39,9%-ს, გერ-ში 27,5%-ს, ხოლო იაპონიაში 16%-ს შეადგენს. მეორეს მხრივ კი, განისაზღვრება ისეთი – თვისებრივი მაჩვენებლებით, რომლებიც ასახავენ ეროვნული მოდელის სპეციფიკას. იგი მოიცავს ეროვნული ეკონომიკის თეორიულ საფუძველს, ინსტრუმენტების ნაკრებს და მკროსისტემის ელემენტების ურთიერთქმედების ხასიათს. ფულადი შემოსავლების გადანაწილების შვედური მოდელი ხორციელდება სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მეშვეობით. სოციალური განვითარების გერმანული მოდელი ეყრდნობა ყველა ეკონომიკური სუბიექტის ვიწრო სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპს შრომის ეფექტიანობაზე პირადი პასუხისმგებლობის პირობებში. იაპონური მოდელის სპეციფიკა ვლინდება მუშაკების სოციალურ უზრუნველყოფაში უმსხვილესი კორპორაციების განსაკუთრებული როლით.


სოციალურად ორიენტირებული მდგრადი მკროსისტემების განვითარების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს საკუთრებით ურთიერთობათა იმგვარი ტრანსფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა შესუსტდეს სოციალური დამაბულობა და კომერციული დატვირთვა სოციალურ სფეროზე, რაც ყველა ქვეყანაში ხორციელდება სტრუქტურულ და ინსტიტუციურ გარდაქმნათა ჩარჩოებში.

სახელმწიფო სოციალური დაცვის ცნებაში განიხილება ურთიერთობათა სისტემა ინდივიდი – სახელმწიფო და ოჯახი – სახელმწიფო, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ცხოვრების დონის გარანტირებულ მინიმალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოებისათვის, შრომისუნარიანების მიერ კმაყოფაზე მყოფთა შენახვისათვის, ცხოვრების ადრინდელი დონის შენარჩუნებისათვის იმათის, ვინც სოციალური რისკების (საწარმოთა ტრამეები, შრომის უნარის დაკარგვა დროებით და ასაკის გამო, ავადმყოფი ბავშვების დაბადება და სხვ.) შედეგად დაკარგა შრომისუნარიანობა ან ვისაც თავიდანვე (ბავშვები და ინვალიდები) არ გააჩნდა იგი.

გარდამავალ ეკონომიკაში ფორმირებადი სოციალური დაცვის სისტემისთვის დამახასიათებელია ბაზრამდელი პატერნალისტური დაცვის მექანიზმის შერწყმა მის საბაზრო ლიბერალურ ელემენტებთან პირველის მკვეთრი შემცირების და მეორის არასაკმარისად ზრდის პირობებში. სოციალური დაცვის სქემატურად განზოგადებულ სისტემას გარდამავალ ეკონომიკაში შემდეგი სახე აქვს:

სქემა 5.3.

მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა გარდამავალ ეკონომიკაში



სოციალური დაცვის სისტემა წარმოადგენს იერარქიულ პირამიდას, რომელიც შედგება სოციალური დაცვის რამდენიმე დონისაგან. მისი შევიწროვება ზევით ნიშნავს ადამიანების რიცხოვნობის შემცირებას, რომლებიც დაცვის სხვადასხვა საფეხურზე ხვდებიან. მოცემული სოციალური დაცვის სისტემის ბაზისს წარმოადგენს სახელმწიფო სოციალური გარანტიები მინიმალური ფიქსირებული შემოსავლებით (მინიმალური ხელფასი და პენსია), აგრეთვე საზოგადოების ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფის სისტემა – ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, ხელმისაწვდომი საბინაო პირობების სახით. მოცემული გარანტიები საყოველთაოა და მოწოდებულია უზრუნველყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის მინიმალური საყოფაცხოვრებო სტანდარტები და ერთნაირი სასტარტო პირობები.

მიუხედავად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კონსტიტუციაში დეკლარირებული ამ გარანტიების საყოველთაო ხასიათისა მათი მიღწევის შესაძლებლობა სისტემატურად მცირდება სოციალური მომსახურების (ჯანდაცვა, განათლება, საცხოვრებელი ბინები) მარკეტიზაციის განუხრელი პროცესის შედეგად. გარანტიების სისტემასთან დაშვების შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ ფასიანი მომსახურების ზრდას თან ახლდეს მოსახლეობის შემოსავლების, განსაკუთრებით კი შრომის ფასის ზრდა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სანამ არ შეიქმნება მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მყარი ბაზა, მიზანშეწონილია მინიმალური სახელმწიფო გარანტიების შენარჩუნება უფასო სოციალური მომსახურების გაწევისათვის თუნდაც მინიმალური სტანდარტების დონეზე, რომელიც გათვალისწინებულია ამ ქვეყნების კონსტიტუციითა და სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით (უფასო საშუალო სკოლა, პროფტექნიკური განათლება, საბაზო მედიცინა, საცხოვრებლის სოციალური ნორმა).

სოციალური დაცვის სისტემის ელემენტია სახელმწიფო **სოციალური უზრუნველყოფა**, რომელიც სოციალური გარანტიებისაგან განსხვავებით წარმოადგენს რეაქციას სოციალურ რისკებზე (ტრამეები, ავადმყოფობა, ინვალიდობა, სიბერე, ავადმყოფი ბავშვების დაბადება, მრავალშვილიანობა და სხვ.) და ეძლევა მხოლოდ იმათ, ვინც ხვდება სოციალური რისკის ქვეშ. სოციალური უზრუნველყოფა გვევლინება ორგვარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით – 1. სახელმწიფო (სავალდებულო) სოციალური უზრუნველყოფისა და 2. სახელმწიფო დახმარების სახით, რომლებიც განსხვავდებიან

ერთმანეთისაგან უზრუნველსაყოფის წრით, დაფინანსების წყაროებითა და ინსტიტუტებით.

**სახელმწიფო სოციალური დაზღვევის მექანიზმი** ეფუძნება, ერთი მხრივ, სამუშაოს მიმცემისა და მუშაკების სავალდებულო სადაზღვევო ანარიცხების აკუმულაციას არასაბიუჯეტო ფონდებში, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ფონდებიდან სოციალური ტრანსფერტების სოლიდურ გადახდებს. თაობების, ეკონომიკის ცალკეული დარგის, ტერიტორიების სოლიდარობის პრინციპი ნიშნავს, რომ მიმდინარე გადასახდელები (გასაცემლები) ეძლევათ პირებს მიმდინარე შემოსულობათა ხარჯზე და არა დაგროვების ხარჯზე, რომელიც იქმნება სადაზღვევო შენატანების გადახდის პერიოდში. სოლიდარობა ვლინდება იმაშიც, რომ სამუშაოს მიმცემის მიერ სოციალური დაზღვევის შენატანების გადაუხდელობა მის მუშაკებს სადაზღვევო პენსიის და დახმარების მიღებაზე უფლებას არ ართმევს.

**სოციალური დახმარება** (მხარდაჭერა) არის სოციალური უზრუნველყოფის ის ფორმა, რომელიც ავსებს სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას, იგი ეძლევა მოქალაქეებს იმ შემთხვევაში, როცა მათ სოციალური დაზღვევით სოციალური ტრანსფერტების მიღების უფლება არა აქვთ. სოციალური დახმარებების ძირითად სახეობებს მიეკუთვნება **მატერიალური დახმარება უმუშევრებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, სოციალური დახმარება ბავშვანი ოჯახებისათვის, ერთდროული დახმარება ლტოლვილებისათვის, ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების კომპენსაცია და სხვ.** სოციალური დახმარების მნიშვნელოვანი ფუნქციაა – მოსახლეობის შემოსავლების გამოთანაბრება, სიღარიბესთან ბრძოლა, ადამიანური კაპიტალის „წალეკვის“ პროცესის თავიდან აცილება.

სოციალური დახმარება, რომელიც გაიცემა სადაზღვევო შენატანების მონაცემების შემოწმების გარეშე პირადი შემოსავლების შეფასების საფუძველზე, საშუალებას იძლევა გაფართოვდეს იმ პირთა წრე, რომლებიც სახელმწიფო დაცვის ქვეშ იმყოფებიან და ამით ხელს უწყობენ განაწილებაში ჰორიზონტალური სამართლიანობის მიღწევას, რომელიც გულისხმობს სამართლიან დამოკიდებულებას ერთნაირ პირობებში მყოფი ინდივიდების მიმართ. ამისათვის აუცილებელია, რომ სოციალური დახმარება მიიღოს ყველამ, ვისაც ეს სჭირდება. ბოლო დროს გავრცელებულია შეხედულება, რომ სოციალური დახმარების სისტემა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (განსაკუთრებით პოსტსოციალისტურ ქვეყნებში) ნაკლებად ეფექტიანია შეღავათების, დახმარებებისა და კომპენსაციების დიდი რაოდენობის გამო, რომლებსაც ყოველთვის არ ღებულობენ ისინი, ვისაც ეს სჭირდება. აუცილებელია სოციალური დახმარების ადრესულ და თვითადრესულ სისტემაზე გადასვლა.

**ადრესულობა** – სოციალური პოლიტიკის მიმართულებაა მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფზე (ან ჯგუფებზე); **თვითადრესულობა** – დახმარების მიმართულებაა განაცხადის პრინციპის მიხედვით. ადრესულობა და თვითადრესულობა საშუალებას აძლევს სახელმწიფოს კრიზისული ეკონომიკის პირობებში გააკეთოს მრავალრიცხოვან შეღავათებში დაქსაქსული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის ეკონომია და გადასცეს რესურსები მოქალაქეთა უფრო გაჭირვებულ კატეგორიას. სახელმწიფო ხარჯების ასეთი მომჭირნეობა დახმარების ზედმეტად დაქსაქსვის დაუმეგობლობის ხარჯზე იწოდება განაწილების „ვერტიკალურ“ ეფექტიანობად. ადრესულობა შეიძლება მიღწეულ იქნეს დახმარების გაცემით შემოსავლების შეფასების და სიღარიბის მაჩვენებლების (უმუშევრობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, სიბერე და სხვა) საფუძველზე მხოლოდ იმათთვის, ვინც იმყოფება სიღარიბის ზღვარს მიღმა.

როგორც უცხოელი ისე პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მოღვაწე ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ ადრესულობაზე გადასვლას მიყვება მნიშვნელოვანი დანახარჯებამდე, რამდენადაც იგი მოითხოვს დიდ ადმინისტრაციულ ხარჯებს შემოსავლებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, დახმარების მინიმალური ნორმა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობაში მიბმულია არა სიღარიბესთან, რომელიც განისაზღვრება საარსებო მინიმუმით, არამედ მინიმალურ ხელფასთან ან სპეციალურ საანგარიშო ერთეულთან.

ადრესული დახმარება მინიმალური დახმარების სახით არა თუ ვერ გადაწყვეტს სიღარიბის პრობლემას, არამედ, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, საკმარისი არ არის ფიზიკური გადარჩენისათვის. ვიწრო, ადრესულ მიმართულებას ხშირად მიყვება საზოგადოების წევრთა იმ ჯგუფის გამოტოვებამდე – რომელთაც ნამდვილად სჭირდებათ დახმარება. იმ შემთხვევაში, როცა „დამლის ეფექტის“ შედეგად ხალხს რცხვენია დაბალი შემოსავლების აღიარების ან როცა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ხდება პირადი დამხმარე მეურნეობიდან შემოსავლების აღრიცხვის ნორმატივის გადიდება, ან როცა შემოსავლების შეფასებისას გაითვალისწინება შემოსავლები ქონებიდან ამას შეიძლება მოჰყვეს მრავალრიცხოვანი სოციალური გარანტიების, შეღავათების და გადასახდელების (გასაცემლების) ნაკლებადეფექტიანი, მაგრამ „ფართო“ სისტემის შეცვლა სოციალური დახმარების „ვიწრო“ ადრესული სისტემით, რაც სახელმწიფო ხარჯების ეკონომიის გარდა არ იძლევა პოზიტიურ შედეგებს

სიღარიბესთან ბრძოლაში, ამასთან ამცირებს გარდამავალი ეკონომიკის გადანაწილებითი სისტემის ჰორიზონტალურ ეფექტიანობას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებისადმი ადაპტირებული, ჯერჯერობით საზოგადოების მცირერიცხოვანი ჯგუფი, სახელმწიფოს სოციალური დაცვის პირამიდის ზედა დონეზე იმყოფება. ზოგადად გავრცელებული თვალსაზრისის მიუხედავად მეწარმეების და მაღალანაზღაურებადი დაქირავებული მუშაკების ჯგუფები სოციალური აქტივობის და თვითრეალიზაციის თვალსაზრისით, ასევე საჭიროებენ სახელმწიფო სოციალურ დაცვას, მაგრამ სხვა სახისას, ვიდრე ღარიბი და ახალგაზრდობის შეუზღუებელი მოქალაქეები. ადაპტირებული ჯგუფებისათვის სოციალური დაცვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო და სამეურნეო უფლებების ნორმების დაცვას, კონკურენტული გარემოს მხარდაჭერას.

კოლექტიური დაცვის ცნობილ ინსტიტუტებს წარმოადგენენ ე.წ. „მესამე სექტორის“ არაკომერციული ორგანიზაციები: პროფესიული კავშირები და გაერთიანებები, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები, ფონდები, სამომხმარებლო კოოპერატივები, მომხ-მარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოებები, სადაზღვევო კომპანიები, საქველმოქმედო საზოგადოებები და სხვ. გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფომ „მესამე სექტორის“ მიმართ დამოკიდებულება იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ მისი საქმიანობა მიმართული იყოს არა მცირერიცხოვანი ალიანსებისა და დაჯგუფებების მოკლევადიანი სპეციალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად (როგორც ამას ადგილი აქვს ხშირად რეფორმების პირველ ეტაპზე, როცა სახელმწიფო ცალკეულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შერჩევით აძლევს მნიშვნელოვან საგადასახადო და საბაჟო შეღავათებს), არამედ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი კოლექტიური ინტერესების დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, მშრომელთა კოლექტიურ დაცვაში დიდ როლს ასრულებს საწარმოს სოციალური სფერო, რაც გამომდინარეობს პრაქტიკაში რეალიზებადი მეწარმეობის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციიდან. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობაში ეკონომიკური რეფორმების ლიბერალური კონცეფციის გაბატონების მიუხედავად თანამედროვე მეწარმეობისათვის ერთდროულად წარმოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება არ არის დამახასიათებელი, რადგანაც ამ შემთხვევაში ისინი მოგების მნიშვნელოვან ნაწილს ვერ მიმართავენ (მიაქცევენ) საწარმოო დაფინანსებისა და ინვესტიციებისაკენ, ამიტომ სტრუქტურული გარდაქმნების განსახორციელებლად აუცილებელია საწარმოთა გათავისუფლება სოციალური სფეროსაგან.

საბიუჯეტო კრიზისის პირობებში და სამოქმედოდ აღიარებული ლიბერალური კონცეფციის განსახორციელებლად საწარმოთა სოციალური სფეროს გადაცემა ხორციელდება ხელი-სუფლების მუნიციპალური ორგანოების საკუთრებაში, რომლებიც ასევე განიცდიან ფინანსური რესურსების დეფიციტს, საწარმოთა საკუთრებაში დარჩენილი სოციალური დანიშნულების ობიექტები კი ექვემდებარებიან კომერციალიზაციას. მაგრამ საწარმოს სოციალური და ეკონომიკური შემადგენლები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან: რაც უფრო განვითარებულია პირველი, მით უფრო ეფექტიანად ვითარდება მეორე. ეკონომიკური ზრდის პირობებში სახელმწიფო ითვალისწინებს რა ზემოაღნიშნულ ურთიერთკავშირს, საწარმოს უქმნის პირობებს სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – აძლევს რა მათ შეღავათებს დაბეგვრაში, ამით წახალისებს საწარმოში საპენსიო, სოციალური და სამედიცინო დაზღვევის არასახელმწიფო პროგრამების რეალიზაციას. ამისათვის სახელმწიფომ ყოველმხრივ მხარი უნდა დაუჭიროს კოლექტიური დაზღვევის განვითარებას დაქირავებული მუშაკების, თვითდასაქმებულების, კერძო მეწარმეების მოზიდვით, რაც საშუალებას მისცემს, ხარჯების შემცირების პირობებშიც კი უზრუნველყოს მაღალანაზღაურებადი და დაბალანაზღაურებადი დაზღვეული პირების უსაფრთხოება და მხარდაჭერა სახელმწიფოს მიერ სოციალური მიზნებისათვის.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში რეფორმის დასაწყისიდან დღემდე მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: ამოქმედდა ახალი დახმარებები და შეღავათები, მაგრამ ფუძემდებლურ პრინციპები მემკვიდრეობით გადმოვიდა საბჭოთა მოდელიდან.

ზოგადი სახით ყველა სოციალური ტრანსფერტი შეიძლება დაიყოს სამ სახედ: ფულადი გადახდები, ნატურალური გადახდები, სუბსიდიები მომსახურების ასანაზღაურებლად.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შენარჩუნებულია შეღავათების ფართო სისტემა, მაგრამ იგი უკიდურესად არაეფექტურია იმ ამოცანის გადასაწყვეტად, რომ გამოიყოს საზოგადოების ღირსეული და დამსახურებული წევრები და მით უფრო არაეფექტურია სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებათა გატარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოციალური შეღავათების მოქმედი სისტემის



ძირითადი ნაკლოვანებებია:

– შეღავათების მიცემა კატეგორიული პრინციპით, მიმღების მატერიალური მდგომარეობისგან დამოუკიდებლად და ოჯახების ეკონომიკური შესაძლებლობების იგნორირებით;

– სოციალური დახმარებისა და შეღავათების გაცემის საქმეში საბიუჯეტო სისტემის დონეებს შორის რწმუნების, პასუხისმგებლობის და ფინანსური წყაროების მკვეთრი გამოიჯვრის უქონლობა, რასაც მიყვევართ სოციალური გადახდებისა და შეღავათების გაცემაზე უპასუხისმგებლობამდე და ფინანსური შესაძლებლობებისა და ხარჯვის ვალდებულებათა დისბალანსამდე;

– რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯების გადატვირთვა სოციალური ვალდებულებებით, რომლებიც დადგენილია შესაბამისი კანონმდებლობით და რომლის შედეგად შეღავათები ქრონიკულად არ ფინანსდება, ხოლო მოსახლეობა რჩება უკმაყოფილო;

– საქონლისა და მომსახურების მწარმოებელთათვის ეკონომიკურად არამომგებიანი საბიუჯეტო დოტაციების და სუბსიდიების არსებობა ნაცვლად კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფებისადმი ფულად ფორმაში უშუალო სოციალური დახმარებისა გაწევისა, რასაც მიყვევართ საბიუჯეტო სახსრების უმისამართო მფლანგველურ ხარჯვამდე;

– შეღავათიანი მომსახურებისა და საქონლის მწარმოებლებს შორის ფასის, ხარისხის და მოსახლეობისათვის გასაცემლების თვალსაზრისით ჯანსაღი კონკურენციის არარსებობა, რამდენადაც ბაზრის პირობებში შეღავათები პრინციპში ამახინჯებენ ფასებისა და დანახარჯების ეკონომიკურ ბუნებას.

ბაზრის პირობებში სოციალური გადასახდელებისა და შეღავათების მოქმედი სისტემა მიმეტირთად აწევბა ერთი მხრივ, ყველა დონის ბიუჯეტს და მეორე მხრივ, ეკონომიკურ სუბიექტებს და მოსახლეობას. ამრიგად, სოციალური შეღავათებისა და გადახდების დამკვიდრებულ სისტემას არ შეიძლება ეწოდოს გამართული, თუნდაც იმ მიზეზით, რომ სახელმწიფოს ვალდებულებები 5-10-ჯერ აჭარბებენ ფინანსურ შესაძლებლობებს. ეს ნიშნავს, რომ შეღავათების მიმღებთა მნიშვნელოვანი ნაწილის უფლება არ არის რეალიზებული. შესაბამისად, ამჟამად არსებული სისტემის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი სოციალური მხარდაჭერის სახელმწიფო ვალდებულებათა შეუსაბამობა მის რეალურ შესაძლებლობებთან.

ამასთან, სწორედ სახელმწიფო სოციალური დაცვის ინსტიტუტია ძირითადი რგოლი, რომელიც მიმართული უნდა იყოს სიღარიბის დონის შემცირებისაკენ. ფინანსური და ინსტიტუციური პრობლემების მიუხედავად სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ღარიბების პრიორიტეტული დაშვება სოციალური დაცვის რესურსებთან იმ პირობებში, როცა სიღარიბე იზომება სტანდარტებით, რომლებიც ორიენტირებულია შრომის ანაზღაურების რეგულირებაზე. ოფიციალური ხელფასის დაბალი დონის და შრომის ბაზარზე არაფორმალური ურთიერთობების ფართო გავრცელების პირობებში მსგავს სისტემას არ შეუძლია მისთვის მინიჭებული ფუნქციების სრულად რეალიზება.

უფრო მეტიც, შესაძლებლობების დაბალანსების მცდელობით პოტენციური პრედენდენტების რიცხვთან, ეს სისტემა ქმნის დამატებით ბარიერებს რესურსებთან დაშვებაში, და სწორედ ღარიბებს არ ძალუძთ გადალახონ ეს ბარიერები იქნება ეს რეგიონები, მოსახლეობის ჯგუფები თუ ცალკეული საოჯახო მეურნეობები.

თუ ღარიბების სოციალური მხარდაჭერა რჩება პრიორიტეტულ რგოლად სიღარიბის შემცირებაზე ზემოქმედების პოლიტიკაში, მაშინ სიღარიბის გაზომვის სტანდარტები უნდა იყოს მოყვანილი შესაბამისობაში მოცემული სახელმწიფო ინსტიტუტის შესაძლებლობასთან.

პოსტსოციალისტური ქვეყნების საერთო მახასიათებელია სოციალური დაცვის პოლიტიკის ისეთი სტრატეგიის შერჩევა, რომელიც ზღუდავს სოციალურ პოლიტიკას მოსახლეობის ცალკეული ნაკლებად დაცული კატეგორიისთვის დამხმარების გაწევამდე. საზოგადოების სხვა დანარჩენი შრომისუნარიანი წევრებისათვის წამყვანი ხდება ინდივიდუალური პასუხის-მგებლობის პრინციპი, როცა ინდივიდების შემოსავლების დონე დამოკიდებულია მხოლოდ მათ შრომით საქმიანობაზე და ფხიანობაზე. პრაქტიკულად, ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში რეფორმების მეორე ეტაპზე მიღებული იყო სოციალური კანონები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეამცირეს სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სოციალური სტანდარტები: უნგრეთში 1995 წელს სოციალური დახმარების შესახებ კანონის ჩარჩოებში გაუქმებულ იქნა ბავშვებისადმი უნივერსალური დახმარება, შემოღებულ იქნა ფასიანი სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში; 1996 წელს ჩეხეთში მიღებულ იქნა ანალოგიური კანონი, რომელმაც მკვეთრად შეკვეცა სახელმწიფოს როლი სოციალურ სფეროში და კეთილდღეობის დონეზე პასუხისმგებლობა ინდივიდებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, ეკლესიასა და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს დააკისრა.

## თემა 6. საფინანსო სისტემისა და პოლიტიკის პრობლემები გარდამავალი ხანის ეკონომიკაში

### საფინანსო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

გარდამავალი ხანის ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და ფასების პოლიტიკის საკითხები. ვინაიდან სწორი საფინანსო-პოლიტიკის განხორციელებაზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა, ინფლაციის მინიმალურ დონემდე დაყვანა, უმუშევრობის შემცირება და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში აუცილებელია სახელმწიფო ფინანსური სისტემის ძირითადი რგოლის-სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისადმი ახლებური მიდგომა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის დაბალანსების, დეფიციტის რეალური საზღვრების დადგენის, საგადასახადო სისტემის სრულყოფის, საწარმოთა ფინანსების გაჯანსაღების, ფულად-საკრედიტო და ფასების პოლიტიკის რეგულირებისა და მართვის საკითხების შესწავლა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა მყარი ფინანსური ბაზის შექმნა. სახელმწიფოს ფინანსური სისტემის ძირითადი რგოლი კი სახელმწიფო ბიუჯეტია. რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფოს ფინანსური რესურსები. ბიუჯეტიდან ხდება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დანიშნულების ყველა იმ ხარჯის დაფინანსება, რომელსაც სახელმწიფო იყენებს თავისი უმთავრესი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად. ამიტომ ბიუჯეტის ფორმირების საფუძვლების სწორ გააზრებას, საშემოსავლო წყაროების და არხების წარმოქმნისა და გამოყენების მიმართულებათა შესწავლას, მასში ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურად ჩართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისა და სტაბილიზაციის პროცესის დაჩქარებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების მთავარი წყაროა ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი. ამიტომ ამ უკანასკნელის სტრუქტურასა და დინამიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტის საშემოსავლი ნაწილის ჩამოყალიბებაში. ამასთან, ბიუჯეტის ხარჯების მიმართულებები და გამოყენების ეფექტიანობა დიდ გავლენას ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებაზე. კერძოდ, როცა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მცირდება ან უცვლელია, სრულიად კანონზომიერად მცირდება ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების მოცულობაც და პირიქით.

გარდამავალი ხანის ქვეყნების უპირველს ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების განმტკიცება. საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის მაღალი დონე უზრუნველყოფს მტკიცე და მდგრადი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებას. რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ დაფინანსდეს მთავრობის მიერ გათვალისწინებული ძირითადი, გადაუდებელი ღონისძიებები და ოპერაციები.

საბაზრო ეკონომიკის მიერ ცენტრალიზებული კონტროლის უარყოფა არაპირდაპირი ინსტრუმენტების სასარგებლოდ გამოიწვევს საბიუჯეტო პოლიტიკისადმი სხვაგვარი მიდგომის აუცილებლობას. გარკვეული ნაბიჯები საგადასახადო პოლიტიკის ჩარჩოებში შეიძლება გადიდგას დაუყონებლივ. ჯერ-ერთი, კერძო სექტორის სწრაფი ზრდისათვის საგადასახადო რეფორმამ უნდა უარყოს ამ სექტორის საქმიანობის დისკრიმინაციული საგადასახადო დაბეგრვა საჯარიმო განაკვეთების გამოყენების საფუძველზე. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გადასახადების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით დიდი ოდენობით გათავისუფლებებისა და სპეციალური შეღავათების უარყოფას თავიდანვე ყველა გადამხდელისათვის ერთნაირი წესის დასადგენად.

მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, რომელსაც თან ახლავს მაღალი ინფლაცია, იმთავითვე გატარდეს საბიუჯეტო შემოსულობათა დაცვის ღონისძიებები. მოგვიანებით კი გასათვალისწინებელია უფრო ფუნდამენტალური ხასიათის რეფორმების განხორციელება, როგორცაა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) სისტემის შემუშავება.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საჭიროა შესდგეს ისეთი ბიუჯეტი, რომელიც შეესაბამება თითოეული ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს და სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანებს. მან უნდა უზრუნველყოს ეროვნული ვალუტის მყარი კურსისა და სახელმწიფო ხარჯების დაფინანსების არაინფლაციური ხასიათის შენარჩუნება, მოსახლეობის სოციალური დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების მაქსიმალური გადაწყვეტა და ეკონომიკური ზრდისათვის მყარი გარანტიების შექმნა.

საფინანსო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ცენტრალურ და ტერიტორიულ ბიუჯეტებს შორის შემოსავლების სამართლიანი და ობიექტური განაწილება. ბიუჯეტის შედგენისას ცენტრალურ და ტერიტორიულ ერთეულებს შორის შემოსავლების განაწილებას საფუძვლად უნდა დაედოს ტერიტორიული ერთეულების მონაწილეობის ხარისხი ამა თუ იმ გადასახადის ფორმირების საქმეში, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადასახადების გაზრდაში ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ინიციატივისა და როლის ჩახშობა.

საფინანსო პოლიტიკის წარმატებით გატარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტის გრძელვადიანი სტრატეგიული პროგნოზირება. ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა და განხილვა შეესაბამება უნდა იქნეს ხელისუფლების ყველა დონეზე პერსპექტიული (ხანგრძლივი პერიოდის) ფინანსური გეგმის მონაცემებით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩამოყალიბებულ იქნეს სახელმწიფოს ფინანსური ფუნქციონირების პერსპექტიული მიმართულებები. რათა მიღწეულ იქნეს სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობისა და სტრუქტურის შესაბამისობა საერთო-სახელმწიფოებრივ და საერთო-ეკონომიკურ მოთხოვნილებებთან, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე რეგიონულ დონეზე. დაგეგმვის ასეთი პრინციპების საფუძველზე უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შემოსავლების დინამიკის შეფასება და აქედან გამომდინარე მოხდეს სახელმწიფო ხარჯების დასაშვები მასშტაბების განსაზღვრა.

სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის ტაქტიკური და სტრატეგიული ხასიათის ამოცანების მაქსიმალურად ეფექტური გადაჭრის საქმეში გადაწყვეტი მნიშვნელოვან ენიჭება სახელმწიფო ვალის მართვის და რეგულირების საკითხებს. რისთვისაც აუცილებელია შეიქმნას საგარეო და შიდა დავალიანებათა მართვის ეფექტური მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში ჯერჯერობით ვერ ხერხდება ვალის მომსახურებისა და მართვის ცივილიზებული მეთოდების გამოყენება. საგარეო დავალიანების მართვის მთავარი მიზანი უნდა იყოს სარგებლობის მიღწევა საგარეო დაფინანსებიდან, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა და გადახდისუნარიანობის შენარჩუნება. ამ მიზნის მისაღწევად ღრმად უნდა იქნეს გაანალიზებული ურთიერთკავშირი ინვესტიციებს, ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო სესხებს შორის. ხოლო შიდა ვალის მომსახურების და მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო და მეთოდური ხასიათის დოკუმენტების შემუშავება.

ცნობილია, რომ საფინანსო პოლიტიკის ძირითად ასპექტებს განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები შეიძლება განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორი გვინდა იყოს თვით საფინანსო სისტემა, საკრედიტო, საბიუჯეტო, თვითანაზღაურებისა და ფულადი რესურსებით საწარმოთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მექანიზმი.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკასთან და განიცდის ამ უკანასკნელის ზეგავლენას, მაგრამ ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო დინამიური და ცვალებადია ფისკალურ პოლიტიკასთან შედარებით. იგი ეკონომიკის სტაბილიზაციის უფრო ქმედითი ინსტრუმენტია, ფისკალურ პოლიტიკასთან შედარებით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანა ისეთი მოქნილი საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს ფულის მასის ისეთ დინამიკას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია როგორც ინფლაციური პროცესების შეჩერება, ისე წარმოების განვითარების სტიმულირება. ამის მიღწევა ძირითადად შესაძლებელია მოქნილი საპროცენტო პოლიტიკის გატარებით, ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარებით, უპერსპექტივო საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტით და საკრედიტო ემისიის რაციონალური მართვით.

გარდამავალი ხანის ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანად ჩამოყალიბებისა და საფინანსო პოლიტიკის სრულყოფის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სისტემის განვითარებას. საბანკო სისტემის რეფორმამ უნდა გადაწყვიტოს ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო რეგულირების სამი ინსტრუმენტის-სავალდებულო რეზერვების, საპროცენტო განაკვეთის დონისა და კომერციული ბანკის რეფინანსირების მოცულობის განსაზღვრის პოლიტიკის განხორციელება.

ცნობილია, რომ სავალდებულო რეზერვების ნორმის ცვლილების გზით ბანკების თავისუფალი რესურსების მოცულობაზე ზემოქმედება მაკროეკონომიკური პროპორციების რეგულირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. კერძოდ, სავალდებულო რეზერვების ნორმის გადიდება (შემცირება) ამცირებს (აფართოებს) კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალს. ამიტომ აუცილებელია სავალდებულო რეზერვების ოპტიმალური ნორმების შემუშავება.

ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტებს შორის განსაკუთრებული როლი აკისრია საპროცენტო განაკვეთს. იგი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებისა და დეპოზიტების (მენაბრებების) სარგებლის განაკვეთებს. ოფიციალური სარგებლის განაკვეთი საფუძვლად უნდა დაედოს საბაზრო განაკვეთებს. საპროცენტო განაკვეთი უნდა იქცეს მთავარ ინდიკატორად და იგი უნდა არეგულირებდეს ფინანსური რესურსების დაბანდობას ეკონომიკაში.

ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებზე ზემოქმედებისა და ფულად-საკრედიტო რეგულირებისათვის იყენებს კომერციული ბანკების რეფინანსირების მეთოდს, რომელიც მიჩნეულია კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდობებისა და ლიკვიდურობის მოქნილ მექანიზმად.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, გრძელვადიანი დაბანდობების მწყობრი მექანიზმის ჩამოყალიბებას და ეკონომიკის ყველა სფეროში საბაზრო ურთიერთობათა განვითარებას. ამასთან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფისათვის აუცილებელია განხორციელდეს საკრედიტო რეგულირება, რადგანაც მას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ისეთ ეკონომიკურ პარამეტრებზე, როგორცაა კაპიტალდაბანდობათა მოცულობა, მსყიდველობითუნარიანობის მასშტაბები, ვალუტის კურსის დონე და ა.შ.

გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობას დაკრედიტების დარგში წარმართავენ მოკლევადიანი კრედიტების გაცემისათვის, თანაც ძირითადად დასაქმებული არიან სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობის დასაკმაყოფილებლად და არა მატერიალური წარმოების სფეროს მომსახურებაზე. მოგვიანებით კი კომერციული ბანკებისათვის და მთლიანად ეროვნული მეურნეობისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულება უნდა გახდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორიენტაციის ისეთი შეცვლა, როცა შესაძრევი უპირატესობა მიენიჭება მატერიალური წარმოების სფეროს დაფინანსებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკის პერსპექტიული განვითარება. საკრედიტო მექანიზმი მთელი ეკონომიკური მექანიზმის ორგანული შემადგენელი ნაწილია, რომელიც ეკონომიკური რეფორმების განვითარების პარალელურად განიცდის სრულყოფას და განვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეურნეო ბრუნვაში კრედიტის გამოყენების ეკონომიკური საზღვრების გაფართოება, მეურნეობრიობის საბაზრო პრინციპების შესა-ბამისად დაკრედიტების მეთოდების და წესების შემდგომი სრულყოფა, საპროცენტო პოლიტიკის გააქტიურება, თვით კომერციული ბანკების მუშაობის სრულყოფა, საპროცენტო განაკვეთის სიდიდის დადგენა საკრედიტო აუქციონზე მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე, საბანკო საქმიანობის და დაკრედიტების პროცედურის უფრო დემოკრატიულ და გამარტივებულ საწყისებზე გადაყვანა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირება და კონტროლის გაძლიერება. რაც გამოიხატება ყველა ბანკის მიმართ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დაწესებით. რათა ბანკის კლიენტები რამდენადმე მაინც იქნენ დაცული შესაძლო დანაკარგებისაგან, ხოლო კომერციულმა ბანკებმა იგრძნონ ფინანსური პასუხისმგებლობა და თავი აარიდონ სარისკო და ნაკლებად ეფექტიან საკრედიტო გარიგებებს.

ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა მართვა და ამის საფუძველზე საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა ხელს უწყობს ბანკების გაკოტრების თავიდან აცილებას. საბანკო სისტემის საიმედოობა და სტაბილურობა კი აუცილებელია იმის გამო, რომ ჯერ ერთი, საბანკო სისტემის გარეშე ცენტრალური ბანკი ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებას, მეორე, კომერციული ბანკები არსებით როლს ასრულებენ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების საქმეში და მათ სტაბილურობაზე დიდადაა დამოკიდებული გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების განვითარება. მესამე, კომერციული ბანკების პასივებში დიდია მოზიდული სახსრების, მათ შორის ცენტრალური ბანკის კრედიტების ხვედრითი წილი.

ამდენად, ცენტრალურმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს კომერციული ბანკების ეფექტიანი ფუნქციონირება და მათი სახელმწიფოს საერთო ეკონომიკურ სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა.

საფინანსო-პოლიტიკის აქტუალური საკითხია საგადასახდლო ბალანსის რეგულირება. საგადასახდლო ბალანსი, ერთი მხრივ, ქვეყნის საგარეო-სავაჭრო და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების საფუძველია, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით სწორი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას.

ეკონომიკის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საგადასახდლო

ბალანსის მდგომარეობაზე ზემოქმედება მოვახდინოთ ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ფასები შიდა ბაზარზე, ეროვნული წარმოება, ეროვნული შემოსავალი და დასაქმების დონე.

აღსანიშნავია, რომ საგადასახდელი ბალანსი დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ფულადი ერთეულის სავალუტო კურსის ჩამოყალიბებაზე.

### **საბიუჯეტო პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს თვითრეალიზაციის საფუძველი გარდამავალ ეტაპზე**

გარდამავალი ეტაპის საბიუჯეტო პოლიტიკის ურთულეს ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა საბიუჯეტო სფეროს აუცილებელი, შეუფერხებელი რეფორმირების, კერძოდ, საბიუჯეტო პოლიტიკის ინსტრუმენტების ნაკრების (კომპლექსის) გაძლიერების გზით. ბიუჯეტმა სტიმული უნდა მისცეს ეკონომიკური საქმიანობის გამოცოცხლებას, განსაკუთრებით კერძო სექტორის ზრდას და ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკური და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის სრულყოფაზე. რამდენადაც გარდამავალი ხანის საწყის ეტაპზე ერთბაშად წარმოდგენილია საბიუჯეტო ორგანოების საქმიანობის რეფორმირება, განსაკუთრებით კი საგადასახადო სისტემის მუშაობისა და ბიუჯეტის შედგენის პრაქტიკის თვალსაზრისით, საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებისას ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. უფრო მეტიც, ბიუჯეტის სტრუქტურული გარდაქმნა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, იმგვარად, რომ არ შეწყდეს საბიუჯეტო შემოსულობანი და შენარჩუნებულ იქნეს მათი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები. ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევისა და მდგომარეობის შემსუბუქებისათვის აუცილებელი იქნება მოკლევადიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებისათვის დროებითი ინსტრუმენტების შემუშავება, რომ მოიგონ დრო იმ ინსტრუმენტებში სასურველი ცვლილებების შესატანად, რომლებიც ატარებენ უფრო ხანგრძლივ ხასიათს. სტრუქტურული გარდაქმნა წინა პლანზე წამოსწევს სოციალური სამართლიანობის საკითხებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია გარდამავალი პერიოდის ადრეულ ეტაპზე. ამასთან იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს მაღალი მგრძობილობა სოციალური სამართლიანობისა და ჰარმონიისადმი საგადასახადო ზომები გამოყენებულ უნდა იქნეს კონსენსუსის უზრუნველსაყოფად რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის.

გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ბიუჯეტი, როგორც ეკონომიკის სტაბილიზაციის ძირითადი ინსტრუმენტი, უნდა იყოს გამოყენებული: ეკონომიკიდან ლიკვიდური სახსრების ამოსაღებად, ყოველ შემთხვევაში მათი მოცულობის დამატებითი გადიდების აღსაკვეთად და ეკონომიკის სხვა სექტორების აღდგენისათვის საჭირო რესურსების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო საწარმოთა დონეზე დეცენტრალიზაციის პროცესმა შეიძლება მიგვიყვანოს მაკროეკონომიკური წონასწორობის სერიოზულ დარღვევამდე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პრივატიზაცია და მატერიალური სტიმულირების სისტემის რეფორმა საშუალო ან გრძელვადიან ხასიათს ატარებს, მოკლევადიანი პერიოდისათვის მეტად მნიშვნელოვანია ამ სექტორში, სახელმწიფოს ჩარევისა და კონტროლის განხორციელება, რომელიც ეფუძნება მათ საქმიანობაზე მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების დაწესებას. გარდა ამისა, აუცილებელია დაწესდეს: 1. წმინდა საბანკო კრედიტის გაცემის რაოდენობრივი შეზღუდვები; 2. სახელმწიფო საწარმოების ახალ კაპიტალდაბანდებებზე მორატორიუმი - სასაქონლო-მატერიალური მარაგების შექმნის ჩათვლით და 3. დროებით გაგრძელდეს ზემოდან ხელფასის და შემოსავლების დონეების დადგენა.

ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად ბიუჯეტი ასევე გადამწყვეტ როლს თამაშობს წარმოების მოცულობის მისაღები დონის შენარჩუნებაში. გარდამავალი ხანის საწყის ეტაპზე, ბაზრების ჩასახვის პერიოდში, როცა არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა ფასების ზრდასთან დაკავშირებით, ძირითადი მოხმარების საქონლის ფასების დონის მხარდასაჭერად როგორც მინიმუმი, აუცილებელია ხელფასით შესასყიდი პირველადი მოთხოვნილების საქონლის ფასების დაცვის უზრუნველყოფა. ეს ასევე ხელისუფლებას აიძულებს ფრთხილად მოეკიდოს სახელმწიფო საწარმოებს შორის და მათ შიგნით ხელფასის დონეებში არსებითი განსხვავებების დაწესებას. რა თქმა უნდა, იმის შესაბამისად, რომ ფასების ლიბერალიზაცია აღმოფხვრის დოტაციას მომხმარებლებისადმი და ამასთან დაკავშირებულ საბიუჯეტო დანახარჯებს, ფასები ძირითად საქონელზე, რომელთა შესყიდვა ხდება ხელფასით გაიზრდება, რაც შეიძლება კომპენსირებულ იქნეს იმავე თანხის დამატებითი ანაზღაურებით. ცალკეული სუბსიდიების ფართო სპექტრის ერთდროული და საბოლოო ჩანაცვლება ხელფასის თანხაზე იმავე ზომის დანამატით წარმოადგენს მისაღებ მეთოდს, რომელიც აუცილებელია გატარდეს გარდამავალი ეპოქის საწყის ეტაპზე, რაც გაზრდის დასაქმებულთა შრომისნაყოფიერებას

(მწარმოებლურობას) და კეთილდღეობას. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს რეალური ხელფასის დონის შემცირების შესაძლებლობა საგარეო ვაჭრობის პირობების გაუარესების გამო. ამასთან ბიუჯეტის ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს ადეკვატური მოთხოვნის უზრუნველყოფა სამამულო საქონელზე, რომელთა შექმნა ხდება ხელფასით და რომელზედაც იხარჯება მოსახლეობის საარსებო სახსრების დიდი ნაწილი.

## საგადასახადო სისტემისა და სფეროს რეფორმირება

სახელმწიფო შემოსავლებისა და, კერძოდ, საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის მაღალი დონის მიღწევა შესაძლებელია საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის საფუძველზე. საგადასახადო პოლიტიკამ უნდა შეუწყოს ხელი მეწარმეთა დაინტერესებას წარმოების ამოქმედებაში, მან რეალურად უნდა მოახდინოს გავლენა ეროვნულ მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობების განმტკიცებაზე. ამ მიზნით ღონისძიებები უნდა წარიმართოს პროდუქციის გამოშვებისა და ინვესტიციების მოცულობათა გადიდებაში საქონელმწარმოებელთა დაინტერესების გაძლიერების მიმართულებით. გადასახადები უნდა გახდეს ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი იარაღი იმ ეკონომიკურ ბერკეტებს შორის, რომელსაც სახელმწიფო იყენებს საბაზრო ურთიერთობათა პირობებში.

გარდამავალ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორად განხორციელდეს საგადასახადო სისტემის ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია: 1. საერთო საჭირობათა დასაფინანსებლად სახელმწიფოს მიერ სახსრების აკუმულაცია, 2. საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მოქმედებისათვის მასტიმულირებელი პირობების შექმნა. პირველი ფუნქცია პირველია არა უბრალოდ ნუმერაციის წყალობით, არამედ ისტორიულად და ლოგიკურადაც, მაგრამ ეკონომიკური ზრდის პროცესში ვლინდება მეორე ფუნქციის პრიორიტეტულობა. ცნობილია, რომ გარკვეულ ზღვარს ზემოთ გადასახადების ზრდა იწვევს წარმოების გაჩანაგებას, დაგროვებისაკენ სწრაფვის შესუსტებას და შემოსავლის დამალვისაკენ მისწრაფების გაძლიერებას. საბოლოო ანგარიშით კი გადასახადების წყაროს დაშრეტას და ამ გზით მობილიზებული სახსრების შემცირებას. მეორე მხრივ, კი საგადასახადო განაკვეთების მოქნილი მანევრირებით სახელმწიფოს შეუძლია ბიძგი მისცეს წარმოების ზრდას საჭირო მიმართულებით, რასაც საბოლოო ანგარიშით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა მოჰყვება. ამიტომ მასტიმულირებელ ფუნქციას უპირატესობა უნდა მიენიჭოს მამობილიზებელ-ფისკალურთან შედარებით. მან უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა დაბეგვრის ბაზის გაფართოებისა და გადამხდელთა სრული მოცვის შედეგად. ამასთან საგადასახადო კანონმდებლობამ უნდა დაიცვას მეწარმეთა ინტერესები და ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას. მიღებულ უნდა იქნეს ისეთი საგადასახადო კოდექსი, რომელიც იქნება სამართლიანი, ადვილად მართვადი და სტაბილური.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს სახელმწიფო შემოსავლების ზრდისთვის მნიშვნელოვანი გამოუყენებელი რეზერვები აქვთ. არსებობს სამეწარმეო საქმიანობის ისეთი სფეროები, სადაც წარმოებული პროდუქციიდან და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის ხარისხი ზოგიერთი გამოწვევის გარდა, საერთოდ გამოუყენებელი რჩება. ამასთან აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის მოუწესრიგებლობის გამო სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი საგადასახადო სამსახურების თვალთახედვის მიღმა რჩება და ამგვარი შემოსავლების საგადასახადო ბაზაში მოქცევა ვერ ხერხდება.

გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მოუწესრიგებელია ვაჭრობიდან და ფასიანი მომსახურებიდან შემოსავლების აღრიცხვა-ანგარიშგება, რის გამოც დიდია საბიუჯეტო შემოსავლების დანაკარგები. ამ სფეროში მცირე ობიექტების დონეზე დაქუცმაცებული ათასობით ინდივიდუალური გადამხდელი თავს არიდებს აღრიცხვის მექანიზმის გამოყენებას და ფარული ეკონომიკის მთავარ საკვებ წყაროდ გვევლინებიან. ეს, თავის მხრივ, აღრმავებს წინააღმდეგობას ორგანიზებულ და არაორგანიზებულ საცალო ვაჭრობას შორის. ამის უზულვებელსაყოფად კი საჭიროა მათი ერთიან საგადასახადო რეჟიმში ჩაყენება. რაც მხოლოდ მოქნილი აღრიცხვის მექანიზმის შემუშავებით, საგადასახადო სამსახურების გააქტიურებით და მათ მიერ ქმედითი ღონისძიებების გატარების შედეგად იქნება შესაძლებელი.

სახელმწიფო შემოსავლების ზრდისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის ძალზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საბაჟო სამსახურის მუშაობის ხარისხის ამაღლება. ვინაიდან ამ სფეროში არსებობს მნიშვნელოვანი აუთორიტეტული რეზერვები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არაორგანიზებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობების დადგენას და კონტრაბანდისტული საქონლის გამოვლენას.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის მიზნით აუცილებელია საგადასახადო პოლიტიკის გატარება იმ მიმართულებით, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ეკონომიკის ე.წ. „ჩრდილოვანი“ სექტორის ხვედრითი წილის შემცირებას და მის ლეგალიზაციას საგადასახადო სისტემაში მოქცევის გზით.

აღსანიშნავია, რომ დაფარული რეზერვების გამოვლენისათვის საფინანსო კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად დიდ მნიშვნელობას იძენს არსებული საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, რათა მაქსიმალურად გამოირიცხო მისი გვერდის ავლით სამეწარმეო საქმიანობის შესაძლებლობა და დასაბეგრი თანხის დამალვის პრაქტიკა.

სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მიღწეულ იქნეს საგადასახადო განაკვეთების სტაბილურობა. გადასახადების შესახებ საკანონმდებლო აქტების მოქმედების ვადები ხანგრძლივი უნდა იყოს. საგადასახადო კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებების შეტანა გადასახადების გადამხდელთა შორის უნდობლობას იწვევს, თანაც იგი სამეწარმეო საქმის განვითარებისათვის საზიანო და მიუღებელია.

საგადასახადო სისტემა უნდა ითვალისწინებდეს საგადასახადო განაკვეთების სიდიდის განსაზღვრისადმი მეცნიერულ მიდგომას. ე.ი. უნდა დასაბუთდეს ისეთი ამოსაღები წილი, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ საწარმოს დარჩეს შემოსავალი ნორმალური განვითარების უზრუნველსაყოფად.

საგადასახადო სისტემის მოწესრიგების მიზნით, აუცილებელია დაცული იქნეს დაბეგვრის ერთჯერადობის პრინციპი. რაც ისაა, რომ ერთი და იგივე ობიექტი შეიძლება დაიბეგროს ერთი სახეობის გადასახადით მხოლოდ ერთჯერ, კანონით განსაზღვრულ პერიოდში. ე.ი. არ უნდა იქნეს დაშვებული ორმაგი დაბეგვრა.

საგადასახადო პოლიტიკა უნდა წარიმართოს გადასახადების რიცხვის შემცირების, ერთი და იგივე დასაბეგრი ბაზის მქონე გადასახადების გაერთიანების, ბიუჯეტისათვის უმნიშვნელო ადგილობრივი გადასახადების და სპეციალიზებულ სახელმწიფო ფონდებში არაეფექტიანი გადასახადების გაუქმების მიმართულებით. აუცილებელია ე.წ. არასაბაზრო და არაეფექტიანი გადასახადების გაუქმება და ძირითადად გადასახადების ეფექტიანობის ამაღლებაზე აქცენტის გადატანა. საერთოდ კი, საბიუჯეტო შემოსავლების გადიდება მიზანშეწონილია მიღწეულ იქნეს არა გადასახადების სახეობათა ზრდით, არამედ საგადასახადო ბაზის გაფართოებით. რაც შესაძლებელია განხორციელდეს წარმოების ამოქმედებითა და საწარმოო სიმძლავრეების სრული დატვირთვის საფუძველზე.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა უნდა წარიმართოს ფინანსური სანქციების გამკაცრების მიმართულებით. ფინანსურმა სანქციამ უნდა აიძულოს გადამხდელი უზრუნველყოს ბიუჯეტში გადასახდელი თანხების სწორი გაანგარიშება და დროული გადახდა. საჯარიმო სანქციები უშეღავათო და სამართლიანი უნდა იყოს. ასეთ პირობებში, ცხადია, არც ერთი მეწარმე თავისი ნებით საგადასახადო კანონმდებლობას იმგვარად არ დაარღვევს, რომ ეს დარღვევა მისთვის გაკოტრების ტოლფასი აღმოჩნდეს.

აუცილებელია საგადასახადო შეღავათების ისეთი სისტემის გამოყენება, რომელიც რეალურად დაასტიმულირებს სამეწარმეო საქმიანობაში სახსრების ინვესტირების პროცესს.

საგადასახადო სისტემის სრულყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი სიმარტივე. რაც გულისხმობს გადასახადების გაანგარიშება-გაკონტროლების სიადვილესა და მათი ამოღების მექანიზმის სიმარტივეს. განსაკუთრებით კი იმას, რომ ყოველი გადამხდელი ნათლად ხედავდეს რისთვის იბეგრება ან რატომ იღებს შეღავათებს. აღსანიშნავია, რომ ამ პირობის უზრუნველყოფის გამო სამეწარმეო საქმიანობის მესვეურთა აბსოლუტური უმრავლესობა მნელად ერკვევა საგადასახადო კანონმდებლობაში, რის გამოც ზარალდება ბიუჯეტი და უშუალოდ მეწარმეც.

კანონმდებლობის სრულყოფა და ამის ნიადაგზე საგადასახადო ბაზის გაფართოების გზით შემოსავლების ზრდა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ფისკალურ პოლიტიკის რეალიზაციის საქმეში.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საგადასახადო მართვის ორგანოების სტრუქტურული გარდაქმნა იგი საჭიროებს წლებს, რამდენადაც მოითხოვს ყოველმხრივ რეორგანიზაციას, შესაბამისი კადრების შერჩევას და გადამზადებას. საგადასახადო ორგანოების გასაძლიერებლად შესაძლებელია ზოგიერთი გადაწყვეტი ნაბიჯების გადადგმა. აუცილებელია კონტროლის უფრო ეფექტიანი სისტემის შექმნა იმ ვაკუუმის შესავსებად, რომელიც რჩება ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემის შეცვლის შემდეგ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო საწარმოებისათვის, რომლებიც ახალ ვითარებაში მოიპოვებენ დიდ ავტონომიას და მონოპოლიური ძალაუფლების პირობებში შესაძლებლობა ექნებათ ლიბერალიზაციის პროცესი გამოიყენონ თავისი მიზნებისათვის. აუცილებელია ასევე სახელმწიფო მოხელეთა სტიმულირების

ადეკვატური სისტემის შექმნა. არსებობს იმის ალბათობა, რომ ფასების საწყისი კორექტირება მიგვიყვანს რეალური ხელფასის დონის მნიშვნელოვან შემცირებამდე. ამიტომ საგადასახადო ინსპექტორების, მუშაობის წახალისების მიზნით და კორუფციის შესამცირებლად აუცილებელია ისეთი სპეციალური მექანიზმების გამოყენება, როგორცაა, პრემიების გაცემა მათ მიერ ამოღებულ შემოსულობათა მოცულობასთან მიმართებაში.

საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებისათვის გადაწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს საწარმოებიდან საბიუჯეტო შემოსულობათა ადეკვატური ნაკადების არსებობა. ეს მოითხოვს სახელმწიფო საწარმოებში მკაცრი დისციპლინის არსებობას. ცენტრალიზებული დაგეგმის შეცვლისას წარმოიქმნება საწარმოთა მხრიდან ბუნებრივი ტენდენცია შეინარჩუნონ რაც შეიძლება მეტი წილი შემოსავლებისა გადასახადების გამოკეთვის შემდეგ. ამ ტენდენციას კიდევ უფრო აძლიერებს აუცილებელი, ბაზართან დაკავშირებული ცვლილებები საბუღალტრო აღრიცხვისა და საგადასახადო დაბეგვრის სისტემაში. ჩვეულებრივ საბუღალტრო აღრიცხვის უფრო ზუსტ სისტემაზე გადასვლას მივყევართ მოგებაზე გადასახადის ბაზის შემცირებამდე, რაც დაკავშირებულია 1. გადასახადის გაანგარიშებისას ისეთი ხარჯებთან, როგორცაა პროცენტების გადახდა, რომლის გამოთვლა დასაბეგრი ბაზიდან წარსულში შეუძლებელი იყო, ახლა შეიძლება გათვლილ იქნეს და 2. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ბაზარზე, ატარებს „პრუდენციულ“ ხასიათს, ანუ ითვალისწინებს ბალანსგარეშე ხარჯებს, რომლებიც შეიძლება გათვლილ იქნეს დასაბეგრი ბაზიდან. საგადასახადო ბაზის შევიწროების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საგადასახადო ანგარიშგების უფრო მკაცრი წესების შემოღება. კერძო სექტორისადმი საჭირო სიგნალის მისაღებად აუცილებელია, აგრეთვე ახალი საგადასახადო სისტემის შემოღება. რომელიც დაეფუძნება, საგადასახადო განაკვეთების უფრო დაბალ დონეს. სახელმწიფო, რომელიც მომავალში იქცევა საწარმოთა კაპიტალის მფლობელად, მოგების გადასახადის გარდა უნდა ჰქონდეს უფლება დივიდენდის სახით წილის მიღებისა სახელმწიფო საწარმოს მოგებიდან, რომელიც რჩება მას გადასახადების გადახდის შემდეგ.

### **სახელმწიფო ხარჯების სისტემის რეფორმა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში**

გარდამავალი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს მეწარმეობის ყოვლმხრივი ხელშეწყობის საფუძველზე სახელმწიფოებრივი და სოციალ-ეკონომიკური განვითარების გადაუდებელი პროგრამების დაფინანსების უზრუნველყოფაში. ამიტომ საბიუჯეტო პოლიტიკა მიზანშეწონილია წარმართოს იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლების მატებას იმ დონემდე, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ დაფინანსდეს სახელმწიფო ხარჯების უმეტესობა. მაგრამ გარდამავალი ეპოქის საწყის ეტაპზე ბიუჯეტის ხარჯების მოცულობა და სტრუქტურა ყალიბდება არა ქვეყნის რეალური მოთხოვნილებების საფუძველზე, არამედ საფინანსო შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ბიუჯეტის შედგენისას ძირითადი ყურადღება გამახვილდეს აქტიური და ქმედითი სოციალური პოლიტიკის გატარებაზე. რამაც თავისი გამოხატულება უნდა პოვოს სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტის კონცეფციისა და პარამეტრების შედგენაში.

საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ბიუჯეტიდან ხარჯების დაფინანსების პრიორიტეტულობის დადგენა. ცხადია, სახელმწიფო საზოგადოებრივ-ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს ერთნაირად ვერ დააფინანსებს. რისთვისაც აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს, დასაბუთდეს და დამტკიცდეს იმ ხარჯების დაფინანსების პრიორიტეტულობა, რომელიც დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე უნდა გასწიოს სახელმწიფომ. გარდამავალ ქვეყნებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთი სფეროების დაფინანსებას, როგორცაა ეკონომიკური სექტორი, სახელმწიფო ინვესტიციები, თავდაცვა, სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები, განათლება და მეცნიერება. ამასთან მიზანშეწონილია შემცირდეს ხარჯები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების შენახვაზე.

საბიუჯეტო ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ ცალკეული მექანიზმები საბიუჯეტო ხარჯების პროგრამების მიზანშეწონილობის შესახებ და არ დაეყრდნონ საგეგმო გადაწყვეტილებებს. რამდენადაც მისი შემუშავებისათვის საჭიროა, გარკვეული დრო რაც კვლავ შესაძლებელს გახდის რესურსების არარაციონალურ გამოყენებას. საწყის ეტაპზე აუცილებელია კონტროლის გაძლიერება ხარჯებზე და მათ ანგარიშგებაზე. იმის გამო, რომ ბიუროკრატიულ აპარატს რამდენადმე სხვა წარმოდგენა აქვს თავის მოვალეობებზე, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ქაოსის წარმოქმნა, რომელმაც შეიძლება



უარყოფითი გავლენა იქონიოს საბიუჯეტო ხარჯების პოლიტიკაზე ისეთ გადაწყვეტ სფეროებში, როგორცაა ექსპლუატაციის, მომსახურების და სოციალური უზრუნველყოფის სფეროები. სოციალური დაცვის შესაბამისი სისტემის ამოქმედება შესაძლო სიძნელეთა წარმოქმნის წინააღმდეგ მოითხოვს სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური დახმარების არსებული სისტემის რეორგანიზაციას, მოსახლეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას და მათი პროფესიული გამოცდილების განვითარებას. ბიუჯეტის მიერ გთვალისწინებულმა შეზღუდვებმა და ხელფასის დონის განსაზღვრის საბაზრო პრინციპებმა უნდა განსაზღვრონ დახმარებების გადანაწილება ძირითადად მოსახლეობის ხელმოკლე და გაჭირვებული ფენების სასარგებლოდ. რაც გამოიწვევს არსებული ადმინისტრაციული მექანიზმის არსებითი რეორგანიზაციის აუცილებლობას და იგი ორიენტირებული უნდა გახდეს დახმარებების გაცემაზე ფართო მასშტაბით.

ფართო ლიბერალიზაციამ შეიძლება მოკლევადიან პერიოდში არასასურველი ზემოქმედება მოახდინოს საწარმოთა საქმიანობაზე და მათ ფინანსურ მდგომარეობაზე, საოჯახო მეურნეობების სექტორზე და საბოლოოდ საბანკო სისტემაზეც. ხარჯების სისტემის მეშვეობით ბიუჯეტმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ზოგიერთი მეტად ექსტრემალური ფაქტორის ზემოქმედების დროებით შემსუბუქებაში, რათა მისცეს დრო ერთობლივი მიწოდების მხრიდან სასურველი რეაქციების აღმოცენებას.

გარდაქმნის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრისათვის, როგორცაა, მაგალითად, ეკონომიკის და მმართველობის ინფრასტრუქტურის განვითარება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა საბიუჯეტო ხარჯები, რომლებიც მიმართულია ექსპორტის გაზრდაზე და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. მეტად სასურველია სახსრების ინვესტირება „ადამიანური“ კაპიტალის განვითარების მნიშვნელოვან სფეროებში, (რომელსაც უგულვებელყოფდა გეგმიანი ეკონომიკა), როგორცაა ვაჭრობისა და სამეურნეო საქმიანობის შესწავლა. კიდევ ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენს საბანკო და სხვა საკრედიტო დაწესებულებების გარდაქმნა ინსტიტუტებად, რომლებიც პასუხობენ საწარმოო სფეროს მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი ახლადშექმნილი კერძო კომერციული საწარმოებისას. ეს მოითხოვს 1. ამ ორგანიზაციების პერსონალის სწავლებას და გადამზადებას და 2. ბანკის საბალანსო ანგარიშების მოწესრიგებას, რომლის გარეშე საბანკო საქმიანობა უწინდებურად არ იქნება აქტივიზირებული, ხოლო უცხოეთის მონაწილეობა და საფინანსო ინსტიტუტების პრივატიზაცია იქნება ძალზე გართულებული. დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაიფაროს ბიუჯეტის ხარჯზე, მაგალითად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სვოპი-ს სახით საბანკო სისტემის უმოქმედო აქტივებზე, რაც მიგვიყვანს საბიუჯეტო ხარჯების გადიდებად პროცენტების გასანაღდებად. მაგრამ, იმის გამო, რომ საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას განსაზღვრავს ბანკების „სიჯანსაღე“, საფინანსო სექტორის სტრუქტურის რეორგანიზაცია და კონკურენტუნარიანი და სიცოცხლისუნარიანი საბანკო სისტემის შექმნა თან უნდა ახლდეს საწარმოთა გარდაქმნას და ფასების რეფორმის გატარებას და არა წინ უსწრებდეს მათ.

პრინციპში სახელმწიფო საწარმოთა დიდი ნაწილის პრივატიზაცია აუცილებლად არ გულისხმობს ბიუჯეტისათვის წმინდა დანახარჯებს. ეს დამოკიდებულია სახელმწიფო საწარმოთა საბალანსო ანგარიშების მდგომარეობაზე და იმაზე, მოისურვებს თუ არა კერძო სექტორი საწარმოთა საკუთარ კაპიტალზე გადახდას, რომლის სიდიდე განსაზღვრული იქნება დეტალური აღრიცხვის ჩატარების საფუძველზე. ექვგარეშე, ეკონომიკური საქმიანობის რეორგანიზაციის თვალსაზრისით პრივატიზაციის გატარება წარმოადგენს ძირითად მოთხოვნას. იმისთვის, რომ ამ პროცესს მიეცეს საწყისი იმპულსი, შესაძლებელია საჭირო გახდეს პირველდაწყებითი ხარჯების გაღება.

გარდამავალ პერიოდში ასევე გაიზრდება ხარჯები სოციალური დაზღვევის ხაზით, კერძოდ, უმუშევართა დახმარება და დახმარება სოციალური უზრუნველყოფის ხაზით გადაიხდება მოსახლეობის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ჯგუფებისათვის. საშუალოვადიან პერსპექტივაში სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების სისტემა უნდა გარდაიქმნას საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის დროსაც 1. გაიზრდება სხვაობა შემოსავლებში, იგულისხმება, რომ მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები შეძლებენ თავის უკეთ უზრუნველყოფას და 2. გაიზრდება ეკონომიკური განუსაზღვრელობა, რაც გამოიწვევს იმის აუცილებლობას, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს სოციალურ დაზღვევას და სიღარიბესთან ბრძოლას. პირველი ითვალისწინებს სოციალური საჭიროებისათვის ხარჯების გარკვეულ ეკონომიას უნივერსალური ხასიათის მრავალი დახმარების გაუქმების ხარჯზე, რომლებიც არსებობდნენ გეგმიანი ეკონომიკის დროს – ისეთების, როგორცაა დახმარება ბავშვებსა და დედაებზე, და ამ სახსრების უფრო მიზანმიმართულ გამოყენებას. ნათელია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალური დაცვის სისტემა და გადანაწილების მექანიზმები

(საგადასახადო სისტემის ჩათვლით) არ უნდა იყენენ მოკლებულნი მწარმოებლურ (საზოგადოებრივი თვალსაზრისით) რისკზე წასვლის მზადყოფნის სტიმულებს.

### **ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების სტრატეგიის შერჩევა გარდამავალი ხანის ეკონომიკაში**

გარდამავალი ეკონომიკის საბიუჯეტო პოლიტიკის მთავარი მიმართულებაა სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების რაციონალური ორგანიზაციის საფუძველზე ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება დასაშვებ ზღვრამდე. ამიტომ საბიუჯეტო ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების სისტემის შემუშავებას.

საბიუჯეტო დეფიციტის დაძლევისათვის მთავარ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ფინანსური რესურსების მუდმივი ზრდა, რაც უნდა განხორციელდეს ეკონომიკის გაჯანსაღების, წარმოების გაფართოებისა და ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე. არ უნდა იქნეს დაშვებული ბიუჯეტის დეფიციტის საბანკო დაფინანსება, რაც აძლიერებს ინფლაციურ პროცესებს და უარყოფითად ზემოქმედებს ინვესტიციების მოცულობაზე.

მიზანშეწონილი იქნება საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის მიზნით გამოშვებული იქნეს სახელმწიფო ვასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, სახელმწიფო მოკლევადიანი ვალდებულებები, სახაზინო თამასუქები), რომლებიც უნდა განთავსდეს ბანკებში, საწარმოებსა და მოსახლეობაში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას აუცილებელია შეიცვალოს დეფიციტის დაფინანსების ინსტიტუციონალური პრაქტიკა და ნაღდი ფულადი სახსრების მართვა. რამდენადაც შემოსულობანი ავტომატურად არ სტერილიზდება იძულებითი დანაზოგების დახმარებით, ბიუჯეტი არ შეიძლება დაფინანსდეს ფულადი ემისიის საშუალებით. ბიუჯეტის ასეთი მკაცრი შეზღუდვა აიძულებს ხარჯების გამწვევ ოფიციალურ ორგანოებს შეცვალონ თავიანთი მუშაობის პრაქტიკა. რამდენადაც სხვაობა სასესხო პროცენტსა და დეპოზიტებზე პროცენტის განაკვეთების სიდიდეებს შორის იქნება ბევრად მნიშვნელოვანი და მთავრობა იძულებული იქნება გადაიხადოს ბევრად უფრო მეტი თანხები თავის სესხებზე, ამდენად იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც აქვთ დიდი ვალები საბანკო სისტემის წინაშე, მსხვილი ნაღდი თანხების ანგარიშებზე შენახვის პრაქტიკა დაკარგავს აზრს. დანახარჯების შესამცირებლად საჭირო იქნება ნაღდი სახსრების უფრო ეფექტიანი განკარგვა. საერთოდ, აუცილებელია სხვადასხვა უწყებების და სახელმწიფო საწარმოების მიერ ვადაგასული ვალდებულებების დაგროვების პრაქტიკის შეწყვეტა (აღმოფხვრა).

### **ფინანსური ბაზრის განვითარების პრობლემები**

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ეფექტიანი საბანკო და საფინანსო სისტემების შექმნა. ფინანსური ინსტიტუტების და პირველ რიგში ბანკების ამოცანაა შიდა რესურსების მობილიზაცია და მათი საწარმოებისა და დარგების მიხედვით ეფექტიანი განაწილება. არსებული საწარმოების განვითარება, აგრეთვე ახალი საწარმოების შექმნა შეუძლებელი იქნება აუცილებელი კაპიტალის გარეშე. ამ პრობლემის გათვალისწინებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ საბანკო სექტორის რეფორმას. ეს ამოცანა საკმაოდ რთულია, რამდენადაც საწყის ეტაპზე ამ ქვეყნების უმრავლესობაში ფინანსური სფეროს განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არსებობს. მაშინაც კი, როცა ეს რეფორმები ტარდება საწყის ეტაპზევე აუცილებელია ახალი ბუღალტრული სტანდარტების შექმნა, სხვადასხვა აქტივების ეფექტიანობის შეფასების ნორმების დაწესება, კანონებისა და დადგენილებების მიღება საბანკო სისტემის, საწარმოებისა და გაკოტრების შესახებ, პერსონალის მომზადება, აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა, ზარალის განაწილება. საბანკო პორტფელის სტრუქტურის გარდაქმნა, კერძოდ კი, ეფექტიანი საბანკო სისტემის შექმნა მრავალ წელს მოითხოვს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უპირატესად ორიართუსიანი (ორდონიანი) საბანკო სისტემა შექმნილი, იგი შედგება ცენტრალური ბანკისა და კომერციული ბანკებისაგან, რომლებიც სპეციალიზებული არიან ეკონომიკის ცალკეული სფეროს, კერძოდ, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საგარეო ვაჭრობის, მშენებლობის და სხვ. დაფინანსებაზე.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო და საფინანსო სისტემების გარდაქმნის ძირითადი მიზანია:

- ხელი შეუწყოს დანაზოგების მობილიზაციას, საგადასახდელო მექანიზმის ეფექტიანობის

ამაღლებას საფინანსო ინსტრუმენტების გაფართოების გზით;

– აამაღლოს დეფიციტური რესურსების განაწილების ეფექტიანობა საწარმოების მიხედვით. პირველ ეტაპზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობაში შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სამეწარმეო სექტორში ფონდების მიზნობრივი გადანაწილების შესახებ. ამასთან შეიქმნას პირობები, როცა კაპიტალდაბანდებებს აქვთ უპირატესობა სამომხმარებლო ხარჯებთან შედარებით;

– დადგინდეს საფინანსო დისციპლინა როგორც საწარმოების, ისე ბანკებისათვის;

– ამაღლდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობა მთელი საფინანსო სისტემის სრულყოფის გზით.

საფინანსო სისტემის სფეროში რეფორმის მიმდინარეობისას გადასაჭრელი ამოცანებია:

– **მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვის პირობების შექმნა ბანკების მმართველებისათვის.** მნიშვნელოვანია, რომ ბანკის მმართველები მუდმივად იმყოფებოდნენ თავიანთი ბიუჯეტის მკაცრ ჩარჩოებში, რამდენადაც ეს სტიმულს მისცემს მათ ეფექტიან მუშაობას და კაპიტალის გამოყენების ახალი გზების ძიებას;

– **ინფრასტრუქტურის შექმნა და გაუმჯობესება.** თანამედროვე საბანკო სისტემებს სჭირდებათ კაპიტალდაბანდებები კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად და მათი პროგრამული უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებებისათვის. გარდაქმნის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ცენტრალიზებული კლირინგული პალატის შექმნა;

– **აუცილებელია ბუღალტრული და აუდიტორული სტანდარტების დანერგვა კომპანიების და ახალი პროექტების ზუსტი შეფასებისათვის, აგრეთვე ბანკების ეფექტიანობისა და გადახდისუნარიანობის შეფასებისათვის.** ასეთი სტანდარტები შემოღებულ უნდა იქნეს საწარმოების მიმართაც;

– **კადრების მომზადება.** ბანკების ხელმძღვანელი და ოპერატიული მუშაკები უნდა იყვნენ მომზადებული არა მარტო დანახარჯების და ფინანსური აღრიცხვის, არამედ საბანკო ანა-ლიზის, ფონდების მართვის და აუდიტორული საქმიანობის მიმართულებითაც. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საბანკო სისტემებს ყველაზე მეტად სჭირდებათ კვალიფიციური კადრები, რომლებიც ერკვევიან რთული საფინანსო სისტემის ყველა წვრილმანში;

– **საკრედიტო პორტფელის შეფასება.** საკრედიტო პორტფელის რეალური შეფასებისათვის აუცილებელია გაცემული კრედიტის საფუძვლიანი ანალიზი. ეს რთული ამოცანაა, რომელიც დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ მისი გადაწყვეტა ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სწორად შევაფასოთ მსესხებელთა პოტენციური შესაძლებლობები და, შესაბამისად, საბანკო სისტემის ფინანსური მდგომარეობა;

– **ფილიალებისა და მომსახურების ქსელის გაფართოება.** ბანკების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ახალი მეანაბრეების მოზიდვა, რაც რთულდება არსებული ინფრასტრუქტურის ჩარჩოებში. ბანკების უმრავლესობას აქვს ფილიალების მცირე რიცხვი, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის მეანაბრეთა და საწარმოთა მომსახურებას. გარდა ამისა, ფინანსური მომსახურების დიაპაზონი შეზღუდულია, რაც აუცილებლად უნდა გაფართოვდეს, ხოლო თვით მომსახურება უფრო მიმზიდველი გახდეს.

ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები მაღალეფექტურია, რამდენადაც ისინი მოიცავენ სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებებს, რომლებიც სთავაზობენ სხვადასხვა სახის ფინანსურ მომსახურებას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკაში ინდივიდთა პირად მონაწილეობის და დანაზოგების ზრდას. ასეთ რთულ სისტემას აქვს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების ფართო ნაკრები, როგორცაა სასესხო ფონდები, აქციები, ობლიგაციები, თამასუქები, ვარანტები, დეპოზიტური სერტიფიკატები, სვოპები, ფორვარდული კონტრაქტები და ვადიანი დეპოზიტები. საფინანსო ინსტიტუტები მოიცავენ საინვესტიციო ბანკებს, საფინანსო კომპანიებს, სალიზინგო და ფაქტორინგულ კომპანიებს, საპნესიო ფონდებს, „სარისკო“ კაპიტალის კომპანიებს და სხვ.

საფონდო ბაზრები შეიძლება შეიქმნას რეფორმირების ადრეულ ეტაპზე, მაგრამ შეფასებისა და ინფორმაციის შეგროვების მექანიზმების არასრულყოფილების გამო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობას წლები დასჭირდება, ვიდრე ეს ბაზრები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

საქართველოში ფინანსური ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირება თანმხლები პრობ-ლემებით მიმდინარეობს. დაბალია წარმოების ზრდის ტემპი, ეროვნული ეკონომიკა ნაკლებად ემორჩილება საბაზრო ურთიერთობათა კანონზომიერებებს, ფაქტობრივად მოდუნებული მდგომარეობაშია – ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი, ნაკლებად არის ახალი ემისიები. ყოველივე ამის გამო სუსტმალგანვითარებული კაპიტალის ბაზარი, იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნილებებს.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარების პროცესში აუცილებელია ქვეყანაში განხორციელდეს ახალი ემისიები და სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვება, სხვანაირად საქვო ჩამოყალიბდეს ლიკვიდური საფონდო ბაზარი.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი საფონდო ბირჟის სახით ეკონომიკის რეალური სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ნაცადი საშუალებაა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი კანონების მიღებას როგორცაა: კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ, კანონი მუნიციპალური და სახელმწიფო ქონების გამოჯენის შესახებ, ცვლილებების შეტანა საგადასახადო კოდექსში და სხვა.

საჭიროა მიღწეულ იქნეს სამეურნეო სუბიექტების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის ანალიზი და მაქსიმალური გამჭირვალობა. სწორედ ამ საქმის მოგვარება იქნება იმისი გარანტია, რომ კორპორაციებმა საკუთარი ფასიანი ქაღალდების გაყიდვით უზრუნველყონ ინვესტორების მოზიდვა.

ქვეყნის ფინანსური პრობლემების დაძლევის გზაზე დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს, მაგრამ საქართველომ საკუთარი ინვესტიციების დასაფინანსებელი წყაროები უპირატესად შიდა რეზერვებითა და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაციით უნდა გამოიყენოს, რადგან საგარეო დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულება განაპირობებს ქვეყნის სავალუტო მდგომარეობის არამდგრადობას და მნიშვნელოვან არამყარობას.

საფონდო ბაზრის განვითარების მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ წარმატებების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ შემუშავებულია და თანმიმდევრულად არის დაცული საფინანსო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპები, რომელთა შორის აღსანიშნავია: 1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობის პრინციპი; 2. სახელმწიფოს მინიმალური ჩარევისა და მაქსიმალური თვითრეგულირების პრინციპი; 3. თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი, რაც გულისხმობს კონკურენციის სტიმულირებას, სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ცალკეული მონაწილისათვის პრივილეგიების აღკვეთას, სახელმწიფო ორგანოების მიერ საფონდო ბაზრის პროფესიონალ მონაწილეთა საჯარო შეფასების აკრძალვა.

ფინანსური ბაზარი არ წარმოადგენს საქართველოსათვის უკვე ჩამოყალიბებული და ტრადიციული საქმიანობის სფეროს. ამიტომ მისი განვითარებისათვის აუცილებელია დამატებითი სტიმულები, განსაკუთრებით შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის შემუშავება-დაწესება.

სამეურნეო სუბიექტებისა და კომერციული ბანკების საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაყვანა და შესაბამისი ჩვევების შექმნა დიდ დროს მოითხოვს. ეს კი აყოვნებს ფინანსური ბაზრის ფორმირება-განვითარებას. ჯერ ერთი, საჭიროა კადრების მომზადება, განსაკუთრებით ტრეიდერების (საშუამავლო ფირმების რწმუნებული წარმომადგენლები, ბირჟის ადმინისტრირების და ა.შ.), მეორე, აუცილებელია შეიქმნას სასწავლო-მეთოდური ბაზები. უცხოეთში სტაჟირების ინსტიტუტი მოსაწონია, მაგრამ ის ყველა პრობლემას ვერ მოხსნის. საჭიროა ფასიანი ქაღალდების საკუთარი ინსტიტუტი, რომლის ფუნქციონირებაში შევა მეთოდური მუშაობა, სასწავლო სახელმძღვანელოების მომზადება, ატესტაციების ჩატარება და წოდების მინიჭება და სხვა. მესამე, აუცილებელია შეიქმნას საშუამავლო ორგანიზაციები, საბროკერო და საინვესტიციო-სადილერო ფირმები. ისინი შეიძლება იყოს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იმ პირობით, რომ იმუშავებენ სამეურნეო ანგარიშსწავლის პრინციპებით. მეოთხე, საჭიროა შეიქმნას ბირჟები, რომლებიც ახლო მომავალში გახდებიან საფონდო ბირჟების საერთაშორისო ფედერაციის წევრები.

განსაკუთრებით ყურადღასს იმსახურებს ის გარემოება, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ფორმირება-განვითარებაში აჩქარება საზიანოა. ბირჟა, უპირველეს ყოვლისა, არის ლიკვიდობა, რომელიც ათეული წლების მანძილზე გროვდება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის განსავითარებლად დიდხანს უნდა ვიცადოთ. პირველ რიგში, აუცილებელია საბროკერო ბიზნესის განვითარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელში არალიკვიდური ბირჟა შეგვრჩება, დაბალი ოპერატიული და საფასო ეფექტიანობით, ე.ი. ხშირი იქნება სკანდალები და საბოლოო ჯამში დაეცემა მისი რეპუტაცია. დღეს ქვეყანას სჭირდება კარგი კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამოუკიდებელი საბროკერო ფირმების თავისუფლად განვითარებას და საინვესტიციო ბიზნესის ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებას.

ნებისმიერი ქვეყნის საფინანსო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური ბაზრის და საკრედიტო-საბანკო დაწესებულებების მეშვეობით ხელს უწყობს ფულადი სახსრების დაგროვების პროცესს და მათ დაბანდებას იმ სფეროში, რომელიც მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას იძლევა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია საქართველოში ფართო გზა გაეხსნას საფინანსო ინსტიტუტების, განსაკუთრებით კი კაპიტალის ბაზრის შექმნა-განვითარებას, რომლებიც გეგმიანი სახელმწიფოებრივი რეგულირების ნაცვლად საბაზრო ეკონომიკის მექანიზმებით

უზრუნველყოფს ასეულ ათასობით მენაბრეებისა და მსესხებლების პრობლემათა დეცენტრალიზებულ გადაწყვეტას.

საბაზრო ეკონომიკის მართვის მექანიზმების თანადათანობით ამოქმედება ქმნის პირობებს ფინანსური რესურსების შეუფერხებელი ფორმირებისათვის. მათი ეფექტიანი მიზანმიმარ-თული წარმართვისათვის. აღნიშნული პირობები უნდა შეიქმნას საფინანსო პოლიტიკის მეშ-ვეობით ფინანსური ბაზრის ფორმირების პროცესში.

საქართველოში ფინანსური ბაზრის ფორმირება-განვითარებისათვის აუცილებელია პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება მესაკუთრეთა ფენის წარმოშობა, რომლებიც ფლობენ რეალურ ქონებას და ეკონომიკურად დამოუკიდებლები არიან. სწორედ ეკონომიკურად დამოუკიდებელ მესაკუთრეებს გააჩნიათ სავაჭრო გარიგებათა დადების უნარი და შესაძლებლობები ფინანსურ ბაზარზე.

ამასთან ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების აუცილებელი პირობა ნორმატიული დოკუმენტების შექმნაა. საყურადღებოა, რომ დღეისათვის ქვეყანაში შექმნილია გარკვეული სამართლებრივი ბაზა და სტრუქტურა ამ საქმის წინ წასაწევად. თუმცა, ჯერჯერობით ეროვნულ ეკონომიკაში თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და მისი ეფექტიანი გამოყენება დაყვანილია სპეკულანტურ ურთიერთობამდე.

საქართველოში ფინანსურ ბაზარს გააჩნია შემდეგი თავისებურებები:

1. მცირე მოცულობები და არალიკვიდობა;
2. მატერიალური ბაზის, ვაჭრობის ტექნოლოგიების, რეგულატიური და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, დეპოზიტარული და კლირინგული ქსელის განვითარებლობა, სახელმწიფოს დაბალი მარეგულირებელი როლი;
3. ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების დაქუცმაცებული სისტემა. სახელმწიფო ბაზარზე პირდაპირ ზემოქმედებს ისეთი ორგანოების მეშვეობით, როგორცაა: ეროვნული ბანკი (ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე კონტროლი, ფინანსთა სამინისტრო (არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების კონტროლი), სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო (საჩეკო ინვესტიციური ფონდების კონტროლი), ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია;
4. რისკის მაღალი დონე;
5. ეკონომიკის არასტაბილურობა;
6. საინვესტიციო კრიზისი;
7. საბაზრო დეფიციტი და ბაზრის აგრესიულობა და ა.შ.

საქართველოში ფინანსური ბაზრის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელი ფაქტორია საფონდო ბირჟის განვითარების სახელმწიფო კონცეფციის უქონლობა, რის გარეშეც წარმატებების მიღწევა მნიშვნელოვნად გადაიწევს დროში.

ფინანსური ბაზრის განვითარების კონცეფციის შემუშავებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული აღნიშნული ბაზრის მდგომარეობის ანალიზის ჩატარება, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და ბაზრის განვითარების ღონისძიებათა კომპლექსური გეგმის (პროგრამის)' შემუშავება.

## თემა 7. გარდამავალი ხანის ეკონომიკა და საგარეო ეკონომიკური სექტორი

### ღია ეკონომიკაზე გადასვლა და საგარეო ეკონომიკური კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან

საგარეო ეკონომიკური რეფორმა მოიცავს რეალური სავალუტო კურსისა და ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის შემოღებას, სატარიფო ბარიერების გაუქმებას ან შეცვლას, ტარიფების შემცირებას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი კანონების ლიბერალიზაციას. ზემოთ აღნიშნულ სფეროში რეფორმის წარმატებები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის პოლიტიკაზე, კერძოდ, რამდენად უხსნის იგი კარებს თავისი ქვეყნის ეკონომიკას საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე მონაწილეობისათვის. საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა ხელს უწყობს რაციონალური ფასების დადგენას, ბაზრის გაფართოებას და შესაძლებელს ხდის ფირმებისა და ცალკეული პირების მიერ საზღვარგარეთული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მთავრობათა უმრავლესობა მართალია მხარს უჭერს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინებას, მაგრამ დასავლეთის ფირმები არ ჩქარობენ კაპიტალის დაბანდვას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მათი ვალუტების კონვერტირებადობის ნაკლოვანებათა, პოლიტიკური არასტაბილურობის და სათანადო ფინანსური სტრუქტურების უქონლობის გამო. სავალუტო რეზერვების უზრუნველსაყოფად, ინფრასტრუქტურის შესაქმნელად და ეკონომიკის სტაბილიზაციის რთული პერიოდის შესამსუბუქებლად აუცილებელია უცხოეთის ფინანსური დახმარება.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში რეფორმის ადრეულ ეტაპზე ეროვნული ვალუტის დევალვაციის, კურსის შერჩევის და კონვერტირებადობის შემოღების გარდა საჭიროა განხილულ იქნეს სავაჭრო ტარიფების შემცირების და კვოტების გაუქმების ან ვაჭრობაში კვოტებიდან ტარიფებზე გადასვლის რეგულირების საკითხები. ქვოტები განსაზღვრულ დონემდე ზღუდავს ვაჭრობას (ჩვეულებრივ იმპორტს), ამიტომ ითვლება ნაკლებად ეფექტიან მექანიზმად ტარიფებთან შედარებით. ტარიფი წარმოადგენს სახელმწიფო საზღვარზე საქონლის გადატანისათვის გადახდილ გადასახადს, რომელიც გაიანგარიშება საქონლის ღირებულებიდან გარკვეული პროცენტის სახით. კვოტების გამოყენებას არ მოაქვს შემოსავლები გარდა იმ შემთხვევისა, როცა მთავრობა ყიდის ლიცენზიას აუქციონზე. იმპორტიორისათვის რამდენადაც ხელსაყრელია განსაზღვრული კვოტის მიღება, იქმნება ხელსაყრელი სიტუაცია სახელმწიფო მოსამსახურეთა მოსყიდვისათვის.

როგორც ცნობილია გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ვაჭრობის ლიბერალიზაციის უპირატესობა გამოიხატება იმით, რომ ქვეყნებს შეუძლიათ თავიანთი საქონლის ექსპორტირება საერთაშორისო ფასებით, ამასთან ისარგებლონ კონკურენციის უპირატესობებით მსოფლიო მასშტაბით და შეამცირონ მონოპოლიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის დანახარჯები საშინაო ბაზარზე. პერსპექტივაში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები შესძლებენ საერთაშორისო ვაჭრობიდან სტატიკური და დინამიკური სარგებლიანობის მიღებას. საგარეო ვაჭრობის სტატიკური სარგებლის ქვეშ იგულისხმება სარგებელი წარმოების სპეციალიზაციიდან. რაც საშუალებას იძლევა თითოეულმა ქვეყანამ აწარმოოს უფრო მეტად ის საქონელი, რომლის წარმოებისთვისაც მას აქვს შეფარდებითი უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით. საგარეო ვაჭრობიდან დინამიკური სარგებელი – ეს არის ტექნოლოგიების სრულყოფა, შედეგი კი კონკურენციის ზრდა. ეს უკანასკნელი ითვლება სწორედ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების დაჩქარებული განვითარების ძირითად მიზეზად.

რეფორმირების საწყის სტადიაზე ვაჭრობის სრული ლიბერალიზაციის საწინააღმდეგო მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ როგორც სახელმწიფო საწარმოები ისე ახლად პრივატიზებული კომპანიები ვერ შეძლებენ მაშინვე გახდნენ კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე. მათ გარკვეული დრო დასჭირდებათ იმისთვის, რომ მასში მონაწილეობა მიიღონ საკმაოდ ეფექტიანად. ასეთი მიდგომა სამართლიანია და მთავრობას იმ კომპანიებისათვის ტარიფების დაცვის გასამართლებლად შეიძლება გამოდგეს, რომლებიც პოტენციურად კონკურენტუნარიანი არიან. ტარიფების უპირატესობა, აგრეთვე ისაა, რომ იგი სახელმწიფოს აძლევს შემოსავალს, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში საგადასახადო სიტუაციის შემსუბუქებას. საშიშროება მდგომარეობს მხოლოდ სავაჭრო პროტექციონიზმის ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნებაში. თითოეული ქვეყნისათვის აუცილებელია ადრე თუ გვიან მოხდეს გასვლა საერთაშორისო კონკურენციის არენაზე, კაპიტალის მოზიდვის და მოწინავე ტექნოლოგიებთან დაშვების მიზნით.

ეკონომიკური რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა გაიზარდოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის როლი ქვეყნის ეკონომიკაში. რაც დიდძალი შემოსავლების წყაროდ შეიძლება იქცეს. ამასთან, ეს პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა და საგარეო ვალების, აგრეთვე ინვესტიციური ნაკადების კონტროლსა და რეგულირებას.

დავას არ უნდა იწვევდეს, ის აზრი რომ ქვეყნის საშინაო ბაზარს, რომელიც ყალიბდება როგორც მსოფლიო ბაზრის ნაწილი, დაცვა სჭირდება. გონივრული, მიზანშეწონილი პროტექციონისტული პოლიტიკით უნდა მოხდეს საშინაო ბაზრის დაცვა და გაფართოება, რაც ნიშნავს ეკონომიკური ზრდისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელშეწყობას. გონივრული პროტექციონისტული პოლიტიკით მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში იგებს ეკონომიკა, მეწარმეც და მომხმარებელიც, რადგან იზრდება წარმოება, დასაქმება, ადამიანთა შემოსავლები. ასეთ პირობებში შესაძლებელია ამოქმედდეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და ფასების შემცირების მექანიზმებიც.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს მსოფლიო ბაზარში ქვეყნის ინტეგრაციას და ეროვნულ მეურნეობაში რადიკალური სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელებას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრინციპს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ღია ეკონომიკას გარკვეული ზომით სჭირდება რეგულირება. იგი ღია უნდა იყოს იმ დონეზე, რომ შეესატყვისებოდეს ქვეყნის ინტერესებს და ხელს უწყობდეს ეროვნული მეურნეობის განვითარებას. ამასთან სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა დაიცვას ადგილობრივი მწარმოებლები.

საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები. რისთვისაც საჭიროა ქვეყანაში არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, საექსპორტო პროდუქციის ზრდა, მისი ხარისხის ამაღლება, მეცნიერული, საწარმოო და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება, რათა ქვეყნის პროდუქციამ გარკვეული პოზიციები დაიკავოს საერთაშორისო ბაზარზე.

ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის სტიმულირებისა და საშინაო ბაზრის დაცვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია დაწესდეს საგრძნობი შეღავათები მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საქონლის, მაღალხარისხიანი საექსპორტო პროდუქციის დამზადებისათვის საჭირო მაღალი წარმადობის მქონე მოწყობილობის, მათი სათადარიგო და მაკომპლექტებელი ნაწილების და სხვა დეფიციტური საქონლის იმპორტზე, ხოლო ქვეყანაში წარმოებად საქონელზე და ე.წ. ფუფუნების საგნებზე შედარებით მაღალი განაკვეთები.

საგარეო ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობს, აგრეთვე თავისუფალი ზონებისა და საბაჟო საწყობების სისტემის შექმნა, რომელთა მოქმედების არეში გამოყენებულ უნდა იქნა ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი. კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის პირობები და კაპიტალდბანდების ხელშეუხებლობის გარანტიები ხელს შეუწყობს საექსპორტო წარმოების განვითარებას, უცხოური კაპიტალის, უახლესი ტექნოლოგიების, მართვის და მენეჯმენტის მოწინავე გამოცდილების მოზიდვას.

ზემოთ დასახელებული ღონისძიებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში ხელსაყრელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური პირობების შექმნასთან ერთად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გააქტიურდეს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და მიღწეულ იქნეს მათი ეფექტიანობის ზრდა, რათა ეს სფერო იქცეს ეკონომიკური ზრდის ფაქტორად.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი ოპტიმიზაციის, მისი ეფექტიანობის ამაღლების და ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია იმგვარი ღონისძიებების გატარება როგორცაა:

- იმ დარგებისა და საწარმოების პრიორიტეტული განვითარება, რომელთა პროდუქციას უპირატესობა ენიჭება საგარეო ბაზარზე გასასვლელად;
- წარმოების უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვის საფუძველზე საექსპორტო პროდუქციის თვისებრივი გაუმჯობესება, პროდუქციის ახალი სახეობების ათვისება.
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საფუძველზე ეროვნულ ეკონომიკაში ფუნქციონირებადი კაპიტალის არსებითი ზრდა და მისი გამოყენება საექსპორტო წარმოებისა და იმპორტის შემცველი წარმოების გასაფართოებლად.
- საერთაშორისო საწარმოო კოოპერაციის პროცესში ჩართვა, სახელმწიფოთაშორისი პროგრამების შემუშავება-რეალიზაციაში მონაწილეობის მიღება, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის ისეთი ფორმების ფართო გამოყენება, როგორცაა დამკვეთის ნედლეულის გადამამუშავება, მათვის საწარმოო და სხვა სახის მომსახურების გაწევა.

– საერთაშორისო და შიდა ბაზრის კონიუნქტურის სისტემური შესწავლა, შესაბამისი ინფორმაციული ბანკების ფორმირება, მენეჯმენტისა და მარკეტინგის პროგრესული მეთოდების დანერგვა.

### **უცხოური ინვესტიციები და მათი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე**

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებაში მნიშვნელოვან როლს უცხოურია ინვესტიციები ასრულებს. რადგან მათ მხოლოდ საკუთარი ძალებით საინვესტიციო პრობლემის დაძლევა არ შეუძლიათ. ამასთან, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს უცხოური ინვესტიციების პირობების და ხელსაყრელობის ანალიზს, საუკეთესო ვარიანტების შერჩევას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უცხოური კაპიტალი ითვლება საინვესტიციო კაპიტალის ერთერთ მთავარ წყაროდ. სინამდვილეში კი ნებისმიერ ქვეყანაში კაპიტალდაბანდებათა დიდი ნაწილი ხორციელდება შინაგანი დაგროვების ხარჯზე. რისთვისაც აუცილებელია საბანკო სისტემის რეფორმა და საფინანსო შუამავლების ქსელის შექმნა (ისეთების, როგორცაა საფონდო ბირჟა, სადაზღვევო კომპანიებით და სხვ.) ინვესტირების შიდა წყაროების ეფექტიანი გამოყენების მიზნით. შიდა დაგროვების უკმარისობის პირობებში უცხოური კაპიტალის მოდინება ასევე თამაშობს კაპიტალის დამატებითი წყაროს როლს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს კაპიტალის დაბანდების გარდა ტრანსნაციონალური კორპორაციები გადასცემენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ცოდნას მართვისა და ბიზნესის სფეროში, ამასთან აფართოებენ ვაჭრობას ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებთან.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებით ტრანსნაციონალური კორპორაციების დაინტერესების მიზეზებია: 1. სამუშაოს ძალის დაბალი ფასი. 2. პოტენციურად დიდ ბაზარზე საკუთარი მდგომარეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უცხოური კაპიტალდაბანდების მოდინების ხელისშემშლელი მიზეზი გახლავთ:

1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესების დამცველი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა;
2. რთული ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც ბევრ დროს ართმევს და აძნელებს მოლაპარაკებებს;
3. მოშლილი ინფრასტრუქტურა;
4. სამუშაო ძალის დაბალი ღირებულებიდან გამომდინარე დაბალი შრომისნაყოფიერება;

### **სავალუტო კურსის მართვის პრობლემები**

სავალუტო კურსის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობა. ამასთან, სავალუტო კურსსა და კონვერტირებადობას შორის არსებობს როგორც პირდაპირი, ასევე უკუკავშირი. ერთი მხრივ, სავალუტო პოლიტიკა კონვერტირებადობასთან ურთიერთკავშირში ზემოქმედებს სავალუტო ბაზრის ოპერაციებში მონაწილეთა რაოდენობაზე და ამ ოპერაციების მოცულობაზე, რაც უშუალო გავლენას ახდენს სავალუტო კურსის დონესა და დინამიკაზე. მეორე მხრივ, სავალუტო კურსის რეჟიმი შეიძლება მნიშვნელოვანწილად განსაზღვროს ვალუტის კონვერტირებადობასთან დაკავშირებული პოლიტიკა. კერძოდ, ფიქსირებული სავალუტო კურსის გამოყენება ცენტრალური ბანკისაგან სავალუტო ბაზარზე აქტიური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. კონვერტირებადი ვალუტის რეჟიმში მომხდარი ცვლილებები ამგვარი პოლიტიკის მნიშვნელოვან და ეფექტურ ელემენტად შეიძლება იქცეს.

განასხვავებენ ლიბერალურ (რბილ) და მკაცრ კონვენტირებადობას. ლიბერალური სავალუტო კონვერტირებადობისას თავისუფლად შეიძლება ვალუტის გაცვლა საბაზრო კურსის მიხედვით, მკაცრი კონვერტირებადობისას კი თავისუფალი გაცვლა შესაძლებელი დადგენილი კურსის მიხედვით. ლიბერალური კონვენტირებადობა მიეკუთვნება სავალუტო კურსის ელასტიკურ რეჟიმს, მკაცრი კი ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმს. მთავარი განსხვავება ისაა, თუ ვინ სწევს რისკს სავალუტო კურსის ცვლილებებთან მიმართებაში: რისკის მატარებლები არიან ვალუტის მფლობელები, და მკაცრი კონვენტირებადობისას კი – ვალუტის ემიტენტი ქვეყანა. ცალკეულ ქვეყნას მიმდინარე ოპერაციების ანგარიშით კონვენტირებადობაზე გადასვლა აძლევს საგრძნობ უპირატესობას. ვალუტის კონვენტირებადობა ადგილობრივ მწარმოებლებს უცხოურ მწარმოებლებთან მიმართებაში



კონკურენციულ გარემოში აქცევს და ამით აყალიბებს ფასების შედარებით რაციონალურ სისტემას (უკიდურეს შემთხვევაში იმ საქონლისთვის, რომელიც არის საგარეო ვაჭრობის ობიექტი). შესაბამისად შიდა ბაზარი უფრო კონკურენტუნარიანი ხდება: ხელმისაწვდომი ხდება საიმპორტო რესურსები და საინვესტიციო საქონელი, ამასთან მარტივდება ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლა, რაც ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. კონვერტირებადობის უზრუნველყოფა მიმდინარე ოპერაციების ანგარიშით ქვეყანას უზიარებს იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებისაკენ, რომელშიც მას შეფარდებით უპირატესობა აქვს და მთლიანობაში ხელს უწყობს ეკონომიკურ სტრუქტურათა სტიმულების გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ საგარეო სავაჭრო შეზღუდვებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ ზემოთ აღნიშნულ პროცესებს, მიმდინარე ოპერაციებზე სავალუტო შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაშიც. ამიტომ სავალუტო და საგარეო სავაჭრო პოლიტიკა უნდა განვიხილოთ კომპლექსურად. რა თქმა უნდა ვალუტის კონვერტირებადობის დაწესება არ მოითხოვს საგარეო ვაჭრობის სრულ ლიბერალიზაციას სასურველია. თუ საბაჟო ტარიფები ერთნაირ დონეზე დაწესდება ყველა საქონლისათვის, ვიდრე რაოდენობრივი შეზღუდვები, რადგან ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური პოლიტიკის ღია ინსტრუმენტს და მათზე გავლენას ახდენს მსოფლიო ფასების დონე. იმისათვის, რომ ქვეყანამ სასურველი ეფექტი მიიღოს ვალუტის კონვერტირებადობისაგან იგი უნდა ფლობდეს:

1. სავალუტო კურსის სათანადო დონის შესატყვის საგადასახდელო ბალანსს;
2. საერთაშორისო რეზერვების საკმარის მარაგს, რომელიც მისცემს საშუალებას გაუმკლავდეს ეკონომიკურ შოკებს და წმინდა სავალუტო რეზერვების სეზონურ ცვალებადობას;
3. ეფექტიან საბაზრო გარემოს, კერძოდ, სავალუტო ბაზარს;
4. ატარებდეს დასაბუთებულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას (საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას).

როგორც ვიცით, კონვერტირებადობა, აგრეთვე დაკავშირებულია სავალუტო კურსის რეჟიმის არჩევასთან. თუ ქვეყანა ირჩევს სავალუტო კურსის მცურავ რეჟიმს, მაშინ მისი დონე განისაზღვრება თავისუფალი ბაზრის პირობებში. ეს საჭიროებს ვალუტის კონვერტირებადობის უზრუნველყოფას მიმდინარე ოპერაციებში მაინც, რათა სავალუტო ბაზარზე ეროვნულ ვალუტას უცხოური შესაძლებლობა მიეცეს. სხვა შემთხვევაში ე.ი. სავალუტო ბაზარზე გარიგებებში მონაწილეთა რიცხვი შეზღუდული იქნება, ე.ი. სავალუტო კურსის დონე ასეთ ბაზარზე ვერ ასახავს რეალური მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას.

პირველ ეტაპზე, კონვერტირებადობაზე გადასვლამ შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს უცხოური კონკურენციის გაფართოების ასპექტით, იმპორტის ზრდამ შეიძლება შეზღუდოს ადგილობრივი წარმოებლები შიდა ბაზარზე, ასევე წარმოება და სამუშაო ადგილები.

აღსანიშნავია, რომ ვალუტის კონვერტირებადობის მიღწევა ბუნებრივად ქმნის კაპიტალის საერთაშორისო გადადინების პირობებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფართოდ გამოიყენება სავალუტო კონტროლის ღონისძიებები. კერძოდ, სსფ-ის მიერ ასევე, დადგენილია სავალუტო შეზღუდვა, რომელიც უკრძალავს რეზიდენტებს ჰქონდეთ ავუარები უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება იქცეს საშუალებად, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს უცხოური ვალუტის გამოყენებას საოპერაციო მიზნებისათვის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში. თეორიულად, ამან ქვეყანას შეიძლება მიანიჭოს პრივილეგიები პირველ რიგში უცხოური ინვესტიციების მოდინების თვალსაზრისით და გააუჯობოს ტექნოლოგიების შემოტანა. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ოპერაციების ლიბერალიზაცია ხელს უწყობს დისკონტის განაკვეთის გათანაბრებას და აქტივების შემოსავლიანობას, ამასთან აწესებს მკაცრ მოთხოვნებს შიდა სავალუტო-საკრედიტო პოლიტიკისათვის, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, რომლებიც საბიუჯეტო დეფიციტის მონეტოზაციის შედეგად ინფლაციის მაღალი ტემპებით გამორიჩევიან.

არსებობს ორი ფაქტორი, რომლებიც ბევრ ქვეყანაში ამცირებს, სწრაფი და შეუზღუდავი კონვერტირებადობისკენ სწრაფვას კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში. პირველ რიგში, კონვერტირებადობა საშუალებას იძლევა განხორციელდეს უცხოური ინვესტიციებისაგან მიღებული შემოსავლები რეპატრიაცია, რაც შესაბამისად აისახება მიმდინარე ოპერაციების ანგარიშში და უზრუნველყოფს კაპიტალის მოდინების სტიმულირებას. მეორე მხრივ, კონვერტირებადობამ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის თვალსაზრისით შეიძლება ეკონომიკა მგრძობიარე გახადოს სპეკულაციური ოპერაციების მიმართ. კერძოდ, მოკლევადიანი კაპიტალის მოულოდნელ გადინებასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება იქცეს დესტაბილიზაციის ფაქტორად არასაკმარისად განვითარებული და არასტაბილური ფინანსური ბაზრისა და უცხოური ვალუტის უმნიშვნელო რეზერვების პირობებში.

სახელმწიფოს ჩარევა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა გამართლებულია იმ აუცილებლობით, რომ 1. შეამციროს საგადასახდელი ბალანსის მერყეობა.

2. დაიცვას შიდა დანახოვები და შეაჩეროს სამამულო წარმოების საშუალებების ჭარბი გადასვლა უცხოელთა საკუთრებაში.

3. უზრუნველყოს კაპიტალიდან და ფინანსური გარიგებებისაგან მიღებული შემოსავლების მაქსიმიზაცია.

4. გააძლიეროს ძალისხმევა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რეფორმირების წარმატებით განხორციელებისათვის. მეტად მნიშვნელოვანია ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, რადგან ის ამაღლებს ნდობას ხელისუფლების მიმართ და ამცირებს კაპიტალის გადინების სტიმულს.

### **საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა**

გარდამავალი ხანის ეკონომიკაში საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა მსოფლიო ეკონომიკაში, საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებსა და ორგანიზაციებში შესასვლელად ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობის მიზნით, რისი შედეგაცაა ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდა.

უცხოური კაპიტალის დიდი ნაწილი ძირითადად გამოიყოფა მრავალმხრივი და ორმხრივი დახმარების სახით. მსოფლიო ბანკი აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან უკვე დიდი ხანია თანამშრომლობს. იგი გამოუყოფს ამ ქვეყნებს კრედიტს პირველ რიგში ინფრასტრუქტურის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, აგრეთვე საგადასახდელი ბალანსის მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მსოფლიო ბანკის მრავალი სააგენტო აწარმოებს გამოკვლევებს ვაჭრობის, ეკონომიკის, ფინანსური სექტორის, მრეწველობის, გარემოს დაცვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში. მსგავს გამოკვლევებს აწარმოებენ სხვა ორგანიზაციებიც როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), ევროპის კავშირი (ეკ), ევროპის საინვესტიციო ბანკი, იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკი და სხვ.

გარდამავალ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ ქვეყნებში ხდება კაპიტალდაბანდებათა მოდინება ეკონომიკის სტაბილიზაციის, საგადასახდელი ბალანსის პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველყოფა, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას, ახალი კომპანიების დაფუძნების და მოქმედი ფირმების საწარმოო ბაზის გაუმჯობესების მიზნით. რამაც უნდა ერთ მომუშავეზე საწარმოო კაპიტალის ზრდას ისე, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა შეძლონ წარმატებით გაუწიონ კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის მოწინავე ქვეყნებს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციებს სთხოვენ გამოუყონ თანხები სტაბილიზაციის ფონდის შესაქმნელად და საგადასახდელი ბალანსის მხარდასაჭერად. კაპიტალის ამგვარი გადანაწილება მიგვიყვანს განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის მოდინების შემცირებამდე, ან გამძირვებამდე ანუ გაიზრდება საპროცენტო განაკვეთები და მაღლაგანვითარებული ქვეყნების წმინდა დაგროვების დიდი ნაწილი ჩაიდება გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაში, თუ კაპიტალზე მოთხოვნა და მიწოდება თვით მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დარჩება უცვლელი.

ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაცია მსოფლიო მეურნეობაში და გარკვეულ ეკონომიკურ ალიანსებში, როგორც წესი, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებაში სახელმწიფოთა შესვლით დაინტერესებას და მის მაღალეფექტიანობას ადასტურებს ამა თუ იმ ეკონომიკურ კავშირში წევრებად სახელმწიფო-პრეტენდენტების შერჩევის სიმკაცრე. პრეტენდენტი ქვეყნის ეკონომიკა და პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულ საერთაშორისო ან მოკავშირეთა სტანდარტებს, მაგალითად, საგადასახადო, საბაჟო, სავალუტო და სხვა სფეროებში. ამასთან, როგორც წესი, კავშირში შემავალი ქვეყანა იძულებულია წავიდეს ზოგიერთ, მისთვის არახელსაყრელ ღონისძიებებზე. მაგრამ, ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ეკონომიკურ კავშირებში გაწევრიანებას უმეტესად წინ უძღვის მრავალწლიანი მოლოდინი კავშირის წევრის უფლების მისაღებად. ასე, მაგალითად, ევროკავშირში შემსვლელთა მსურველთა რიგი გაჭიანურდა 2015 წლამდე.

ამჟამად ერთ-ერთი პირობა ევროკავშირში (ეკ) და სხვა ეკონომიკურ კავშირებში შესასვლელად არის პრეტენდენტი ქვეყნის მიერ მიღწეული ეკონომიკური თავისუფლების

ხარისხი. სწორედ აქედან გამომდინარე, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, – პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და ლიტვა, სადაც თანმიმდევრულად დაინერგა ლიბერალური ეკონომიკის პოლიტიკა, ევროსაბჭოს მიერ მიღებულ იქნენ ევროკავშირის წევრებად.

ეკონომიკურ კავშირში შესვლის სარგებლიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1999 წელს რუსეთის ფედერაციის გაწევრიანებამ აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკურ საზოგადოებაში შესაძლებელი გახადა მეპ წლიური მოცულობა 10-12 მლრდ აშშ დოლარით გაზრდილიყო.

ეკონომიკური თავისუფლების პოლიტიკის ამ უპირატესობის მიუხედავად ღია ეკონომიკის მოდელის პრაქტიკაში გამოყენების საკითხი ჯერ კიდევ მეტისმეტად რთულია რიგი მიზეზების გამო: გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყნისათვის ღია ეკონომიკაზე გადასვლის მოდელი ერთგვაროვანი როდია. მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია ქვეყანაში საამისოდ შექმნილ ან არარსებულ პირობებზე, რომელთა შესრულება გარკვეულ წანამდღვრებს, დროსა და საშუალებებს მოითხოვს. გარდამავალი ეკონომიკის ისეთ ქვეყნებში, სადაც ასეთი პირობები და წანამდღვრები ადრე ან რეფორმების მსვლელობაში შეიქმნა, მოქმედებს უფრო ლიბერალური ეკონომიკური მოდელი, ხოლო ეკონომიკა წინმსწრები ტემპებით ვითარდება.

## თემა 8. ადამიანის როლი გარდამავალი ხანის ეკონომიკაში

### ადამიანის არსებობის თავისებურებანი გარდამავალ ხანის „პოსტსოციალისტურ“ ქვეყნებში

გარდამავალ ეპოქაში ძალზე მნიშვნელოვანია სოციალურად მდგრადი საზოგადოების ფორმირების ტენდენცია. ამგვარი საზოგადოების ფორმირებისას გამოიყენება ორგვარი მიდგომა: სოციალური და ვიწრო-ლიბერალური.

სოციალური მიდგომის შესაბამისად მაკროსისტემის მდგრადობა ქმნის საფუძველს საზოგადოების წევრთა სოციალურად მდგრადი მდგომარეობისა და გარკვეული სოციალური სტაბილურობისათვის. ასეთი მაკროსისტემისათვის ეკონომიკური განვითარების სოციალური ფაქტორი ეკონომიკური პროგრესისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ამოსავალ მომენტად იქცევა. მაკროსისტემების განვითარების კვალობაზე ხდება ეკონომიკური სუბიექტების მწარმოებლური შესაძლებლობების გათავისუფლება წოდებრივი შეზღუდულობისაგან. უფასო განათლება, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ახალი ხერხების გამოყენება ქმნის წინამძღვრებს პიროვნების წარმოჩენისა და რეალიზაციისათვის: ამგვარი მიდგომის შესაბამისად, მიჩნეულია რომ XXI საუკუნეში სოციალური კეთილდღეობა, სოციალური მდგრადობა შრომასთან, კაპიტალთან, ტექნოლოგიებთან და მეწარმეობასთან ერთად ეკონომიკური ზრდის დამოუკიდებელ ფაქტორად გადაიქცევა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განსახორციელებელი რეფორმების ძირითადი მიზანია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება დემოკრატიული საბაზრო საზოგადოების აშენების გზით. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობამ, გამოხატა ეს თავიანთ კონსტიტუციებში რითაც აღიარეს ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, რომლის მიზანია ყველა მოქალაქის ცხოვრებისა და კეთილდღეობის სათანადო, მაღალი დონის უზრუნველყოფა.

რადიკალური რეფორმის განხორციელების პროცესში სოციალური დანახარჯები სახელმწიფოსაგან მოითხოვს აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარებას, რომელიც გამოიხსნის უნდა იყოს ნეგატიური სოციალური ეფექტების ნეიტრალიზაციაზე, ისეთი პირობების შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზრის სოციალურ უპირატესობათა სრულად გამოვლენას, გარდამავალი პერიოდის არა მიმდინარე, არამედ ფუნდამენტური ამოცანების გადაწყვეტას, რომელთაგან ძირითადი – მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაა.

გარდამავალ პერიოდში სოციალური პოლიტიკის თავისებურება მდგომარეობს მის მრავალვარიანტულობაში, ალტერნატიულობაში, არასტაბილურობაში, როცა დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში შეიძლება დიამეტრალურად შეიცვალოს სოციალური პოლიტიკის მიზნები, მისი შინაარსი და როლი რაც იმით აიხსნება, რომ გარდამავალი პერიოდის სოციალური პოლიტიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე (ეკონომიკური განვითარების არჩეული დოქტრინის, საზოგადოებაში პოლიტიკური სიტუაციის) და ობიექტურად მოცემულ შეზღუდვებზე.

ობიექტურ შეზღუდვებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალური პოლიტიკის და მისი განხორციელების მექანიზმის მიზნობრივ ფუნქციაზე, მიეკუთვნება:

- რეფორმის სოციალური დანახარჯები (მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, მასობრივი სიღარიბე, მასობრივი უმუშევრობა და სხვ.), რომლებიც წარმოიშობა რეფორმის პირველ წლებში და, რომლებიც შემდგომ მყარ, ძნელად რეგულირებად ხასიათს იღებს.

- საგადასახადო საბიუჯეტო კრიზისით გამოწვეული ფინანსური შეზღუდვები, რომელიც რეალური ხელფასისა და მოგების შემცირების შედეგად საგადასახადო ბაზის მკვეთრ შევიწროებას იწვევს. აღნიშნულ კრიზისს ამავე დროს ბიუჯეტის სოციალური ტვირთის გადიდება იწვევს, რაც მოსახლეობის ნაკლებადუზრუნველყოფილი ჯგუფების (რომლებიც სახელმწიფო დახმარებას საჭიროებენ) ზრდით არის განპირობებული.

- ინსტიტუციური შეზღუდვები: პროფესიონალი მმართველობითი აპარატის არყოლა, რომელიც ფართო და სარწმუნო ინფორმაციული ბაზის საფუძველზე მომავალი სოციალური პოლიტიკის პროგრამებისა და ღონისძიებების შეიმუშავებას შეძლებდა, რათა მიეღო გონივრული მმართველობითი გადაწყვეტილებები და მათი შედეგები განვითარებულ ქვეყნებში არსებული ახალი მეთოდების საფუძველზე შეეფასებინა; ძლიერი ჯგუფების არსებობა, რომლებიც სოციალურ სფეროში გადაწყვეტილებებზე ზეწოლას ახდენენ; ბიუროკრატიული აპარატის ინტერესების შერწყმა მსხვილ მეწარმეთა ინტერესებთან, რომლებიც მათი შემოსავლების გადანაწილებითი ტვირთის გადიდებას ეწინააღმდეგებიან და ამიტომ ლობირებენ სოციალური ხარჯების და სოციალური

პროგრამების შემცირებას.

გარდამავალ პერიოდში ამ და სხვა შეზღუდვათა გამო სოციალური პოლიტიკა მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში.

### **ცხოვრების დონე და სოციალური დიფერენციაცია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ხანაში**

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების საწყის ეტაპზე სიღარიბის პრობლემა პოლიტიკოსებისა და ექსპერტების შეფასებების საგნად არ იყო ქცეული რამდენადაც განიხილებოდა როგორც რეფორმირების პროცესში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის დროებითი გამწვავება. ამ პრობლემატიკაზე გამართულ დისკუსიებში მუსირებდა მოსაზრება, რომ გარდამავალი ხანის საწყის პერიოდში რეფორმები უკავშირდება სიღარიბის პროვოცირებას, მაგრამ შემდგომი ეკონომიკური ზრდა, პოსტკომუნისტური ქვეყნების მოსახლეობის განათლების მაღალი დონე და არსებული სოციალური კაპიტალის რეალიზაციის ახალი შესაძლებლობები ხელს შეუწყობს სიღარიბის სწრაფ შემცირებას.

გარდამავალი პერიოდის კანონზომიერი შედეგია სიღარიბის მასშტაბების და სიღრმის ზრდა, რაც, თავის მხრივ, არ შეიძლება დარჩეს საზოგადოების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყურადღების მიღმა. ზოგიერთი გარდამავალი ქვეყნის მთავრობამ უარი თქვა სიღარიბის შემცირებისაკენ მიმართული სპეციალური პროგრამების შემუშავებაზე, ჩათვალა რა, რომ ეს კომპლექსური პროგრამაა, რომლის დასაძლევად მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა მასშტაბები მეტყველებს მიმდინარე რეფორმების წარმატების ხარისხზე.

დღეს მთელ მსოფლიოში მეცნიერებს, პოლიტიკოსებს და ექსპერტებს შორის იმართება დებატები სიღარიბის მიზეზების, ცხოვრების სხვადასხვა დონის ქვეყნებში მისი გამოვლენის თავისებურებებისა და ღარიბი მოსახლეობის დასახმარებლად სხვადასხვა სტრატეგიის შემუშავებაზე. პრაქტიკულად მიღწეულია კონსენსუსი რომ სიღარიბე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების დონესთან. რაც ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, იგი იარსებებს ყოველთვის, იცვლება მხოლოდ მისი გამოვლენის ფორმები; და მეორე, რომ სიღარიბის განსაზღვრა შეფარდებითია დროსა და სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში.

ცხადია, რომ გარდამავალი პერიოდის მიზნობრივი ფუნქცია უდგენს მას დროებით ჩარჩოებს: გარდამავალი პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად მხოლოდ მაშინ, როცა მიღწეული იქნება მისი ძირითადი მიზანი – მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალი-მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი დონე.

ამასთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნის მიდგომები სიღარიბის იდენტიფიკაციის მიმართ თავდებს მისი განსაზღვრის და გაზომვის კონცეფციების საკმაოდ მარტივ კლასიფიკაციაში. ამ კლასიფიკაციის თანახმად მიღებულია გამოიყოს სიღარიბის განსაზღვრისადმი სამი მიდგომა: აბსოლუტური, შეფარდებითი და სუბიექტური. აბსოლუტური კონცეფცია გამომდინარეობს მინიმალური სამომხმარებლო კალათის ფორმირების საშუალებით სიღარიბის ზღვარის დადგენიდან. სიღარიბის შეფარდებითი კონცეფცია ემყარება იმას, რომ ღარიბებს მიეკუთვნება ისინი, ვისი ცხოვრების დონეც არსებითად განსხვავდება ქვეყანაში დადგენილი სტანდარტისაგან. მოცემულ შემთხვევაში ექსპერტული და სოციოლოგიური მეთოდებით ფასდება როგორც ცხოვრების ჭარბი (ნამეტი) სტანდარტი ისე ცხოვრების დონე, რომელიც განიხილება როგორც არსებითი გადახრა სტანდარტისაგან. სიღარიბის სუბიექტური კონცეფცია კი გულისხმობს სიღარიბის ზღვარის დადგენას მოსახლეობის შეხედულების ანალიზის საფუძველზე იმის შესახებ, თუ რესურსების რა მოცულობაა აუცილებელი მინიმალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ქვეყნის ჩარჩოებში სხვადასხვა სოციალური პროგრამებისათვის ხშირად გამოიყენება სიღარიბის სხვადასხვა კონცეფცია.

რუსეთი იყო დსთ პირველი ქვეყანა, სადაც საბაზრო გარდაქმნათა დაწყების შემდეგ, 1992 წელს მიღებულ იქნა სიღარიბის გაზომვის ოფიციალური მეთოდიკა.

აღსანიშნავია, რომ მინიმალური სამომხმარებლო კალათის შემოღება ვერ წყვეტს სიღარიბის დონის შეფასების ყველა პრობლემას, რამდენადაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მისი რაოდენობრივი შეფასება რამდენიმე მიზეზის გამო გაძნელებულია. კერძოდ:

- არაფორმალური სექტორისა და ეკონომიკაში არაფულადი ურთიერთობების ფართო გავრცელება არსებითად აძნელებს ოჯახების შემოსავლების გაზომვის პროცედურას;
- საოჯახო მეურნეობების შემოსავლების მაღალი არასტაბილურობა იწვევს შემოსავლების

არარეგულარულობას და შეფერხებას შრომის ანაზღაურებაში;

– მოსახლეობის საშუალო და მაღალშემოსავლიანი ჯგუფების მასობრივი უარი საბიუჯეტო გამოკვლევებში მონაწილეობაზე აძნელებს შემოსავლების განაწილების შესახებ რეპრეზენტატიული მონაცემების მიღებას;

– სიღარიბის ზღვარის დადგენისა და შემოსავლების დონის შეფასებისათვის სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენება.

არსებობს მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული სიღარიბის განსაზღვრის მეთოდიკა, რომლის თანახმად ღარიბებს მიეკუთვნებიან პირები, რომლებიც თბილ ქვეყნებში დღეში 1 დოლარზე ნაკლებს ხარჯავენ, ხოლო ჩრდილოეთის ქვეყნებში მსოფლიო ბანკის რეკომენდაციის თანახმად, სიღარიბის ერთდოლარიანი ზღვარის ეკვივალენტად ითვლება სიღარიბის ზღვარი დღეში 2,15 დოლარის დონეზე, რამდენადაც ცივი ბუნებრივ-კლიმატური პირობები მოითხოვს დამატებით ხარჯებს გათბობის, ზამთრის ტანსაცმლისა და კვებისათვის<sup>11</sup>. ასეთი გაანგარიშებისას ღარიბების რიცხვს მიეკუთვნება რუსეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განსაკუთრებით მწვავედ დგას უკიდურესი სიღარიბის პრობლემა, საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, უკიდურესი სიღარიბის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საკვების უკმარისობა. ამ შემთხვევაში უკიდურესი სიღარიბის მასშტაბი იზომება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა წონის უკმარისობის გავრცელება ბავშვებში 5 წელზე ქვევით, მოსახლეობის წილი მინიმალურზე ნაკლები კალორიების მოხმარების დონით და სხვ. მათი შედარება მოხმარების არსებულ ნორმებთან საშუალებას იძლევა შევაფასოთ მოსახლეობის წილი კალორიების მოხმარების მინიმალურზე დაბალი დონით.

სიღარიბის მასშტაბების შეფასებები იმდენად ფართო და მრავალმხრივია, რომ რთულია განვსაზღვროთ ღარიბი მოსახლეობის მხარდასაჭერად აუცილებელი რესურსების ოდენობა. მისი გაზომვის ერთადერთი შესაძლებელი გზაა, როცა სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამების რესურსები განისაზღვრება ზოგიერთი სხვა ინდიკატორებით, ხოლო შემდგომ აიგება დამატებითი ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც აბალანსებენ პროგრამების უზრუნველყოფას და მათზე პრეტენდენტების რიცხვს.

საბაზრო რეფორმების სოციალურ დანახარჯებს, სხვადასხვა ქვეყნებში მათი განსხვავებულობის მიუხედავად, აქვთ საერთო ტენდენციები, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემასთან, მასობრივი უმუშევრობისა და სიღარიბის წარმოქმნასთან, მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის გაღრმავებასთან, სოციალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სოციალური გარანტიების განვითარებული სისტემის ნგრევასთან. განვიხილოთ ეს ტენდენციები დაწვრილებით.

– მოსახლეობის რეალური შემოსავლების დონე – მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მაგალითად, რუსეთში გარდამავალ პერიოდში, იგი რეფორმამდელ დონესთან (1990 წელთან) შედარებით – ორჯერ დაეცა, ხელფასმა შედაგინა ამ დონის 35%, პენსიებმა კი 51%<sup>12</sup>, რაც ადასტურებს იმის, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას, რომელიც ეკონომიკურად და სოციალურად უფრო ეფექტიანია ცენტრალიზებულ-გეგმიან მეურნეობასთან შედარებით, არ შეუძლია დამოუკიდებლად უზრუნველყოს მოსახლეობის კეთილდღეობის ავტომატური ზრდა. საერთო კეთილდღეობის ასეთი მკვეთრი დაცემა მოსახლეობის მცირერიცხოვანი ჯგუფის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისას არ იძლევა საშუალებას (ლიბერალური შეხედულებების წარმომადგენლების მსგავსად) მოცემული სიტუაცია ინტერპრეტაციით შევაფასოთ როგორც პარეტო-გაუმჯობესება, – როცა მოსახლეობის ერთი ჯგუფის მდგომარეობა უმჯობესდება, ხოლო მეორე ჯგუფისა – რჩება უცვლელი.

– შემოსავლების დონის დაცემა არათანაბრად ნაწილდება მოსახლეობის სოციალურ ფენებსა და ჯგუფებს შორის, რასაც მიყვევართ ქონებისა და შემოსავლის მნიშვნელოვან დიფერენციაციამდე. შემოსავლების შემდგომი დიფერენციაცია ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მახედ იქცევა: ერთი მხრივ, ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, შემოსავლების დიფერენციაცია წარმოადგენს რა შრომითი და ინვესტიციური მოტივაციის წყაროს ხდება საბაზრო მექანიზმის აგების ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი, ხოლო, მეორე მხრივ, – წარმოების შემდგომ დაცემას იწვევს, რაც თავის მხრივ გვევლინება წარმოების მოცულობისა და მოსახლეობის შემოსავლების შემცირების მიზეზად.

ასე მაგალითად, 1997 წელს 1990 წელთან შედარებით მშპ მოსახლეობის ერთ სულზე რუსეთში 1,7-ჯერ, უკრაინაში – 2-ჯერ, ბელორუსიასა და ყაზახეთში – 1,5-ჯერ შემცირდა.

<sup>11</sup> გადავამოწიკოთ რეფორმები სიკეთედ ყველასა და თითოეულისათვის: სიღარიბე და თანასწორობა ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. მსოფლიო ბანკი, ვაშინგტონი, 2001, გვ.31.

<sup>12</sup> Л. Ржаницына, Политика доходов% этапы и резервы, Экономист, 1999, М. გვ.62.

იმავე პერიოდში ჯინის კოეფიციენტით გამოხატული შემოსავლების დიფერენცია რუსეთსა და უკრაინაში 2-ჯერ, ბელორუსიაში – 1,2-ჯერ, ყაზახეთში – 1,3-ჯერ<sup>13</sup> გაიზარდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც დიფერენცია არც ისე ღრმა იყო, მშპ-ის საშუალო სულადობრივი მოცულობის შემცირების ტენდენცია დაძლეულ იქნა გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის. კერძოდ, პოლონეთში, სადაც ჯინის ინდექსი რეფორმების პირველ ეტაპზე გაიზარდა 1,1-ჯერ, 1995 წლისათვის მშპ-ის მოცულობამ მოსახლეობის ერთ სულზე, 1,1-ჯერ გადააჭარბა რეფორმამდელ მაჩვენებელს; ჩეხეთში, სადაც დიფერენციაციის პროცესი უფრო ღრმა იყო შესაბამისად – 1,4-ჯერ, საშუალო სულადობრივი მაჩვენებლები კი უმნიშვნელოდ – 1,02-ჯერ გაიზარდა. ამრიგად, შემოსავლების უთანაბრობის ზრდასა და წარმოების მოცულობის დაცემას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი.

შემოსავლებში უზომო უთანაბრობის და სიღარიბის პროგრესირებადი ზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ქართველი და უცხოელი ეკონომისტები, რომლებიც არ ლიბერალურ მიმართულებას, პრივატიზაციის არაეფექტიან და არასამართლიან პროცესს თვლიან. რომელმაც სოციალური ამოცანებიდან, რომელიც მას ეკისრებოდა (ყველა მოქალაქისათვის საკუთრების გამოყოფა, რომელიც შეამსუბუქებდა საბაზარო ურთიერთობებზე გადასვლის შედეგებს საკუთრებისაგან მიღებული შემოსავლებით; ეფექტიანი კერძო მესაკუთრების ფენის ფორმირება, კერძო საკუთრების საფუძველზე შრომისა და ინვესტირებისადმი ეკონომიკური სტიმულების ახალი სისტემის შექმნა) გადაწყვიტა მხოლოდ ერთი – უზრუნველყო სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაცია გარკვეული სოციალური ჯგუფების კერძო საკუთრებაში.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ვაუჭრული და შემდეგ ფულადი პრივატიზაციის შედეგად შემოსავლები საკუთრებიდან კონცენტრირებულ იქნა მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილის ერთ პოლუსზე, რასაც ადასტურებს შემოსავლების დიფერენციაციის გაძლიერება საკუთრებიდან შემოსავლების ზრდის პირობებში. რუსეთში სხვაობა 16,3-ჯერ შემოსავლებში უმდიდრესი მოსახლეობის 10%-ის უღარიბესი მოსახლეობის 10%-თან გაიზარდა 4,45-ჯერ 1990 წელს ხოლო 1998 წელს გაიზარდა იმავე პერიოდში ხელფასის წილი ერთობლივ ფულად შემოსავლებში შემცირდა 74%-დან 35%-მდე, ხოლო შემოსავლების წილი საკუთრებიდან 0-დან 6%-მდე<sup>14</sup>. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ღარიბ ოჯახებს პრაქტიკულად არანაირი შემოსავალი საკუთრებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან არა აქვთ, რაც შემოსავლების წყაროს მიხედვით მყარ დიფერენციაციაზე მეტყველებს.

სიღარიბის მიზეზები, არსი და ფორმები განვითარებულ საბაზრო და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ განვითარებულ ქვეყნებში სიღარიბე განპირობებულია გარკვეული კატეგორიის მომუშავეთა შრომის დაბალი ნაყოფიერებით, მათი არასაკმარისი კვალიფიკაციით და განათლებით, შრომის დაბალი ინტენსივობით (ანუ როგორც დასავლეთის მეცნიერები მიუთითებენ სიღარიბე ატარებს უპირატესად ნეზაყოფლობით და არა იძულებით ხასიათს), გარდამავალ ეკონომიკაში ურთიერთკავშირი ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებსა და სიღარიბეს შორის ვლინდება საკამოდ სუსტად. ამაზე მიუთითებს გარდამავალ ეკონომიკაში „მომუშავე ღარიბების“ საკამოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობა, რომელთა უმრავლესობა თავისი განათლებით, კვალიფიკაციით, სოციალური სტატუსით და დემოგრაფიული მდგომარეობით ადრე არასოდეს არ შედიოდა მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენებში, მაგრამ ახალ ეკონომიკურ პირობებში მისი შრომა არ იძლევა ისეთ შემოსავალს, რომელიც საშუალებას მისცემს, მას ამაღლდეს სიღარიბის ზღვარს ზევით.

– მასობრივი სიღარიბე (ღარიბების წილი საქართველოს მოსახლეობაში 1999 წელს შეადგენდა 43,3%)<sup>15</sup> ასევე წარმოადგენს ბაზარზე გადასვლის პირდაპირ შედეგს, რამდენადაც, მიუხედავად ნაკლებად უზრუნველყოფისა და ცხოვრების დაბალი დონისა, რეფორმამდელ პერიოდში არ არსებობდა მოსახლეობის რამდენადმე მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელთა ცხოვრების დონე მოხმარების სტანდარტულ ნორმებზე უფრო დაბალი იყო და დიდი მასშტაბით არ ჰქონდა ადგილი მოსახლეობის მარგინალიზაციის პროცესს (ჯგუფების წარმოქმნა, რომლებმაც მთლიანად დაკარგეს კავშირი საზოგადოებასთან და არ აქვთ საზოგადოებრივი წარმოების პროცესში დაბრუნების უნარი). ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში სიღარიბის მასობრივი მოვლენის არარსებობის ერთ-ერთი მიზეზი იყო – მთელი მოსახლეობისათვის საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, პროფესიული მომზადების და

13Г. Колодко, Вопросы справедливости и экономическая политика в постиндустриальных странах, Вопросы Экономики 1999, 1, 83,68.

14Б. Болотин, Социально-экономические показатели Запада и России, МЕиМО, 1999, 8, 83, 126.

15Обзор экономики России, Впуск 3., М. 1999, 83,29.

გადამზადების, კულტურისა და სპორტის სფეროში უფასო მომსახურება, რომლებიც დასავლეთის მეცნიერების აზრით, მსოფლიო სტანდარტების ადეკვატური იყო.

სიღარიბის, მყარი, გაფართოებული კვლავწარმოება გარდამავალ ეკონომიკაში, როცა ღარიბებს შეიძლება მიაკუთვნო მოსახლეობის 1/3 უნგრეთში, 1/4 პოლონეთში და თითქმის ნახევარი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში – (სიღარიბის დაბალი მაჩვენებელი აქვს ჩეხეთს, სადაც საარსებო მინიმუმს ქვევით შემოსავლები აქვს მოსახლეობის 2,4%-ს, სლოვაკიაში – 4,6%-ს)<sup>16</sup> მოწმობს იმას, რომ სახელმწიფოს „გასვლით“ სოციალური სფეროდან, მისი ნაჩქარევი კომერციალიზაციით და მოსახლეობის რეფორმადელი დაბალი „სასტარტო“ შემოსავლებით, დანაზოგებისა და ინვესტიციების დაბალი დონით, კაპიტალის დაგროვების დაბალი ტემპით, შრომისნაყოფიერებისა და საშუალო შემოსავლების დაბალი დონით და ა.შ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები აღმოჩნდნენ „სიღარიბის მანკიერ წრეში“. ამრიგად, განვითარებული ბაზრის პირობებში ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანობისადმი დაქვემდებარებული პრობლემიდან სიღარიბე გადაიქცა გარდამავალი ეკონომიკის დამოუკიდებელ მაკროეკონომიკურ პრობლემად, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს შორის.

### **საზოგადოებრივი ცნობიერების ევოლუცია და საბაზრო ორიენტაციისა და სტერეოტიპების აღიარებისათვის მზადყოფნა**

დემოკრატიისა და ეფექტიანობის პრობლემა მუდმივად წარმოიშობა ეკონომიკური რეფორმის დროს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას. შედარებით არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა ართულებს ზნეობრივ პრობლემებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. აღმოსავლეთ ევროპისა და ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების მოქალაქეების სწრაფვა შეცვალონ თავიანთი ეკონომიკური სისტემა, მბრძანებლური ეკონომიკა გადააქციონ საბაზროდ, თავისუფლად აირჩიონ თავიანთი ლიდერები დემოკრატიული გზით, შესაძლებელია სწორად იქნეს მიჩნეული. მაგრამ ამ გარდაქმნების ცხოვრებაში გატარებას ხელს უშლის „ზედმეტი“ დემოკრატია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მრავალი პოლიტიკური პარტიის აღმოცენება ხელს უშლის სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღებას, რომელიც ეხება რეფორმის შინაარსსა და გატარების ხანგრძლივობას. ძლიერ ლიდერს, სადაო გადაწყვეტილების (სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან ზეწოლა, რომლებიც უბიძგებენ საწინააღმდეგო მიმართულებით) მიღებითაც კი შეუძლია მიაღწიოს დიდ წარმატებებს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ერთერთი რთული ეთიკური პრობლემა – რეფორმების ტემპების პრობლემა. გარდამავალი ხანის ქვეყნებში მკაცრი დებატები იმართება რეფორმების გატარების ტემპებთან დაკავშირებით. გარდაქმნების თანმიმდევრობის მიმართ სხვადასხვა მიდგომებს შორის კონსერვატული ვარიანტი ითვალისწინებს თავდაპირველად საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკის გამკაცრებას და ფასების რეგულირებას, რომლებიც რეფორმის საწყის ეტაპზე დაექვემდებარება ცენტრალიზებულ კონტროლს, ხოლო ორი-სამი წლის მანძილზე გაგრძელდება ფასებზე კონტროლის გაუქმება. თანამედროვე ეტაპზე რეფორმის ტემპებისადმი ასეთი ტრადიციული მიდგომა იცვლება და ბოლო წლებში უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური არასტაბილურობის გამო სულ უფრო მეტი, ეკონომისტი მხარს უჭერს რეფორმების სწრაფ განხორციელებას. არსებობს შიში იმისა, რომ თანდათანობითი რეფორმირების პროცესში, სხვადასხვა ჯგუფების პოლიტიკური ზეწოლა, რომელიც მიმართულია რეფორმების წინააღმდეგ ძლიერდება. რამდენადაც ადამიანები უმუშევრობას, ინფლაციას და საერთო ქაოსს საბაზრო ეკონომიკას უკავშირებენ. ზემოთ აღნიშნული მეტყველებს რეფორმის პროცესის რაც შეიძლება სწრაფად გატარებაზე. ზოგიერთი სკეპტიკოსი ამტკიცებს, რომ როცა რეფორმა სწრაფად არ ხორციელდება იგი თავისთავად შეჩერდება და სახელმწიფო სექტორის პრივატიზება ვერასოდეს მოხერხდება.

მიდგომა „შოკური თერაპიის“ პოზიციებიდან იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას, რამდენადაც იწვევს შემოსავლების დონის შემცირებას, ხოლო ბევრისათვის – სამუშაოს დაკარგვას. თეორიულად, თანდათანობითი გადასვლა, რომელიც ვარაუდობს საწარმოთა სტრუქტურულ გარდაქმნებს და კვალიფიციური პერსონალის მომზადებას კონკურენციის პირობებში წარმატების რეალური შანსის შესაქმნელად, ითვალისწინებს მშრომელთა კეთილდღეობის საკითხებს და, ალბათ, ეს არის გზა, რომელიც სასურველია ადამიანების მეტი წილისათვის. უკანასკნელ წლებში მოსაზრებები მკვეთრად გაიყო. მრავალი ეკონომისტის

<sup>16</sup> От кризиса к росту, М., 1998. გვ. 81.



აზრით, შედეგების მიუხედავად აუცილებელია სწრაფი რეფორმები, რამდენადაც რეფორმების გაჭიანურებისას მთავარი მიზანი-საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და კეთილდღეობის ამაღლება შეიძლება სრულად არ იქნეს მიღწეული. „მოკური თერაპიის“ საშიშროება, ისაა, რომ იგი ხელს უწყობს იმ მოსაზრების გავრცელებას, თითქოს საბაზრო ეკონომიკა სასარგებლოა მდიდრებისათვის და სრულიად არ ზრუნავს მოქალაქეთა უმრავლესობაზე.

რადიკალური მიდგომა ფასების უმეტესობაზე კონტროლის გადაუდებელ გაუქმებასთან ერთად გულისხმობს ბიუჯეტის დეფიციტის სწრაფ შემცირებას მშპ-ის 2-3%-ის დონეზე, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და წვრილი ბიზნესის პრივატიზაციას მსხვილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის დაწყებასთან ერთად. ბევრი პოლიტიკოსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სწრაფი რეფორმა აუცილებელია (ამასთან იყენებენ ტერმინებს „ცივი შხაპი“, „დიდი ნახტომი“, „მოკური თერაპია“) განსაკუთრებით თუ პოლიტიკური გარემო არასაიმედოა. პოლიტიკური სტაბილურობის პირობებშიც კი ნაწილობრივ რეფორმას მივყავართ სიძნელეებამდე.

პოლონეთმა და რუსეთმა გამოიყენა „მოკური თერაპია“ და შეეცადნენ რეფორმების უმრავლესობა ერთდროულად განეხორციელებინათ. 1992 წლიდან დაიწყო ძვრები რეფორმის უფრო თანდათანობით განხორციელებასთან დაკავშირებით. მთავრობები რეაგირებდნენ იმაზე, რომ ადამიანები შეწყუბუნდნენ იყვნენ წარმოების ხანგრძლივი დაცემით და მისი მოცულობის შემცირებით. რეფორმების თანდათანობითი, ევოლუციური გზით გატარებისას ხელისუფლება აგრძელებდა ზოგიერთი არაეფექტიანი სახელმწიფო საწარმოების სუბსიდირებას და არ ხურავდა მათ, რომ არ გაერთულებინათ უმუშევრობის პრობლემა. თანდათანობითი მიდგომა არის უფრო ეფექტიანი და მოითხოვს ნაკლებ დანახარჯებს. როცა სინათლე გვირაბის ბოლოს არ ჩანს „უსწრაფესი“ რეფორმები, როგორც ირკვევა, ნაკლებად მიმზიდველი ხდება და საზოგადოების მხრიდან იზრდება მოთხოვნა თანდათანობით მიდგომაზე.

რეფორმები უნდა იყოს განხილული ერთიანობაში, რამდენადაც ბევრ შემთხვევაში ჯერ ერთი რეფორმა უნდა გატარდეს სანამ შესაძლებელი იქნება მეორის დაწყება ან ერთი რეფორმა იწვევს მეორის აუცილებლობას. კერძოდ, ა) პირველდაწყებითი რეფორმები მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიმართულებით (საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება) ჰქმნის საგანგებო სოციალური დაცვის ღონისძიებების სისტემის აუცილებლობას; ბ) არაპირდაპირი მაკროეკონომიკური რეგულირება, რომელიც უნდა გამოვლინდეს რეფორმების დაწყებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში, მოითხოვს რეალურ საპროცენტო განაკვეთებს, ავტონომიურ საბანკო სისტემას და მკაცრ საბიუჯეტო შეზღუდვებს; გ) რაციონალური ფასები მნიშვნელოვანია მცირე პრივატიზაციის გასატარებლად, რამდენადაც ფირმების მოგება ან ზარალი რეალურად უნდა ასახავდეს მათ ეფექტიანობას. ამასთან, როცა ხდება ფასების გამო სუბსიდიების შეწყვეტა და ფასები იწყებენ საბაზრო პირობების ასახვას, უნდა ამოქმედდეს შემოსავლების პოლიტიკა, რომ არ იქნეს დაშვებული ხელფასის უფრო მეტად ზრდა ფასებთან შედარებით. დ) შემოსავლების პოლიტიკა უნდა შენარჩუნდეს მანამ, სანამ არ შეიქმნება ფირმებისათვის კონკურენციის და მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების გარემო. ამ შემთხვევაში საბაზრო ძალები შეზღუდავენ ხელფასის ზრდას. ე) კონტროლის მოხსნა ფასებზე გამოიწვევს ინფლაციას, რომელიც აუცილებელს ხდის მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას. ასეთ პირობებში გაცვლითი კურსის დეველვაცია ხელს უწყობს რეალური ფულადი მასის მიწოდების შემცირებას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მთავრობებმა უნდა შეიგნონ, რომ მათ აკისრიათ დიდი პასუხისმგებლობა მსოფლიო საზოგადოების წინაშე, მათი მოქმედებები არ უნდა იყოს მოტივირებული მხოლოდ შინაგანი ინტერესებით.

განსახელმწიფოების და საკმაოდ მრავალრიცხოვანი კერძო, აქციონერული მესაკუთრეების ფენის შექმნის პროცესმა ვერ შეცვალა პოსტსოციალისტური ეკონომიკის (განსაკუთრებით რუსეთში) მონოპოლისტური ხასიათი, ნულამდე დაიყვანა რა პრივატიზაციის პროცესში კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნით მოსალოდნელი სოციალური ეფექტები. თანაც გარდამავალი ეპოქის ბევრ ქვეყანაში ეკონომიკის მონოპოლიზაციის ხარისხი რეფორმების მიმდინარეობასთან ერთად (როგორც მეცნიერები აღნიშნავენ) არ მცირდება, მხოლოდ იცვლება მისი ფორმები: სახელმწიფო მონოპოლიას ცვლის კერძო.

ამასთან, არასრულყოფილი კონკურენციის სფეროში კემბრიჯის სკოლის (მისი ცნობილი წარმომადგენლები არიან ჯოან რობინსონი, ნიკოლას კალდორი, პიერო სრაფა) თეორიულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ნებისმიერი გადახრა იმ პირობებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ სრულყოფილ კონკურენციას, იწვევს ბაზრის ალოკაციური ეფექტიანობის დარღვევას, რასაც თან სდევს უარყოფითი სოციალური ეფექტები: ექსპლუატაციის ზრდა, პროპორციების შეცვლა შემოსავლების განაწილებაში მოგების და არა ხელფასის სასარგებლოდ, ხელფასის არაელასტიკურობა ეკონომიკური ზრდის მიმართ, მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაცია მათი წარმოებაში მონაწილეობის

გაუთვალისწინებლად, მომხმარებლის „სუვერენიტეტის“ დარღვევით და სხვ.

არასრულყოფილი კონკურენციის თეორიაში აღწერილი ყველა უარყოფითი სოციალური ეფექტი რომელიც XX საუკუნის პირველი ნახევრის მონოპოლიზირებული დასავლური ეკონომიკისათვის იყო ნიშანდობლივი სრულად შეიძლება მივაკუთვნოთ XX საუკუნის უკანასკნელი პერიოდის გარდამავალ ეკონომიკას, რამდენადაც მათი გამოძვევენი მექანიზმები ერთნაირია.

### დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები პოსტსოციალისტურ ქვეყნებში

გეგმიანი მეურნეობრიობის პირობებში პრაქტიკულად არ არსებობდა ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელიც უმუშევრობის პრობლემებით იყო დაკავებული (ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ყველა მოქალაქე გარანტირებული იყო სამუშაოთი). ამიტომაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დაუფიქრებელი უნდა შეიქმნას საგანგებო დახმარების ფონდი. საწყის ეტაპზე ცალკეული ქვეყნის ხელისუფლებამ შეიძლება მნიშვნელოვანი დახმარება გაიღოს უმუშევრობისათვის იმის შიშით, რომ გარდამავალი პერიოდის ქაოსით და ცვლილებებით დაბნეულმა საზოგადოებამ არ დაკარგოს რეფორმებისადმი ინტერესი და არ მოისურვოს დასაქმებით და საარსებო პირობებით გარანტირებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემისაკენ შემობრუნება. ამასთან მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ პოლიტიკა, რომელიც ფორმირდება და ტარდება საწყის ეტაპზე შეიძლება იყოს პოლიტიკა, რომლითაც მოუხდება მას ცხოვრება მრავალი წლის მანძილზე.

ისტორიული გამოცდილება<sup>17</sup> ცხადყოფს, რომ სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი უმუშევრობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს დაბალ დონეზე. უმუშევრობა შესაბამისად დაბალია, როცა დახმარება უმუშევრობისათვის გაიცემა მოკლე ვადით. უმუშევრობისათვის დახმარების მიღებაზე განუსაზღვრელი ვადით უფლების მინიჭება არაგონივრული აღმოჩნდა. რაც უფრო მეტია უმუშევრობისათვის დახმარების მიღების ვადა, მით უფრო მაღალია უმუშევრობა. როცა დახმარების მიღების პერიოდი ხანმოკლეა, უმუშევრები აქტიურ კონკურენციას გასწევენ შრომის ბაზარზე და სწრაფად დაუბრუნდებიან სამუშაოს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთერთი ყველაზე აქტიური პოლიტიკა დასაქმების სფეროში არის უმუშევრების მომზადება კონკურენციისათვის. ასეთი პოლიტიკა ძალზე მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, სადაც მუშებს არ აქვთ დიდი შესაძლებლობა გადავიდნენ ერთი სახის შრომითი საქმიანობიდან მეორეზე, ამასთან ახალ პირობებში თავს რამდენადმე დაუცველად გრძნობენ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა მიზანშეწონილია გაითვალისწინონ შრომის ბაზრის რეგულირების პროგრამის შექმნა შვედური პროგრამის მსგავსად, რომელიც უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში ყველაზე წარმატებულია ევროპაში. იგი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- გადაზიდვების და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზებას;
- შრომითი მოწყობის კარგად დაკომპლექტებულ სამსახურებს, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ უმუშევრებს;
- სუბსიდიების გაცემას სამუშაოს დამკვეთებზე.

თუ ზემოდ დასახელებული ღონისძიებები არ იქნება წარმატების მომტანი, უნდა შეექმნას დროებითი სახელმწიფო დასაქმების გარანტიები.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შრომითი ურთიერთობების სპეციფიკური თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია ნეგატიური სოციალური ეფექტებით შეიძლება ფორმულირებულ იქნეს შემდეგნაირად:

- დასაქმების სფეროში ფარული, ლატენტური პროცესების სიჭარბე: ფარული უმუშევრობა (ნაწილობრივი, დროებითი დასაქმება, ადმინისტრაციული შვებულებები), ფარული დასაქმება (მეორადი დასაქმება, დასაქმება ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორში), შრომის ფარული ანაზღაურება (ოფიციალურად გაუთვალისწინებელი), მუშაკსა და სამუშაოს მიმცემს შორის ზეპირი შეთანხმებები შრომის პირობებზე და ანაზღაურებაზე – შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე ოფიციალურად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ნაცვლად ფარული, ოფიციალურად გაუფორმებელი ხელშეკრულებების (შეთანხმებების) დადება.

<sup>17</sup> სადაც გადმოცემულია მოკლე შინაარსი სამი ინგლისელი ეკონომისტების რ. ლუიერდის, რ. ჯეკმანის და ს. ნიკელის, რომლებიც იძლევიან იმის მიმოხილვას – რა არის ცნობილი დასაქმებისა და შრომის ბაზრის რეგულირების პოლიტიკის შესახებ ბოლო 20 წლის განმავლობაში.

– შრომითი საქმიანობის სივრცის მკვეთრი სეგმენტაცია სახელმწიფო და პრივატიზებულ საწარმოთა სექტორებზე, სადაც დაქირავების შესახებ ურთიერთობა ფორმდება იურიდიულად და არსებობს, თუნდაც ფორმალური შესაძლებლობა ხელშეკრულების საფუძველზე მათი რეგულირებისა, და ახალი კომერციული სექტორი (ინდივიდუალური მეწარმეობა), სადაც არ მოქმედებს ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების დადების პრაქტიკა, სჭარბობს არაფორმალური (იურიდიულად გაუფორმებელი) შრომითი ურთიერთობები ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, რაც მკვეთრად ცვლის ძალების განლაგებას სამუშაოს მიმცემთა სასარგებლოდ არა მარტო დაქირავების, არამედ შრომითი და განაწილებითი ურთიერთობების შემდგომ სტადიებზეც.

– სამუშაოს მიმცემთა მიერ სოციალური მომსახურების „შეზღუდული“ ოდენობით გაწევა, განსაკუთრებით რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით;

– მენეჯმენტის პატერნალისტური სტილი სახელმწიფო საწარმოებში, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მისწრაფებაში თავი დავაღწიოთ მასობრივ გათავისუფლებებს პერსონალის გამოთავისუფლების უფრო რბილი ფორმების გამოყენებით, პირველ რიგში აუნაზღაურებელი შვებულებების მიცემით ან შემცირებული სამუშაო კვირის შემოღებით. პატერნალიზმის თავისებურება გარდამავალ ეკონომიკაში განვითარებული ქვეყნების პატერნალიზმისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი დაფინანსება წარმოებს არა შრომის ნაყოფიერების ამალღების, სამეურნეო პროცესების რაციონალიზაციის, არამედ საწარმოო კაპიტალდაბანდებების შემცირების, ვალების ზრდის, აუნაზღაურებელი შრომის ხარჯზე.

– მართვის მეთოდების რუტინიზაცია „ტილორიზმის“ დონეზე (დამახასიათებელია რეფორმამდელი პერიოდისთვის) მისი მექანიკური შეხედულებით ადამიანზე, დამქირავებლის მიერ მუშაკის კვალიფიკაციის, მისი პროფესიული ცოდნის, პასუხისმგებლობის დაბალი ღირებულებით შეფასებით, და როგორც შედეგი, მუშაკის შრომის დაბალი ანაზღაურებით, შემოსავლების განაწილებაში გათანაბრებითი სისტემის დამკვიდრებით.

– რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით შრომის სტიმულების სისტემის შეცვლა მატერიალური (ფულადი) დაინტერესებით, როცა შრომის ანაზღაურების გათანაბრებითი სისტემის პირობებში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა არაფულადი ხასიათის სოციალურ გარანტიებს (ბინები, საბავშვო ბაღები, პროფილაქტორიუმები, შეღავათები და სხვ.)

– შრომისნაყოფიერების უაღრესად დაბალი დონე, რაც ზღუდავს ხელფასის ზრდას. ამასთან მკვლევართა უმეტესი ნაწილი აღნიშნავს, რომ დაბალ მწარმოებლურობას შეესაბამება კიდევ უფრო დაბალი ხელფასის დონე<sup>18</sup>.

– ეკონომიკის ყველა სექტორში, ხელფასის გაცემის სფეროში სამუშაოს მიმცემთა მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევის მყარი და მასობრივი ხასიათი.

– კონფლიქტების, გაფიცვების მასობრივი ხასიათი, რაც მეტყველებს გარდამავალ ეკონომიკაში ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის თვალსაზრისით სამუშაოს მიმცემთა და დაქირავებული მუშაკების ინტერესებს შორის წინააღმდეგობათა ზრდაზე.

გარდამავალი ეკონომიკის შრომითი ურთიერთობების ასეთი წინააღმდეგობრივი ნიშნების ნაკრები (ერთი მხრივ, სამუშაოს მიმცემთა პატერნალიზმი, ხოლო მეორე მხრივ – შრომის კანონმდებლობის დარღვევა მათ მიერ ერთი მხრივ შრომის მატერიალური სტიმულების ზრდა ფასებისა და ხელფასების ლიბერალიზაციის შედეგად, ხოლო, მეორე მხრივ, ხელფასის არაელასტიურობა ეკონომიკური ზრდის მიმართ და სხვ.) არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის მემკვიდრეობით.

გარდამავალ ეკონომიკაში შრომითი ურთიერთობების სპეციფიკის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს შრომის ბაზრის მონოპოლიზაცია მყიდველთა მხრიდან (შრომის მონოპოლური ბაზარი), რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია საქონლის ბაზრის მონოპოლიზაციით.

ექსპლუატაციას გარდამავალ ეკონომიკაში მივყევართ შემოსავლების გადანაწილებამდე სამუშაოს მიმღებიდან სამუშაოს მიმცემის სასარგებლოდ. ამ უკანასკნელის მოქმედება განაწილების სფეროში დაკავშირებულია ნეგატიურ სოციალურ ეფექტთან (სიდარიზმთან, მარგინალიზაციასთან, დემოგრაფიულ ვარდნასთან, სოციალური დამაბულობის ზრდასთან), რომლის აღმოფხვრაც ეკისრება სახელმწიფოს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის და გარდამავალი ხანის „წარმატებული“ ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ თვითდაზღვევის ყველაზე საუკეთესო საშუალება – შრომაა. ამიტომ შემოსავლების მხარდაჭერის პოლიტიკა უნდა იყოს დაკავშირებული დასაქმების პოლიტიკასთან, როცა სოციალური დახმარების ღონისძიებები დაკავშირებულია ახალი

<sup>18</sup> В. Кудров, Производительность труда в промышленности России, США, Германии, Франции и Великобритании, Вопросы экономики, 1998, 8, сс. 120-121.

სამუშაო ადგილების შექმნასთან და იმ პირების შემოსავლების მიღებასთან, ვინც დარჩა უმუშევარი ან ელოდება პერსონალის შემცირებას. თუ სახელმწიფო გაატარებს დაცვით წერტილოვან სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის ცალკეული შერჩევითი ჯგუფების დასაცავად, ანაზღაურებადი დასაქმების გაფართოების და დასაქმებულთა შემოსავლების ზრდის აქტიური პოლიტიკის ნაცვლად, იგი შეძლებს რეფორმების შედეგების მხოლოდ შემსუბუქებას გაჭირვებულთა ჯგუფებისათვის, მაგრამ ვერ მოსპობს სიღარიბის კვლავწარმოების მუდმივ ბაზას – დაბალ რეალურ შემოსავლებს არა მარტო მოსახლეობის გაჭირვებული ჯგუფებისათვის, არამედ მომუშავეებისათვისაც. სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს შესაბამისობა მინიმალურ ხელფასსა და საარსებო მინიმუმს შორის, მეორე მხრივ კიმიუახლოვოს ხელფასის დონე შრომისნაყოფიერებას.

თუ პირველი პირობის შესრულება მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოს სოციალურ გარანტიებზე, მეორე უნდა განხორციელდეს – სახელმწიფოს, მეწარმეებსა და მუშაკებს შორის სამხრივი მოლაპარაკების შედეგად. საწარმოთა შემოსავლების უფრო სამართლიანი განაწილების თაობაზე სახელმწიფოს მეშვეობით შრომით კოლექტივებსა და მეწარმეებს შორის უნდა ამოქმედდეს ტრიპარტიზმის ისეთი მექანიზმი, რომელიც სამუშაოს მიმცემს არ მისცემს საშუალებას ისარგებლოს ბაზარზე თავისი მონოპოლიური მდგომარეობით და შეაფერხოს (შეაჩეროს) ხელფასის ზრდა მისი ობიექტურად მოცემული პარამეტრებისაგან (მუშაკების შრომისნაყოფიერების, მათი კვალიფიკაციის, სამუშაო ძალის კვლავწარმოებითი დანახარჯების) დამოუკიდებლად. თუ სახელმწიფო წინანდებურად ეცდება თავი აარიდოს მოსახლეობის დაბალი შრომითი შემოსავლების პრობლემის გადაწყვეტას, იგი იძულებული იქნება წავიდეს სოციალური ტრანსფერტების ხარჯზე შრომითი შემოსავლების კომპენსაციის გზით.

ჯერ ერთი, შრომის ბაზრის მონოპოლიური ფორმა გარდამავალ ეკონომიკაში წარმოადგენს პროდუქციისა და კაპიტალის ბაზრების მონოპოლიზაციის შედეგს, რომელსაც მიყვევართ შრომის ბაზრის გეოგრაფიულ და პროფესიულ ლოკალიზაციამდე, ზოგჯერ მათზე ერთადერთი მყიდველის არსებობით მოსახლეობის რეალური შემოსავლების დაცემის პირობებში შრომის ბაზარზე პროფესიული და გეოგრაფიული ბარიერების გადალახვის მაღალი დანახარჯები სისტემატურად წარმოქმნიან ექსპლუატაციის მონოპოლიურ ფორმას, როცა სამუშაოს მიმცემი შრომის ბაზარზე მონოპოლიის გამოყენებით ადგენს ხელფასს უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე მუშაკის ზღვრული შრომისნაყოფიერებაა.

მეორე, პირველ პირობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ხელფასის შემცირების პირობებში შრომის მიწოდების დაბალი ელასტიურობა, რომელიც ძლიერდება შრომის ბაზრის დათრგუნული მდგომარეობით ეს საშუალებას აძლევს მეწარმეებს და სახელმწიფოს განახორციელონ ფასობრივი დისკრიმინაცია მუშაკების მიმართ – დაადაგინონ მუშაკების ხელფასი ადამიანურ კაპიტალში დაბანდებისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა მწარმოებლური შრომა აანაზღაურონ ხელფასის ერთნაირი განაკვეთით.

მესამე, სასაქონლო ბაზარზე პროდუქციაზე მოთხოვნის არაელასტიურობა, რომელიც რეფორმის წლებში გამოიხატება პირადი სამომხმარებლო ხარჯების, მთლიანი ინვესტიციების, სახელმწიფო ხარჯების შემცირებაში, ამცირებს წარმოების ფაქტორების, მათ შორის შრომის ზღვრულ შემოსავლებს; გარდამავალ ეკონომიკაში მოქმედებს ჯ. რობინსონის მიერ აღმოჩენილი ურთიერთკავშირი ექსპლუატაციის ხარისხსა და პროდუქციაზე მოთხოვნის ელასტიურობას შორის: ცალკეულ საქონელზე რაც უფრო ნაკლებია მოთხოვნის ელასტიურობა მით უფრო მაღალია წარმოების ფაქტორთა ექსპლუატაციის ხარისხი<sup>19</sup>.

მეოთხე, მუშაკთა დამოუკიდებელ პროფკავშირებში გაერთიანების დაბალ დონეს მიყვავართ მათი ფასობრივი დისკრიმინაციის გაძლიერებამდე, როცა დაქირავებით ურთიერთობებში სამუშაოს მიმცემს საქმე აქვს არა მუშაკთა ისეთ გაერთიანებასთან, რომლებიც კოლექტიურად იცავენ თავიანთ ინტერესებს, არამედ ცალკეულ მუშაკებთან. მათგან ერთ ნაწილს შეუძლია მიაღწიოს ხელფასის გაზრდას და შრომის პირობების გაუმჯობესებას მეწარმეებთან ან სახელმწიფოსთან მოლაპარაკების გზით (მაღაროელთა გაფიცვები, რომელიც ორგანიზებული შეიძლება იყოს სამთოელთა დამოუკიდებელი პროფკავშირების მიერ), მეორე ნაწილს კი არა (მასწავლებლები, ექიმები, კულტურის მუშაკები). ამასთან არ არის სავალდებულო, რომ პირველებს ჰქონდეთ უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება, ვიდრე მეორებს. შედეგად შეიმჩნევა ფასობრივი დისკრიმინაცია, როცა ცალკეულ მუშაკთა ან მუშაკთა ჯგუფის ხელფასი ეცემა მათი ზღვრული შრომისნაყოფიერების ქვემოთ და გარდა ამისა იმ მუშაკების ხელფასის ქვემოთ, რომელთაც ისეთივე შრომისნაყოფიერება აქვთ, მაგრამ მიაღწიეს წარმატებას მეწარმეებთან მოლაპარაკებაში.

სამუშაო ძალის სიჭარბის დროს ხელფასს არა აქვს ქვედა ზღვარი და შეიძლება დაეცეს

<sup>19</sup> Дж. Робинсон, экономическая теория несовершенной конкуренции, М., 1986 г. с. 406.

ინდივიდუალური კეთილდღეობის ზღვრული დონის ქვემოთ, რომლის იქით არ შეიძლება განხორციელდეს სამუშაო ძალის კვლავწარმოება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მონოპსონური ექსპლუატაციის შედეგად, მისი შრომისნაყოფიერების მიუხედავად, რომელიც გაპირობებულია მისი პროფესიული მონაცემებით, კვალიფიკაციით, განათლებით და რომლებიც ადასტურებენ მის მონაწილეობას წარმოებაში, შეიძლება აღმოჩნდეს სიღარიბის ზღვარს მიღმა.

## გამოყენებული ლიტერატურა

### ძირითადი ლიტერატურა:

1. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი, 2001.
2. მ. კაკულია, სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბილისი, 2001.
3. მ. კაკულია, ნ. ასლამაზიშვილი, დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები, თბილისი, 2000.
4. რ. კაკულია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბილისი, 2003.
5. ე. მექვაბიშვილი, სახელმწიფო და ეკონომიკა, თბილისი, თსუ, 1995.
6. ვ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, საქ. მეცნიერებათა აკადემია. 2002.
7. ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2005.
8. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბილისი, გამომცემლობა „ეს სსკი“. 1999.
9. О.С. Белокрылова, Теория переходной экономики, Ростов на Дону, Феиикс, 2002.
10. А.В. Бузгалин, А.И. Колганов, Теория социально-Экономических Трансформации. Прошлое, настоящее и будущее экономики «Реального социализма» в глобальном постиндустриальном мире, Теис, Москва, 2003.
11. ЛИНВУД Т. Гайгир, Макроэкономическая теория и переходная экономика, Перевод с английского, общая редакция и предисловие В.А.ИСАЕВА, Москва, ИНФРА – Масква, 1996.
12. Г.М. Гукасян, Экономическая теория: проблемы «Новой Экономики»; Питер, Москва, Санкт Петербург, 2003.
13. И.П. Николаев; Теория переходной экономики; Юнити. Издательство политической литературы «Единство», Москва, 2001.
14. И.П. Николаев; Экономическая теория: Трансформирующая Экономика, Юнити, Издательство политической литературы «Единство», Москва, 2004.
15. Налогово-бюджетная политика в странах экономики переходного периода, под редакцией В. ТАНЗИ, Международный Валютный Фонд, Вашингтон, 1993.
16. Папава В.Г., Беридзе Т.А., Очерки политической экономии посткоммунистического капитализма, Опыт Грузии Москва, «Дело и Сервис», 2005.
17. Экономика переходного периода: сборник избранных работ, Москва, Дело. 2003.
18. Anticorruption in Transition. A Contribution in the Policy Debate. Washington, The World Bank, 2000.
19. Camdessus M. From Crisis to a New Recovery. Excerpts from Selected Addresses. Washington, IMF, 1999.
20. Cottarelli C., Doyle P. Disinflation in Transition, 1993-97. Occasional Paper 179. Washington, IMF, 1999.
21. Heilbroner R., Milberg W. The Making of Economic Society. London, Prentice-Hall international, Inc., 1998.
22. Klaus V. Promoting Financial Stability in the Transition Economies of Central and Eastern Europe. In: Maintaining Financial Stability in a Global Economy. A Symposium Sponsored by The Federal Reserve of Kansas City. Jacson Hole. Wyoming, August 28-30, 1997.
23. Jochem A. Monetary Stabilization in Countries in Transition. // International Advances in Economic Research, 1999, Vol. 5, No. 1.
24. Systemic Change in Post-Communist Economies. Ed. by P.G. Hare. London, Macmillan Press, 1999.
25. Stiglitz J.E. Whither Reform? Ten Years of the Transition. Annual Bank Conference on Development Economics, April 28-30, 1999. Washington, The World Bank, 1999.
26. Welfens P.J.J. EU Eastern Enlargement and the Russian Transformation Crisis. Berlin, Springer, 1999.
27. Wolfenson J.D. A Proposal for a Comprehensive Development Framework (A Discussion Draft). Washington, The World Bank, 1999.

### დამხმარე ლიტერატურა:

1. ლ. ბალცეროვიჩი, თავისუფლება და განვითარება, თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია, თბილისი, 2004.
2. ლ. ბალცეროვიჩი, სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბილისი, 2002.
3. ლ. ბახტაძე, საბანკო სისტემის სტაბილურობა: თეორიული ასპექტები, ჟურნ. ბანკი. 2004/4. გვ. 60-66.
4. ლ. ბახტაძე, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში, ჟურნ. ბანკი, 2003/1-2. გვ. 44-49.
5. გ. ლალიაშვილი, სავალუტო პოლიტიკის ამოცანები საქართველოში ეკონომიკის ლეგალიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნების პირობებში, ჟურნ. ბანკი. 2004/4. გვ. 50-59.
6. ი. მანაგაძე, ინფლაციის არსის გაგების თეორიულ მეთოდოლოგიურ საფუძვლები, ჟურნ. ბანკი. 2003/4. გვ. 5-11.
7. მესტერიშვილი, ლარის გაცვლითი კურსის ფორმირების მექანიზმი და შიდა სავალუტო ბაზრის ეფექტიანობა საქართველოში, ჟურნ. ბანკი, 2003/1-2. გვ. 34-43.
8. ე. მექვაბიშვილი, საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი ინფრასტრუქტურის შექმნის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ეკონომიკა, 1999.
9. პაპავა ვ., სერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბილისი, შპს „კომპანია იმპერიალი“.2000.
10. სოციალური ტენდენციები საქართველოში 2004, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2004.
11. შრომის ბაზარი საქართველოში 1998-2003, სტატისტიკური კრებული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2004.
12. Албегова И. М., Емцов Р.Г., Холопов А. В. Государственная экономическая политика: опыт перехода к рынку, Под. общ. ред. А. В. Сидоровича, Москва, Дело и Сервис. 1998.
13. Выбор модели рыночной экономики и приоритеты экономической политики в России. Под ред. Э. Дунаева, А. Шуркалина, Москва, 1998.
14. С. Дробышевский, А. Козловская, Д. Левченко, Сравнительный анализ денежно-кредитной политики в переходных экономиках, Институт Экономики переходного периода, Москва, 2003.
15. Ойкен В., Основные принципы экономической политики, Москва, Прогресс, 1995.
16. А.С. Селищев, Н.А. Селищев, Китайская Экономика в XXI веке, Питер, 2004.
17. Эволюционный подход к переходной экономике, Под ред Л.И.Абалкина, Москва, ИЭРАН, ЦЭМИ РАИ, 1995.
18. Экономика переходного периода: очерки экономической политики посткоммунистической россии, Москва, Дело, 2003.
19. Шамхалов, Государство и экономика, основы взаимодействия, учебник, экономика, Москва, 2000.
20. Allen R. E. Financial Crises and Recession in the Global Economy. Cheltenham, Edward Elgar, 1999.
21. Augusztinov M., Pension Systems and Reforme in the Transition Economies. Economic Survey of Europe. ECE. Jeneva. 1999.
22. Boughton J.M. From Suez to Tequila: The IMF as Crisis Manager. The Economic ournal 2000, Vol. 110, No. 461.
23. Global Economic Prospects and the Developing Countries. Beyond Financial Crisis. Washington, The World Bank, 1999.
24. Goldstein M. The Case for International Banking Standards. In: Preventing Bank Crises: Lessons from Recent Global Bank Failures. . Ed. by G., Caprio Jr., W.C. Hunter, G.G. Kaufman, D.M. Leipziger. Washington, The World Bank, 1998.
25. de Gregorio J., Eichengreen B., Ito T., Wyplosz C. An Independent and Accountable IMF. Geneva Reports on the World Economy 1. Geneva, ICMB, 1999.
26. Currency Crises, Monetary Union and the Conduct of Monetaru Policy. A Debate Among Leading Economists. Ed. by P.J. Zak. Cheltenham, Edward Elgar, 1999.
27. Nunberg B. The State After Communism: Administrative Transitions in Central and Easdtern Europe. Washington, The World Bank, 1999.
28. Susjan A., Lah M. Inflation in the Transition Economies: the Post-Keynesian View, Reviem of Political Economy, 1997, vol. 9, No.4.

## ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ

წარმოგიდგენთ მთლიანობაში „გარდამავალი ხანის ეკონომიკის“ სასწავლო კურსის თემატიკას, რომელიც გადმოცემულია მოთხოვნილი წესის შესაბამისად ნაბეჭდ გვერდზე და მოიცავს შემდეგ თემებსა და საკითხებს:

**თემა 1. გარდამავალი ხანის ეკონომიკის კონცეფცია: თეორია და პრაქტიკა.** გარდამავალი ეკონომიკა როგორც ახალი ისტორიული ფენომენი. გარდამავალი ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობები: არსი და გადაჭრის ფორმები. ეკონომიკური რეფორმების მიზნები და ძირითადი მიმართულებები. პოლიტიკური სტაბილურობა და რეფორმებისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერა. რეფორმის შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები. გარდამავალი ეკონომიკის მახასიათებლები და მათი გამოვლინება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.

**თემა 2. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა როგორც გარდამავალი ხანის ეკონომიკის ფენომენი.** მაკროეკონომიკური არასტაბილურობა – გარდამავალი ხანის ეკონომიკის კანონზომიერი მოვლენა. მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მიზეზები გარდამავალი ხანის ეკონომიკაში. ფასების ლიბერალიზაცია და ინფლაცია. სახელმწიფო ფინანსების არამდგრადობა და დეფიციტურობა. ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობისა და გაცვლითი კურსის რეჟიმის შერჩევის პრობლემები. ეკონომიკური კრიზისის საქართველოში: მიზეზები, მასშტაბები, დაძლევის გზები.

